

ზეინაბ გვარიშვილი

შესავალი ენათმეცნიერების თანამედროვე დარგებში



გამომცემლობა

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი - 2023

სალექციო კურსი

(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგამომცემლო საბჭოს სხდომის ოქმი №2, 07.06.2023)

წინამდებარე სალექციო კურსი „შესავალი ენათმეცნიერების თანამედროვე დარგებში“ განკუთვნილია ინგლისური ენის ფილოლოგიის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავს მათთვის ენათმეცნიერების თანამედროვე დარგების თეორიების, საკვანძო საკითხების და მათი კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლების გაცნობას. სალექციო კურსში მოცემული მასალები ასევე, დახმარებას გაუწევს ნებისმიერი ფილოლოგიური პროფილის სტუდენტს და ენათმეცნიერების თანამედროვე დარგების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

სალექციო კურსი მოიცავს სამ ნაწილს: პირველ ნაწილში მოცემული მასალები ეხება ენათმეცნიერებისა და მისი საკვლევი ობიექტის - ენის, როგორც ნიშანთა სისტემის რაობის, ენობრივი დონეების გამოყოფისა და ენათმეცნიერების დარგების ირგვლივ არსებული საკითხების, მიმოხილვას. კურსის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს *მიკროლინგვისტიკის* დარგების: *ფონეტიკის*, *ფონოლოგიის*, *მორფოლოგიის*, *სინტაქსის*, *სემანტიკის*, *პრაგმატიკის* საკვანძო საკითხების მიმოხილვას კერძო ლინგვისტიკის ფარგლებში. კერძოდ კი, სასწავლო კურსის – „ზოგადი ენათმეცნიერება“ – ფარგლებში შექმნილ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით ინგლისური ენის ფონოლოგიური, სტრუქტურული, სემანტიკური და საკომუნიკაციო ერთეულებისა და სტრუქტურების თავისებურებების მიმოხილვას. კურსის მესამე ნაწილი ეთმობა *მაკროლინგვისტიკის* დარგების: ტექსტის ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკის და სოციოლინგვისტიკის საკითხებს, სადაც განხილულია აღნიშნული დარგების აღმოცენების წინაპირობები, მართულებების საკვლევი ობიექტები და მათი კვლევის მეთოდები.

სალექციო კურსში მოცემული შემაჯამებელი კითხვები სტუდენტებს მისცემს საშუალებას, განვლილი მასალის სინთეზისა და ანალიზის გზით შეაჯამონ და ლოგიკურად იმსჯელონ სხვადასხვა ენობრივ პრობლემაზე.

რეცენზენტები: ასოც.პროფესორი ჟუჟუნა გუმბარიძე

ასოც. პროფესორი ნანა მაზმიშვილი

ISBN 978-9941-488-73-3

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2023

სარჩევი

ენათმეცნიერება, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი	4
ენათმეცნიერების საკვლევი ობიექტი - ენა და მისი ფუნქციები	6
დიქოთომია - ენა და მეტყველება	9
ენა, როგორც ნიშანთა სისტემა	10
ენობრივი ნიშნის ევოლუცია	14
ენობრივი სისტემის დონეებრივი სტრუქტურა: დონეები და მისი ერთეულები	19
თანამედროვე ლინგვისტური დარგების ჩამოყალიბება, როგორც იმანენტიზმის გადალახვის შედეგი	23
თანამედროვე ენათმეცნიერების მიმართულებები	28
მიკროლინგვიტიკა	33
ფონეტიკა	33
ფონოლოგია	36
მორფოლოგია	43
სემანტიკა	50
პრაგმატიკა	58
სინტაქსი	77
ტექსტი და მისი შემსწავლელი დარგი - ტექსტის ლინგვისტიკა	92
მაკროლინგვისტიკა	115
ფსიქოლინგვისტიკა	115
კოგნიტური ლინგვისტიკა	148
სოციოლინგვისტიკა	194
გამოყენებული ლიტერატურა	218

ენათმეცნიერება, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი

ყოველი მეცნიერული დისციპლინა გამოიყოფა სინამდვილის რომელიმე ასპექტის აღქმისა და კვლევის პროცესში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მითითება იმაზე, თუ რას გულისხმობს სინამდვილე. სინამდვილედ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველივე ის, რაც არის ჩვენში და ჩვენ გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე თავისთავად მოიცავს მრავალ ასპექტს, საბოლოო ჯამში, ყველა მათგანი იყოფა ორ ძირითად სფეროდ - ადამიანი და ბუნება (სამყარო), სინამდვილის ორივე სფერო - ადამიანი და ბუნება (სამყარო) თავის თავში მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა აღქმისა და კვლევის პროცესში გამოიყოფა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინა. ამ მეცნიერულ დისციპლინათა ერთობლიობაც იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ჰუმანიტარული მეცნიერებები. როდესაც ვამბობთ, რომ არსებობს სინამდვილის ორი სფერო - ადამიანი და ბუნება, ამგვარი გაყოფა და დაცალკეება არ ნიშნავს, რომ ადამიანი და ბუნება ცალ-ცალკეა. ბუნება თავის თავში მოიცავს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას - ცოცხალი ბუნება მოიცავს არაცოცხალ ბუნებას - ადამიანი კი თავის თავში ატარებს ბუნებას. ამგვარი ურთიერთმიმართებები ცხადი ხდება სინამდვილის ვერტიკალური ხედვისას და იგი უპირისპირდება იმგვარ ხედვას, როდესაც ბუნებისა და ადამიანის უშუალო დაკავშირება გულისხმობს ჰორიზონტალურ განლაგებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი სინამდვილე და სინამდვილის ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება აღქმული (დანახული) იქნას ორნაირად - ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ჰორიზონტალური ხედვის ორი სფერო - ადამიანი და ბუნება - შეიძლება დავინახოთ ვერტიკალის ფარგლებშიც - იერარქიულ-დონეებრივად. სწორედ ასეთივე იერარქია აქვს ენას - ყოველი დონე მის იერარქიაში წარმოდგენილია ერთეულით, რომელიც მოიცავს წინა ერთეულის თვისებას და ამავე დროს, აღემატება მას.

მეცნიერული დისციპლინების ერთობლიობაში გამოყოფილი ორი ჯგუფიდან, ენათმეცნიერება შეიძლება მივაკუთვნოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს - იგი არის ადამიანური სინამდვილის ისეთი ასპექტის შემსწავლელი მეცნიერება, როგორცაა ენა. თუმცა ამ საკითხის შესახებ განსხვავებული აზრიც არსებობს. მეცნიერთა წრეებში დღემდე სადავო რჩება საკითხი, თუ სად უნდა მოვიაზროთ ენათმეცნიერების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ადგილი სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში. კერძოდ, თუ რომელ მეცნიერებათა ციკლს უნდა მივაკუთვნოთ იგი. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ენათმეცნიერების საკვლევ მთავარ ობიექტს - ენას. თუ ენას მოვიაზრებთ, როგორც სოციალურ მოვლენას, მაშინ

ენათმეცნიერება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ნაწილად უნდა ჩავთვალოთ. ამის დასტურია ისიც, რომ ენათმეცნიერება მჭიდრო კავშირშია ჰუმანიტარულ დისციპლინებთან: ფილოსოფიასთან, ისტორიასთან, ფილოლოგიასთან, ლოგიკასთან და სხვა. თუმცა, თუ ენას როგორც ბუნებრივ მოვლენად აღვიქვამთ, მაშინ ენათმეცნიერება სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინების გვერდით დაიკავებს ადგილს.

ენათმეცნიერების მიზანია ბუნებრივი ენის სისტემატური კვლევა, ენის სტრუქტურებისა და მათი გამოყენების თავისებურების დადგენა.

თანამედროვე ენათმეცნიერების მისი თეორიული პრინციპებისა და ამოსავალი დებულებების შესახებ მსჯელობა უნდა დავიწყოთ საზოგადოდ ენის, როგორც თავისთავადი ფენომენის განსაზღვრით. ენის, როგორც აზრის გამოხატვისა და საკომუნიკაციო საშუალების, გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა. ენათმეცნიერება შეისწავლის ენას წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ენის ამგვარი შესწავლა მნიშვნელოვანია, როგორც გამოყენებითი მიზნებისთვის, ისე ზოგადთეორიული თვალთახედვით. ენობრივი ფენომენი, რომელიც არსებით როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, ყოველმხრივ და შეძლებისდაგვარად სრულად უნდა იქნას შესწავლილი. რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით იმას, თუ რას წარმოადგენს ენობრივი სისტემა, როგორია მისი აგებულება და როგორ ფუნქციონირებს იგი, მით უკეთ შევიცნობთ ჩვენს თავს და ჩვენს ადგილს სამყაროში.

მაშასადამე, მეცნიერული კვლევების შედეგად მიღებულ დებულებათა ორგანიზებულ სისტემას, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ენის ბუნებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ - ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა ეწოდება.

ენათმეცნიერების საკვლევო ობიექტი - ენა, ენის ფუნქციები

ენა უკიდურესად რთულ, კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს. იგი მუდმივად იმყოფება ცვლილებებისა და განახლების პროცესში. როდესაც ენის ფუნქციაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის დიდი როლი, რომელსაც იგი ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. ეს საკითხი იმდენად მრავალპლანიანია, რომ ჭირს კიდევ მკვეთრად შემოვსაზღვროთ ენათმეცნიერების საკვლევო ობიექტი. აღნიშნული საზღვრების დადგენა მოითხოვს ენის ძირითადი ფუნქციების გარკვევას, ენის გამიჯვნას არაენობრივი მოვლენებისგან. სამეცნიერო სფეროებში დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ენის ძირითადი ფუნქციის შესახებ. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ენის ძირითად ფუნქციად მის საკომუნიკაციო ფუნქციას მიიჩნევს, ხოლო მეორეთა აზრით ენის ექსპრესიული ფუნქცია მიიჩნევა უპირველესად.

ენის *ექსპრესიული ფუნქციის* საშუალებით ადამიანი ბგერითი ენის საშუალებით გამოხატავს თავის აზრებს. სამეტყველო აქტში ცალკეული წინადადებები შედგება სიტყვებისგან, რომელთაც სახელდების ფუნქცია აკისრიათ ანუ ყოველმა სიტყვამ აზრი უნდა გამოხატოს. ბგერითი მეტყველება არა მხოლოდ წარმოთქმაში, არამედ გაგონება-გაგებაშიც მდგომარეობს. კომუნიკაციის უმთავრესი, პირობა წარმოთქმულის გაგონება-გაგებაა. თუ ფრაზებს აკლია აზრი, გაგებინება მაშინ კითხვის ქვეშ დგება, შედგება თუ არა საერთოდ კომუნიკაცია მოსაუბრეებს შორის. მაშასადამე, აზრის მკაფიო გამოხატვა-გაგებინება წარმატებული კომუნიკაციის უმთავრესი პირობაა და ამ პროცესს ენა უზრუნველყოფს. სმენადაქვეითებული ადამიანები მოკლებულნი არიან აზრის ბგერითი ენით გამოცემის საშუალებას თუმცა, ისინი აზრების გამოსახატავად ჟესტიკულაციას იყენებენ. თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია დამწერლობის გარეშე. დამწერლობა კი სხვა არაფერია, თუ არა იგივე ენა, უფრო ზუსტად გრაფიკული ენა, რომლის ფუნქცია მსგავსად ბგერითი ენისა, აზრის მკაფიო გამოხატვა, ექსპრესიაა.

ბგერით ენას აქვს მეორე ფუნქციაც – ესაა მისი *საკომუნიკაციო ფუნქცია*. ენის საშუალებით უზიარებენ ერთმანეთს ადამიანები აზრებს; ენის საშუალებით გადაეცემა ინფორმაცია ერთი ინდივიდიდან მეორეს. ენა სოციალური მოვლენაა. შრომის განაწილება საზოგადოებაში შესაძლებელია, ძირითადად, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოება იყენებს ენას. საკომუნიკაციო ფუნქცია არ აქვს მარტო ბგერით ენას. ამავე ფუნქციას ასრულებს დამწერლობაც, ჟესტიკულაცია და სხვ. არნოდლ ჩიქობავა თავის ნაშრომში – „ზოგადი ენათმეცნიერება“ – აღნიშნავს: „საკომუნიკაციო ფუნქცია, როგორც ენის ძირითადი ფუნქცია მოიცავს

მეტყველსაც და მსმენელსაც. ენის განხილვა საკომუნიკაციო ფუნქციის თვალსაზრისით არის ენის ყველაზე სრულყოფილი თვალსაზრისით განხილვა“, თუმცა აქვე დასძენს, რომ ორთოგენეზის თვალსაზრისით ენის ექსპრესიული ფუნქცია საკომუნიკაციო ფუნქციის საყრდენ საშუალებას წარმოადგენს.

ენის რიგით მესამე ფუნქციად შეგვიძლია, დავასახელოთ მისი **სოციალური ფუნქცია**. ადამიანის არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმიანობასთან. საზოგადოებრივი საქმიანობა, თავის მხრივ, შეუძლებელია ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების გარეშე. გაგებინების უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ბუნებრივი ენა. ენა არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, განსაკუთრებით კი, შედეგზე ორიენტირებული საქმიანობიდან მომდინარე, მუდმივად განახლებადი, განვითარებადი სისტემა აკუსტიკურად და ოპტიკურად აღქმადი ნიშნებისა, რომელიც ადამიანს ემსახურება აზრის გაფორმებაში, შეადლებინებს მას, გარკვეულ ფორმაში მოაქციოს აზრი და ამით გასაგები გახადოს იგი მისთვის და სხვათათვის. ენა ადამიანს ფიქრის პროცესს ანუ გარკვეული რეალობის შემეცნებას შეადლებინებს. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზრებისა და ემოციური განცდების გადმოცემა, ასევე მოპოვებული ცოდნის ფიქსირება და შენახვა. ენის დეფინიციიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ იგი ადამიანის ენობრივი მოღვაწეობის ინსტრუმენტი და მჭიდრო ურთიერთკავშირშია ადამიანის ცნობიერებასთან. ურთიერთკავშირი ენასა და საზოგადოებას შორის ცხადი ხდება კომუნიკაციაში. კომუნიკაციას ენათმეცნიერები განიხილავენ, როგორც ურთიერთგაგებინების პროცესს.

განხილული ფუნქციების გვერდით გამოიყოფა კიდევ ერთი, ენის **საარტიკულაციო ფუნქცია**. ენის მეშვეობით ხდება ბგერების დანაწევრება. სწორედ ეს თავისებურება განასხვავებს ბუნებრივ ენას ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემებისგან. სუბიექტი ამყარებს მიმართებას საგანთა სამყაროსთან, ობიექტურ სინამდვილესთან, აღიქვამს საგანთა სამყაროს. საგანი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც მოქმედებს შეგრძნებათა ორგანოებზე. აღქმის პროცესში საგნის დამახასიათებელი ფიზიკური ინფორმაცია გარდაიქმნება ნერვულ იმპულსებად, ე.ი. ფიზიოლოგიურ ინფორმაცად. ფიზიოლოგიური ინფორმაცია აღწევს ცენტრალურ ნერვულ სისტემამდე, სადაც იგი გარდაიქმნება ფსიქიკურ ინფორმაცად, ამიტომ საგნის აღქმის შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება მისი ანაბეჭდი წარმოდგენის სახით. ცხოველებსაც აქვთ უნარი, ერთმანეთს გადასცენ გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ მათ დანაწევრების უნარი არ აქვთ და, ამდენად, არც ენა აქვთ. დანაწევრებული ანუ კონცეპტუალური აზროვნება გულისხმობს ფონემებს, მაგრამ ფონემები არც ერთი ცხოველის სიგნალებში არ გამოიყოფა, მაშასადამე, მათ არც კონცეპტუალური აზროვნება აქვთ. რადგანაც ცხოველებსა და ფრინველებს

არ აქვთ აზროვნებისა და ბგერების არტიკულაციის უნარი, ამიტომ მათი აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ვიზუალური. ცხოველებში საკომუნიკაციო საშუალებების ცოდნა გენეტიკურად გადაეცემა შთამომავლობას ეს მათი ფიზიოლოგიური და იმთავითვე მოცემული თვისებაა. ადამიანს, ცხოველებისგან განსხვავებით, აქვს თანდაყოლილი უნარი, საკომუნიკაციოდ აითვისოს ესა თუ ის კონკრეტული ენა. ბუნებრივ ენას აქვს ორი სპეციფიკური მახასიათებელი, რომლითაც იგი არსებითად განსხვავდება ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემისგან, ესენია: ენობრივ სისტემის *დუალობა* და *პროდუქტულობა*.

ბუნებრივი ენის დუალობის წყალობით, მოლაპარაკეს შეუძლია მცირე ერთეულების დალაგებითა და კომბინაციით ააგოს უფრო რთული წინადადებები, რაც საშუალებას იძლევა ენის სასრული რაოდენობის ერთეულთაგან შეიქმნას უსასრულო რაოდენობის გამონათქვამები მოცემული ერთეულების ახალი დალაგების გზით. ენის პროდუქტულობა არის შესაძლებლობა, გადაიცეს ახალი ინფორმაცია, ე.ი. გამონათქვამის აგებისას გადაიცეს ისეთი შინაარსი, რომელიც ადრე არავის არ შეუქმნია და გადაუცია. ენის დუალობა და პროდუქტულობა ადამიანს აძლევს საშუალებას შექმნას წარსული ამბების უსასრულოდ დიდი ოდენობა და ასევე გადასცეს ინფორმაცია დროით და სივრცით დაშორებულ მოვლენათა შესახებ. ცხოველთა კომუნიკაცია ხდება უშუალოდ გარემოს საპასუხოდ, ადამიანი კი ენის საშუალებით აღწერს როგორც წარსულ, ისე აწმყო და მომავალ გარემოებებს.

დიქტომია - ენა და მეტყველება

ენის, როგორც კომპლექსურ ნიშანთა სისტემის განსხეულება მეტყველებაში ხდება. სამეტყველო ქმედებაში ორი ძირითადი ობიექტის - ენის და მეტყველების გამოყოფა ფერდინანდ დე სოსიურის სახელს უკავშირდება, რომელიც თავის ნაშრომში „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ აღნიშნავს: „სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისგან შედგება: პირველი, ძირითადი ნაწილის საკვლევი ობიექტია ენა, რომელიც თავისი არსით სოციალურია და ინდივიდისგან დამოუკიდებელი. ეს მეცნიერება წმინდა ფსიქიკურია; მეორე, მეორეხარისხოვანი ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე - მეტყველება იგი ფსიქო-ფიზიკური ბუნებისაა“. სოსიურის აზრით, ენა და მეტყველება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და იმთავითვე გულისხმობს ერთმანეთის არსებობას.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სოსიურის მიერ შემუშავებული დიქტომია - ენა და მეტყველება - აღიქმება, როგორც ენობრივი სისტემა და მისი აქტუალიზაცია, ანუ გამოყენება. ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას (გამოყენებას) ეწოდება „დისკურსი“.

მამასადამე, თუ სოსიურის მიხედვით, ენა არის სოციალური ფენომენი, რომელიც ენობრივი სოციუმის (კოლექტივის) ფსიქიკაში არსებობს სისტემის სახით (გარკვეული წესების - ფონეტიკური თუ გრამატიკული წესებისა და ლექსიკური შედგენილობის სახით) და ამ სისტემას ადამიანი იყენებს მეტყველებაში. თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა, როგორც სისტემა არის ურთიერთობის ის საშუალება, რომელსაც ჩვენს ფსიქიკაში ვატარებთ და ამ სისტემის აქტუალიზაცია არის დისკურსი.

თანამედროვე ლინგვისტიკა, რომელიც ეყრდნობა ენის სემიოტიკურ კონცეფციას და რომლის ცენტრალური თეზისი არის ის, რომ ენა ნიშანთა სისტემაა, მოცემულ ეტაპზე წინა პლანზე აყენებს ამ სისტემის აქტუალიზაციის ანუ მისი გამოყენების კვლევას. თანამედროვე ენათმეცნიერება ენას ხედავს როგორც ნიშნობრივ, ისე დიქტომიურად არსებულ ფენომენს. ენა სასრული სისტემაა, იგი ჰომოგენურია, ხოლო მეტყველება უსასრულოა, ჰეტეროგენული. ენა უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა, თუმცა მისი აღწერა ლექსიკონსა და გრამატიკას შუძლია, ხოლო მეტყველება უშუალო დაკვირვების შედეგია. ენა განფენილია მთელ კოლექტივში, იგი არსებობს იმისთვის, რომ მეტყველება გასაგები და ეფექტური იყოს, ხოლო მეტყველება არსებობს იმისთვის, რომ ენა ჩამოყალიბდეს.

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა

ბუნებრივი ენა შეიძლება დავახასიათოთ მისი სპეციფიკური ნიშნებით, ჩამოვავალიბოთ მახასიათებლები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა საკომუნიკაციო სისტემებისგან.

ადამიანის ენა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში აზრების გამოხატვის, კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლის საშუალებად. აღნიშნულ დავახასიათებაში იკვეთება ენის, როგორც ნიშანთა სისტემის ოთხი არსებითი თავისებურება:

1. ენა არის სისტემა. მოცემული დებულება გულისხმობს, რომ ენა არ არის რაღაც ერთეულების მოუწესრიგებელი სიმრავლე, არამედ წარმოადგენს ისეთ ელემენტთა სიმრავლეს, რომელთა შორის გარკვეული, მოწესრიგებული ურთიერთმიმართებები არსებობს. ენის ერთეულები ქმნიან სისტემას, ერთიანობას, რომელშიც ყოველი ერთეული კავშირშია ყველა სხვა ერთეულთან და შესაბამისად, ერთი ერთეულის შეცვლა იწვევს სხვა ერთეულების ცვლილებას. ერთეულების მიმართება სხვა ერთეულებთან შესაძლებელია იყოს **სინტაგმატური**, რომელშიც ენობრივი ერთეული ამყარებს ხაზოვან მიმართებას მის წინამავალ ან მომდევნო ერთეულთან და **პარადიგმატული**, როდესაც მოცემული ერთეული რაღაც თვალსაზრისით უპირისპირდება სხვა ერთეულებს სისტემაში (და არა მიმდევრობაში.) პარადიგმატული მიმართებების ნათელი მაგალითია ერთეულის ცვლილება ბრუნვისა და უღლების მიხედვით. სწორედ პარადიგმატულ მიმართებათა არსებობა განაპირობებს იმას, რომ ენობრივ ერთეულთა სიმრავლე არის არა უბრალო ერთიანობა, არამედ – სისტემა. შესაბამისად, ენობრივ ერთეულებში: „კარი“, „კარის“, „კარით“, ა.შ. ელემენტი „კ“ სინტაგმატურ მიმართებაში [ა][რ],) ელემენტებთან და პარადიგმატულ მიმართებაში - [ი],[ის],[ით] ელემენტებთან, რომლებიც იმავე პოზიციაში გვხვდება.

ენობრივი ერთეულების ურთიერთმიმართებები, ერთის მხრივ, ქმნის ცალკეულ ელემენტთა ღირებულებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, – მთლიანი სისტემის შინაგან სტრუქტურას. ენობრივი სტრუქტურის წევრებს შორის მყარდება სინტაგმატური მიმართებები, რაც ენის სისტემურობის გარკვეული გამოვლინებაა. ენობრივი ერთეულების ურთიერთგანპირობებულობის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი: წინადადებაში “**ბავშვმა ნახატი დახატა**” მთავარი ელემენტი – ზმნა „**დახატა**“ მოითხოვს მასთან დაკავშირებული ერთეულების – ქვემდებარისა და დამატების გარკვეული წესით გაფორმებას (ქვემდებარეს უნდა დაერთოს მოთხრობითი ბრუნვის სუფიქსი „-მა“, ხოლო დამატებას – სახელობითი

ბრუნვის სუფიქსი „-ი“) წინადადების მთავარი ელემენტის ცვლილებას, ცხადია, მოჰყვება მასთან დაკავშირებული ერთეულების ცვლილება, მაგალითად: „ბავშვი ნახატს დახატავს“. მაშასადამე, ამ სიტყვების ფორმები ურთიერთგანპირობებულია და ქმნის ერთიან სტრუქტურას.

სტრუქტურაში სიტყვების ფორმები, მართალია, ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ, იმავდროულად, ჩანაცვლებადიც, რაც ნიშნავს, რომ ერთი ფორმა შეიძლება, ჩავანაცვლოთ მეორით ისე, რომ ფორმალური მიმართება ერთეულებს შორის უცვლელი დარჩეს. ასეთი სახით სასრული რაოდენობის სტრუქტურებით შესაძლებელია, შევადგინოთ წინადადებათა უსასრულო რაოდენობა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ყოველი ელემენტი შეიძლება, ჩანაცვლდეს სხვა ელემენტით ბავშვი – ქალით ნახატი – წიგნით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჩანაცვლების ხერხი ბუნებრივი ენის გარდა არც ერთ სხვა საკომუნიკაციო სისტემებს არ ახასიათებს.

ცხოველებისთვის ყოველი შეტყობინება არის მთლიანობა, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებებს და შესაბამისად, სტრუქტურას არ წარმოადგენს.

2. ენა არის ნიშანთა სისტემა. სანამ უშუალოდ ამ დებულებაში გავერკვეოდეთ, უპრიანია განვსაზღვროთ ზოგადად ნიშნის რაობა. ნიშანი არის ის საგანი თუ ქმედება, რომელიც მიუთითებს რომელიმე სხვა საგანსა და ქმედებაზე. ნიშანზე შეიძლება, ვილაპარაკოთ ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც რაღაც მიუთითებს რაღაცაზე. მაგალითად, კვამლი მიგვითითებს იმაზე, რომ სადღაც ცეცხლია; შუქნიშნები ფეხით მოსიარულეებს მიგვითითებენ, როდის გადავკვეთოთ ქუჩა გზებზე, ხოლო მძღოლებს - როდის დაძრან ან გააჩერონ მანქანა. ამდენად, ნებისმიერი ნიშნის ფუნქცია არის მითითება.

მთელ ნიშნობრივ სინამდვილეს სწავლობს მეცნიერება, რომელსაც **სემიოტიკა** (ბერძ, semeion ნიშნავს „ნიშანს“) ეწოდება. რა კავშირია სემიოტიკასა და ლინგვისტიკას შორის? ნიშანთა მთელი სიმრავლე ერთიანდება ორ ჯგუფში: **ვერბალური, ენობრივი და არავერბალური ნიშნები**. ენობრივი ნიშანი ამა თუ იმ ენის ფარგლებში არსებობს, რითაც ის სხვა, არავერბალური ნიშნებისგან განსხვავდება. არავერბალური ნიშნის ფუნქცია შეიძლება, შეასრულოს ნებისმიერმა საგანმა, ჟესტმა, მიმიკამ და ა.შ. მაშასადამე, თუ სემიოტიკა სწავლობს ზოგადად ნიშანთა სიმრავლეს, ლინგვისტიკის მთავარ ობიექტს ენობრივი ნიშნების სტრუქტურისა და თავისებურებების კვლევა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ლინგვისტიკა სემიოტიკის ერთ ერთ უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახლავთ.

ენობრივ გამონათქვამებს ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვს, ისინი ღირებული არიან იმდენად, რამდენადაც მიუთითებენ რაღაცაზე რაც გარეენობრივ სამყაროში არსებობს ანუ აღნიშნავენ საგანს, მოვლენას, თვისებებს. ენობრივი

ფორმის – სიტყვის, სიტყვათა კომბინაციის, ასევე სიტყვის ნაწილის მნიშვნელობას ქმნის მისი მიმართება გარეენობრივი სამყაროს საგნებსა და მოვლენებთან. სწორედ ეს მიმართება, მითითება გარეენობრივი სამყაროს სიტუაციაზე, მათი აღნიშვნა – არის ენობრივი ნიშნის ძირითადი ფუნქცია. მამასადამე, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი.

ენობრივი ნიშნის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ენათმეცნიერებას, შვეიცარიელი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის მიერ შემუშავებულ ნიშნის თეორიასა და მეთოდოლოგიას ეფუძნება. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ენობრივი ნიშანი შეიძლება განისაზღვროს, როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელი ერთიანობა, ურღვევი მთლიანობა. ნიშნის აღმნიშვნელი არის ნიშნის მატერიალური მხარე, ბგერითი სუბსტანცია (სოსიური მას „აკუსტიკურ ხატს“ უწოდებდა) **ფორმა**, ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს – საგნის თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი **ცნება** – არის აღსანიშნი. კავშირი ნიშნის ამ ორ მხარეს შორის მყარდება გარკვეული მიმართებების საფუძველზე და ეს მიმართებები ქმნიან ნიშნის მნიშვნელობას. მაგალითად „ მზე“ აღნიშნული განსაზღვრების თანახმად, ენობრივ ნიშანს წარმოადგენს, რადგან იგი შეიცავს ორივე შემადგენელს, აღსანიშნს (ეს არის ციური სხეული, რომელიც ანათებს, ათბობს, გვამღვეს სასიცოცხლო ენერგიას) და აღმნიშვნელს, რომელიც წარმოადგენილია მ-ზ-ე ბგერათა მიმდევრობით. ეს მიმდევრობა მოცემული აღსანიშნის ენობრივი გამოხატულებაა. აღმნიშვნელის მიმართებას აღსანიშნთან *ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა* ეწოდება.

სოსიურის კონცეფციის თანახმად, აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც ატარებს ფსიქიკურ ხასიათს. აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ისინი ერთმანეთთან არიან კავშირში და ორივე თავად ენაშია. აღსანიშნი არასოდეს არის ენის გარეთ, რადგან იგი არ არის ენის გარეთ არსებული საგანი ან ფენომენი (იგი გამოხატავს საგანთა კლასს და არა ცალკეულ საგნებს ან მოვლენებს. ამდენად, იგი აბსტრაქტულია და არა კონკრეტული).

ნიშნის რაობისა და ფუნქციის განსაზღვრებიდან გამომდინარე ნათელი ხდება ზემოთ მოყვანილი მეორე დებულების არსიც - ენობრივი სისტემა, ისევე, როგორც ყოველი სისტემა შედგება ელემენტებისგან, ხოლო ამ ელემენტებად ენაში ენობრივი ნიშნები გვევლინებიან.

3. **ენა არის ბგერით ნიშანთა სისტემა.** იმისთვის რომ ენობრივმა ნიშანმა თავისი ფუნქცია შეასრულოს მას უნდა ჰქონდეს მატერიალური, სუბსტანციური მხარე. ენობრივი ნიშანი სხვა საკომუნიკაციო სისტემების ნიშნებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად არაბგერითია, შედგება ბგერითი სუბსტანციისგან.

ბგერა არის ენობრივი ნიშნის მატერიალური არსებობის ფორმა. არსებობს სმენითი, ვიზუალური და სხვა ნიშანთა სისტემები, რომლებიც მიუხედავად მათი კომპლექსური ხასიათის არ მოიაზრება როგორც საკუთრივ ენობრივი სისტემა, რადგან ჩვენ ენას ვუწოდებთ ისეთ ნიშანთა სისტემას, რომელიც ბგერითი სუბსტანციისგან შედგება და წარმოიქმნება ადამიანის სამეტყველო ორგანოებით.

4. ენა არის პირობით ნიშანთა სისტემა. ენობრივი სისტემის ეს მახასიათებელი გულისხმობს, რომ კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, რადგან იგი არ არის მთლიანობა, რომელიც წარმოქმნილია ენობრივი ნიშნის ამ ორი ცნების(აღმნიშვნელისა და აღსანიშნის) ასოციაციის შედეგად. აღმნიშვნელის ბგერითი სახე, ფორმა არ განისაზღვრება იმ საგნისა თუ მოვლენის ბუნებით, რომელზედაც იგი მიუთითებს. ცნება „სახლი“ რაიმე შინაგანი მოთხოვნით არ არის დაკავშირებული მის ბგერით მიმდევრობასთან ს-ა-ხ-ლ-ი, რომელიც თვით ცნებას წარმოადგენს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ „სახლი“ ყველა ენაზე ერთი და იგივე ბგერებით გამოიხატებოდა. (რუსული- „Солнце“ ინგლისური- „Sun“ ფრანგული- „Soleil“ გერმანული- „Sonne“) ამით აიხსნება მსოფლიოში მრავალი ენების არსებობაც.

“პირობითობის“ თეორიას უპირისპირდება ორი კონტრარგუმენტი: ხმაბაძვითი ანუ ონომატოპოეტური სიტყვები და შორისდებულები. თუმცა ენათმეცნიერები ერთხმად თანხმდებიან იმ მოსაზრებაზე, რომ აღნიშნული ენობრივი ერთეულების არსებობა ენებში არ წარმოადგენს ნიშნის პირობითობის დებულების საწინააღმდეგო მყარ არგუმენტს, რადგან ხმაბაძვითობა ენობრივი სისტემის ორგანულ ელემენტს არ წარმოადგენს, მისი რაოდენობა გაცილებით მცირეა ენობრივ ნიშანთა მთელ სიმრავლესთან მიმართებაში. გარდა ამისა, ხმაბაძვითი სიტყვები სხვადასხვა ენაში განსხვავებულად გადმოიცემა: ინგლისურად: bow-wow, გერმანულად wau – wau, ფრანგულად gnaf gnaf, იაპონურად wan-wan, რუსულად ay- ay და ა.შ. არც შორისდებულები არიან სახიფათონი რადგან, უმრავლესობისთვის არ არის დამახასიათებელი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის აუცილებელი კავშირი და მათ ენისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ.

ენობრივი ნიშნის ევოლუცია


ნებისმიერი მეცნიერული დისციპლინა არსებობს დინამიკურად. იგი მუდმივად იმყოფება განვითარების პროცესში, რაც კვლევის ობიექტის ხედვასა (წარმოდგენის) და კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებაზე აისახება.

ენათმეცნიერების არსებობის მანძილზე, მისი საკვლევი ობიექტი მუდამ იყო ენა, მაგრამ დროთა განმავლობაში იცვლებოდა ზოგადად ენის ფენომენის ხედვა, რასაც შედეგად თანამედროვე ლინგვისტური თეორიისა და ენის კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილება მოყვა.

ლინგვისტური აზროვნების ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი ნიშნის სტრუქტურის გაფართოებას უკავშირდება. ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი იყო ენობრივი ნიშნის სამი ძირითადი ტიპი ანუ მისი სამი ძირითადი მოდელი (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება 1.):

1. ენობრივი ნიშნის ორპლანიანი, სოსიურისეული მოდელი;
2. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი;
3. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი.

გამოსახულება 1



1. (გამოსახულება 1.1) *ენობრივი ნიშნის ორპლანიანი, სოსიურისეულ მოდელს* ჩვენ უკვე გავეცანით ენის ძირითად მახასიათებლებზე მსჯელობის დროს. აქვე კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოსიურთან ნიშანი აღნიშნავს არა საგანს, თვისებას ან მოვლენას, არამედ მათ ცნებას ანუ კონცეპტუალურ შინაარსს. ენობრივი ნიშნის ეს ორი მხარე ერთმანეთისგან განუყოფელია და ორივე ადამიანის ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. ნიშნის სოსიურისეულ მოდელს თან ახლდა კვლევის სპეციფიური მეთოდოლოგიაც, რომელიც *ლინგვის-*

ტურ იმანენტისმს ეფუძნებოდა. იმანენტური მიდგომა – ეს არის ისეთი მიდგომა, როდესაც კვლევა არ სცილდება საგნის ფარგლებს. შესაბამისად, ლინგვისტური კვლევაც მხოლოდ ინტრალინგვისტურ ხასიათს ატარებდა.

ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ ორპლანიან მოდელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან ყოველი შემდგომი მოდელი მას ეფუძნება და მისი სტრუქტურის გაშლასა და დახვეწას წარმოადგენს. ეს კი შესაბამის ასახვას პოვებს კვლევის მეთოდოლოგიაში, რომელიც ორიენტირებულია **ლინგვისტური იმანენტისმის გადალახვაზე**, რაც ორი მიმართულებით ხდებოდა:

ა) ერთი მხრივ, ობიექტურად არსებული იმ სინამდვილის გათვალისწინებით, რომელსაც აღნიშნავს ენა, როგორც სემიოტიკური სისტემა, და რომელიც დაკავშირებულია ენის ნომინაციურ ფუნქციასთან; შედეგად, ნიშნის სტატუსი მიენიჭა უკვე წინადადებას და გაჩნდა სრული ნიშნის ცნება. დღესდღეობით უმაღლესი დონის ენობრივ ერთეულად უკვე ტექსტი განიხილება;

ბ) მეორე მხრივ, სინამდვილის იმ სპეციფიური მონაკვეთის გათვალისწინებით, რომელშიც რეალიზებას პოვებს ენის კომუნიკაციური ფუნქცია, და რომელსაც სამეტყველო აქტი ეწოდება.

2. (გამოსახულება 1.2) ენობრივი ნიშნის მეორე მოდელი, რომელიც ცნობილია **ენობრივი ნიშნის „სამკუთხედოვანი მოდელი“** სახელით, სწორედ იმანენტისმის გადალახვის პირველმა ტენდენციამ წარმოშვა. ამ მოდელს თან ახლდა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებაც, რაც მდგომარეობდა ნიშნის ცნების დეფსიქოლოგიზაციასა და მისთვის ლოგიკური ბუნების მინიჭებაში.

ენობრივი ნიშნის მეორე მოდელის არსი მდგომარეობდა მისი შინაარსობრივი პლანის დიქოტომიზაციაში. შესაბამისად, სოსიურისეული აღსანიშნი შინაგანად გაიყო ორ ასპექტად, რის შედეგადაც ლინგვისტურ ლიტერატურაში შემოტანილ იქნა ორი ცნება – **სიგნიფიკატი** და **დენოტატი**. სიგნიფიკატი ეს არის ცნება იმ საგნისა თუ მოვლენისა, რომელსაც აღნიშნავს ბგერათა კომპლექსი (აღმნიშვნელი). მაგალითად სიტყვა-ნიშნის „ბიჭი“ სიგნიფიკატი ანუ ცნება არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში, ამდენად იგი თავისი ბუნებით აბსტრაქტულია და ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. სიგნიფიკატი, თავის მხრივ, უპირისპირდება დენოტატს. დენოტატი, ენის დონეზე, არის ვირტუალური ნიშნით აღნიშნული გარეენობრივი რეალობის, საგნის თუ მოვლენის ზოგადი ხატი, სტერეოტიპი, რომელიც მოცემული ენობრივი ერთეულის კონცეპტს შეესაბამება. მეტყველების დონეზე კი, დენოტატის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „**რეფერენტი**“, რომელიც ენობრივი ნიშნით მითითებულ კონკრეტულ ექსტრალინგვისტურ საგანსა თუ მოვლენას წარმოადგენს.

ლინგვისტური იმანენტისმიზმის გადალახვა მდგომარეობს იმაში, რომ აღსანიშნად დაუკავშირდა არა მარტო ფსიქიკას (სიგნიფიკატს, ცნებას), არამედ სინამდვილესაც (დენოტატს და რეფერენტს), რომელიც ამ ფსიქიკურ წარმოდგენას შეესაბამება. აღსანიშნის ორად გაყოფის შედეგად გაჩნდა ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი, რომლის საშუალებითაც ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს მის მთლიანურ ანუ ჰოლისტურ განზომილებაში. შესაბამისად, მოხდა სიტყვის სემანტიკური ასპექტის დიქოტომიზაცია მნიშვნელობის თეორიად და რეფერენციის თეორიად.

3. (გამოსახულება 1.3) *ნიშნის მესამე, სამგანზომილებიანი მოდელი*, რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, წარმოშობილია იმანენტისმიზმის გადალახვის მეორე მიმართულებით, რომლისთვისაც მთავარი და გადამწყვეტი იყო ნიშნის დაკავშირება კომუნიკაციურ აქტთან. ეს მოდელი ფილოსოფიური, უფრო ზუსტად კი, პრაგმატიკული წარმომშობისაა და იგი XIX საუკუნის ბოლოს შეიმუშავა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა, *ჩარლზ პირსმა* (Charles Sanders Peirce 1839 – 1914).

პირსის სემიოტიკურ კონცეფციაში ენა განიხილებოდა არა მარტო როგორც გარესამყაროს საგნების ან მოვლენების აღნიშვნის საშუალება, არამედ როგორც ადამიანური ქმედების სპეციფიური სამეტყველო-კოგნიტური ტიპი, რომელიც საკუთარი შიდაენობრივი ნორმატიული კანონზომიერებით და ცოცხალი საკომუნიკაციო აქტის რეალური გამოცდილებით რეგულირდება.

ჩარლზ პირსმა გამოყო ნიშანთა სამი ტიპი, რომლითაც დღესაც სარგებლობს თანამედროვე სემიოტიკური თეორია. ეს არის „ხატი“ („Icon“), „ინდექსი“ („Index“) და „სიმბოლო“ („Symbol“).

ხატი („Icon“) არის ისეთი ნიშანი, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნის მსგავსია. მაგალითად, მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, ბურთის ნახატი როგორც ნიშანი, როგორც სემიოტიკური ერთეული, წარმოადგენს ხატს. ყოველგვარი ჩანახატი თუ სახვითი ხელოვნების ნიმუშები, როგორც ნიშნები, სემიოტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ხატს.

ინდექსი („Index“) ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელიც აღსანიშნის უკავშირდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. მაგალითად, კვამლი წარმოადგენს ცეცხლის ინდექს-ნიშანს.

სიმბოლო („Symbol“) კი ისეთი ნიშანია, რომლის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი პირობითია და არა მოტივირებული, რის გამოც იგი ხორციელდება გარკვეული კონვენციონალიზმით ანუ წესისა და ტრადიციის ძალით.

შესაბამისად, ბუნებრივ ენებში ბგერითი ნიშნებიც სიმბოლოებს წარმოადგენს იმ აზრით, რომ მათ ბგერით შედგენილობაში (გარდა მცირერიცხოვანი ხმა-

ბადვითი, ონომატოპოეტური სიტყვებისა) არ აისახება დენოტატი. მაგალითად, ინგლისური სიტყვის „table“ ბგერითი შედგენილობა აღსანიშნი ობიექტის ანუ დენოტატის ბუნებით კი არ განისაზღვება, არამედ არბიტრალურ (პირობით), კონვენციონალურ და ამდენად არამოტივირებულ კავშირს ეფუძნება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითოეული აღსანიშნი შეიძლება გამოხატულ იქნას ნებისმიერი ისეთი ბგერითი მიმდევრობით, რომელიც დასაშვებია მოცემულ ენაში.

პირსის თეორიაში ნიშანი სამგანზომილებაში განიხილებოდა და ამ განზომილებებს იგი რიგობითობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით მოიხსენიებდა: Firstness, Secondness, Thirdness. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, პირსმა პირველად დაიწყო ამ განზომილებების ფორმულირება ნაცვალსახელების გამოყენებით:

1. I (Firstness) – მე (პირველობა), ანუ ის, ვინც რამეს აღნიშნავს;

2. THOU (Secondness) – შენ (მეორეობა), ანუ ის, ვისთვისაც ეს აღნიშვნა არის გამიზნული;

3. IT (Thirdness) – ის (მესამეობა), ანუ ის, რაც აღინიშნება.

მოგვიანებით, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, პირსის მიმდევარმა, მეორე ამერიკელმა მკვლევარმა ჩარლზ მორისმა, მოახდინა პირსის მიერ შემუშავებული ენობრივი ნიშნის ფილოსოფიურ-პრაგმატიკული მოდელის ინკორპორირება ლინგვისტიკაში. 1938 წელს, მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „Foundations of the Theory of Signs“ – შემოგვთავაზა ენობრივი ნიშნის სრულიად ახალი მოდელი, რომელსაც იგი განიხილავდა კომპლექსურად სამ განზომილებაში – **სინტაქტიკაში, სემანტიკასა და პრაგმატიკაში**.

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ეს მოდელი ცნობილია პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი მოდელის სახელით და მას ეფუძნება დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელის მიხედვით, ყოველი ენობრივი ნიშანი ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატით ანუ განზომილებით: (იხილეთ გამოსახულება 1.3.) პირველი კოორდინატი მოთავსებულია გარეენობრივ სინამდვილეში, რომლის ობიექტებსაც ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, აღნიშნავს. მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის სემიოტიკურ მოდელში ნიშნის **სემანტიკა ანუ სემანტიკური განზომილება** ეწოდება; მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი. ნიშნის მიმართებას სისტემაში შემავალ სხვა ნიშნებთან **სინტაქტიკა ანუ ნიშნის სინტაქტიკური განზომილება** ეწოდება; მესამე ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის ფუნდამენტური მნიშვნელობა ლინგვისტური აზროვნებისთვის, რომელიც მას დღეისთვის აქვს. იგი ლოკალიზებულია იმ სუბიექტში, რომელიც იყენებს ნი-

შანს. მიმართებას ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც მას გამოიყენებს, პრაგმატიკა ანუ პრაგმატიკული განზომილება ეწოდება.

პრაგმატიკის ჩართვამ ენობრივი ნიშნის მოდელში ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც ნიშნის სამკუთხედოვან მოდელს ახასიათებდა და რის გამოც ეს მოდელი გამორიცხავდა ნიშნის მნიშვნელობის კონტაქტიურ კომპონენტს, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის მიმართ. ესაა მნიშვნელობის შემდეგი კომპონენტები: ემოციურობა, ექსპრესიულობა და შეფასება – მაგრამ პრაგმატიკა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ მისი როლი ენობრივი ნიშნის სტრუქტურირებაში მართო ამ სამი სუბიექტური კომპონენტით უნდა განისაზღვრებოდეს. პირველ რიგში, პრაგმატიკა გულისხმობს ხაზგასმას ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე ანუ იმაზე, თუ სად, როდის, ვის მიერ, ვისთვის და რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა.

ამრიგად, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი უკავშირდება როგორც გარეენობრივ სინამდვილეს, რომლის ფაქტებსაც ის აღნიშნავს, ასევე საკომუნიკაციო აქტს, რომელშიც ენობრივი ნიშნები გამოიყენება სუბიექტის მიერ.

ენობრივი სისტემის დონეებრივი სტრუქტურა: დონეები და მისი ერთეულები

ენობრივი ნიშნის სტრუქტურის გაცნობის შემდეგ საჭიროა, გავეცნოთ, თუ როგორია ამ ნიშნებისგან შემდგარი სისტემის სტრუქტურა. გარდა ჰორიზანტულარი ჭრილისა, სადაც ნებისმიერი ენობრივი ნიშანი შეგვიძლია დავახასიათოთ მისი სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებების მიხედვით, ნიშნები ასევე წარმოდგენილნი არიან ვერტიკალურ ჭრილში. ენის სისტემაში შემავალი ნიშნობრივი ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან იერარქიულად. იერარქიის პრინციპის მიხედვით, ენობრივი სისტემა ორგანიზებულია ენობრივი დონეებით ანუ ატარებს სტრატეფიკაციულ ხასიათს. ენობრივი იერარქიის ყოველი დონე წარმოდგენილია ძირითადი ენობრივი ერთეულით (იხილეთ დიაგრამა 2.)

დიაგრამა 2.



წარმოდგენილი სქემა ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველი მომდევნო ენობრივი დონის ძირითადი ენობრივი ერთეული შედგება მასზე დაბლა მდგომი, მინიმალური ენობრივი ერთეულისგან, ხოლო თავად მაღალ, (მაქსიმალური) დონის ერთეულს წარმოადგენს. ფონემა ფუნქციონირებს მორფემას შემადგენლობაში, მორფემა - სიტყვის, სიტყვა - წინადადების, წინადადება - ტექსტის. მორფემა შედგება ფონემებისგან ანუ ფონემასთან შედარებით მაღალი ნიშნობრივი

ერთეულია, მაგრამ იგი სიტყვაზე უფრო დაბალი ნიშნობრივი ერთეულია, რადგან სიტყვა შედგება მორფემებისგან. წინადადება შედგება სიტყვებისგან და შესაბამისად, იგი სიტყვაზე უფრო მაღალი ნიშნობრივი ერთეულია, ხოლო ტექსტი არის ყველაზე მაღლა მდგომი ნიშნობრივი ერთეული.

დონეებში შემავალი თითოეული ენობრივი ერთეულები გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ, განვიხილოთ ისინი.

როგორც ითქვა, **ფონოლოგიური დონის** ძირითადი ერთეულია ფონემა. იგი არანიშნობრივი, ერთპლანიანი ერთეულია და მას შეიძლება „ნულოვანი ნიშანიც“ ვუწოდოთ, რადგან აქვს ფორმა, მაგრამ არა აქვს შინაარსი. ფონემები მხოლოდ ერთმანეთისგან განასხვავებენ მნიშვნელობებს, მაგრამ თავად არა აქვთ მნიშვნელობა. ეს ერთეულები არიან საყრდენი ნიშნობრივ ერთეულთა ასაგებად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი „საშენი მასალის“ როლს ასრულებენ სხვა ნიშნობრივ ერთეულებთან მიმართებაში, რადგან არ არსებობს ისეთი ნიშანი, რომელიც არ შედგება (არ „შენდება“) ბგერითი კომპლექსისგან. ეს ერთეულები, რომლებიც ენობრივი ნიშნის საყრდენს წარმოადგენენ, თავად არ არიან ნიშნები, რადგან არ არიან მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები - აქვთ გამოხატვის პლანი (ფორმა), მაგრამ არა აქვთ შინაარსის პლანი (არა აქვთ სემანტიკა).

მორფოლოგიური დონე – მის ერთეულს წარმოადგემს მორფემა, რომელსაც, ფონემისაგან განსხვავებით, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ სიტყვისგან განსხვავებით, არ შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია. ამიტომაც მორფემა მნიშვნელობის მატარებელ მინიმალურ ერთეულად ითვლება.

ლექსიკური დონე - მის ძირითად ერთეულს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც იერარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეულია, რომელსაც აქვს ფორმაც და მნიშვნელობაც. ყოველი სიტყვა რაღაცას ასახელებს და ამ ფუნქციის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „ნომინაცია“. მაშასადამე, მასზე იერარქიულად დაბლა მდგომი ერთეულისგან, მორფემისგან, განსხვავებით, სიტყვას უკვე შეუძლია ნომინაციის ფუნქციის შესრულება.

სინტაქსური დონის ერთეული - წინადადება შედგება იმისგან, რასაც მასში შემავალი სიტყვები ასახელებენ (რის ნომინაციასაც ახდენენ). წინადადებას შეუძლია, შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია, ისევე როგორც ეს შეუძლია მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ ნიშანს - სიტყვას, მაგრამ იგი სიტყვას აღემატება იმ ფუნქციის შესრულებით, რომ შეუძლია დაასახელოს გარკვეული სიტუაცია, ანუ მოახდინოს ამ სიტუაციის ნომინაცია.

ტექსტობრივი დონე - მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ადგილს დაიკავებდა ტექსტი ენის დონეებრივ მოდელში და თავად ტექსტისთვის ნიშნობრივი სტატუსის მინიჭება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში პრობლემურ საკითხს წარმოად-


გენდა ლინგვისტიკაში. მის ფარგლებში არსებობდა მრავალი საკამათო საკითხი: არის თუ არა ტექსტი ენობრივ სისტემაში ნიშნობრივი ერთეული და რა ადგილს იკავებს იგი ამ სისტემაში? რის საფუძველზე შეიძლება ტექსტი მიჩნეული იყოს ენის უმაღლესი დონის ნიშნობრივ ერთეულად? მსჯელობის დაწყება იმის შესახებ, რომ კომუნიკაციის ფუნქციის შესრულება ყველაზე გამოკვეთილად ენობრივი ნიშნებიდან სწორედ ტექსტს შეუძლია, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ტექსტის ნიშნობრიობის პრობლემის გადასაჭრელად. ამდენად, დონეებრივი თვალსაზრისით, ენის ყველაზე მაღალ და დამოუკიდებელ ერთეულად ჩაითვალა არა წინადადება, არამედ ტექსტი.

ენობრივი ერთეულების ტრადიციული იერარქია (ფონემა - მორფემა - სიტყვა - წინადადება) კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა და ენის დონეებრივ სტრუქტურაში უმაღლესი ადგილი დაიკავა უკვე ტექსტმა (იხილეთ დიაგრამა 3.).

ენობრივი სისტემის დონეებრივი ორგანიზაცია, როგორც აღინიშნა, ეფუძნება სრულ და არასრულ ნიშანთა ოპოზიციას. ეს დაპირისპირება, ერთი მხრივ, გამოიხატება იმაში, თუ რამდენად შესწევს უნარი ნიშანს, შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით, ფონემა და მორფემა *არასრულ ნიშნებს* წარმოადგენენ, რადგან ისინი ნომინაციის ფუნქციას ვერ ასრულებენ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იერარქიის პრინციპი: ყოველი მომდევნო ენობრივი ნიშანი თავის თავში მოიცავს წინა ენობრივი ნიშნის თვისებებს და ამავე დროს, აღემატება მას. ტექსტს შეუძლია, შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია, ისევე როგორც ეს შეუძლია მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ ნიშანს - წინადადებას, მაგრამ იგი წინადადებისგან განსხვავებით, ასახელებს არა მხოლოდ ერთ გარკვეულ სიტუაციას, არამედ სიტუაციათა ერთობლიობას, რასაც ეწოდება „რეფერენტული სივრცე“.

მეორე მხრივ, სრულ და არასრულ ნიშანთა ოპოზიცია გამოიხატება ენობრივი ნიშნების მიერ კომუნიკაციის ფუნქციის შესრულებაში. „რაც უფრო მეტია და რაც უფრო გამოკვეთილია ნიშნის უნარი, დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია, მით უფრო არსებობს იმის საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ სრულ ნიშანზე“. მაშასადამე, ნიშნის სისრულე ანუ ნიშნის კომპლექსურობა, დამოკიდებულია იმაზე, რომ ნიშანს შეეძლოს მაქსიმალურად სრულად შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია. ეს კი ყველაზე სრულად ტექსტს შეუძლია. ამდენად, სწორედ ტექსტი გახდა ის ნიშანი, რომელიც სიტუაციათა ერთობლიობის ნომინაციასთან ერთად, ყველა ნიშანზე უფრო სრულად ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას.

დიაგრამა 3.



თანამედროვე ლინგვისტური დარგების ჩამოყალიბება, როგორც იმანენტისტიკის გადალახვის შედეგი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით, ენა არის ნიშნობრივი ფენომენი. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, ენობრივი ნიშნის, თუ ზოგადად ნიშნის მოდელმა განსაზღვრა ენათმეცნიერების საგანი - *ენათმეცნიერებას უნდა ეკვლია ენობრივ ფორმათა და შინაარსთა ერთობლიობა.*

ენის ამგვარმა ხედვამ ანუ მისმა თეორიამ, თავის მხრივ, განსაზღვრა მე-20 საუკუნის დასაწყისის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდოლოგიაც. ეს მეთოდოლოგია კი მდგომარეობდა შემდეგში: ენა უნდა შეისწავლებოდეს ისე, რომ ნაკლებად, ან სულაც არ იყოს გათვალისწინებული მისი კავშირი სხვა მოვლენებთან (ფენომენებთან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი უნდა შეისწავლებოდეს ადამიანური სინამდვილისთვის დამახასიათებელი ყოველი სხვა ფენომენისაგან დამოუკიდებლად - მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რაც ამ ენობრივ მოვლენებს შინაგანად ახასიათებს. „შინაგანი“ კი ლათინურად „იმანენტურად“ იწოდება და სწორედ აქედან მომდინარეობს ტერმინი „იმანენტისტიკა“. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, *ენის იმგვარ ხედვას, როდესაც გათვალისწინებულია მისი მხოლოდ შინაგანი მხარე და შემოიფარგლება მხოლოდ მისი შინაგანი ასპექტებით, ეწოდება „ლინგვისტური იმანენტისტიკა“, ხოლო თავად კვლევის მეთოდოლოგიას - „იმანენტისტიკური მეთოდოლოგია“.*

იმანენტისტიკურ ლინგვისტიკას ჰქონდა ორი ეტაპი, რომელთაგან პირველს, *„სისტემური პარადიგმა“* ეწოდება. აღნიშნული პარადიგმის ფარგლებში გამოიყო ყოველი ენობრივი დონის ძირითადი ერთეულის შემსწავლელი შემდეგი დარგები: *ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, სინტაქსი.* ამ დარგების გამოყოფა მოხდა ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელის გათვალისწინების საფუძველზე (სისტემური პარადიგმის ფარგლებში) და ამიტომ მათ *„სისტემური ენათმეცნიერების დარგები“* ეწოდებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი ენათმეცნიერების დარგები მათი შესწავლის კონკრეტული ობიექტებით: *ფონოლოგია* ფონოლოგიურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - *ფონემას*; *მორფოლოგია* მორფემატულ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - *მორფემას*; *ლექსიკოლოგია* ლექსიკურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - *ლექსემას*;

სინტაქსი სინტაქსურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - *წინადადებას*.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე ხდება თანამედროვე ლინგვისტიკისა და ტრადიციული ლინგვისტიკის დამახასიათებელ ხედვათა გარკვეული სინთეზი. განვიხილოთ ამ სინთეზის არსი.

ტრადიციულად ენის შესწავლა უშუალოდ არ უკავშირდებოდა ენობრივი სისტემის დონეებრივ ხედვას, როგორც ეს მოხდა სისტემური პარადიგმის ფარგლებში. ტრადიციული ლინგვისტიკისა და თანამედროვე ლინგვისტიკის სინთეზი საშუალებას იძლევა თითოეული ზემოთ აღნიშნული დარგი, რომელიც გამოყო სისტემურმა ენათმეცნიერებამ დავინახოთ უფრო ფართოდ, იმ ტრადიციის გათვალისწინებითაც, რაც მანამდე არსებობდა ენობრივ ერთეულთა კვლევისას, მაგალითად: ენათმეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც ტრადიციულად შეისწავლიდა ბგერას, იყო ფონეტიკა. იგი მუდამ იკვლევდა ბგერას, მაგრამ ბგერა მას არასოდეს აუყვანია ფონემის დონემდე. ფონოლოგიამ, რომელიც ახალი (სისტემური ენათმეცნიერების) დარგია, მოახდინა ბგერის იმგვარი განზოგადება, რომ იგი აქცია ენობრივი დონის ერთეულად - *ფონემად*.

ისევე როგორც ფონოლოგია-ფონეტიკის შემთხვევაში, უნდა განვასხვავოთ მორფოლოგია ენის მორფოლოგიური დონისგან. ეს უკანასკნელი ენობრივი სისტემის დონეებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული ცნებაა და მთლიანად არ ემთხვევა ტრადიციულ მორფოლოგიას. ეს განსხვავება კი, ძირითადად, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ტრადიციული მორფოლოგიისთვის მნიშვნელოვანია სიტყვისა და მეტყველების ნაწილთა ცნებები. მამასადამე, მორფოლოგია ტრადიციულადაც არსებობდა, მაგრამ იგი იყო არა მხოლოდ მორფემათა შემსწავლელი დარგი, როგორც ეს მოხდა სისტემური პარადიგმის ფარგლებში, არამედ სიტყვისაც და მეტყველების ნაწილებისაც. სიტყვა მუდამ შეისწავლებოდა ენათმეცნიერების მიერ, მაგრამ როგორც ითქვა, იგი შეისწავლებოდა არა მხოლოდ ლექსიკურად - მისი ნომინაციის ფუნქციიდან გამომდინარე, არამედ სხვა ფუნქციებითაც - როგორც მეტყველების ნაწილი და როგორც წინადადების წევრი. სისტემური პარადიგმის ფარგლებში კი ლექსიკოლოგია ენის ლექსიკურ დონეზე სიტყვას შეისწავლის სწორედ როგორც ლექსემას (ანუ მას შეისწავლის ლექსიკურად) და არა როგორც მეტყველების ნაწილს და წინადადების წევრს. სიტყვის კვლევა მისი სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებით (თუ რომელი წინადადების წევრის ფუნქციას ასრულებს იგი) ლექსიკოლოგიისგან განსხვავებით, სინტაქსის ფარგლებში ხდება.

თუ სისტემური პარადიგმის ფარგლებში ენის დონეებრივი მოდელის სინტაქსურ დონეზე წინადადების კვლევა ხდებოდა როგორც უმაღლესი ნიშნობრივი ერთეულისა, იმ ეტაპზე, როდესაც მოხდა სისტემური პარადიგმიდან კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადასვლა, ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულად აღია-

რებულ იქნა არა წინადადება, არამედ ტექსტი. შესაბამისად, სინტაქსიც დაიყო ორ დონედ: *მიკროსინტაქსი*, რომელიც შეისწავლის წინადადებას ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ანუ შეისწავლის წინადადებას იმ ფუნქციათა გათვალისწინებით, რომელთაც წინადადების ფარგლებში ასრულებენ სიტყვები (თუ უფრო დავაზუსტებთ, სიტყვებით გამოხატული წინადადების წევრები); *მაკროსინტაქსი* (ანუ იგივე ტექსტის სინტაქსი), რომელიც შეისწავლის უკვე ტექსტს და იმ ფუნქციებს, რომელთაც წინადადებები ასრულებენ მის ფარგლებში.

იმანენტისტური ლინგვისტიკის მეორე ეტაპზე, ანუ კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში (მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან) ენათმეცნიერებმა უკვე მეტ-ნაკლებად შესწავლილად მიიჩნიეს ენის სისტემა (მისი დონეებრივი მოდელის სახით) და ყურადღების ცენტრში მოაქციეს არა იმდენად ეს სისტემა, არამედ ის, თუ როგორ ხდება ამ სისტემის გამოყენება, ანუ მისი აქტუალიზაცია ადამიანთა შორის კომუნიკაციის პროცესში (კომუნიკაციის მიზნით).

კომუნიკაციური ფუნქცია მუდამ განისაზღვრებოდა ენათმეცნიერებაში ენის მნიშვნელოვან ფუნქციად, მაგრამ ამ ეტაპზე ენათმეცნიერებამ ყურადღების ცენტრში მოაქცია კომუნიკაციის განახლებული ცნება, რომელიც ეფუძნება *კომუნიკაციური აქტის* ცნებას - ორი ენობრივი სუბიექტის (ორი კომუნიკანტის) ურთიერთმიმართებას კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციის ამგვარ გაგებას დაუკავშირდა ისეთი ცნება, როგორიცაა „**დისკურსი**“. სწორედ დისკურსი უნდა მივიჩნიოთ ენობრივი სისტემის ამგვარი აქტუალიზაციის დასახელებად.

იმანენტისტური ლინგვისტიკის ამ ეტაპზე ლინგვისტიკა გახდა კომუნიკაციურად ორიენტირებული - მან მიიღო კომუნიკაციური ლინგვისტიკის სახე. იმისთვის, რომ სწორად გავიგოთ თანამედროვე ლინგვისტიკის მოცემული ეტაპის (პარადიგმის) შინაარსობრივი არსი, უნდა გავითვალისწინოთ ზემოთ გამოყენებული ისეთი ტერმინების მნიშვნელობა, როგორიცაა „კომუნიკაცია“, „**აქტუალიზაცია**“, „**აქტი**“.

1. „*კომუნიკაცია*“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შემდეგს: ესა თუ ის პიროვნება, რომელიც არის კომუნიკაციის პირველი სუბიექტი (რომელიც იწოდება „ადრესანტად“), უზიარებს მეორე სუბიექტს (რომელიც იწოდება „ადრესატად“) იმ ცოდნას, რომელიც მას, ადრესატისგან განსხვავებით, უკვე აქვს. და სწორედ გაზიარების ამ ქმედებით აქცევს თავის ამ ცოდნას ადრესატისთვის მიწოდებულ ინფორმაციად, ანუ ე.წ. „გზავნილად“ (message), რომელიც საერთო ხდება ორივე სუბიექტისთვის (გავიხსენოთ, ინგლისური სიტყვა ‘common’, რომელიც სწორედ ტერმინ „კომუნიკაციიდან“ (communication) მომდინარეობს.

2. როგორც ცნობილია, „**აქტუალურს**“ – “რეალურად ქცეულს” - უპირისპირდება „**ვირტუალური**“ – “მხოლოდ შესაძლებელი”. სისტემური ლინგვისტიკის

(იმანენტისტური ლინგვისტიკის პირველ ეტაპზე), რა თქმა უნდა, ცნობილი იყო, რომ ენის სისტემა შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (უფრო მეტიც, მიზნული იყო, რომ სწორედ ასეთია მისი დანიშნულება), მაგრამ არ ხდებოდა იმის გათვალისწინება, თუ როგორ, რა სახით უნდა მომხდარიყო მისი გამოყენება. შესაბამისად, ენის კომუნიკაციური გამოყენება აღიქმებოდა მხოლოდ ვირტუალურად, ანუ რეალურად ქცევის მხოლოდ შესაძლო პერსპექტივით. ახალ ეტაპზე კი, ანუ კომუნიკაციის პარადიგმის ფარგლებში, ყურადღების ცენტრში მოექცა სწორედ ამ შესაძლებლობის, ანუ ვირტუალურის აქტუალურად ქცევა - *ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია*.

3. რაც შეეხება ტერმინ „აქტს“, რომელსაც მოიცავს უფრო რთული ტერმინი „კომუნიკაციური აქტი“: „აქტით“ ზოგადად იგულისხმება ნებისმიერი ისეთი პროცესი, რომელსაც ჰყავს ავტორი - ის სუბიექტი, რომელიც ამ პროცესს ასრულებს და უზიარებს მეორე სუბიექტს. შესაბამისად, როგორც ითქვა, დისკურსი უნდა გავიგოთ როგორც ისეთი კომუნიკაციური აქტი, რომელიც მუდამ გულისხმობს ამ აქტის ორ მონაწილეს - ორ კომუნიკანტს (ადრესანტს და ადრესატს). და სწორედ იმიტომ, რომ მოცემულ ეტაპზე ლინგვისტურ აზროვნებაში აუცილებელი გახდა ადამიანის როგორც კომუნიკაციური სუბიექტის არა მხოლოდ გათვალისწინება, არამედ მისი ცენტრალურ ლინგვისტურ ცნებად ქცევა კი, გამოიკვეთა ენის როგორც ფენომენის ადამიანური სინამდვილისთვის დამახასიათებელ სხვა ფენომენებთან დაკავშირების აუცილებლობა: კომუნიკაციის პროცესი უცილობლად გულისხმობს არა მხოლოდ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, არამედ იმ გზავნილის გათვალისწინებასაც, რომელსაც ერთი ადამიანი, როგორც ადრესანტი, უგზავნის მეორეს - ადრესატს. ამ გზავნილთა შინაარსების წინასწარ შემოფარგვლით (თუ შეზღუდვით) განსაზღვრა შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავად კომუნიკაციური აქტის ფორმა და შინაარსი მუდამ განისაზღვრება იმ ფენომენტთა ფორმითა და შინაარსით, რომლებიც იქცევა კომუნიკაციის ობიექტად. ეს კი უკვე ფაქტობრივად ნიშნავს შემდეგს: აუცილებელი გახდა ენის აქტუალიზებულ ერთეულთა - პირველ რიგში კი ტექსტის - დაკავშირება ადამიანური სინამდვილისთვის დამახასიათებელ ფენომენტთა ერთობლიობასთან. როგორც ვხედავთ (ეს პროცესი კვლავაც გრძელდება) **გადაიღაბა ლინგვისტური იმანანტიზმი**.

იმის გათვალისწინებით კი, თუ რომელი ან როგორი ფენომენი იქცევა კომუნიკაციის ობიექტად, გამოიყოფა თანამედროვე ლინგვისტიკის დარგები: **ლინგვოკულტუროლოგია** (რომელიც ენას არსებითად უკავშირებს კულტურას), **ფსიქოლინგვისტიკა** (რომელიც ენას უკავშირებს ადამიანის ფსიქიკას), **კოგნიტური**

ლინგვისტიკა (რომელიც ენას უკავშირებს შემეცნებას) **სოციოლინგვისტიკა** (შეისწავლის ენას მის სოციალურ კონტექსტში) და ა.შ.

ჩვენ უკვე გავეცანით ნიშნის სტრუქტურის ევოლუციის საკითხს, კერძოდ, ნიშნის ორპლანიანი სტრუქტურიდან სამგანზომილებიან მოდელზე გადასვლის პროცესს. იმანენტისტური ლინგვისტიკის პირველ ეტაპზე (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის დონეზე) ნიშანთა სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული მიმართებების შესწავლა არ სცილდებოდა ენის, როგორც სისტემის ფარგლებს და მათი შესწავლა არ უკავშირდებოდა ნიშანთა ურთიერთმიმართებების შესწავლას *კომუნიკაციის პროცესში*. ეს მიმართებები დღეს უკვე შეიძლება გავიგოთ როგორც სისტემის დონეზე, ისე ამ სისტემის აქტუალიზაციის დონეზე.


თითოეული ეს განზომილება რიგრიგობით იკავებდა წამყვან სტატუსს ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ფარგლებში მთელი აქცენტი გადატანილი იყო სინტაქტიკის შესწავლაზე და როგორც ითქვა, სინტაქტიკური მიმართებები შეისწავლებოდა მხოლოდ ენის ფარგლებში. შემდგომში, ამავე პარადიგმის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მნიშვნელობათა სფეროს - სემანტიკის - შესწავლას. ამ განზომილების შესასწავლად გამოიყო კერძო სემიოტიკური დისციპლინა - **სემანტიკა**. მაგრამ თუ თავდაპირველად მნიშვნელობათა შესწავლა არ სცილდებოდა სიტყვის სემანტიკას, კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში, როდესაც უმაღლეს ნიშნად ჯერ - წინადადება, ხოლო შემდეგ - ტექსტი იქცა და განვითარება დაიწყო ტექსტის შემსწავლელმა სპეციალურმა დისციპლინამ - **ტექსტის ლინგვისტიკამ**. ამასთან ერთად საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის კვლევამაც. შესაბამისად, გამოიყო ცალკე დისციპლინა, რომელსაც **„ტექსტის სემანტიკა“** ეწოდა.

საბოლოოდ კი, უკვე წინა პლანზე გადმოვიდა ნიშნის პრაგმატიკული განზომილება და ლინგვისტიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზეც სწორედ მას უკავია წამყვანი სტატუსი. კომუნიკაციური პარადიგმის დონეზე პრაგმატიკის ცნება განსხვავდება იმ გაგებისგან, რომელიც მას გააჩნდა თავდაპირველად. ამ დონეზე პრაგმატიკა აღარ ეფუძნება მხოლოდ ნიშნის მიმართებას სუბიექტთან, არამედ მისთვის უკვე ამოსავალი ხდება ურთიერთმიმართება საკომუნიკაციო აქტის ორ სუბიექტს - მეტყველ და მსმენელ სუბიექტებს შორის. შესაბამისად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში შეიქმნა დარგი, რომელსაც **„ლინგვისტური პრაგმატიკა“** ეწოდება.

თანამედროვე ენათმეცნიერების მიმართულებები

თანამედროვე ლინგვისტიკა კომპლექსური მეცნიერებაა და აერთიანებს მასში შემავალ ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგს. შესაბამისად, გამოიყოფა ლინგვისტიკის შემდეგი ორი მიმართულება: 1. *მიკროლინგვისტიკა*, (ტერმინი “*microlinguistics*” პირველად 1949 წელს იქნა გამოყენებული ამერიკელი ენათმეცნიერის ჯორჯ ტრეიგერის მიერ) რომლის კვლევის ობიექტია ენობრივი სისტემა და მისი სტრუქტურული ანალიზი და მოიცავს: ფონეტიკას, ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, სემანტიკასა და პრაგმატიკას. 2. *მაკროლინგვისტიკა*, რომელიც ინტერდისციპლინური მიმართულებაა და შეისწავლის ენის სტრუქტურასა და ფუნქციონირების საკითხებს გარეენობრივ ფენომენებთან მიმართებაში. მისი მიზანია ენისა და სოციუმის, ფსიქიკის, შემეცნების, ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთზეგავლენის შესწავლა და ანალიზი (იხილეთ დიაგრამა 4.).

დიაგრამა 4



როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, *მაკროლინგვისტიკა* აერთიანებს *ინტერდისციპლინურ* და *ინტრადისციპლინურ* ქვედარგებს. კერძოდ კი, ინტერდისციპლინური ქვედარგი მოიცავს: *სოციოლინგვისტიკას*, რომლის მიზანია ენის კვლევა სოციუმთან მიმართებაში; *ლინგვისტური გეოგრაფია*, რომელსაც ასევე დიალექტურ გეოგრაფიას/ დიალექტოლოგიას უწოდებენ, შეისწავლის რეგიონულ დია-

ლექტებსა და ვარიაციებს, ასევე ენის (ენების) ან მისი შემადგენელი ელემენტების გეოგრაფიულ განაწილებას; *კოგნიტურ ლინგვისტიკას*, რომელიც შეისწავლის ენას შემეცნებასთან კავშირში; *ფსიქოლინგვისტიკა*, რომელიც იკვლევს ენას ადამიანის ფსიქიკასთან მიმართებაში; ფსიქოლინგვისტიკის პრობლემატიკას უკავშირდება მეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დარგი- *ბიოლინგვისტიკა*, რომელიც იკვლევს ურთიერთკავშირს ბიოლოგიურ პროცესებსა და ენობრივ მოვლენებს შორის. ბიოლინგვისტიკის ერთ-ერთ პრობლემათაგანაა ენობრივ ჩვევათა და სტრუქტურათა თანდაყოლილობის საკითხი მოლეკულური გენეტიკის თვალსაზრისით. ბიოლინგვისტიკის ფარგლებში შეისწავლება, აგრეთვე, ენის ნევროლოგიური მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს სამეტყველო პროცესებს.

ეს პრობლემატიკა შეადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის - *ნევროლინგვისტიკის* კვლევის საგანს. იგი აღწერს და შეისწავლის ენობრივ სტრუქტურათა წარმოქმნისა და აღქმის პროცესებს, რომელიც ადამიანის ტვინში მიმდინარეობს, მაგრამ ახდენს არა ამგვარ პროცესთა მოდელირებას, არამედ არკვევს იმას, თუ როგორ ხორციელდება სინამდვილეში ამ სტრუქტურათა წარმოქმნა და აღქმა, თუ რა ნევროლოგიური მექანიზმები უდევს საფუძვლად მოლაპარაკესა და მსმენელ შორის მიმდინარე საკომუნიკაციო პროცესს. განსაკუთრებული ღირებულება ნევროლინგვისტიკამ კოგნიტური დისციპლინების განვითარების ფონზე შეიძინა ხელოვნური ინტელექტის შექმნის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც კომპიუტერული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ბუნებრივი ენის მოდელირება შეიძლება გამოვსახოთ *მათემატიკური ლინგვისტიკის* საშუალებით, რომელიც გულისხმობს ტექსტის სტატისტიკურ დამუშავებას და ენის გრამატიკული სტრუქტურების შესაბამისი მათემატიკური მოდელების კონსტრუირებას. მათემატიკური ლინგვისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული *კომპიუტერულ ლინგვისტიკასთან*, რომელიც ახდენს საკომუნიკაციო პროცესის მოდელირებას. გამოყენებითი ენათმეცნიერების მიზანია შემდეგი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა: ახალი დამწერლობის შექმნა და სრულყოფა, მეტყველების ტრანსკრიფცია და უცხო სიტყვათა ტრანსლიტერაცია, სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია და ენობრივი ნორმების შემუშავება, ენათა სწავლების ეფექტური მეთოდების შემუშავება, სამეტყველო დეფექტების დაძლევა, სმენადაქვეითებულთათვის ენობრივი ჩვევების გამომუშავება და სხვა.

ინტრადისციპლინური მიმართულება, რომლის დანიშნულებაცაა ენის შესწავლა კონკრეტული ენათმეცნიერების დარგის ფარგლებში, აერთიანებს:

თეორიულ ანუ ზოგად ენათმეცნიერებას, რომელიც სემიოტიკური ენათმეცნიერების ნაწილია და მის დანიშნულებას ენობრივი საკითხების სისტემატური ანალიზი წარმოადგენს;

კომპარატიულ ენათმეცნიერებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ისტორიულ-შედარებით და ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებებს. მათი დანიშნულებაა ენობრივი სისტემების ურთიერთშედარება, ენებს შორის შესაძლო გენეტიკური კავშირების, საერთო წარმომავლობის, იზომორფიზმისა (მსგავსების) და ალომორფიზმის (განსხვავებულობის) დადგენა;

ისტორიულ/დიაქრონიულ ენათმეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ენობრივ ცვლილებებს ზოგადად, და კონკრეტულ ენაში ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიისა და სხვადასხვა ენობრივი ოჯახების ურთიერთზეგავლენის საკითხებს;

დესკრიფციულ/სინქრონულ ენათმეცნიერებას, რომელიც სწავლობს და აანალიზებს ენობრივ ფორმებს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე ისტორიული რეფერენციის გარეშე;

ენათმეცნიერების (მიკრო/მაკრო ლინგვისტიკის) ზემოთ მოყვანილი დარგები ერთმანეთის მომიჯნავე დარგებად უნდა მივიჩნიოთ. ლინგვისტიკაში შემავალი დარგები ამ დისციპლინის ერთიან სტრუქტურას ქმნიან. რომელიმე ერთ დარგში დაგროვილი ცოდნა საფუძველი ხდება მომიჯნავე დარგში წარმოებული ახალი კვლევებისა. რამდენადაც მეტი დარგი იქნება შესწავლილი, იმდენად სრულფასოვანი და ამომწურავი იქნება მომიჯნავე ლინგვისტური დისციპლინების საერთო, ამოსავალი საკითხების კვლევა, რომლებიც საბოლოო ჯამში ზოგადად ენის ფუნქციონირების, სამეტყველო ქმედების თავისებურებების კვლევას უკავშირდება.

ენათმეცნიერებაში ასევე გამოიყოფა „**კერძო**“ და „**ზოგად**“ ენათმეცნიერების მიმართულებები. *კერძო ენათმეცნიერება* აშუქებს რომელიმე კონკრეტული ენის ლინგვისტიკურ თავისებურებებს და ანალიზებს მას სხვა ენებთან მიმართებაში. ხოლო *ზოგადი ენათმეცნიერების* მიზანია, კერძო ენათმეცნიერებაში არსებული ყველა სპეციფიკური საკითხისა თუ მოვლენის გაერთიანება, გაანალიზება და განზოგადება.

ჩვენი სალექციო კურსის მიზანია, გავეცნოთ კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში აღმოცენებული ენათმეცნიერების ახალ დარგებს (ტექსტის ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა). თუმცა, სანამ უშუალოდ მათ განხილვას შევუდგებოდეთ, უპრიანია მიმოვიხილოთ ენათმეცნიერების ის დარგები, რომელთა ფარგლებში დაგროვილი ცოდნის განზოგადებითა და შემდგომ მომიჯნავე ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან ინტეგ-

რირებით, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების აღნიშნული მიმართულებები. მიკროლინგვისტიკის დარგებს, რომელთა მიმოხილვა ჩვენი სალექციო კურსის ფარგლებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კერძო ლინგვისტიკის, კერძოდ კი ინგლისურ ენის ჭრილში, მიმოვიხილოთ.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რატომ მიიჩნევა ენათმეცნიერება ჰუმანიტარულ მეცნიერებად?
2. რა წარმოადგენს ენათმეცნიერების საკვლევ ობიექტს და მიზანს?
3. რა ფენომენია ენის დუალობა და პროდუქტულობა? რას ადასტურებს მათი არსებობა?
4. რა განსხვავებაა ენასა და მეტყველებას შორის?
5. იმსჯელეთ ენის რაობის შესახებ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის ითხი თავისებურების გათვალისწინებით.
6. რას ნიშნავს ნიშანთა სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები?
7. რა კავშირია სემიოტიკასა და ლინგვისტიკას შორის?
8. რა არის ნიშანი და როგორია მისი სტრუქტურა?
9. როგორია სოსიურის ენობრივი ნიშნის მოდელი? როგორია მისი სტრუქტურა?
10. რატომ ვამბობთ, რომ ენა არის პირობით ნიშანთა სისტემა? მოიყვანეთ თქვენი პასუხის დამადასტურებელი მაგალითები.
11. იძლევა თუ არა შორისდებულებისა და ხმაბაძვითი სიტყვების მაგალითები იმის საფუძველს, რომ ენა არბიტრალურ (პირობით) ნიშანთა სისტემად არ იქნას მიჩნეული?
12. როგორ გამოიხატებოდა ენობრივი ნიშნის სტრუქტურის განსხვავებული ხედვა ენათმეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე?
13. რას ნიშნავს ნიშნის დეფსიქოლოგიზაცია? განმარტეთ სიგნიფიკატისა და დენოტატის ცნებები?
14. როგორია ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი? და რით განსხვავდება იგი თავისი წინამორბედი მოდელებისგან?
15. როგორია ენობრივი სისტემის იერარქია?
16. რომელი ენობრივი ერთეულები შეესაბამება ამ სისტემაში შემავალ ენობრივ დონეებს?

17. რას ნიშნავს მინიმალური და მაქსიმალური ენობრივი ერთეული?
18. რა არის ნომინაცია და რა სახის შეიძლება იგი იყოს?
19. რატომ არის ფონემა ერთპლანიანი, არანიშნობრივი ენობრივი ერთეული?
20. შეუძლია თუ არა მორფემას შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია? რატომ ითვლება იგი მნიშვნელობის მატარებელ მინიმალურ ერთეულად?
21. რა ფუნქცია აქვს სიტყვას? რატომ ითვლებოდა იგი ენობრივი დონის უმაღლეს ერთეულად?
22. რა ფუნქციას ასრულებს წინადადება? რითი განსხვავდება იგი ენობრივ იერაქიაში მასზე დაბლა მდგომი ერთეულისგან - სიტყვისგან?
23. რატომ არის დღეისთვის ტექსტი მიჩნეული უმაღლეს ნიშნობრივ ერთეულად?
24. რას ნიშნავს ლინგვისტური იმანენტისმი? როდის და როგორ დაიწყო იმანენტისმის გადალახვა?
25. რამ განაპირობა ენათმეცნიერებაში ახალი პარადიგმის ფორმირება და რა ეწოდება ამ პარადიგმას?
26. რას ეფუძნება საკომუნიკაციო აქტის გაგება და რითი განსხვავდება კომუნიკაციის განახლებული გაგება კომუნიკაციის ტრადიციული, მანამდე არსებული გაგებისგან?
27. დაასახელეთ და დაახასიათეთ ენის დონეების ერთეულების შემსწავლელი დარგები.
28. დაასახელეთ ახალი ენათმეცნიერული დისციპლინები და დარგები, რომლებიც გაჩნდა კომუნიკაციური მიდგომის საფუძვლეზე?
29. როგორ ფიქრობთ, რა პრინციპით ჯგუფდება ლინგვისტიკის მეცნიერებები მიკრო და მაკროლინგვისტიკის მიმართულებებში?

მიკროლინგვისტიკა

ფონეტიკა

ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც შეისწავლის ადამიანის ბუნებრივი ენის ნიშანთა ფიზიკურ სუბსტანციას ანუ ფიზიკურ ბგერებს, ეწოდება **ფონეტიკა**.

ზოგადი ფონეტიკის ამოცანაა ბგერათა ზუსტი, დეტალური აღწერა მეტყველების უწყვეტ ნაკადში, ამა თუ იმ ენის ბგერათა ერთეულების გამოყოფა, სემანტიკა და ანალიზი.

სამეტყველო ბგერა ფიზიკური მოვლენაა, რომელსაც გააჩნია როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ფიზიკური მახასიათებლები. შესაბამისად, მისი შესწავლა მიმდინარეობს **ფიზიოლოგიური, აკუსტიკური და პერცეფციული** ბგერის აღქმის თავისებურებების გათვალისწინებით.

ბგერების ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს მის მთლიანობაში სწავლობს **არტიკულაციური ფონეტიკა**. ბგერების ამგვარი შესწავლა, პირველ რიგში, ეყრდნობა სამეტყველო მექანიზმის გათვალისწინებით ბგერების დახასიათებას წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით ანუ იმ სამეტყველო ორგანოების მიხედვით, რომელთა მოქმედების შედეგად წარმოიქმნება მოცემული ბგერა.

ბგერები ინგლისურ ენაში მათი არტიკულაციური დისტრიბუციის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- **ბილაბიალური** (წყვილბაგისმიერი) (bilabial) - ამგვარი ბგერები წარმოიქმნება ორივე ბაგის მიერ: p, b, m
- **ლაბიოდენტალური** (კბილბაგისმიერი) (labiodental) - ზედა კბილები ებჯინება ქვედა ბაგეს: f, v
- **დენტალური** (კბილისმიერი) (interdental) - ენის წვერი ეხება ზედა კბილებს: th(thin)
- **დენტალური** (dental; denti-alveolar) - ენის წვერი ეხება ალვეოლარის ქედს (ღრმილებს კბილების უკან): t, d, n, l
- **ალვეოლარული** (alveolar) - ენის წვერის უკანა ნაწილი (tongue blade) ეხება ალვეოლარის ქედს: s, z
- **პოსტალვეოლარული** (უკანა ალვეოლარულ) (postalveolar) - ენის წვერის უკანა ნაწილი ეხება ალვეოლარის ქედის უკანა ნაწილს: sh, ch, zh, j
- **პალატალური** (palatal) - ენის შუა ნაწილი უახლოვდება ან ეხება მაგარ სასას: y (yes)
- **ველარული** (velar) - ენის უკანა ნაწილი ეხება რბილ სასასს: k, g, ng
- **ლაბიოველარული** (labiovelar) - ენის უკანა ნაწილი უახლოვდება რბილ სასასს და ბაგეებიც ერთმანეთთან ახლოს მიდიან: w

- **ლარინგალური** (laryngal) - მხოლოდ სახმო სიმები მონაწილეობენ: h

ხმოვნები, ინგლისურ ენაში არტკულაციის თვალსაზრისით იყოფიან: **ენის მდგომარეობის** (წინა რიგის ხმოვნები: /i:/, /e//æ/; უკანა რიგის ხმოვნები: /a/ /a:/ /u:/; შუა რიგის ხმოვნები: /ʌ/ /ə//ə:/) **ენის აწეულობის მიხედვით** (დახურულ ხმოვნები: /i:/, /i/ /u//u:/; ნახევრად ღია ხმოვნები: /e/ /ə/ /ə:/ /a:/; ღია ხმოვნები: æ/, /ʌ/ /a/ /a:/) და **ბაგეების პოზიციის მიხედვით** (ბაგისმიერი ხმოვნები: / ʁ /, /a:/, u:/, /u)

გარდა იმისა, რომ არტიკულაციური ფონეტიკა სწავლობს ბგერებს მათი წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით, იგი მათ, ასევე, სწავლობს მათი **დაბრკოლების გადალახვისა და არტიკულაციის რაგვარობის** მიხედვითაც.

დაბრკოლების გადალახვის თვალსაზრისით, ბგერების ყველაზე დიდი დაყოფა ხდება თანხმოვნების და ხმოვნების მიხედვით დაყოფა.

თანხმოვნების წარმოთქმისას, ფილტვებიდან ამონასუნთქ ჰაერნაკადს უხდება დაბრკოლების გადალახვა. ეს დაბრკოლება წარმოიქმნება სხვადასხვა საწარმოთქმო ადგილებში. ხმოვანთა წარმოთქმის დროს კი მსგავს დაბრკოლებას ადგილი არა აქვს.

დაბრკოლების გადალახვისას სამეტყველო ორგანოები შეიძლება ერთმანეთის მიმართ დახშული იყოს და ჰაერნაკადის მეშვეობით მოხდეს მათი განხშვა. ასეთ შემთხვევაში, ვიღებთ **ხშულებს** (occlusives): p, b, t, d, k, g, ʃ, ძ, m, n, ŋ. ასევე, შესაძლებელია სამეტყველო ორგანოებს შორის იყოს ნაპრალი და ჰაერნაკადმა ამ ნაპრალში გაიაროს. ასეთ შემთხვევაში კი, ვიღებთ **ნაპრალოვნებს** (constrictives) f, v, s, z, θ, ð, ʃ, ʒ, h, w, l, r, j.

ბგერა შეიძლება იყოს ხშულიც და ნაპრალოვანიც, მაგ.: **აფრიკატები** ʃ, ძ; **ვიბრანტები** r; **ლატერალები** l; **ნაზალები** m,n.

რადგანაც განხშვა აკუსტიკურად აღიქმება როგორც სკდომა, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით ხშულებს **მსკდომები** (plosives) ეწოდება (p, b, t, d, k, g).

ბგერის წარმოთქმისას **ჩქამისა და ხმის** მონაწილეობის მიხედვით, თანხმოვნები იყოფა **ჩქამიერ და სონორ** ბგერებად (noise and sonorant sounds). ჩქამიერი თანხმოვნები შედგებიან ან მხოლოდ ჩქამისგან, ან ჩქამისა და ხმისგან, მაგრამ სჭარბობს ჩქამი, მაგალითად b, d, g, s, z ʒ ʃ (ჩქამს იწვევს დაბრკოლება მათი წარმოთქმისას). სონორ, ანუ ნარნარა თანხმოვნებში სჭარბობს ხმა, მაგალითად: l, m, n, ŋ, ɹ, w, j.

სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით თანხმოვნები იყოფა **მჟღერებად** (მათი წარმოებისას სახმო სიმები ჟღერენ- b,d, g) და **ყრუებად** (მათი წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ჟღერენ, მაგალითად p, t, k). ხშულები ან - ნაპრალოვნები ან მჟღერებია b, d, g, v, ძ, ð, ʒ, z ან ყრუები p, t, k, f, θ, s, ʃ, ʃ, h.

ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, ბგერას *აკუსტიკურ ფონეტიკა* სწავლობს. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა იმ მოსაზრებამ, რომ სამეტყველო ბგერა თავისი ბუნებით არ განსხვავდება სხვა ბგერებისგან. ამდენად, მისი დახასიათება შესაძლებელია აკუსტიკოსების მიერ შემუშავებული ზოგადი ტექნიკით. აკუსტიკური ფონეტიკის საკვლევი საკითხები მოიცავს: თანხმოვანთა და ხმოვანთა აკუსტიკურ კლასიფიკაციას; ბგერათა რხევის ამპლიტუდის განსაზღვრას, რომელიც, თავის მხრივ, ბგერის სიმაღლეს, სიძლიერესა და ინტენსივობას განსაზღვრავს; რეზონანსული და არარეზონანსული ბგერების კლასიფიკაციას და სხვა.

ბგერის წარმოქმნისთვის აუცილებელია განსაზღვრული რხევითი მოძრაობა- ვიბრაცია ჰაერში (ბგერა არ ვრცელდება უჰაერო გარემოში). ბუნებაში არსებული ყველა ვიბრაცია არ აღიქმება ბგერად ადამიანის ყურის მიერ. ასეთ ბგერებს ეწოდებათ „ულტრაბგერები“ და „ინფრაბგერები“. რხევათა ხასიათის მიხედვით, იქმნება ტონები და ჩქამები. ტონი მიიღება, თუ რხევა პერიოდულია, ანუ თუ რითმულია. ხოლო ჩქამი წარმოიშობა, თუ რხევა არ არის პერიოდული. ხმოვნები ტონიერია, თანხმოვნები კი - ჩქამიერი. აკუსტიკური თვალსაზრისით, ბგერებში განასხვავებენ: *სიმაღლეს, ხანგრძლივობას, სიძლიერეს, და ტემბრს.*

ბგერის სიმაღლე (pitch) დამოკიდებულია რხევათა რაოდენობაზე (სიხშირეზე). რაც უფრო დიდია რხევათა რიცხვი, მით უფრო მაღალია ბგერა. რაც უფრო მოკლეა სახმო სიმი, მით უფრო გრძელია ბგერა. ამდენად, ბავშვის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე მოზრდილის (მოზრდილის სახმო სიმები უფრო გრძელია და მკვრივი). ქალის სახმო სიმი უფრო მოკლეა მამაკაცისაზე, ამიტომ ქალის ხმა უფრო მაღალია. ბგერის სიმაღლე, აგრეთვე, დამოკიდებულია სახმო სიმების დაჭიმულობაზე. რაც უფრო დაჭიმულია სიმი, მით უფრო მაღალი ტონი წარმოიქმნება.

ბგერის ხანგრძლივობა (duration) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გრძელდება რხევა - წყვეტილია ის თუ ხანგრძლივი. ხშულები ყველაზე ნაკლები ხანგრძლივობით ხასიათდება (p, d, t); ყველაზე მეტი ხანგრძლივობა ახასიათებს ხმოვნებს, მათ შემდეგ კი - სონორებს (m, n, r).

ბგერის სიძლიერე (intensity) დამოკიდებულია რხევათა გაქანებაზე, მათ ამპლიტუდაზე, ასევე - სახმო სიმების ამპლიტუდაზე და ბგერის სიმაღლეზე. მეტყველებისას ბგერათა სიძლიერე განისაზღვრება ამოსუნთქული ჰაერის ტალღის დაწოლით სახმო სიმებზე (ან წინააღმდეგობის სხვა ადგილებზე). მაგალითად, ბგერათა სიძლიერე განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ სად მეტყველებს ადამიანი- საუბრობს იგი დიდ აუდიტორიაში თუ ახლო დისტანციაზე ესაუბრება ვინმეს.

ბგერის ტემბრი დამოკიდებულია ძირითადი ტონისა და თანატონების ურთიერთობაზე. ტემბრის მიხედვით განსხვავებულია სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთნაირი სიმაღლის ბგერები. მეტყველებაში ბგერათა ტემბრი განისაზღვრება პირისა და ცხვირის ღრუების, აგრეთვე, ხახის ღრუს მოცულობითა და ფორმით.

აღსანიშნავია, რომ ბგერათა შესწავლა მიმდინარეობს სმენითი შთაბეჭდილების ანუ პერცეფციის (აღქმის) მიხედვითაც მას *აუდიალური ფონეტიკა* სწავლობს. - ბგერითი ტალღები იწვევენ მსმენელის სასმენი აპკის რხევას, რაც აღიზიანებს სასმენ ნერვს, რომელიც გადასცემს გაღიზიანებას თავის ტვინის გარკვეულ ცენტრს, რის შედეგადაც ხდება ბგერის აღქმა.

ბგერათა შესწავლის ზემოთ განხილული სამი თვალსაზრისი - *არტიკულაციური, აკუსტიკური და აუდიალური* საფუძვლად უდევს ბგერების შესწავლის, აღწერისა და კლასიფიკაციის საოცრად საინტერესო პროცესს.

ფონოლოგია

ფონოლოგიისა და ფონეტიკის ერთმანეთისგან გამოყოფის შესახებ

მსჯელობა ფონეტიკისა და ფონოლოგიის გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ (და თავად ტერმინი „ფონოლოგია“) სოსიურის შრომიდან იღებს სათავეს. სოსიურის შემდგომ მეცნიერებმა: ა. მეიემ, შ. ბალომ, ა. სემემ და სხვებმა უფრო ღრმად გააანალიზეს ფონეტიკასა და ფონოლოგიას შორის არსებული საზღვრები. შედეგად, 1928 წელს ჰააგაში გამართულ ლინგვისტიკის საერთაშორისო კონგრესზე პრადის სკოლის წარმომადგენლებმა: ნ. ტრუბეცკოიმ რ. იაკობსონმა ს. კარცევსკიმ წარმოადგინეს მოკლე პროგრამა, რომელიც ფონეტიკისა და ფონოლოგიის გამიჯვნის საკითხებს მოიცავდა, რამაც მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დასაბამი მისცა, ენათმეცნიერებაში ახალი დარგის - ფონოლოგიის ჩამოყალიბებას.

ყველაზე ყოვლისმომცველი და სისტემატური შეხედულებები ფონოლოგიის საკითხებზე სწორედ ნ. ტრუბეცკოის ნაშრომში „ფონოლოგიის საფუძვლები“ - არის მოცემული. (წიგნი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1939 წ. გერმანულ ენაზე გამოვიდა და შემდგომ ითარგმნა ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, პოლონურ, რუსულ და იაპონურ ენებზე). აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც 200 ენის საფუძვლიან შესწავლას ეყრდნობა, ავტორი სიღრმისეულად აშუქებს ფონეტიკისა და ფონოლოგიის საზღვრებისა და ენისა და მეტყველების გამიჯვნის საკითხებს. ნაშრომის მთავარ ღირებულებად, ფონემათა გამოყოფის წესებისა და მათი ფუნქციონირების დახასიათება უნდა მივიჩნიოთ. აზუსტებს რა ფონეტიკასა და ფონოლოგიას შორის არსებულ საზღვრებს, ტრუბეცკოი საუბრობს ენისა და

მეტყველების ურთიერთკავშირზე. „სამეტყველო აქტში“ მეტყველება ყოველთვის კონკრეტულია, იგი დაკავშირებულია განსაზღვრულ ადგილსა და დროსთან. სამეტყველო აქტი გულისხმობს მოლაპარაკეს, მსმენელს და საგანს, რომელზედაც საუბარია. სამივე ელემენტი იცვლება მეტყველების ერთი აქტიდან მეორეზე. მაგრამ სამეტყველო აქტი ვარაუდობს კიდევ ერთი მომენტის არსებობას: იმისთვის, რომ მსმენელმა გაუგოს მოსაუბრეს, ორივე უნდა ფლობდეს ერთსა და იმავე ენას“ ტრუბეცკოს აზრით, მეტყველებისგან განსხვავებით „ენა წარმოადგენს რაღაც საერთოს და მუდმივს. ენის არსებობა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სამეტყველო ქმედების განხორციელებას. კონკრეტული აქტის გარეშე ენა არ იქნებოდა, ამგვარად ენა და მეტყველება ერთმანეთს ვარაუდობენ. ისინი განუყოფლად დაკავშირებულია ერთმანეთთან და შეიძლება განვიხილოთ, როგორ ერთი და იგივე მოვლენის - „სამეტყველო მოღვაწეობის“ ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე.“

ფ.სოსიურის თანახმად, სამეტყველო ქმედებას აქვს ორი მხარე - აღმნიშვნელი და აღსანიშნი. ამგვარად, სამეტყველო ქმედება წარმოადგენს აღმნიშვნელისა და აღსანიშნის შესიტყვებასა და ურთიერთკავშირს. აღმნიშვნელი, მეტყველებაში კონკრეტული ბგერითი ნაკადის, ფიზიკური მოვლენის სახით წარმოგვიდგენა, რომელიც აღიქმება სმენადობით, სმენითი ორგანოების მეშვეობით.

სხვადასხვა კონკრეტული წარმოდგენებისა და აზრთა რაოდენობა სამეტყველო აქტში უსაზღვროა. ენაში კი, ლექსიკურ მნიშვნელობათა რიცხვი შეზღუდულია. აღსანიშნთა რაოდენობა ენაში შეზღუდული და განსაზღვრულია აღსანიშნთა საპირისპიროდ მეტყველებაში. იგივე დამოკიდებულებაა აღმნიშვნელთა სფეროშიც, როცა მეტყველებაში გვაქვს უსასრულო არტიკულატორული და აკუსტიკური მოძრაობანი აღმნიშვნელთა გამოსახატავად. მაგრამ ის ბგერითი ნორმები, რომელთა მეშვეობით გამოიხატება ენაში აღმნიშვნელები რაოდენობრივად შეზღუდულია და საბოლოოა.

რადგან ენა, მეტყველებისგან განსხვავებით შედგება გარკვეული წესებისა და ნორმებისგან, იგი არის ნორმირებული სისტემა ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შედგება კერძო სისტემათა მრავალფეროვნებისგან. გრაფიკული კატეგორიები ქმნის გრაფიკულ სისტემას, ხოლო სემანტიკური კატეგორიები - სხვადასხვა სახის სემანტიკურ სისტემას. ამგვარად, აღმნიშვნელთა სისტემა ენაში მოწესრიგებულ სისტემას წარმოადგენს, ხოლო მეტყველებაში - მოუწესრიგებელს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ტრუბეცკოს მიხედვით, ენათმეცნიერებაში უნდა გამოიყოს ორი დარგი, ორი მეცნიერება ბგერების შესახებ, - ერთი მათგანი ორიენტირებული უნდა იყოს მეტყველებაზე, ხოლო მეორე - ენაზე. ორივე მეცნიერებამ უნდა ისარგებლოს სხვადასხვა მეთოდით. მოძღვრე-

ბამ მეტყველების ბგერების შესახებ, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ფიზიკურ მოვლენებთან, უნდა ისარგებლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებით. ხოლო მეცნიერებამ ენის ბგერების შესახებ - წმინდა ლინგვისტური მეთოდებით.

ამდენად ნ. ტრუბეცკოი მიჯნავს ფონეტიკას ფონოლოგიისგან. მისი განმარტების მიხედვით, „ჩვენ ვუწოდებთ მოძღვრებას მეტყველების ბგერების შესახებ ფონეტიკას, ხოლო მოძღვრებას ენის ბგერების შესახებ - ფონოლოგიას“. ტრუბეცკოის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფონეტიკა შეიძლება განვმარტოთ, როგორც მეცნიერება ადამიანური მეტყველების მატერიალური მხარის შესახებ. შესაბამისად, ენის სისტემაში ფონეტიკის ერთადერთი ამოცანაა, შეიწავლოს, თუ როგორ წარმოიქმნება ესა თუ ის ბგერა, როგორია მისი ტონალობა, სიმაღლე და ა.შ. ხოლო ფონოლოგმა, მხედველობაში უნდა მიიღოს ის საკითხი, თუ რას ეკისრება განსაზღვრული ფუნქცია ბგერათა შეხამებებში.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის მკვეთრი გამიჯვნა საკმაოდ რთული საკითხია, რამდენადაც ენის ფონეტიკური აგებულებისას მოძღვრება ფონეტიკური ელემენტების შესახებ ზომიერ, განსაზღვრულ ფარგლებში გულისხმობს ამ ენის ფონოლოგიურ სისტემასაც. მაგალითად, თუ ფონეტიკაში გამოვყოფთ მჟღერ და ყრუ თანხმოვნებს, ფონოლოგიაში ეს ნიშანი სიტყვათა განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს. ასე მაგალითად: სიტყვების - safe [seif] save [seiv] - მაგალითზე, შეგვიძლია დავახასიათოთ **f** და **v** თანხმოვნები სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით, **v** - მჟღერი და **f**-ყრუ თანხმოვნები; წარმოთქმის (არტიკულაციის) მიხედვით - ორივე მათგანი არის ლაბიოდენტალური (კბილ-ბაგისმიერი) თანხმოვანი, თუმცა ფონოლოგიურ დონეზე აღნიშნული ფონემები სიტყვათა განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებენ. ამიტომ ფონოლოგიაში ფონემათა კლასიფიკაციისას ასეთი ნიშნები განიხილება უფრო მეტი ყურადღებით და საფუძვლიანად, ასე რომ, ფონოლოგიაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ბგერათა ფონეტიკურ ცნებებს, და იმ ფაქტს, რომ ფონოლოგიის ამოსავალ წერტილად და მატერიალურ ბაზად, სწორედ რომ ენის ფონეტიკური აღწერილობა უნდა იქნას მიჩნეული.

ფონემა, როგორც ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეული

ენათმეცნიერებს დარგს, რომელიც ენობრივ სისტემაში სამეტყველო ბგერათა ფუნქციონირებას, ბგერათა ელემენტების ურთიერთმიმართებებს სწავლობს **ფონოლოგია** ეწოდება. ტერმინი ფონოლოგია გამოიყენება ორი მნიშვნელობით. ერთის მხრივ ეს გახლავთ მეცნიერება, რომელიც სწავლობს ერთ რომელიმე ენაში ბგერათა დისტრიბუციისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხებს. შესაბამისად, არსებობს ქართული, ინგლისური, რუსული და სხვა ენათა ფონოლოგია და

მეორეს მხრივ, ეს ტერმინი შეიძლება, აღნიშნავდეს მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ბგერათა განაწილების ზოგად კანონებს, რომელიც რეფერენციულია ზოგადად ყველა ენისთვის. ასეთ შემთხვევაში ფონოლოგია ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილს წარმოადგენს.

ფონოლოგიის საგანს ფონემათა სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა წარმოადგენს. **ფონოლოგიურ ერთეულს, რომელიც მოცემულ ენაში აღარ დაიშლება დროში ერთმანეთის მომდევნო უფრო მცირე ფონოლოგიურ ერთეულებად, ფონემა ეწოდება.**

ფონემა ენის ბგერითი მხარის ის ელემენტია, რომელსაც ვიყენებთ ერთი გამონათქვამის მეორისგან განსასხვავებლად.

თითოეული სიტყვა (რომელიც თავისთავად სტრუქტურაა) ფონემათა გარკვეულ მიმდევრობას წარმოადგენს. სიტყვის ანუ სტრუქტურის ამოცნობა/იდენტიფიკაცია გულისხმობს სხვა სტრუქტურებისგან რაღაც ნიშნით მის განსხვავებას. ეს განსხვავება სწორედ ფონემებზე დაკვირვებითაა შესაძლებელი. მაგალითად სიტყვებში „ლალი“ და „ლილი“ განსხვავება „ა“ და „ი“ ხმოვნების დაპირისპირებას ეფუძნება. ამიტომ ისინი *ფონემებს* წარმოადგენენ. ხოლო, თავისებურებები, რომლებიც ამ ხმოვნებს ახასიათებთ, კერძოდ კი, წინაენისმიერობა და ენის ზურგის მაღალი აწეულობა „ი“-ს შემთხვევაში, ხოლო შუაენისმიერობა და ენის ზურგის დაბალი აწეულობა „ა“-ს შემთხვევაში *ფონემატურია*. იგივე სიტყვებში თანხმოვანი „ლ“ სიტყვა „ლილი“-ში უფრო რბილია, ვიდრე იგივე თანხმოვანი სიტყვაში - „ლალი“. რადგან ქართულ ენაში სირბილე ფონემატური ნიშანი არ არის იმდენად, რამდენადაც ის სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის ლაბიალიზირებული რბილი „ლ“ თანხმოვან „ლ“-ს *ალოფონს* ანუ ვარიანტს წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისური წყვილის love – wool ფონემატური ანალიზის შედეგადაც. მოცემული წყვილის პირველ ერთეულში თანხმოვანი [l] კბილისმიერი ლატერალური აპროქსიმანტია, რომლის წარმოთქმის დროს ენის ზურგი ნეიტრალურ, გამართულ პოზიციაშია. იგი უშუალოდ კბილებს ებჯინება. მეორე შემთხვევაში იგივე თანხმოვანი ალვეოლარულ აპროქსიმანტია, რომლის წარმოთქმის დროს, ენა კოვზისებრ ფორმას იღებს და არა კბილებს, არამედ, ზედა სასას ებჯინება. მიუხედავად მათი ფიზიოლოგიური და აკუსტიკური სხვაობისა, აღნიშნული თანხმოვანი არ იწვევს სიტყვათა შინაარსობრივ ცვლილებას და ამდენად, იგი ერთი ბგერის ალოფონს წარმოადგენენ. რაც შეეხება რუსულს, ნიშანი „ლ“ რუსულ ენაში ფონემატურია, შევადაროთ რუსული мел [мел] – „ცარცი“ და мель [мел'] – „მეჩეჩი“. აღნიშნულ მაგალითში ლაბიალიზილებული [л'] მნიშვნელობას უცვლის სიტყვას, შესაბამისად, ის ფონემატურია და არა თანხმოვნის ალოფონი.

ნებისმიერი ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტი ერთმანეთისგან განსხვავდება იმდენად, რამდენადაც მათ შორის არსებობს დაპირისპირება, ანუ ოპოზიციური მიმართება. განსხვავება ფონოლოგიურ ერთეულებს შორის შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობის: ორი სიტყვა შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს მხოლოდ ორი ბგერით ანუ განსხვავება შეიძლება იყოს მინიმალური (მაგ. let – lit; pin – bin და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში იქმნება **ე.წ. მინიმალური წყვილები**. განსხვავება შეიძლება იყოს ორ ან მეტ ბგერაში, ანუ განსხვავება შეიძლება იყოს **მინიმალურზე მეტი** (მაგ. mission – vision); განსხვავება შეიძლება იყოს აბსოლუტურად ყველა ბგერას შორის (მაგ. woman და tiger), ანუ განსხვავება შეიძლება იყოს **მაქსიმალური**.

ბგერით დაპირისპირებას, რომლის საშუალებითაც ხდება ენობრივ ნიშანთა ერთმანეთისგან განსხვავება **ფონოლოგიურად რელევანტური** დაპირისპირება ეწოდება. ფონოლოგიურ ოპოზიციასში ბგერების მონაწილეობა სწორედ ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნებითაა განპირობებული. ზემოთ მოყვანილ წყვილებში let – lit; pin – bin; mission – vision [e]-[i],[p]-[b],[m]-[v] დაპირისპირება ფონოლოგიურად რელევანტურია. ისინი ერთმანეთს მჟღერობა-სიყრუისა და ხმოვანთა საარტიკულაციო პოზიციების თვალსაზრისით უპირისპირდება და ქმნის განსხვავებული მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს.

გარდა ფონოლოგიურად ღირებული ნიშნებისა, მეტყველების დროს წარმოქმნილი ბგერა არაფონოლოგიურ ნიშნებსაც შეიცავს. ასე მაგალითად: სიტყვაში „ჩანგი“ ფონემა „ა“[ā] ნაზალიზებულია, რაც ქართული ენისთვის არარელევანტურ ნიშანს წარმოადგენს ანუ არ გვაძლევს შინაარსობრივ სხვაობას. მაგალითად წყვილში „ჩანგი - ჰანგი“ სიტყვებს შორის განსხვავება ემყარება არა ნაზალიზირებული[ā] და არანაზალიზებული [a]-ს დაპირისპირებას, არამედ ფონოლოგიურად რელევანტური ხშულ[tʃ]-ს და ფშვინიერ[h]-ს დაპირისპირებას, რადგან სწორედ ეს დაპირისპირება იძლევა ამ სიტყვების შინაარსობრივი განსხვავების საშუალებას.

როგორც ფონეტიკის ნაწილში ვიხილეთ, არტიკულაციური თვალსაზრისით ინგლისურ ენას გამორჩეულად მდიდარი და მრავალფეროვანი ხმოვანთა სისტემა აქვს. ქართულისგან განსხვავებით, სადაც არ გვაქვს მოკლე და გრძელი ხმოვნები, ინგლისურ ენაში, ხმოვანთა ხანგრძლივობას ფონოლოგიური დანიშნულება აქვს. ხმოვანთა ოპოზიციას სიგრძე-სიმოკლის მიხედვით **ქვანტიტეტური** (რაოდენობრივი) ოპოზიცია ეწოდება. ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი რაოდენობითი ოპოზიცია ნათლად ჩანს წყვილებში: sheep [i:] ship[i] eat[i:] it[i].

გარდა გრძელ და მოკლე ხმოვანთა ოპოზიციისა, ინგლისურ ენაში გამოიყოფა ოპოზიციები ენის **პოზიციისა** და **აწეულობის** მიხედვით. შევადაროთ წყვილე-

ბი: pen [pen] და pan[pæn]. ქართულში[ჟ]-ს ღიაობა სიტყვათა მნიშვნელობის განსასხვავებლად არ გამოიყენება და შესაბამისად, ის ქართული ენისთვის არარელევანტურ დაპირისპირებას წარმოადგენს, მაშინ, როცა ინგლისური ენისთვის, ეს დაპირისპირება რელევანტურია და შესაბამისად ფონემატურად.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ, უპრიანია კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ *ბგერისა და ფონემის* ერთმანეთისგან განსხვავების საკითხს, ბგერა, განსხვავებით ფონემისგან, შეიძლება იყოს ფონოლოგიურად *ღირებული* (ანუ განსხვავება ბგერებს შორის უცვლის სიტყვას მნიშვნელობას) და ფონოლოგიურად *არაღირებული* (როდესაც განსხვავება ბგერებს შორის არ ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას). ფონემა კი აუცილებლად ფონოლოგიურად ღირებული ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს. ფონემა შეიძლება რეალიზდებოდეს სხვადასხვა ბგერით, ერთი და იგივე ფონემა შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად რეალიზდებოდეს სხვადასხვა ადამიანის მეტყველებაში. ასეთი ბგერები არარელევანტურია, რადგან ისინი არ გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის განსასხვავებლად. რადგანაც ფონემა ხასიათდება მხოლოდ რელევანტური ნიშნების ერთობლიობით, ხოლო ბგერა - რელევანტურითაც და არარელევანტურითაც, ამიტომ ბგერათა რაოდენობა ყოველთვის მეტი იქნება ფონემათა რაოდენობაზე.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რას შეისწავლის არტიკულაციური ფონეტიკა?
2. რას შეისწავლის აკუსტიკური ფონეტიკა?
3. როგორ შეიძლება დახასიათდეს ბგერები წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით?
4. რომელი მნიშვნელოვანი ოპოზიციები გამოიყოფა ინგლისური ენის ხმოვანთა სისტემაში?
5. რა განსხვავებაა ფონოლოგიასა და ფონეტიკას შორის?
6. რა განსხვავებაა ბგერასა და ფონემას შორის?
7. რას გულისხმობს ფონოლოგიური ოპოზიციის ცნება?
8. რას ნიშნავს „ფონოლოგიურად რელევანტური“ და „ფონოლოგიურად არარელევანტური ოპოზიცია“?

9. რატომ ქმნიან ოპოზიციები ენის პოზიციისა და აწეულობის მიხედვით რელევანტური დაპირისპირებას ინგლისურში განსხვავებით ქართული ენისგან? მოიყვანეთ სათანადო მაგალითები
10. რა არის ალოფონი? დაასახელეთ ალოფონის ტიპები.

მორფოლოგია

ენობრივი დონეების იერარქიის განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მორფოლოგიური დონე ფონოლოგიური დონის შემდეგ დგას. ფონემა, რომელიც ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეულია, თავად არ არის ნიშანი, მაგრამ მისი არსებობა აუცილებელია იმისთვის, რომ შედგეს ენობრივ ნიშანთა გამოხატულების პლანი. ამ თვალსაზრისით კი, პირველ რიგში, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ მორფოლოგიური დონე და მისი ძირითადი ერთეული - *მორფემა*, რადგან მორფემა, ფონემისგან განსხვავებით, მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს მნიშვნელობა, სიტყვისგან განსხვავებით, იგი ვერ მიუთითებს რეფერენტზე და ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას. სწორედ ამიტომ იგი მიიჩნევა როგორც მნიშვნელობის მატარებელი *მინიმალური ერთეული*. სიტყვისგან განსხვავებით, მორფემა აღარ იშლება მასზე მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულებად. მორფემა შეიძლება დაიშალოს მხოლოდ არასემიოტიკურ ერთეულებად - ფონემებად ან მარცვლებად.

იმისდა მიხედვით, მორფემა სხვა მორფემებთან კავშირის გარეშე დამოუკიდებლად არსებობს, თუ დამოკიდებულია სხვა მორფემებზე და მხოლოდ მათთან ერთად გვხვდება, განასხვავებენ *თავისუფალ* და *არათავისუფალ* (თანმხლებ) „ბმულ“ მორფემებს.

თუ მორფემა შეიძლება შეგხვდეს და იფუნქციონიროს დამოუკიდებლად, სხვა ფორმებთან კავშირის გარეშე, მაშინ ის *თავისუფალი* მორფემაა. მაგალითად სიტყვები: „tall“, „boy“, „write“ და ა.შ. რომლებიც თითო მორფისგან შედგება დამოუკიდებლად ფუნქციონირებს წინადადებაში.

მნიშვნელობის მქონე ფონემურ მიმდევრობას, რომელიც გამონათქვამში გვხვდება მხოლოდ სხვა ფორმებთან კავშირში, *ბმული* მორფემა ეწოდება. მაგალითად სიტყვებში : „tall-est“, „boy’s“, „writ-er“ -est, -s, -er - ბმული მორფებია.

ყველა თავისუფალი მორფემა *ლექსიკური* მორფემაა, ხოლო ბმული მორფემები ან *გრამატიკული* ან - *სიტყვაწარმოებითი მორფემებია*, რომელიც აფიქსების სახითაა ენაში წარმოდგენილი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენისთვის მხოლოდ აფიქსები არ ქმნის ბმულ მორფემებს. მაგალითად დამხმარე ზმნა „will“ შესაძლებელია, გამოიყენებოდეს წინადადებაში როგორც სრული, ასევე მისი შემოკლებული - „ll“ ფორმით. ეს უკანასკნელი ბმული მორფემაა, რადგან ის აუცილებლად უნდა დაერთოს წინამავალ ერთეულს და ვერ იფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისურ ენაში

გამოყენებულ სხვა შემოკლებებზეც: 's - is; 'd- would, 've - have. ყველა აღნიშნული შემოკლებული ფორმა ინგლისური ენისთვის ბმულ მორფემებს წარმოადგენს.

ფონოლოგიური ანალიზის შესახებ მსჯელობის დროს ჩვენ გამოვყავით შემდეგი ენობრივი ერთეულები: ფონი(ზგერა)- ფონემა(უმცირესი ფონოლოგიური ერთეული)-ალოფონი(ფონემის ვარიანტი). ამის მსგავსად, ენობრივი სისტემის უფრო მაღალ იერარქიულ მორფოლოგიურ დონეზე, გამოიყოფა შემდეგი ერთეულები: *მორფი-მორფემა-ალომორფი*.

ერთნაირი მნიშვნელობის *მორფები* ერთიანდება გარკვეულ კლასებში-*მორფემებში*. ყოველი ასეთი კლასის წევრებს *ალომორფები* ანუ მორფული ალტერნატივები ეწოდება.

ალომორფები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს: ისინი შეიძლება ერთმანეთის მიმართ *დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში* იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ორი მორფემა ერთმანეთს არასოდეს არ ჩაენაცვლება და ისინი სემანტიკურად მსგავსია. აღნიშნულის მაგალითებს ინგლისურ ენაში წარმოადგენს a და an არტიკლები, am – are- is ზმნის ფორმები. ამგვარ ალომორფებს „*პოზიციურ ალომორფებს*“ უწოდებენ.

ალომორფები შეიძლება, ერთმანეთის მიმართ *თავისუფალი ვარიანტის მიმართებაშიც* იყვნენ. ასეთ შემთხვევაში ორი მორფემა ყოველთვის ერთ პოზიციაში გვხვდება და ისინი არ იწვევენ მნიშვნელობის ცვლილებას. მაგალითად, brothers – brethren - აქ ორი მორფემა ერთმანეთს ჩაენაცვლება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგრამ თავად მნიშვნელობა უცვლელი რჩება, რადგან ორივე მათგანი მრავლობით რიცხვს გამოხატავს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ სტილისტურია - “brethren” არქაულია და ამაღლებული სტილის მეტყველებაში გვხვდება. ამგვარ ალომორფებს „*ფაკულტატიურს*“ უწოდებენ.

ალომორფები შეიძლება იყოს *ფონოლოგიურად* განპირობებული. მაგალითად, ყრუ თანხმოვნების შემდეგ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ბმული მორფემა- s წარმოითქმის როგორც [s] (cats, maps), მჟღერი თანხმოვნების შემდეგ - როგორც [z] (beds, eggs) ხოლო ნაპრალოვნებისა და აფრიკატების შემდეგ როგორც [iz](dresses, bunches, brushes) .

ინგლისურ ენაში ფიქსირდება ფონოლოგიურად სხვადასხვაგვარად რეალიზებული გრაფოლოგიური ალომორფებიც: parted /id/ და pulled /d/, ასევე, ფუძისეულ ფორმაში უკიდურესი ცვლილების შედეგად მიღებული ალომორფები მაგალითად: sleep-slept.

საგულისხმოა, რომ ინგლისურ ენაში მორფემათა ფონეტიკური მსგავსება არ აისახება მათ ფუნქციურ რეალიზაციაზე. ასე მაგალითად, მორფემები “-s” და “-s” სიტყვებში “brothers” და “walks” მიუხედავად მათი ფონეტიკური დამთხვევისა,

სხვადასხვა მორფემას წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში, **-s** მრავლობითობას აღნიშნავს, ხოლო მეორეში - ზმნის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნიშანია აწმყო განუსაზღვრელ დროში. ამდენად, ისინი სხვადასხვა მორფემებია და არა ალომორფები (განსხვავებით მორფემებისგან “-s” და “-en” სიტყვებში “brothers” და “brethren”-ს, სადაც აღნიშნული მორფემები ერთი მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ.) ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ალომორფებს შორის არსებულ მონაცვლეობებს და ფონოლოგიურ ცვლილებებს შეისწავლის *მორფონოლოგია* ეწოდება.

თავისუფალი მორფემები, ერთიანდება **ღია და დახურულ კლასებში**. ღია კლასში შემავალი მორფემების შევსება შესაძლებელია ახალი ენობრივი ერთეულების დამატებით. აღნიშნული კლასი აერთიანებს შემდეგ ენობრივ ერთეულებს: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ზმნიზედა. ღია კლასისგან განსხვავებით, *დახურულ კლასში* შემავალი ენობრივი ერთეულების ოდენობა ყველა ენაში განსაზღვრულია და მისი რაოდენობრივი ზრდა შეუძლებელია სიტყვათწარმოების სხვადასხვა საშუალებებით. დახურული კლასი აერთიანებს ფუნქციურ ენობრივ ერთეულებს: კავშირს (and, but, also და ა.შ.), არტიკლს (a, the), წინდებულს (in, at, up, on და ა.შ.), დეიქტიკურ ერთეულებს, რომლებიც დროსა და სივრცეზე მიუთითებენ: (this/these, that/those, here/there), რაოდენობითი სიტყვებს (more, less, few, some და ა.შ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბმული მორფემები მოიცავს აფიქსებს, (თავსართებსა და ბოლოსართებს), რომლებიც თავის მხრივ იყოფა *დერივაციულ* და *ინფლექციურ აფიქსებად*.

ინფლექციური აფიქსები ინგლისურ ენაში მხოლოდ ბოლოსართების სახითაა წარმოდგენილი. კერძოდ კი: არსებითი სახელისთვის - მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ბოლოსართი -s (boys) და კუთვნილებითი ბრუნვის მაწარმოებელი მარკერი -'s (boy's). ზმნისთვის - მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის მარკერი -s (works), წარსული დროის მაწარმოებელი სუფიქსი -ed (worked), განგრძობითობის მარკერი -ing (working), ნამყო მიმღობის მაწარმოებელი სუფიქსები -en და -ed (written, helped) ზედსართავი სახელისთვის შედარებითი და აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსები. -er -est (darker darkest)

დერივაცია ანუ სიტყვათწარმოება ინგლისურ ენაში შეიძლება რეალიზებული იყოს ხუთი ძირითადი მოდელით: *აფიქსური დერივაციით, კომპოზიციით, კონვერსიით, უკუწარმოებითა და სიტყვის შემოკლებით*.

აფიქსური დერივაციის დროს ახალი სიტყვები იწარმოება აფიქსების საშუალებით. დერივაციული აფიქსები სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით იყოფიან პრეფიქსებად, მაგ. un-happy და სუფიქსებად მაგ. happy-ness. დერივაციულ აფიქსებს შეუძლიათ ერთი მეტყველების ნაწილი სხვა მეტყველების ნაწილად აქციონ.

მაგ. happy – happiness; beauty – beautiful – beautifully; danger – dangerous. თუმცა ბევრ შემთხვევაში დერივაციული აფიქსების დართვა არ იწვევს მეტყველების ნაწილების ცვლილებას მაგ. possible – impossible; read – reread.

კომპოზიციის შემთხვევაში თხზული სიტყვების ანუ კომპოზიტების იწარმოება კომპოზიციის გზით. რთული სიტყვის სტრუქტურა შეიძლება აიგოს ორი ან მეტი ფუძის შეერთებით, მაგ. sunflower, bedroom, shop-window და ა.შ.

კონვერსიას ხშირად უაფიქსო სიტყვაწარმოებას უწოდებენ, რადგან ახალი სიტყვის წარმოებისას სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა უცვლელი რჩება, ხოლო ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასვლისას, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა განსხვავდება ან მეტ-ნაკლებად ასოციაციურად უკავშირდება კონვერსიით ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობას, მაგ. hand- to hand; face – to face; to make – make.


უკუწარმოების დროს ახალი სიტყვის წარმოება ხდება არა არსებულ, თავისუფალ მორფემაზე სუფიქსის დართვით არამედ პირიქით, მისი ჩამოშორებით. განვიხილოთ ეს პროცესი სიტყვა „laser“-დან წარმომდგარი ზმნა“ to lase“-ის მაგალითზე.

ინგლისურ ენაში მრავლადაა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დერივაციული სუფიქსი- er -ის დართვით იწარმოება (bagger, writer editor და ა.შ.) აღნიშნული სუფიქსი ერთვის ზმნას და ამ საქმიანობით დაკავებულ ადამიანზე მიუთითებს. სიტყვა „laser“ *აკრონიმია* - მასში შემავალი თითოეული ასო ცალკე მდგომ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში მყოფ ასოს შესაბამება (l-light a- amplification, s- stimulated e- emission of r- radiation) შესაბამისად, ბოლო ორი ასო არა დერივაციულ სუფიქსს , არამედ ცალკეული სიტყვის შემოკლებას წარმოადგენს . მიუხედავად ამისა, აღნიშნული სიტყვა დაექვემდებარა უკუწარმოების ზოგად წესს - ჩამოსცილდა დერივაციული სუფიქსი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ზმნა „to lase“ -ის წარმოება. შესაბამისად, წინადადებაში „this dye under the appropriate laboratory conditions, will lase“ ზმნა “lase“ ნიშნავს გარკვეული სახის რადიაციის გამოსხივებას და ნაწარმოებია უკუწარმოების გზით.

ინგლისურ ენაში **სიტყვათა შემოკლების შედეგად** სიტყვამ შეიძლება დაკარგოს: 1.ბოლო კომპონენტი, მაგ. ad – advertisement, vac – vacation, 2. პირველი კომპონენტი, მაგ. phone – telephone, 3. ორივე კომპონენტი ერთად, მაგ. fridge – refrigerator, flu –influenza); შემოკლებული სიტყვა ასევე შესაძლებელია გახდეს თხზული სიტყვის კომპონენტი, მაგალითად: T-shirt, TV-canal, FBI- agent; შემოკლება შეიძლება სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის (შესიტყვების) საწყისი ასოებისგან იქნას მიღებული, მაგ. U.N.O. (United Nations Organization), B.B.C. (British Broadcasting Corporation).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინგლისური ენის მორფემის კლასიფიკაცია გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად გადმოვიცეს (იხილეთ გამოსახულება 1.).

გამოსახულება 1



მორფემა და სიტყვა, როგორც მორფოლოგიური დონის ენობრივი ერთეულები.

ტრადიციული მორფოლოგია არის არა მხოლოდ მორფემათა შემსწავლელი დარგი, არამედ სიტყვის, როგორც მეტყველების ნაწილისაც. იერარქია არსებობს არა მხოლოდ ენობრივი სისტემისა, არამედ ყოველი ენობრივი სისტემის დონის შიგნით - ანუ შიდა დონეებრივი იერარქია. ამგვარი იერარქიის ფარგლებში გამოიყოფა თითოეული დონის მინიმალური და მაქსიმალური ერთეულები, რომლებიც შინაგანად უკავშირდებიან ერთმანეთს. მორფოლოგიური დონის მინიმალური ერთეული არის მორფემა, ხოლო სიტყვა - მაქსიმალური.

მორფემების ტიპებზე საუბრის დროს ჩვენ გამოვყავით მორფემათა სამი ტიპი - ლექსიკური, გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ დონის მაქსიმალური ერთეულის - სიტყვის კლასიფიკაციაც. ეს კლასიფიკაცია ეფუძნება სიტყვათა მეტყველების ნაწილებად დაყოფას. მეტყველების ნაწილთა თეორიის მიხედვით, მოცემული კონკრეტული სიტყვა არა უბრალოდ სიტყვათა სამყაროს მიეკუთვნება, არამედ სიტყვათა გარკვეულ კლასს. ყველა სიტყვა მიეკუთვნება სიტყვათა ისეთ ჯგუფს (კლასს), რომელთა გამოყოფისას მხედველობაში გვაქვს, როგორც ლექსიკური მნიშვნელობა, ისე მორფოლოგიური

მახასიათებლები და სინტაქსური ფუნქციები. ამდენად, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია ეფუძნება სამ ძირითად კრიტერიუმს - სემანტიკურს, მორფოლოგიურს და სინტაქსურს.

სემანტიკური კრიტერიუმი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც გულისხმობს ნიშნის სტრუქტურა და ფუნქცია. თუკი ნიშნის ფუნქცია არის მითითება - მაშინ არსებითი სახელი მიუთითებს სუბსტანციაზე, ზედსართავი სახელი - სუბსტანციის თვისებაზე, ზმნა - ხდომილებაზე, ზმნიზედა - ხდომილების თვისებაზე.

მორფოლოგიური კრიტერიუმი გულისხმობს სიტყვის ფორმაცვალებადობას შესაბამისი გრამატიკული პარადიგმის ფარგლებში (იგულისხმება სიტყვის უნარი - გვხვდებოდეს სხვადასხვა ბრუნვაში, იუღლებოდეს ან აწარმოებდეს შედარებით და აღმატებით ხარისხებს);

სინტაქსური კრიტერიუმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ფუნქციას ასრულებს სიტყვა წინადადებაში. მაგალითად, არსებითი სახელი წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას, რომელთაგან ძირითადია ქვემდებარისა და დამატების გამოხატვა.

ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, ინგლისურ ენაში მეტყველების ნაწილთა პარადიგმა ამგვარია: noun (არსებითი სახელი); adjective (ზედსართავი სახელი); numeral (რიცხვითი სახელი); pronoun (ნაცვალსახელი); verb (ზმნა) 6.adverb (ზმნიზედა); preposition წინდებული (თანდებული); conjunction (კავშირი); article (არტიკლი); particle (ნაწილაკი);interjection (შორისდებული).

მეტყველების სხვადასხვა ნაწილი ხასიათდება განსხვავებული გრამატიკული კატეგორიებით. იმ გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც გამოიხატება სიტყვაფორმათა ერთობლიობით, ეწოდება გრამატიკული კატეგორია. ზოგადად გრამატიკული კატეგორიები მოიცავს : რიცხვის, პირის, სქესის, ბრუნვის, დროის, ასპექტის, გვარის და კილოს კატეგორიებს. ყველა ჩამოთვლილი კატეგორია აქტუალურია ინგლისური ენისთვის. კატეგორიათა უმეტესობა ინფლექციის - გრამატიკული აფიქსის დართვით იწარმოება. გამონაკლისს წარმოადგენს სქესის კატეგორია, რომელიც სუბსტიტუციის - ჩანაცვლების გზით განისაზღვრება. ე.ი. იმით, თუ რომელი ნაცვალსახელი ენაცვლება არსებით სახელს. შესაბამისად, სქესის გრამატიკულ კატეგორია ინგლისურ ენაში he/his- she/her it/its სუბსტიტუტებით განისაზღვრება.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რითი განსხვავდება მორფემა მასზე დაბალი ენობრივი ერთეულისგან - ფონემისგან და მასზე მაღალი ენობრივი ერთეულისგან - სიტყვისგან?
2. რა განსხვავებაა ე.წ. „თავისუფალ“ და „ბმულ“ მორფემებს შორის?
3. დაასახელეთ ლექსიკური და გრამატიკული მორფემების მაგალითები.
4. რა არის ფლექსია? რას ნიშნავს ტერმინი „ფლექსიური აფიქსი“?
5. რომელ სიტყვაწარმოების გზებს იცნობთ? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
6. რა არის ალომორფი და რა სახის ალომორფებს იცნობთ?
7. დაასახელეთ რამდენი და რა ტიპის მორფემებია მოცემულ შემდეგ სიტყვებში: learned, picked, dogs, unattainable, helpful, , friendship, impossible, post-modernism, boy, teacher.
8. რომელ სტრუქტურულ ტიპს მიეკუთვნება ქვემოთ მოცემული სიტყვები: blackboard, work, a find, pram, to hand, dining-room, merry-go-round, to dog, catty, lovely, lab, to pale, eatable, pram, house?
9. როგორია ენის მორფოლოგიური დონის შიდა დონეებრივი სტრუქტურა?
10. რა არის გრამატიკული კატეგორია და რის მიხედვით შეიძლება ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია ეკუთვნოდეს ამა თუ იმ სიტყვას?
11. რა კრიტერიუმებს ეფუძნება მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია?

სემანტიკა

მორფოლოგიის მიმოხილვის დროს ჩვენ უკვე გავეცანით სიტყვის გარეგან სტრუქტურას და აღვნიშნეთ, რომ სიტყვა ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის იმისდა მიხედვით, თუ რაზე მიუთითებს ის, როგორც ნიშანი. ახლა კი უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა: რომელია სიტყვის ის ასპექტი, რომელზე დაფუძნებითაც სიტყვა ასრულებს თავის *ნიშნობრივ* - ანუ ნომინაციის ფუნქციას? სიტყვის ეს ასპექტი არის სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, სიტყვის სემანტიკა - ანუ სიტყვის მნიშვნელობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელობა აქვს არა მარტო სიტყვას, არამედ სხვადასხვა *ნიშნობრივ* ერთეულს, მორფემიდან დაწყებული ტექსტის ჩათვლით. ამდენად, ლინგვისტიკის დარგი - *სემანტიკა* შეისწავლის მნიშვნელობათა სფეროს არა მარტო სიტყვის (რაც ლექსიკოლოგიის სფეროს წარმოადგენს), არამედ ფრაზებისა და წინადადებების დონეზე.

რა არის სიტყვის მნიშვნელობა? ენობრივ ნიშანზე საუბრის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ენობრივი ნიშნის გამოხატვის პლანს წარმოადგენს ბგერითი კომპლექსი, ხოლო შინაარსის პლანის განსაზღვრავს *სიგნიფიკატი* და *დენოტატი*. (იხილეთ გამოსახულება 1, სურათი 2.) „*სიგნიფიკატი*“ სიტყვის მნიშვნელობას განიხილავს ენის სისტემის შიგნით და არ უკავშირდება რომელიღაც კონკრეტულ ობიექტს. შესაბამისად, *სიგნიფიკატი* გვაჩვენებს იმას, თუ როგორ აისახება სინამდვილე მოცემულ ენაში. მაგალითად, სიგნიფიკაციის თვალსაზრისით, სიტყვა „ქალის“ დასახელებისას არ არის აუცილებელი კონკრეტული ქალის წარმოდგენა იმისთვის, რომ ცნობიერებაში აისახოს ადამიანური სინამდვილის ერთ-ერთი წარმომადგენელი - „ქალი“. რაც შეეხება ტერმინ „დენოტაცია“, იგი გულისხმობს იმას, თუ როგორ აისახება სიგნიფიკაცია სინამდვილის ამა თუ იმ კომპონენტის დასახელებისას, ე.ი. დენოტაცია, სიგნიფიკაციისაგან განსხვავებით, უკავშირდება ნიშნის მიმართებას ენის გარეშე სინამდვილესთან - კონკრეტულ ობიექტთან. მიმართება სიტყვასა და მის *დენოტატს* შორის არ არის პირდაპირი, იგი მყარდება *სიგნიფიკატის* მეშვეობით. ამდენად, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ამ ორი ასპექტიდან, გადამწყვეტია *სიგნიფიკატი*, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, მხოლოდ შიდა ენობრივი მოვლენაა და სწორედ ამ „შიდა ენობრიობის“ მიხედვით უნდა იქნას შესწავლილი და გაანალიზებული სიტყვის მნიშვნელობაც. სიტყვის ამგვარი ანალიზისთვის გამოიყოფა სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელი კომპონენტები, რომელთაც *სემები* ეწოდებათ. *სემური* ანალიზი გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის ისეთ კომპონენტებად დაშლას, რომელთა უფრო „წვრილ“ კომპონენტებად დაშლა შეუძლებელია. ამიტომაც ხში-

რად *სემურ* ანალიზს *კომპონენტურ ანალიზსაც* უწოდებენ. მაგალითად, თუ ჩვენ ჩავატარებთ ისეთი სიტყვის *სემურ* ანალიზს, როგორცაა „ქალი“, იგი დაიყოფა შემდეგ *სემებად*: „ადამიანი“, „სულიერი“, „ზრდასრული“, „მდედრობითი სქესის“. ცხადია, სიტყვა „ქალის“ მნიშვნელობა თავის თავში მოიცავს *სიგნიფიკატის* დასახელებულ თვისებებს.

სიგნიფიკატის სემებად დაყოფამ ხელი შეუწყო სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში *დენოტაციისა* და *კონოტაციის* ცნებების უფრო ღრმა გაგებას. რას გულისხმობს ეს ცნებები? მაგალითად, თუ ავიღებთ ინგლისურ ზმნებს – „*shiver*“ და „*shudder*“ ვნახავთ, რომ ორივე მათგანი ნიშნავს „თრთოლას“. ეს არის ამ სიტყვის ძირითადი, მთავარი მნიშვნელობა. მაგრამ ამგვარი დეფინიცია არ იძლევა ამ სიტყვების მნიშვნელობის სრულ სურათს, ამიტომ საჭიროა, გავითვალისწინოთ დამატებითი მნიშვნელობა, ე.წ. *თანამნიშვნელობა - კონოტაცია*. არსებობს სხვადასხვა სახის კონოტაცია. კონოტაცია შეიძლება გამოხატავდეს: *შეფასებას და მას „შეფასებითი კონოტაცია“* (evaluative connotation) ეწოდება, მაგალითად, სიტყვები - notorious და celebrated, რომელთა დენოტაციური მნიშვნელობა არის „ცნობილი“, შეფასებითი კონოტაციას შეიცავენ: notorious არის „ცნობილი რაღაც ცუდით (notorious thief, killer, criminal და ა.შ.) ხოლო celebrated – „ცნობილი რაღაც კარგით“ (celebrated author, actor, scientist და ა.შ.);

ემოციას - მას „ემოციური კონოტაცია“ (emotive connotation) ეწოდება, მაგალითად ზმნების to gaze, to glare დენოტაციური მნიშვნელობა არის „ყურება“, ხოლო ემოციური კონოტაციით ზუსტდება, რომ gaze – ნიშნავს „სიყვარულით, სითბოთი, ტკბობით ყურებას“, ხოლო glare – „ბრაზით ყურებას“;

მიზეზს - მას „მიზეზის კონოტაცია“ (causative connotation) ეწოდება, მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნების - to shiver და to shudder - დენოტაციური მნიშვნელობა არის „თრთოლა“, მაგრამ მიზეზის კონოტაცია აზუსტებს, რომ shiver ნიშნავს „სიცივით თრთოლას“ („სიცივით კანკალს“), ხოლო shudder – „შიშისგან, ძრწოლისგან კანკალს“.


ორივე ცნება - დენოტაცია და სიგნიფიკაცია - (ასევე კონოტაცია, თუკი კონოტაციური ელემენტი აქვს სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას) ერთიანდება *ნომინაციის ფუნქციაში*, რომელიც სიტყვის ამოსავალი ნიშნობრივი ფუნქციაა.

ყოველი სიტყვა, თავისი მნიშვნელობით, რაღაცას ასახელებს. ნომინაციის ფუნქცია სხვადასხვანაირად ხორციელდება როგორც ერთი ენის შიგნით (ამა თუ იმ სიტყვამ შეიძლება ნომინაციის ფუნქცია შეასრულოს პირდაპირ, მაგ. „ოქროს ბეჭედი“ და ირიბად მაგ. „ოქროს გული“), ასევე, ორ სხვადასხვა ენაში, მაგალითად, ქართულ ენაში ორი ცნება - „ენა“, როგორც საკომუნიკაციო საშუალება და „ენა“ როგორც ადამიანის ორგანო, ერთი და იგივე სიტყვით გადმოიცემა, ხოლო

ინგლისურში ამ ორ ცნებას ორი სხვადასხვა სიტყვა გადმოსცემს - language და tongue;

როდესაც ვლაპარაკობთ სიტყვის მნიშვნელობაზე უნდა, გავითვალისწინოთ მისი ორი მახასიათებელი: 1. *სრულმნიშვნელოვნება* (meaningfulness) (სიტყვას უნდა ჰქონდეს სალექსიკონო მნიშვნელობა); 2. *ლექსიკური ბუნდოვანება* (lexical ambiguity). რას ნიშნავს ეს უკანასკნელი? განვიხილოთ მაგალითი: *he found a bat*. მოცემულ წინადადებაში სიტყვა „bat“ ორაზროვანია, რადგან ის შეიძლება ნიშნავდეს, როგორც „ღამურას“, ასევე „ბეისბოლის კეტს“. მოცემული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ კონკრეტულ კომუნიკაციურ კონტექსტში ხდება შესაძლებელი, რადგან ორივე მნიშვნელობა რელევანტურია სიტყვა „bat“-ის მიმართ. მაშასადამე, სიტყვას შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მნიშვნელობა. ასეთ სიტყვებს „პოლისემანტური“ სიტყვები ეწოდება, ხოლო მოვლენას, როდესაც სიტყვებს აქვს ერთზე მეტი მნიშვნელობა, - *პოლისემია*. ინგლისურ ენაში პოლისემია მეტად გავრცელებული მოვლენაა. უმეტესობა ინგლისური სიტყვებისა, პოლისემანტურია. პოლისემანტური სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი შეიძლება ანალიზის ორ ძირითად დონეს დაეყრდნოს: პირველ დონეზე პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურა შეისწავლება, როგორც მნიშვნელობათა სისტემა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამოიყოფა ერთი ძირითადი მნიშვნელობა (ე.წ. „მთავარი მნიშვნელობა“) ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები დაკავშირებულია მასთან. მაგალითად, ავიღოთ ინგლისური სიტყვა family, რომლის მნიშვნელობათა სქემა შეიძლება ამგვარი სახით წარმოვადგინოთ (იხილეთ დიაგრამა 1.):

დიაგრამა 1.



როგორც ვხედავთ, პირველი მნიშვნელობა “a basic social unit consisting of parents and their children” მოიცავს („ფარავს“) ყველა დანარჩენ „მონათესავე“ მნიშვნელობას. ყველა თანაარსებული მნიშვნელობა დაკავშირებულია სწორედ პირველ მნიშვნელობასთან და მისგან გამომდინარეობს. პოლისემანტურ სიტყვათა უმრავლესობა სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება (როდესაც ერთი მთავარი მნიშვნელობა დომინირებს დანარჩენ მნიშვნელობებზე). მაგრამ გვაქვს განსხვავებული შემთხვევებიც, როდესაც პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურაში ცენტრი, ანუ ძირითადი მნიშვნელობა არ ფიქსირდება. მაგალითად, ავიღოთ სიტყვის “smart” სალექსიკონო მნიშვნელობები :1. clean, tidy, and well dressed (person) (e.g. you look very smart); 2. clever, skillful (smart answer, smart officer); 3. fashionable (e.g. clothes); 4. quick, brisk (e.g. go for a smart walk); 5. severe (e.g. smart punishment). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში დომინანტი მნიშვნელობა, რომლისკენაც მიემართება დანარჩენი მნიშვნელობები, არ იკვეთება, მიუხედავად ამისა, მოცემულ მნიშვნელობებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი რაღაცის ინტენსივობის, არა ნაკლებობის გამომხატველი მნიშვნელობის კომპონენტი: („ადამიანი იყოს კარგად და სუფთად ჩაცმული“, „ტანსაცმელი იყოს მოდური და მოხდენილი“; „მომრაობდე სწრაფად“; „სასჯელი იყოს მკაცრი“).

სიტყვაფორმათა მნიშვნელობის გარდა, საყურადღებოა ერთი სიტყვის მნიშვნელობის მიმართება სხვა სიტყვების მნიშვნელობასთან. ეს მიმართებები მოიცავს: *სინონიმias*, *ანტონიმias*, *ომონიმias*, *მნიშვნელობის ინკლუზიასა და სემანტიკური ველს* (იხილეთ დიაგრამა 2.).

დიაგრამა 2.



თანამედროვე ენათმეცნიერება, კომპონენტურ ანალიზზე დაყრდნობით, *სინონიმებად* მიიჩნევს ისეთ სიტყვებს, რომელთაც აქვთ საერთო დენოტაცია, მაგრამ განსხვავდებიან კონოტაციის თვალსაზრისით. სინონიმების შესწავლის ეს მეთოდი რამდენიმე ეტაპს მოიცავს: პირველ ეტაპზე დგინდება სინონიმთა ჯგუფში შემავალი თითოეული სიტყვის დეფინიციას, სალექსიკონო მნიშვნელობა (ხდება ე.წ. „დეფინიციური ანალიზი“ როგორც წესი, შეისწავლება მონაცემები არა ერთ, არამედ მრავალ ლექსიკონზე დაყრდნობით.). შემდეგ ეტაპზე თითოეული გაანალიზებული სიტყვიდან გამოიყოფა სემანტიკური კომპონენტი. საი-

ლუსტრაციოდ განვიხილოთ ჩვენ მიერ უკვე ნახსენები სინონიმური წყვილი - „shiver და shudder“. სიტყვა „shiver“ - ნიშნავს „თრთოლას“, „კანკალს“, მაგრამ გარდა ამისა, „კანკალს გარკვეული დროის მანძილზე“ (ანუ მას აქვს დროის ხანგრძლივობის კონოტაცია) და „სიცივით კანკალს“ (ანუ მას აქვს მიზეზის კონოტაცია). სიტყვა „shudder“ - ნიშნავს „თრთოლას“, „გაჟრჟოლებას“, მაგრამ მცირედ, მხოლოდ რაღაც მომენტში და არა გარკვეული ხნის განმავლობაში (დროის ხანგრძლივობის კონოტაცია) და „შიშით, ძრწოლით, ზიზღით კანკალს“ (ანუ აქვს როგორც მიზეზის, ასევე ემოციური კონოტაციები). როგორც ვნახეთ, ამ ორ სიტყვას აქვს საერთო *დენოტატი*, რის საფუძველზეც ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნენ სინონიმებად, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან კონოტაციური ელემენტებით.

სიტყვათა ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს სინონიმებად მაშინაც, როდესაც შესაძლებელია სიტყვების *ურთიერთჩანაცვლება*. მაგალითად, სიტყვას „car“ შეიძლება ჩაენაცვლოს სიტყვა „automobile“. თუმცა, ასეთი წყვილები აშკარა უმცირესობაშია, რადგან რთულია, მოინახოს ისეთი სინონიმები ენაში, რომლებიც ერთმანეთს სრულად ჩაენაცვლებოდნენ ანუ ისეთი სინონიმური წყვილები, რომელთა მნიშვნელობა სრულად ემთხვეოდეს ერთმანეთს. როგორც წესი, სინონიმთა ჯგუფში ერთ-ერთი წევრი დომინანტია. **დომინანტური სინონიმი** ეწოდება სიტყვას, რომლის დენოტაცია საერთოა ყველა დანარჩენი ჯგუფის წევრისთვის; აქვს ფართო მნიშვნელობა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოიცავს დანარჩენი სინონიმების მნიშვნელობებს; გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში, ვიდრე მისი ჯგუფის წევრი სხვა სინონიმები; მისი მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში, არ შეიცავს კონოტაციას. მაგალითად, ავიღოთ სინონიმთა ჯგუფები: to make - to create - to manufacture - to fabricate დომინანტი სინონიმი მოცემულ ჯგუფში არის “to make” რადგან ის ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს.

ბევრ შემთხვევაში სიტყვები იზიარებენ რაღაც ერთ მნიშვნელობას, მაგრამ განსხვავდება მნიშვნელობის დანარჩენ ასპექტებში. ასეთი სიტყვები ქმნის **ანტონიმების** ჯგუფებს. მაგალითად სიტყვები „cold“ და „hot“ იზიარებენ მნიშვნელობის ერთ ასპექტს - ტემპერატურას, მაგრამ განსხვავდებიან ამ ასპექტის ხარისხის თვალსაზრისით. ეს სიტყვები ანტონიმურია არა იმიტომ, რომ ეს სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობას აღნიშნავენ (ასეთ შემთხვევაში წყვილი - cat და dog უნდა განგვხილავს, როგორც ანტონიმები), არამედ იმიტომ, რომ ისინი სემანტიკური სკალის საპირისპირო ბოლოებშია განლაგებული და მათ შორის არსებობს შუალედური ერთეული -lukewarm (იხილეთ დიაგრამა 3.).



განსხვავებით სინონიმებისგან, რომლებიც ჯგუფებად ერთიანდებიან, ანტონიმები, ჩვეულებრივ, წყვილების სახით არსებობენ (good-bad; hot-cold). თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის, რადგან როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითი (hot – warm – cold). გვიჩვენებს, შეიძლება გამოიყოს ანტონიმების სხვა ტიპიც, რომლებსაც გრადაციის ხარისხი ახასიათებთ.

ანტონიმთა უმეტესობა ზედსართავი სახელია. მეორე ადგილზეა ზმნები. არსებითი სახელებში კი უფრო ნაკლებია მათი არსებობა.

ომონიმურ სიტყვათა წყვილებში ერთიანდებიან ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, მაგალითად, სიტყვები “bank” (ბანკი) და “bank” (მდინარის პირი) ან “match” (მატჩი) და “match” (ასანთი). ომონიმთა ერთნაირი ფორმა შესაძლებელია განპირობებული იყოს სიტყვათა ფონეტიკური/ჟღერადობის დამთხვევით, სიტყვების სესხებით (ზემოთ მოყვანილ მაგალითებში “bank” (ბანკი) იტალიური ნასესხობაა, ხოლო “bank” (მდინარის პირი) ადგილობრივი ინგლისური სიტყვა; ასევე “match” (ასანთი) ფრანგულიდან ნასესხები სიტყვაა, ხოლო “match” (მატჩი) ადგილობრივი ინგლისური სიტყვა) და ა.შ.


პოლისემანტური სიტყვების ომონიმებისგან გარჩევა საკმაოდ პრობლემატურია. პოლისემანტური სიტყვისაგან განსხვავებით, რომელსაც აქვს ან ერთი, ცენტრალური (ძირითადი) მნიშვნელობა და მოიცავს დანარჩენ მნიშვნელობებს, ან გამოიყოფა კომპონენტი, რომელიც საერთოა ყველა მნიშვნელობისთვის, ომონიმები სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებენ, როგორც ვთქვით, მათ მნიშვნელობებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

მნიშვნელობის ინკლუზია გულისხმობს მიმართებას, როდესაც ერთი სიტყვის მნიშვნელობა მოიცავს მეორეს მნიშვნელობას. მაგალითად : სიტყვის „sister“ მნიშვნელობა მოიცავს სიტყვა female-ის მნიშვნელობას; სიტყვის „murder“ კი „illegal“ -ის მნიშვნელობას. მათი ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში ვიღებთ ე.წ. “ჭარბ”გამონათქვამებს ამიტომ ისინი ერთად არასოდეს გამოიყენებიან, მაგალითად არასწორია შემდეგი სიტყვების ერთად გამოყენება: „illegal murderer“ ან „female sister“

სიტყვების მნიშვნელობის კვლევა, ასევე, მიმდინარეობს **სემანტიკური ველის** ფარგლებში. რა პრინციპი ახასიათებს სემანტიკურ ველს და რით განსხვავდება იგი ე.წ. თემატური ჯგუფების გამოყოფის პრინციპისგან? „ველის იდეა

ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სამყაროს ენისმიერი დანაწევრება ხდება არა ცალკეული სიტყვების მეშვეობით, არამედ შინაგანად ორგანიზებულ სიტყვათა ჯგუფების - ველების - საშუალებით, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს. ველში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა მათ ურთიერთ-მიმართებაში ვლინდება - ანუ სიტყვა სრულ სემანტიკურ ღირებულებას მხოლოდ ველის შიგნით იძენს. სემანტიკური ველები შეიძლება იყოს ნათესაობის, ფერების, ფლორის, ფაუნის და ა.შ. განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი (იხილეთ დიაგრამა 4.).

დიაგრამა 4



როგორც ვხედავთ, სემანტიკურ ველს იერარქიული სტრუქტურა აქვს. იერარქიაში მაღალი დონისთვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობა. ჩვენ მაგალითში ყველაზე ზოგადი და ფართო მნიშვნელობა მოცემულ ველში არის „ფაუნა“. შემდგომ თანდათანობით უკვე იკლებს სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა და იმატებს მასში ჩართული სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები. სიტყვები სემანტიკურ ველში ერთიანდება ე.წ. „**ჰიპონიმი**“ პრინციპით, რაც ნიშნავს ერთი სიმრავლის ჩართვას მეორეში. „**ჰიპონიმი**“ არის სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც ჩართულია უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობაში, რომელსაც ეწოდება „**ჰიპერონიმი**“. მაგალითად

„ძალი“, „მგელი“, „მელა“, „თავი“ ჰიპონიმები არიან უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვისა „ცხოველისა“, რომელიც მათ ჰიპერონიმს წარმოადგენს.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რომელი სამეცნიერო დარგი შეისწავლის მნიშვნელობათა სფეროს მის მთლიანობაში?
2. რა არის სიტყვის მნიშვნელობა? რას ნიშნავს სიტყვის სიგნიფიკაციური და დენოტაციური მნიშვნელობა? რა კავშირია სიგნიფიკატსა და დენოტატს შორის?
3. რითი განსხვავდება ერთმანეთისგან სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა?
4. რა არის სემა?
5. რას ნიშნავს კომპონენტური (სემური) ანალიზის მეთოდი?
6. განმარტეთ დენოტაციისა და კონოტაციის ცნებები.
7. დაასახელეთ კონოტაციის ტიპები და მათი მაგალითები.
8. რა არის ნომინაცია? როგორი სახის შეიძლება იყოს ნომინაცია?
9. განმარტეთ სინონიმის, ანტონიმისა და ომონიმის ცნებები; მსჯელობის დროს მოიყვანეთ საკუთარი მაგალითები;
10. რა არის სემანტიკური ველი? მოიყვანეთ თქვენი მაგალითი.

პრაგმატიკა

ნიშნის სტრუქტურაზე საუბრის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად სოსიურის მიერ წარმოდგენილი ნიშნის დიქტომიურ სტრუქტურას ჩაენაცვლა ტრიქტომიული სტრუქტურა, რაც თავის თავში მოიცავდა ნიშნის შემადგენელი სამი კომპონენტის - სინტაქტიკის (ნიშნებს შორის ფორმალური მიმართება), სემანტიკის (ნიშნის მიმართება იმ საგანთან, რომლის მიმართ ეს საგანი გამოიყენება) და პრაგმატიკის (ნიშნის მიმართება მის გამოყენებელთან) გამოყოფას. ფილოსოფოს ჩარლზ მორისის მიერ შემოთავაზებულ ამ თეორიას მალე მოჰყვა რუდოლფ კარნაპის კვლევა, რომელშიც ის ავითარებს შეხედულებას, რომ ლინგვისტური კვლევა, რომელიც ითვალისწინებს მოსაუბრისა და მსმენელის მდგომარეობას, მოქმედებას, და გარემოს, უნდა მოექცეს პრაგმალინგვისტიკის სამეცნიერო კვლევების სფეროში.

პრაგმალინგვისტიკის ცალკე ენათმეცნიერების დარგად გამოყოფა უკავშირდება 1970 წელს ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც პრაგმატიკის საკითხებს მიეძღვნა. სიმპოზიუმის მონაწილეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კომუნიკაციის პრაგმატიკული ასპექტები გამოკვლეული უნდა ყოფილიყო ლინგვისტიკური თეორიის ჩარჩოებში კომუნიკაციის ორ დანარჩენ - სინტაქსურ და სემანტიკურ ასპექტებთან ერთად.

სიტყვა „pragma“ ბერძნული წარმოშობისაა, და ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით, აღნიშნავს კეთებას/ქმედებას, რომელსაც ადამიანი ასრულებს. შესაბამისად, პრაგმატიკა ენის საშუალებით ქმედებას ნიშნავს. როდესაც ენა შეისწავლება იმ ასპექტის მიხედვით, რომელშიც ენობრივი გამონათქვამი გარკვეულწილად მიზანდასახულ, შესასრულებელ ან უკვე შესრულებულ ქმედებას მოიცავს, ასეთ მიდგომას ენობრივ ქმედებაზე ორიენტირებული პრაგმალინგვისტური მიდგომა ეწოდება.

პრაგმატიკის სამეცნიერო კვლევის ობიექტთა ნუსხის მრავალფეროვნება, გარკვეულწილად, ართულებს მისი, როგორც სამეცნიერო დარგის ფორმულირების საკითხს. გავეცნოთ წამყვან მეცნიერთა მოსაზრებებს ამ საკითხთან მიმართებაში:

- ✓ აკმაჯიანის განმარტებით, პრაგმატიკამ უნდა განსაზღვროს ენის გამოყენების ცენტრალური ასპექტები - უნდა დააზუსტოს ლინგვისტური გამონათქვამების (სიტყვები, ფრაზები, წინადადებები, დისკურსი) გამოყენების პირობები და ამ გზით განსაზღვროს ენის ძირითადი პრინციპები. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, პრაგმატიკა არის ლინგვისტიკური მეც-

ნიერება, რომელიც იკვლევს ადამიანურ ენას, უფრო ზუსტად კი ლინგვისტურ კომუნიკაციას, ენის სტრუქტურასთან და გამონათქვამის კონტექსტთან მიმართებაში.

- ✓ იულის აზრით, პრაგმატიკა იკვლევს ლინგვისტურ კომუნიკაციას ანუ ინტერაქციულ სამეტყველო ქმედებას, რომელშიც ჩართულია როგორც მოსაუბრე, ასევე მსმენელი. კომუნიკაცია შედგება გამონათქვამის „შემქმნელისა“ და გამონათქვამის „მიმღებისგან“, სადაც „შემქმნელი“ ცდილობს, „მიმღებში“ გამოიწვიოს ფიქრი, ან აიძულოს იგი, შეასრულოს რაიმე სახის ქმედება. კომუნიკაციის პროცესი არის განზრახვის რთული ტიპი. იგი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა „შემქმნელისა“ და „მიმღების“ ზრახვები და ინტერესები თანხვედრშია, იქმნება საერთო ზიარი ცოდნა - კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარემ იცის, რომ „შემქმნელს“ გააჩნია გარკვეული განზრახვა. შესაბამისად, იულის მიხედვით პრაგმატიკა არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს არამართო მოსაუბრის ინტენციასა და ამ ინტენციის გადმოცემის ლინგვისტურ გზებს, არამედ მსმენელის მცდელობას, ჩასწვდეს და გაიაზროს ნათქვამი, რათა შეძლოს მოსაუბრის გამონათქვამის სწორი ინტერპრეტაცია. ეს მიდგომა იკვლევს, თუ როგორ ხდება კომუნიკაციის პროცესში გაცილებით მეტი ინფორმაციის მიღება, ვიდრე წარმოთქმულ წინადადებაში ან გამონათქვამში შემავალი სიტყვების ჯამური მნიშვნელობაა. ამდენად, პრაგმატიკა არის უხილავი მნიშვნელობის კვლევა.
- ✓ ლიჩის განმარტებით, პრაგმატიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლინგვისტურ ნიშნებსა და მათ გამომყენებელთა შორის ურთიერთმიმართების კვლევა. პრაგმატიკა არის „იმ ურთიერთმიმართების კვლევა, რომელიც არსებობს ლინგვისტური გამონათქვამის აბსტრაქტულ მნიშვნელობასა და იმ კომუნიკაციურ ძალას შორის, რომელიც გამონათქვამს წარმოთქმის სიტუაციაში გააჩნია,“ - აღნიშნავს ლიჩი.
- ✓ ლევინსონის მიერ შემოთავაზებული პრაგმატიკის განმარტების მიხედვით, პრაგმატიკა არის ენის კვლევა ფუნქციონალური თვალსაზრისით და მისი მიზანია ახსნას ლინგვისტური სტრუქტურები არალინგვისტურ მიზეზებსა და ფაქტორებთან კავშირში.

პრაგმატიკის რაობასთან და მის საკვლევ ობიექტთან დაკავშირებული მსჯელობათა სიმრავლე ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ ძნელია შევიმუშაოთ პრაგმატიკის საზოგადოდ მიღებული და სრულყოფილი განმარტება. ამის დასტურია ენის მკვლევართა და ფილოსოფოსთა შორის დღემდე მიმდინარე სამეცნიერო კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება

ითქვას: პრაგმატიკამ, მნიშვნელობის კვლევის ახალ ერას დაუდო საფუძველი და განვითარდა, როგორც ენობრივი ქმედების შემსწავლელი საინტერესო, პრაქტიკული და ნაყოფიერი დისციპლინა.

პრაგმატიკის უმთავრესი პოსტულატია – ენის ფაქტების შესწავლა ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც წინა პლანზე წამოსწია ენობრივი ურთიერთობის ლინგვოპრაგმატიკული პრობლემატიკა, რომელიც ამავე დროს, მოითხოვს მეტყველების სიტუაციის განხილვას. ასეთ შემთხვევაში, ლინგვისტიკური პრაგმატიკის ობიექტია არა მხოლოდ ენა, როგორც ენობრივი მასალა (ტექსტი) და მეტყველება, როგორც ენობრივი შემოქმედება არამედ, ენის გამოყენების შესწავლა ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით ფართო სოციალურ კონტექსტში.

პრაგმალინგვისტიკის მთავარი შესასწავლი საკითხი - „ენა და ადამიანი“ – აერთიანებს მრავალ ლინგვისტიკურ, ფსიქოლინგვისტიკურ, აგრეთვე სოციალურ-ისტორიულ, ნაციონალურ-კულტურულ, ეთნოგრაფიულ და სხვა ფაქტორებს.

მაშასადამე, პრაგმალინგვისტიკა არის მოძღვრება ადამიანის ენობრივი ქმედების შესახებ ანუ იგი მოიცავს ენობრივ ინტერაქციას (ანუ აქციისა და რეაქციის მონაცვლეობით ურთიერთშემოქმედებას კომუნიკანტებს შორის და გარე სამყაროსთან). ამ მხრივ ენობრივი გამონათქვამები მეტყველის ინტენციის/მისწრაფების გამოვლინებაა, რომელსაც სურს მეტყველებით (წერით ან ზეპირ ფორმებში) იმოქმედოს, აზრი გამოხატოს, შეატყობინოს თანამოსაუბრეს/ თანამოსაუბრეებს. სწორედ ამიტომ არის შესაძლო ენობრივ ქმედებაზე ლაპარაკი. თუ ენას ქმედებასთან კავშირში განვიხილავთ, რომელიც ჩვეულებრივ განზრახული აქვს მეტყველს, მაშინ ენა მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება აღვწეროთ. ამრიგად, პრაგმალინგვისტიკა არის მოძღვრება ენის გამოყენების, ენისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების შესახებ.

რეფერენცია, იმპილაკაცია და ინფერენცია, როგორც წარმატებული კომუნიკაციის საფუძველი.

კომუნიკაცია, სულ მცირე, ორ მხარეს საჭიროებს – გამგზავნს, ანუ იმ ინსტანციას, რომელიც ინფორმაციას გასცემს, და მიმღებს, ანუ ინსტანციას, რომელიც ამ ინფორმაციას აღიქვამს. ასეთი მოდელი გულისხმობს, რომ რეალური კომუნიკაციის დროს ერთი და იგივე პირი მონაცვლეობით ხან ინფორმაციის გამგზავნია და ხანაც – მიმღები. გამგზავნის ამოცანაა, სასურველ შინაარსს შესატყვისი ფორმა მისცეს (ანუ მისი კოდირება მოახდინოს), ხოლო მიმღების ამოცანაა აღქმული


(აკუსტიკური/ვიზუალური) ფორმების დეკოდირება ანუ ნათქვამიდან შინაარსის გამოტანა. ეს პროცესი რამდენიმე წინაპირობის შესრულებას გულისხმობს.

გამგზავნი, ისევე, როგორც მიმღები, ერთი მხრივ, მნიშვნელობათა გარკვეულ მარაგს უნდა ფლობდეს (მაგალითად: ცნებებს, აზრებს, პირად განცდებს და სხვ.), და, მეორე მხრივ, ნიშანთა, ფორმათა მარაგს (მაგალითად: სიტყვებს, ჟესტებს და სხვ.). კომუნიკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, როდესაც გამგზავნისა და მიმღების მნიშვნელობათა და ნიშანთა მარაგი ერთმანეთს სრულად თუ არა, დიდწილად მაინც ემთხვევა. თანაც ყოველი კონკრეტული მნიშვნელობა კონკრეტულ ფორმას უნდა უკავშირდებოდეს, ანუ საჭიროა, რომ გამგზავნმა და მიმღებმა მნიშვნელობისა და ფორმის დაკავშირების საერთო წესი იქონიონ. შესაბამისად, წარმატებული კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ გამგზავნიც და მიმღებიც ერთ ფორმას (სიტყვას) ერთნაირ მნიშვნელობას (შინაარსს) ანიჭებდეს. მაგალითად, ორივე მხარე სიტყვა „მუხა“-ს წარმოთქმისას უნდა გულისხმობდეს სწორედ ამ ხეს, და არა სხვა რამეს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს არხი, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაციის პარტნიორები ერთმანეთს დაუკავშირდებიან. ეს არხი შეიძლება იყოს, უბრალოდ, მოკლე დისტანცია მოლაპარაკეთა შორის ან სატელეფონო კაბელი ან რადიოტალღები და ა.შ. ინფორმაციის არხის დაზიანებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი გაუგებრობები გამოიწვიოს, თუ მაგალითად, ტელეფონით ლაპარაკისას სატელეფონო ხაზის მუშაობის ხარვეზის გამო მიმღები ვერ გაიგონებს ბგერა „ზ“-ს წინადადებიდან: „ხვალ შენთან იზა მოვა“, ის მცდარად დაასკვნის, რომ მას ხვალ „ია“ ესტუმრება. ჩვეულებრივ ვითარებაში კომუნიკაცია ასეთი სახით წარმოგვიდგება: გამგზავნი მნიშვნელობათა მარაგიდან მნიშვნელობების გარკვეულ რაოდენობას აიღებს და მას გარკვეულ თანმიმდევრობაში მოაქცევს. შემდეგ, ფორმების მარაგიდან ფორმათა საჭირო რაოდენობას აიღებს და მნიშვნელობის მქონე ერთეულებს შესაბამის ფორმას მოარგებს, ანუ მნიშვნელობის კოდირებას მოახდენს. ასეთი გზით შექმნილ ნიშანთა თანმიმდევრობას (პრაქტიკულად კი, ფრაზას, წინადადებას, ტექსტს) გამგზავნი აღქმადი სიგნალის (ბგერითი ან გრაფიკული სახით) მიმღებს გაუგზავნის. სანამ ინფორმაცია მიმღებამდე მიაღწევს, ის შეიძლება „დაზიანდეს“ (მაგალითად, სხვა ხმებით დაიფაროს), ამიტომ გასათვალისწინებელია, თუ რა გზით მიეწოდება ინფორმაცია. ამ „გზას“, როგორც უკვე ითქვა, არხს ანუ კანალს უწოდებენ. მიმღები აღიქვამს ინფორმაციას, რომელიც ნიშანთა თანმიმდევრობისგან შედგება და რადგან მიმღების მნიშვნელობათა მარაგი ისევე, ან თითქმის ისევე, უკავშირდება ფორმათა მარაგს, როგორც ეს გამგზავნის შემთხვევაში იყო, მიმღებს აღქმული ფორმიდან შესაბამისი შინაარსის გამოტანა ანუ ინფორმაციის დეკოდირება არ გაუჭირდება. დეკოდირების

პროცესის დასრულების შემდეგ მიმღები იმავე შინაარსს მიიღებს, რაც გამოუგზავნეს და ახლა მას შეუძლია, თავის მხრივ, საკუთარი ინფორმაცია მიაწოდოს კომუნიკაციის პარტნიორს. ენის „კლასიკური“ კომუნიკაციური მოდელი გრაფიკულად ასე შეიძლება გამოვსახოთ (იხილეთ დიაგრამა 1.).

დიაგრამა 1.



ამ მოდელის მიხედვით, ენის პროდუქცია (კოდირება) და რეცეფცია (დეკოდირება) სარკისებრი პროცესებია, რაც სავსებით მართებული არ არის. მსმენელის მიერ სიტუაციის გაგება მუდამ კონტექსტის გათვალისწინებით მიმდინარეობს, მათ შორის სოციო-კულტურის კონტექსტისაც, რომელიც გაგების პროცესზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. მსმენელის მიერ აღქმული გამონათქვამები მის ცნობიერებაში მყოფ კოგნიტურ შინაარსს უკავშირდება, რომელიც კოდირებულ ინფორმაციას სცდება. დეკოდირების პროცესის შედეგად მსმენელის გარკვეული წარმოდგენები იცვლება, მდიდრდება მისი გამოცდილება, რაც საბოლოო ჯამში, მის ქმედებაზე ახდენს გავლენას.

ადამიანს აქვს უნარი, მთქმელთა წარმოთქმის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, ბგერათა ნაკადში გამოარჩიოს ცალკეული სიტყვები; განსხვავებული კონტექსტების მიუხედავად, ამოიცნოს ნათქვამის მნიშვნელობა (როგორც წესი, ჩვენ ვახერხებთ, ე.წ., ომონიმურ სიტყვათა მნიშვნელობის მართებულ ამოცნობას. ასე მაგალითად წარმოთქმული წინადადების: „ეს არის შენი ნაქები ბარი?“ სიტყვა - „ბარი“ პოლისემანტური მნიშვნელობისაა: 1.სამუშაო იარაღი, 2.კაფე-ბარი; 3.მთა-ბარი კონტექსტიდან გამომდინარე და მაინც ვახერხებთ მოსაუბრის მიერ პროდუცირებული წინადადების მართებულ გაგებას.) და ხშირ შემთხვევაში ამოიცნობა მთქმელის განწყობა/ინტენცია.

საკითხავია, თუ როგორ არის შესაძლებელი ბგერათა ნაკადის ასეთი ზუსტი სეგმენტაცია და იმავდროულად, ინტერპრეტაცია? რა იგულისხმება, როდესაც ვამბობთ, რომ ვიღაცის ნათქვამი გავიგეთ? ასეთ დროს შესაძლებელია სხვადასხვა სახის „გაგებაზე“ იყო ლაპარაკი. მაგალითად, მეგობარმა შემდეგი წინადადებით მოგვმართა – „მერი ზის“. ასეთ დროს ჩვენ:

- გავიგეთ, რომ მან თქვა „მ“ და არა „ც“ (ან რომელიმე სხვა ასო); (ბ) გავიგეთ, რომ მან თქვა „მერი“ და არა „ცერი“;
- გავიგეთ, რომ მან თქვა „მერი ზის“ და არა „მერს ზის“;
- ცნობიერებაში არსებული კოგნიტური შინაარსის დახმარებით მივხვდით, რომ მერი ზის სკამზე, დივანზე, მანქანაში...;
- ან მივხვდით, რომ მერი სკამზე კი არა, ციხეში ზის;
- ჩვენ გავიგეთ, რომ მერი აღნიშნავს თანამდებობის პირს და არა ქალის სახელს ან - პირიქით;
- რომ მთქმელმა არ იხუმრა და რეალობის შესატყვისი ინფორმაცია მოგვაწოდა;
- რომ ის სიტუაცია, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ჩვენგან გარკვეულ საპასუხო რეაქციას მოითხოვს. ამის შესაბამისად, შესაძლებელია, ენობრივი გამონათქვამების გაგების შემდეგი საფეხურები გამოვყოთ:
- ბგერების (ფონემების) აღქმა;
- ცალკეული სიტყვების გაგება;
- სიტყვათა გრამატიკულად მოწესრიგებული თანმიმდევრობის გაგება (სინტაქტიკური საფეხური);
- მთქმელის განზრახვის გაგება (მთქმელის ინტენცია-ჩვენს მაგალითში ეს იქნებოდა ინფორმირების ინტენცია);
- რეაგირება, რომ ნათქვამის შეფასებისა და მთქმელის განზრახვის გაგების საფუძველზე ჩვენგან გარკვეულ (ადეკვატურ) რეაქციას მოვლიან.

გამონათქვამის გაგების პროცესი უშუალოდ უკავშირდება **რეფერენციის** (მიმართების) ცნებას. რეფერენცია არის მეტყველებაში აქტუალიზებული ენობრივი ერთეულების შეპირისპირება რეალური თუ ჰიპოთეტური სამყაროს საგნობრივ/არასაგნობრივ ობიექტებთან, რის შედეგადაც ისინი განხილვის ზონაში ექცევიან. შესაბამისად, რეფერენცია ეს არის ენობრივი აქტი, რომლის ფარგლებშიც მეტყველი სუბიექტი იყენებს ენობრივ ფორმებს, რათა შესაძლებელი გახადოს მის მიერ პროდუცირებული გამონათქვამის, და შედეგად კომუნიკაციური ჩანაფიქრის-ინტენციის იდენტიფიცირება ინფორმაციის მიმღების მხრიდან. რეფერენციის აქტი გაიგივებულია მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის (ჩანაფიქრის) რეალიზებასთან და ადრესატის მიერ ამ ჩანაფიქრის დეკოდირებასთან.

აღსანიშნავია, რომ რეცეფციის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პროცესები ერთმანეთის მიყოლებით კი არა, არამედ პარალელურად მიმდინარეობს როგორც საუბრის ინიციატორის, ასევე ადრესატის, მხრიდან. ჩვენ ერთდროულად ვახერხებთ, როგორც ფონეტიკური, ისევე სემანტიკური (შინაარსობრივი), სინტაქსური (გრამატიკული) და პრაგმატულ-სიტუაციური ინფორმაციის აღქმას. ხშირად

მთლიანი წინადადების ანუ გამონათქვამის ყველა სიტყვის ბოლომდე მოსმენა არც არის აუცილებელი გამონათქვამის შინაარსის ან მთქმელის ინტენციის გამოსაცნობად. „შენმა სიტყვებმა ისე გამახარა, რომ ზედნიერებისგან მეცხრე...“ ამ შემთხვევაში, ალბათ, არავის გაუჭირდება წინადადების დასრულება და თან მთქმელის განზრახვის – სიხარულის გამოხატვის – ამოცნობა. შესაბამისად, რეცეფციის პროცესი მუდამ „ქვემოდან ზემოთ“ (bottom up) არ მიმდინარეობს. რეცეფცია თითოეული სიტყვის გაგებისა და გააზრების შედეგი არ არის, ანუ ის ყველა მონაცემის მიღებაზე დამოკიდებული არაა. მაგრამ რეცეფცია ყოველ ჯერზე არც „ზემოდან ქვემოთ“ (top down) მიმდინარეობს და მხოლოდ „მოლოდინის“ მიერ განპირობებული ფენომენი არ არის. ამ შემთხვევაში, შინაარსის იდენტიფიცირება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც მსმენელმა იცის, თუ რის თქმა უნდა მთქმელს, რაც თავისთავად აბსურდია, რადგან ასეთ დროს კომუნიკაცია აზრს კარგავს.

მაშასადამე, რეფერენცია სხვადასხვა დონის პროცესების ერთდროულად მიმდინარეობის შედეგია. იგი შეიძლება გავიაზროთ, როგორც მრავალმხრივი ინტერაქტიური რეგულაციის პროცესი, რომლის დროსაც ერთდროულად ბგერების, სიტყვების, ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობის დადგენა მიმდინარეობს.

რეფერენცია ზოგადად ემყარება ენობრივ ერთეულსა და რეალურ სინამდვილეს შორის არსებული სამი ძირითადი ტიპის ურთიერთობა-მიმართებას: ა) სახელდების ანუ საკუთრივ ნომინაციის მიმართებას, ბ) ჩვენებით ანუ ინდექსაციის მიმართებას და გ) აღნიშვნის ანუ დენოტაციის მიმართებას. ლინგვისტური ფორმები, რომლებიც რეფერენციისთვის გამოიყენება, წარმოადგენს **რეფერენციულ გამონათქვამებს**.

სახელდების ანუ საკუთრივ ნომინაციის მიმართების ენობრივი რეალიზაცია ხდება საკუთარი არსებითი სახელების საშუალებით (Nino, London, Shakespeare,). საკუთარი სახელები საკუთრივ სახელდების ფუნქციას ასრულებენ ექსტრალინგვისტურ ობიექტთან მიმართებაში და კონკრეტული, ე.წ. „სინგულარული“ რეფერენციის უნარი გააჩნიათ მხოლოდ კომუნიკანტთა ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის გათვალისწინებით. ეს განპირობებულია იმით, რომ თავისთავად საკუთარი სახელები მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას (აზრს), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ზოგად მონაცემებს, რომლებიც ასახავენ ადამიანთა დიფერენცირებას სქესის, ზოგჯერ კი ეროვნების მიხედვით.

ჩვენებით ანუ ინდექსაციის მიმართება აქტუალიზდება დეიქტური (უმთავრესად პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებით I, he, it, this, that ა.შ) ენობ-

რივი საშუალებებით, რომლებიც ექსტრალინგვისტურ ობიექტთა იდენტიფიკაციას ახდენენ არა მათი დამახასიათებელი თანდაყოლილი ნიშან-თვისებების მიხედვით, არამედ მათი დამოკიდებულებით სამეტყველო აქტისადმი, მისი ძირითადი კოორდინატებისადმი, რომელთა ათვლის წერტილად მიჩნეულია მეტყველი სუბიექტი – გამონათქვამის მნიშვნელობის დაკონკრეტების ძირითადი ორიენტირი.

აღნიშვნის ანუ დენოტაციის მიმართების ენობრივი რეპრეზენტაცია სახელადი ფრაზებით, ანუ „დესკრიფციებით“ ხორცილედება, რომლებიც ზოგადი სახელისა და აქტუალიზატორის ნაერთს წარმოადგენს. (the author, the singer, a woman his beautiful house;) აქტუალიზატორთა რიცხვს მიეკუთვნება: არტიკლები, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და ა.შ. დესკრიფციით შეიძლება აღინიშნოს ნებისმიერი ობიექტი (საგნობრივი თუ არასაგნობრივი, რეალურად თუ წარმოსახვაში არსებული), რადგანაც სახელის მნიშვნელობის საფუძველზე ადრესატს ეძლევა ინსტრუქცია ობიექტის ზოგადი თვისებების შესახებ; ხოლო აქტუალიზატორის სემანტიკა მისი პრაგმატიკული კომპონენტებით საშუალებას აძლევს ადრესატს, ჰომოგენურ საგანთა კლასიდან გამოყოს ცალკეული ობიექტი კერძო ნიშან-თვისებათა და ურთიერთობების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგად სახელს თავისთავად არ შეუძლია რეფერენცია, რადგანაც აქტუალიზატორის გარეშე იგი არის ლექსიკონის ერთეული, რომელსაც მხოლოდ დენოტატი გააჩნია. ზოგადი სახელი რეფერენციის უნარით აღიჭურვება მხოლოდ დესკრიფციაში, ე.ი. ტექსტში აქტუალიზებული.

რეფერენციული გამონათქვამების არჩევანი მოსაუბრის მხრიდან განისაზღვრება ვარაუდით, რომ ინფორმაციის მიმღები/მსმენელი შეძლებს მოცემული ფრაზის სწორედ, იმგვარად გაგებას, როგორც ეს მოსაუბრის მხრიდან იყო გაგებული და გამოყენებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ კომუნიკანტთა წარმატებულ რეფერენციაზე. შესაბამისად, რეფერენცია მჭიდრო კავშირშია მოსაუბრის მიზნებთან და ვარაუდთან, რომ მსმენელი იზიარებს მის მიერ გამოყენებული ფრაზის არსს ანუ მათ აქვთ ერთნაირი რეფერენცია. შესაბამისად, რეფერენცია უკავშირდება *ინფერენციის* (ლოგიკური დასკვნა) ცნებას. რაკი (გავისხენოთ ნიშნის არბიტრარული ბუნება) არ არსებობს უშუალო კავშირი რეალურად არსებულ ობიექტსა და სიტყვას შორის, მსმენელმა/ინფორმაციის მიმღებმა ლოგიკურად უნდა ამოიცნოს და დაასკვნას, თუ რომელი ობიექტის იდენტიფიცირებას ცდილობს მოსაუბრე კონკრეტული რეფერენციული გამონათქვამის ფარგლებში. ასეთ უნარს *პრაგმატიკული კომპეტენცია ეწოდება*.

გარდა (სიტყვის, ფრაზის, წინადადების) სალექსიკონო, დენოტაციური მნიშვნელობისა, არსებობს მოსაუბრის მნიშვნელობაც. მოსაუბრე შეიძლება გუ-

ლისხმობდეს, რასაც ამბობს, არ გულისხმობდეს, რასაც ამბობს ან გულისხმობდეს უფრო მეტს, ვიდრე ამბობს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმე გვაქვს **იმპლიკაციასთან**. განვიხილოთ მაგალითი:

A: It's time for lunch. let's go to the canteen

B: My wife baked my favourite pie this morning

A: That is ok I will go than.

თუ გავანალიზებთ მოსაუბრის პასუხს კაფეტერიაში წასვლის შემოთავაზებაზე, ის შესაძლოა, ბუნდოვანი გვეჩვენოს, მაგრამ მოსაუბრის პასუხი „კარგი, მე წავალ“, ნათლად გვიჩვენებს, რომ კომუნიკაცია ამ ორ მონაწილეს შორის წარმატებულია. მაშ, რასთან გვაქვს საქმე? გამოყენებული ფრაზა „My wife baked my favourite pie this morning“ მოიცავს გაცილებით მეტ მნიშვნელობას, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოცემული წინადადების წმინდა ენობრივ დონეზე ჩანს. კერძოდ, იგი შეიცავს შემდეგ დამატებით ინფორმაციას: 1. მეუღლემ დილით გამოაცხო ღვეზელი; 2. ეს მისი საყვარელი საკვებია; 3. მოსაუბრემ მსუყედ ისაუბმა; 4. მოცემული მომენტისთვის (სამხრის დრო ახლოსაა საუზმის დროსთან) ის დანაყრებულია; 5. აქედან გამომდინარე, ის უარს ამბობს კაფეტერიაში წასვლაზე. მაშასადამე, წინადადება „My wife baked my favourite pie this morning“ მოიცავს რა ყველა ზემოთ მოყვანილ, იმპლიციდურ მნიშვნელობებს, დადებით წინადადებას უარყოფით წინადადებად აქცევს, რომელშიც მოსაუბრის დაპატიჟებაზე უარის თქმა არა პირდაპირ, არამედ ირიბად - იმპლიციდურადაა გადმოცემული. ასეთი სახის იმპლიკაციას **კონვერსაციული იმპლიკაცია** ეწოდება. იმპლიკაციას ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გააჩნია: მან შეიძლება „შეავსოს“ მნიშვნელობა, მას რაღაც დამატებითი შესძინოს, და შეიძლება საერთოდ შეცვალოს, ან სულაც მისი საპირისპირო მნიშვნელობა გვაჩვენოს, როგორც ეს ჩვენ მიერ განხილულ მაგალითშია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის პროცესი ინტერსუბიექტურია, რამდენადაც იგი გულისხმობს მინიმუმ ორი ადამიანის თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობისთვის საჭირო ბევრი ნიშან-თვისებით. განვიხილოთ ეს ნიშან-თვისებები:

კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრეებს გააჩნიათ გარკვეული **მოტივი**, რომელიც სტიმულს აძლევს საუბრის დაწყებას. სტიმულად კი შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილება:

ა) ჩამოაყალიბოს და გადმოსცეს თავისი აზრები;

ბ) კონტაქტში შევიდეს სხვა ადამიანებთან ინფორმაციის გადაცემის ან მისი მიღების მიზნით;

გ) დაარეგულიროს ადრესატის ქმედება მისი ფსიქიკის ემოციურად ინტელექტუალურ სფეროებზე ვერბალური ზემოქმედების გზით.

ყოველივე ეს დაკავშირებულია მეტყველი სუბიექტის ინტენციასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტენციის, ანუ მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ჩანაფიქრის, ფსიქოლოგიურ საფუძვლად გვევლინება მისი პრაქტიკული მოთხოვნილებით მოტივირებული ასპექტი. ინტენცია ყოველთვის წინ უსწრებს გამონათქვამის ვერბალიზაციას და მის წინარე ეტაპს წარმოადგენს. ინტენციის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ მეტყველი სუბიექტის განზრახვაში გადმოსცეს რამე, არამედ მის მისწრაფებაში, რომ ეს რამე გამოხატული იყოს მისი მიზნების შესაბამისად, ამა თუ იმ ენობრივი საშუალებით კონტექსტური ინფორმაციისა და ადრესატის ფონური ცოდნის გათვალისწინებით. ინტენცია განსაზღვრავს კომუნიკაციის მიზანს – იქნება ეს ინფორმაციის გაცვლა, კომუნიკაციის პარტნიორზე ზემოქმედება თუ სხვა. აქედან გამომდინარე, ინტენცია გვევლინება უაღრესად ტევად პრაგმატიკულ კატეგორიად, რომელიც ტექსტის წარმომქმნელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

მეტყველების პროცესში, ვერბალურამდე სტადიაზე, ინტენციასთან ერთად მონაწილეობს მეტყველი სუბიექტის ფონური ცოდნა, რომელიც დიდ როლს ასრულებს გამონათქვამის ფორმირებასა და ექსპლიკაციაში, და რომელსაც ლინგვისტურ ლიტერატურაში **პრესუპოზიციას** უწოდებენ.

ტერმინი პრესუპოზიცია ენის ლოგიკური ანალიზის დროს პირველად გამოიყენა *ფრეგელ*, ხოლო შემდეგ კი ფართო გავრცელება პოვა ლინგვისტურ ლიტერატურაში. არსებობს პრესუპოზიციის ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაცია, თუმცა ყველაზე ხშირად პრესუპოზიციის ცნების ქვეშ გულისხმობენ *როგორც ლინგვისტურ, ისე ექსტრალინგვისტურ ფონურ ცოდნას*, რომელიც გამონათქვამს კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. პრესუპოზიციათა ჯგამი ქმნის კომუნიკაციის ინფორმაციულ ფონს, რომელიც სამეტყველო სიტუაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თითოეული კომუნიკანტი ფლობს ინდივიდუალურ საბაზო ინფორმაციას, რომელიც ხშირად სხვადასხვაა. მაგრამ სამეტყველო ურთიერთობის მიმდინარეობის პარალელურად, კომუნიკანტებს უგროვდებათ საერთო კონტექსტური ინფორმაცია, რომელსაც თავის მხრივ ემატება ექსტრალინგვისტური ფონური ცოდნა. კონტექსტური ინფორმაციული ფონი მოსაუბრეებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ იმპლიკაციური გამონათქვამების პროდუცირება, ქარაგმულად მიაწინონ ამა თუ იმ მოვლენაზე, გამოიყენონ მეტყველებაში ენობრივი სუბსტიტუტები და ა.შ. თუკი ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ დიალოგს დავუბრუნდებით, წინადადება: *My wife baked my favourite pie this morning*“ პრაგმატულ პრესუ-

პოზიციას ემყარება, რომელიც კომუნიკანტთა შორის არსებულ ზიარ, წინარე ცოდნას გულისხმობს მოცემულ შემთხვევაში კომუნიკაციის არსებობას. განვიხილოთ ის მექანიზმი რომელიც პრესუპოზიციის უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება:

- ა. John's wife baked his favourite pie that morning
- ბ. John's wife did not bake his favourite pie that morning
- გ. John has a wife.

ა და ბ წინადადებებს (მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი დადებითია და მეორე - უარყოფითი) საერთო-გ წინადადებით გადმოცემული პრესუპოზიცია აერთიანებთ. (როგორც ერთი, ასევე მეორე წინადადების წინარე ინფორმაცია, მეუღლის არსებობა) სწორედ კომუნიკანტებს შორის არსებული წინარე, ზიარი ცოდნის არსებობა იძლევა საშუალებას წინადადებაში მოცემული იმპლიციდური ინფორმაცია სწორად იქნას გაგებული ადრესატის მიერ.

პრესუპოზიციული მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს როგორც ენობრივი (ლექსიკური ერთეულებით), ასევე არაენობრივი საშუალებითაც. რას ვგულისხმობთ არაენობრივ საშუალებაში? პრაგმატიკული პრესუპოზიციის შინაარსს განსაზღვრავს გარეენობრივი ფაქტორები: მოსაუბრეთა სქესი, ასაკი, კომუნიკაციის მონაწილეების ურთიერთმიმართება, საგანთა ფიზიკური არსებობა და სხვა. რასაც ერთიანობაში *სიტუაციურ კონტექსტს* ვუწოდებთ. შეტყობინება, (მტკიცება, ბრძანება, ვარაუდი თხოვნა და ა.შ.) თავისი დანიშნულების ოპტიმალური განხორციელებისთვის სწორედ რომ სიტუაციური კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვს. მაგალითად გამონათქვამის: "close the door!" სიტუაციურ კონტექსტს განსაზღვრავს შემდეგი წინაპირობები: 1. მოლაპარაკე და მსმენელი ისეთ მიმართებაში არიან ერთმანეთთან რომ მოლაპარაკეს შეუძლია, დაავალოს მსმენელს მოცემული მოქმედების შესრულება; 2. მსმენელს ფიზიკურად შეუძლია, დახუროს კარი; 3. მსმენელმა იცის, რომელ კარზე უთითებენ; 4. კარი ღიაა; 5. მოლაპარაკეს უნდა კარის დახურვა. აღნიშნულ მაგალითში მოსაუბრის ინტენცია, სთხოვოს მეორე ადამიანს კარის დახურვა განხორციელდება მაშინ თუ: კარი ღიაა, მსმენელმა იცის, რომელ კარზეა საუბარი, და ნორმალურად ჩათვლის მიღებული ბრძანების შესრულებას მისი მოსაუბრესთან ურთიერთობებიდან გამომდინარე. ანუ როგორც მოსაუბრეს, ასევე ადრესატს აქვს ზიარი ფონური ცოდნა, რომლის არსებობა არსებითია მოსაუბრის ინტენციის განსახორციელებლად.

პრესუპოზიციული მნიშვნელობა გარდა არაენობრივისა, შეიძლება ენობრივი - ლექსიკური ერთეულებითაც გადმოიცეს. შესაბამისად ვასხვავებთ:

1. *ეგზისტენციალურ პრესუპოზიციას*, რომელიც რაიმეს ან ვინმეს არსებობას მიუთითებს და კუთვნილებითი ნაცვალსახელით ან კუთვნილებითი ფრაზით გადმოიცემა. მაგალითად „your car „- „შენი მანქანა“ გულისხმობს რომ *შენ გყავს*

მანქანა ან „the king of Sweden“- „შვედეთის მეფე“ გულისხმობს თავად შვედეთის არსებობას;

2. ფაქტობრივ პრესუპოზიციას, რომელიც ზმნებით - realize, regret glad და ა.შ. გამოიხატება მაგალითად: „we regreted telling him.“- „გული გვწყდება რომ ვუთხარით“ - გულისხმობს, რომ მას რაღაც ვუთხარით. „I did not realize he was ill“- „არ ვიცოდი, ავად თუ იყო“ - გულისხმობს, რომ ის ავად იყო;

3. ლექსიკურ პრესუპოზიციას, რომელიც სიტყვებით - stop, start, again და ა.შ. გადმოიხატება მაგალითად: „they are late again“ - „კვლავ დაიგვიანეს“ - მიუთითებს, რომ მათ ადრეც დაუგვიანდათ. „he stopped smoking“ „მოწყვას თავი დაანება“ - მიუთითებს, რომ ის ადრე ეწეოდა;

4. სტრუქტურულ პრესუპოზიციას, რომელიც კითხვითი სიტყვებით გადმოიხატება, მაგალითად: „ **when** did he leave“- „როდის წავიდა?“ მიუთითებს რომ ის წავიდა . „**where** did you buy your dress“- „სად იყიდე ეს კაბა“ - მიუთითებს, რომ კაბა ნაყიდა;

5. არაფაქტობრივ პრესუპოზიციას, რომელიც გადმოიხატება ზმნებით- pretend, imagine, dream მაგალითად: „I **dreame** I were rich“- „ნეტავ, მდიდარი ვიყო“ მიუთითებს, რომ მდიდარი არ ვარ. „he **pretended** to be ill“ - „ის ავადმყოფად აჩვენებდა თავს“ - მიუთითებს, რომ ის არ იყო ავად.

წარმატებული კომუნიკაციის გამონათქვამის ფორმირებისას მეტყველი სუბიექტის ინტენცია და ფონური ცოდნა გადაჯაჭვულია მის **ექსპექტაციასთან**. ექსპექტაციას ანუ მოლოდინს, უშუალო კავშირი აქვს სინამდვილის ასახვის პროგნოზირებასთან, რომლის თანახმადაც, ადამიანს გააჩნია უნარი. თანდაყოლილი და შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, წინასწარ განჭვრიტოს და განსაზღვროს არა მარტო სიტუაციის შესაძლო განვითარება, არამედ ადრესატის მოსალოდნელი რეაქციაც. მეტყველი სუბიექტი ცდილობს, დაახლოებით მაინც გამოიცნოს ადრესატის შემხვედრი ექსპექტაცია, რაც თავისთავად განაპირობებს არა მარტო მსჯელობის საგნის შერჩევას, არამედ მის ენობრივ გაფორმებასაც.

ურთიერთობის სამეტყველო აზრობრივი პროცესი (ზემოჩამოთვლილ პრაგმატიკულ ფაქტორებთან ერთად) მოიცავს კომუნიკანტთა **ენობრივ კომპეტენციას**, ანუ მათ მიერ ენის სტრუქტურისა და ნორმების ცოდნას. ენობრივი კომპეტენცია ორმხრივი ხასიათისაა, რამდენადაც, ერთი მხრივ, იგი საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს, მოახდინოს ლექსიკურ-გრამატიკულად სწორად გაფორმებული გამონათქვამის პროდუცირება; მეორე მხრივ კი, იგი შესაძლებელს ხდის, ადრესატმა ადეკვატურად აღიქვას გამონათქვამი და მოახდინოს მისი დეკოდირება.

შესაბამისად, კომუნიკანტების ენობრივი კომპეტენცია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც საერთო უნდა იყოს მათთვის, რადგანაც ენის ფლობის ერთ-ნაირი დონე უზრუნველყოფს მათ შორის ურთიერთგაგებას. თავის მხრივ კომუნიკანტთა ენობრივი კომპეტენცია განაპირობებს მათ *სამეტყველო კომპეტენციას*, ანუ იმას, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ენის ცოდნას უშუალოდ მეტყველების დროს.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სამეტყველო პოსტულატების შემუშავებას, რომლებიც მეტ-ნაკლებად არეგულირებენ კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმებს. დღემდე ჩამოყალიბებული პოსტულატებიდან, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლ გრაისის მიერ შემოთავაზებული *მაქსიმები*, რომლებიც ორიენტირებულია თანამშრომლობის ანუ კოოპერაციის პრინციპების დაცვაზე (Grice 1976). გრაისის ლინგვისტურ კონცეფციაში თანამშრომლობის პრინციპები რეალიზდება ქცევის ოთხი ძირითადი წესის, ანუ მაქსიმის (მახიმს) დაცვით, ესენია:

1. რაოდენობრიობის ანუ ინფორმატულობის მაქსიმა, რომელიც გამოხატულია შემდეგი პოსტულატით: „თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ ან ნაკლებ ინფორმაციას, რაც საჭიროა!”

2. თვისობრიობის ანუ ჭეშმარიტების მაქსიმა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: „ნუ იტყვით იმას, რისი თქმის საფუძველიც არ გააჩნიათ!”

3. დამოკიდებულების ანუ რელევანტობის მაქსიმა, რომელიც დემონსტრირებულია სამეტყველო პოსტულატით: „ნუ გადაუხვევთ საუბრის თემიდან! ილაპარაკეთ მხოლოდ მსჯელობის საგანზე!”

4. აზრის მკაფიოდ გამოხატვის ანუ აზრის გამოხატვის ენობრივ საშუალებათა მაქსიმა, რომელიც წარმოსდგება პოსტულატებით: „ერიდეთ

გაუგებარ გამონათქვამებს!“ „იყავით მოკლე!“ „იყავით ორგანიზებული!”

აშკარაა, რომ ყველა ეს მაქსიმა ჩამოყალიბებულია ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენობრივი კომუნიკაციის დროს თანამშრომლობის პრინციპების დაცვას.

განვიხილოთ საკონვერსაციო მაქსიმის დარღვევის შემთხვევა კონკრეტულ მაგალითზე.

Man: Does your dog bite?

Woman: No

(მამაკაცი იხრება ძაღლისკენ მოსაფერებლად. ძაღლი- კბენს)

Man: Ouch! You said your dog does not bite!

Woman: He does not. But Tha’s not my dog.

თუ მოცემული დიალოგს ჩვენ მიერ განხილული ცნებების მიხედვით გა-
ვანალიზებთ, სახეზე გვექნება შემდეგი სურათი: უპირველესად უნდა აღვნიშ-
ნოთ, რომ მოსაუბრეებს არ ჰქონდათ საერთო რეფერენცია, ფრაზა - „your dog“
მამაკაცისათვის წარმოადგენს ძაღლს, რომელიც საუბრის მომენტში მათ წინაშეა
(აღნიშვნის ანუ დენოტაციის მიმართება), ხოლო ქალბატონისთვის ძაღლს,
რომელიც მას ზოგადად ჰყავს. (ეგზისტენციური პრესუპოზიცია) განსხვავებულ
რეფერენციას მოჰყვამა მამაკაცის მხრიდან არასწორი ინფერენცია - მან ლოგიკურად
დაასკვნა, რომ ქალბატონის პასუხი, ძაღლის უსაფრთხოების შესახებ, მათ წინ
მყოფ ძაღლს ეხებოდა. ასეთი კონვერსაციული „დილემის“ დაძლევა შესაძლე-
ბელი იქნებოდა, რომ არა ქალბატონის მიერ დარღვეული *რაოდენობრივი მაქსიმა*
(ქალბატონის პასუხი - „no“ არ იყო საკმარისად ინფორმატიული) რასაც საბო-
ლოოდ, როგორც ვხედავთ, წარუმატებელი საკომუნიკაციო აქტი მოჰყვა.

სამეტყველო აქტები

როგორც აღვნიშნეთ, პრაგმატიკული კვლევა მოიცავს არა მარტო ცალკეული
სიტყვების, ფრაზებისა და თუნდაც ტექსტის კვლევას, არამედ ენობრივი ქმედე-
ბების კვლევას. საუბრისას მოსაუბრე ინდივიდი არა მარტო აგებს გამართული
გრამატიკულ სტრუქტურის გამონათქვამებს, რომლებიც შეიცავენ შინაარსის
მქონე სიტყვებს, არამედ იგი ამ გამონათქვამების მეშვეობით ასრულებს გარკ-
ვეული სახის ქმედებას. თუკი ავიღებთ ყოველდღიურ სიტუაციას, მაგალითად
დასაქმების ადგილს, სადაც ხელმძღვანელი პირის კომპეტენციაში შედის ვისიმე
დანიშვნა/განთავისუფლება მის მიერ პროდუცირებული გამონათქვამი - „მე
თქვენ გაწინაურებთ“, გაცილებით მეტი ძალის მქონე იქნება, ვიდრე, უბრალოდ,
ინფორმაციის გამოხატვა ან მტკიცებულება. ამ გამონათქვამით ის არა მარტო
გადმოსცემს დასრულებულ აზრს, არამედ ასრულებს ქმედებას - აწინაურებს. ქმე-
დებებს, რომლებიც სრულდება გამონათქვამების მეშვეობით, *სამეტყველო ქმე-
დებები ეწოდება*.

სამეტყველო ქმედებების კლასიფიცირება, შესაძლებელია, მათ მიერ გამო-
ხატული შინაარსის მიხედვით, მაგალითად: მობოდიშება, დაჩივლება, შექება,
დაპირება, მიპატიჟება, მოთხოვნა და ა.შ. სხვადასხვა ტიპის სამეტყველო ქმედე-
ბების ეს დესკრიპტიული ტერმინები გამოხატავენ მოსაუბრე ინდივიდის კომუ-
ნიკაციურ ინტენციას (განზრახვას), რომლის მიღწევასაც მოსაუბრე ინდივიდი
გამონათქვამების მეშვეობით ცდილობს. მოსაუბრე, როგორც წესი, მოელის, რომ
მსმენელი სწორად აღიქვამს მოსაუბრის მიერ გამოხატულ კომუნიკაციურ განზ-
რახვას. ასეთი პრობლემის დაძლევაში გადამწყვეტ როლს ის გარეენობრივი გარე-
მოებები თამაშობს, რომლის ფარგლებშიც იმართება თვით კომუნიკაცია.

გამონათქვამის მეშვეობით შესრულებული მოქმედება შედგება სამი ერთმანეთთან დაკავშირებული აქტისგან ესენია: *ლოკუციური აქტი*, *პერლოკუციური აქტი* და *ილოკუციური აქტი*.

ლოკუციური აქტი არის გამონათქვამის შექმნის ანუ როგორც ოსტინი განმარტავს, „კონკრეტული ბგერებისა და კონსტრუქციებში სიტყვების გარკვეული აზრითა და რეფერენციით წარმოთქმის აქტი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ შინაარსიანი ლინგვისტური გამონათქვამის შექმნის პროცესი. შესაბამისად, თუკი მოსაუბრე ინდივიდი აწყდება პრობლემას სიტყვების ან ბგერების ფორმირებისას, რაც აუცილებელია აზრის მქონე გამონათქვამის შესაქმნელად, იგი ვერ მოახერხებს ლოკუციური ქმედების შესრულებას. თავად, ლოკუციური აქტის შექმნის პროცესი მოიცავს გარკვეულ ეტაპებს.

ლაიონზის აზრით, ნებისმიერი ლოკუციური აქტის შესრულებისას აუცილებელია სამი საფეხურის გავლა – გამონათქვამის ინსკრიპციის (მონახაზის) შექმნა, წინადადების შექმნა და კონტექსტუალიზაცია. პირველი საფეხური ასახავს საუბრის ფიზიკურ აქტს, ანუ გარკვეული ტიპის ბგერების წარმოქმნას (წერილობითი კომუნიკაციის შემთხვევაში სიმბოლოების შექმნას). მეორე საფეხურზე ხდება ენის გრამატიკის შესაბამისად სიტყვათა თანმიმდევრობის შექმნა. ენობრივი კომპეტენციის შესაბამისად, სხვადასხვა მოსაუბრე ინდივიდი სხვადასხვაგვარი თანმიმდევრულობით ახერხებს გრამატიკულად გამართული გამონათქვამის აგებას. მესამე, ანუ კონტექსტუალიზაციის პროცესი შედგება ორი კომპონენტისგან: 1. ბევრი წინადადება მოიცავს ლექსიკურ ან გრამატიკულ ბუნდოვანებას. როგორც წესი, მოსაუბრე ინდივიდი გამონათქვამს წარმოთქვამს მხოლოდ ერთი განზრახვით. 2. წარმოთქმულ წინადადებასა თუ გამონათქვამში მოცემულ რეფერენტულ ფრაზას გააჩნია კონკრეტული ექსტრალინგვისტური რეფერენტი. ამდენად, თუ წარმოთქმული წინადადება არის თხრობითი, მაშინ ლოკუციური აქტი გამოხატავს ერთ ან მეტ პროპოზიციას. მაგალითად, თუკი ადამიანი დიდი ხანი ემზადება ოჯახთან ერთად ბუნებაში გასეირნებისთვის და მოულოდნელად დაიწყო წვიმა, ამ ფაქტთან მიმართებაში მოსაუბრე ინდივიდის მიერ წარმოთქმული გამონათქვამი: „What a marvelous day!“, შეიძლება აღვიქვათ მხოლოდ ირონიად ან სარკაზმად. მაგრამ განსხვავებულ გარემოში ეს გამონათქვამი შეიძენს განსხვავებულ შინაარსს. მაგალითად, თუკი წარმოვიდგენთ საპირისპირო სიტუაციას, როდესაც რომანტიკოსი ადამიანს უყვარს წვიმაში სეირნობა, მისი გამონათქვამი ამინდის შესახებ აღტაცების შინაარსის გამოხატველია.

ილოკუციური აქტი ლოკუციური ქმედების სტრუქტურაშივე არის მოცემული იმ თვალსაზრისით, რომ, თუკი არის შესაფერისი კონტექსტური პირობები,

ლოკუციური ქმედების შესრულებას თან ახლავს ილოკუციური ქმედებაც. მაგალითისთვის განვიხილოთ ფრაზა - „I will come tomorrow“ რომელიც წარმოთქმისთანავე დაპირების ქმედებას ახორციელებს, მოსაუბრის ინტენციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შეიძინოს სხვა მნიშვნელობაც, მაგალითად: გადმოსცეს მოსაუბრის ვარაუდი მის მოსვლასთან დაკავშირებით, გაფრთხილება, დამუქრება. მნიშვნელობის ასეთი ცვლა იმართება ე.წ. ილოკუციური ძალით.

ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სამეტყველო ქმედებას შესაძლოა, ჰქონდეს განსხვავებული ილოკუციური ძალა, პრობლემას ქმნის მისი სათანადოდ ინტერპრეტაციის პროცესში. მაშ, როგორ შეიძლება მოსაუბრე დარწმუნებული იყოს, რომ მსმენელი სათანადოდ აღიქვამს განზრახულ ილოკუციურ ძალას? იულის განმარტებით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ *ილოკუციური ძალის ინდიკატორული მექანიზმი*. ილოკუციური ძალის გამომვლენი ყველაზე აშკარა მექანიზმი არის იმ ტიპის ზმნა, რომელიც ექსპლიციტურად ასახელებს შესრულებულ ილოკუციურ ქმედებას ასეთ ზმნებს **პერფორმატიული ზმნები** ეწოდება. მაგალითად ზმნები: „ask“, „promise“, „warn“ და ა.შ. ღიად წარმოაჩენენ ილოკუციური ძალის ინდიკატორ მექანიზმს.

მოსაუბრე ყოველთვის არ ასრულებს სამეტყველო ქმედებას ექსპლიციტურად, არამედ აღწერს მას. მაგალითად:

A: speak quietly

B: pardon me

A: I asked you to speak quietly

მოცემულ მაგალითში მოსაუბრე აღწერს იმ სამეტყველო ქმედებას, რომელიც მან შეასრულა (თხოვნა) ზმნის „ask“ გამოყენებით. თუკი მოსაუბრე ინდივიდი არ იყენებს პერფორმატიულ ზმნას, ილოკუციური ძალის ინდიკატორი მექანიზმის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სიტყვათა წყობამ, სიტყვაზე დასმულმა მახვილმა, ინტონაციამ და ა.შ.

პერლოკუციური აქტი არის იმ სახის ქმედება, რომელსაც მეტყველი სუბიექტი ენის მეშვეობით ასრულებს. იგი, ქმნის გამონათქვამს არა მხოლოდ წარმოთქმისთვის, არამედ გარკვეული ზეგავლენის მოსახდენად ან შესაბამისი ქმედების გამოსაწვევად.

ლოკუციური აქტის არსებობა ვერ უზრუნველყოფს პერლოკუციურ ქმედებას. მაგალითად ფრაზა - „I have just made some coffee“ პერლოკუციურ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მსმენელი მას აღიქვამს როგორც შეთავაზებას, დალიოს ყავა მოსაუბრესთან ერთად და მიიღებს ამ შეთავაზებას. შესაბამისად, დაყოლიების ან დარწმუნების შემთხვევაში მსმენელმა ინდივიდმა

უნდა შეასრულოს ქმედება, რომლისკენაც მას მოსაუბრე ინდივიდი უბიძგებს. ეს პროცესი კი ცნობილია პერლოკუციური ეფექტის სახელით.

სამეტყველო ქმედებების კლასიფიკაცია

1955 წელს ჯონ ოსტინმა თავისი ლექციების კურსში ჩამოაყალიბა სამეტყველო აქტების თეორია, რომელმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა პრაგმატისტიკის განვითარებას. მისი გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ლექციები გამოიცა სათაურით - "How to do things with words". მასში განხილულმა თეორიამ განსაკუთრებული აღიარება პოვა ოსტინის მოწაფის, სერლის წიგნის - "Speech Acts" - გამოქვეყნების შემდეგ.

სამეტყველო აქტების თეორია ცდილობს ახსნას, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდი გამონათქვამის საშუალებით ასრულებს გარკვეულ ქმედებას. როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა შორის ენობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი არის ილოკუციური ქმედება, აუცილებელია გავარკვიოთ, ილოკუციური ქმედების რამდენი კატეგორია არსებობს.

ოსტინის კლასიფიკაციის მიხედვით, სამეტყველო ქმედებები მოიცავს ხუთ ძირითად კატეგორიას: **ვერდიქტივები** (*შეფასებები*), **ექსპოზიტივები** (*პოზიციის ღიად დაფიქსირება*), **ექსერსიტივები** (*დირექტივების მიცემისა და დამორჩილებისაკენ მოთხოვნის გამომხატველი ქმედებები*), **ბეჭაბიტივები** (*სხვა ადამიანთა ქმედებების მიმართ პოზიციის გამომხატველი ქმედებები*) და **კომისივები** (*ვალდებულების აღება*). თუმცა, სერლი მართებულად არ მიიჩნევს სამეტყველო ქმედებების ამ კლასიფიკაციას, რადგან მისი მოსაზრებით, იგი ასახავს არა სამეტყველო ქმედებებს, ზოგადად, არამედ, უბრალოდ, წარმოადგენს ინგლისური ილოკუციური ზმნების კლასიფიკაციას და იგი აზრს კარგავს სხვა ენების მეშვეობით შესრულებული სამეტყველო ქმედებების შესწავლისას. ამდენად, სერლი იძლევა სამეტყველო ქმედებების განსხვავებულ კლასიფიკაციას, რომელსაც სხვა ლინგვისტებიც იზიარებენ. სერლისეული ტაქსონომია მოიცავს: **რეპრეზენტატივებს, დირექტივებს, კომისივებს, ექსპრესივებსა და დეკლარატივებს.**

1. **რეპრეზენტატივების** ფუნქციებია რაიმე ფაქტის (ქემმარიტის ან არაქემმარიტის, სწორის თუ არასწორის), საქმის ვითარების (ფაქტის კონსტატაცია, აღწერა, შეტყობინება, დადასტურება, დიაგნოზი) რეპრეზენტაცია. მაგალითად: "The Earth the earth is flat";

2. **დირექტივები** - იმგვარი სამეტყველო აქტებია, რომლებიც რეციპიენტს მოქმედებისკენ იწვევს (ბრძანება, თხოვნა, განკარგულება, რჩევა, მითითება და ა.შ.): "Do not touch that!";

3. **კომისიები** - წარმოადგენს სამეტყველო აქტს, რომელშიც მეტყველი პირი წინასწარ საზღვრავს, მომავალში როგორ იმოქმედოს და დაიცვას ქცევის განსაზღვრული წესები (საგარანტიო წერილი, შეთანხმება, კონტრაქტი, ფიცი და ა.შ.): "I am going to get it right next time";

4. **ექსპრესიები** - გადმოგვცემენ მეტყველი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საგნებისა და სიტუაციების მიმართ (მადლიერება, მობოდიშება, მისამძიმრება): "I am really sorry!";

5. **დეკლარატივები** - წარმოადგენენ ისეთ სამეტყველო აქტებს, რომელთა დანიშნულებაა სტატუსის ან მდგომარეობის გამოცხადება (მაგ., „ცოლ-ქმრად გაცხადებთ", ან „დაინიშნოს ... თანამდებობაზე"): "I now pronounce you husband and wife".

ამდენად, როგორც ეს მაგალითები აჩვენებენ, სიტყვების მეშვეობით მოსაუბრე ინდივიდი ცვლის სამყაროს, აწესებს ახალ წესრიგსა და რეფერენტ საგნებს ანიჭებს ახალ სტატუსს.

წარმოდგენილი კლასიფიკაციის სამეტყველო აქტები, შესაძლოა, დაიყოს **პირდაპირ და ირიბ** სამეტყველო აქტებად. როდესაც არსებობს პირდაპირი კავშირი გამონათქვამის სტრუქტურასა და ფუნქციას შორის, სამეტყველო აქტი პირდაპირია, მაგალითად: „it is cold outside“. როდესაც ეს კავშირი არაპირდაპირია, საქმე გვაქვს არაპირდაპირ სამეტყველო აქტთან: მაგალითად ფრაზაში „Could you pass the salt“ მოსაუბრე არ არის დაინტერესებული გაარკვიოს, შესწევს თუ არა მსმენელს უნარი, გადააწოდოს მას მარილი, არამედ მიმართავს მას თხოვნით, შეასრულოს გარკვეული ქმედება.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. განმარტეთ პრაგმალინგვისტიკის, როგორც ლინგვისტური დარგის არსი და იმსჯელეთ მის საკვლევ პრობლემატიკაზე.
2. რაში მდგომარეობს „კლასიკური“ კომუნიკაციური მოდელის არსი? იმსჯელეთ მის ნაკლოვანებაზე.
3. რა არის რეფერენცია? როგორი ურთიერთმიმართება არსებობს რეფერენციასა და ენობრივ ერთეულებს შორის?
4. განმარტეთ ინფერენციის არსი.
5. განმარტეთ პრაგმატული, ენობრივი და სამეტყველო კომპეტენციის არსი და მნიშვნელობა წარმატებული საკომუნიკაციო აქტისთვის.

6. რა არის იმპლიკაცია და კონვერსაციული იმპლიკაცია? მოიყვანეთ თქვენი ყოველდღიური დაკვირვების შედეგად მიღებული კონსერვაციული იმპლიკაციის მაგალითები.
7. განმარტეთ პრესუპოზიციის ცნება; რა ენობრივი საშუალებით გადმოიცემა იგი?
8. რატომ ვამბობთ რომ ბევრ შემთხვევაში პრესუპოზიციას სიტუაციური კონტექსტი უდევს საფუძვლად?
9. განმარტეთ მოტივის, ინტენციის და ექსპექტაციის ცნებები და მათი არსი.
10. რაში მდგომარეობს კოოპერაციის პრინციპები? მოიყვანეთ მაგალითი, როდესაც აღნიშნული პრინციპი/ების რღვევა იწვევს წარუმატებელ კომუნიკაციას.
11. რა არის სამეტყველო ქმედება? განმარტეთ ლოკიციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტების რაობა; გაამყარეთ მსჯელობა მაგალითებით,
12. იმსჯელეთ სერლის მიერ წარმოდგენილი სამეტყველო ქმედებების ტაქსონომიაზე.
13. რა არის პირდაპირი და ირიბი სამეტყველო აქტი?

სინტაქსი

როგორც ვიცით, ენობრივ ნიშანთა იერარქიაში ლექსიკურ დონეს, რომლის ძირითადი ერთეულია სიტყვა, მოსდევს სინტაქსური დონე, რომლის ძირითადი ენობრივი ერთეული არის წინადადება. თუ მორფოლოგია შეისწავლის, როგორ არის სიტყვა აგებული, სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კომბინაციებს წინადადებაში - წინადადების რაობას და როგორობას. ეს ორი სფერო - მორფოლოგია და სინტაქსი - ურთიერთდაკავშირებულია და ორივე მათგანი გრამატიკის ქვესისტემას წარმოადგენს.

თავდაპირველად, გავიხსენოთ წინადადების, როგორც ენობრივი ნიშნის ფუნქცია. თუ სიტყვა ასახელებს სინამდვილის ამა თუ იმ სეგმენტს, წინადადება ასახელებს სიტუაციას (ახდენს სიტუაციის ნომინაციას), ანუ ასახელებს სინამდვილის ისეთ მოვლენას თუ ფაქტს, რომელიც შედგება სიტყვების მიერ დასახელებული სეგმენტებისგან. თუმცა მთავარია არა ის, თუ რამდენი სიტყვისგან შედგება წინადადება, არამედ ის, რომ იგი მიუთითებდეს სიტუაციას და ასახელებდეს მას. შესაბამისად, წინადადება შეიძლება იყოს ერთსიტყვიანიც, მაგ. „თოვს“. „გილოცავ!“

მაშასადამე, წინადადება არის ენის მაქსიმალური, ურთულესი გრამატიკული ერთეული, რომელიც წარმოადგენს გარკვეული მიმდევრობით დალაგებულ და ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაში მყოფ სიტყვაფორმების სტრუქტურულ ჯამს.

ნებისმიერ ენაში წინადადება ისეთ სტრუქტურირებულ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც იმართება მოცემული ენის გრამატიკული წესებით. წინადადება შედგება წინადადების წევრებისგან. წინადადების წევრების ფუნქციას ასრულებენ ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასრულებულ მნიშვნელობას გამოხატავენ, მათ წინადადების *მთავარ წევრებს* უწოდებენ (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება) მათ შეიძლება დაუკავშირდნენ სხვადასხვა სახის *მსაზღვრელები* - *მეორეხარისხოვანი წევრები* (განსაზღვრება, გარემოება). წინადადების წევრთა სისტემაში ტრადიციულად არ შეაქვთ ისეთი ელემენტები, რომლებიც სინტაქსურად წინადადების არც ერთ წევრს არ უკავშირდება ასეთებია: მიმართება, ჩართული და სხვა.

„ვერბოცენტრიზმის“ კონცეფცია

თანამედროვე ლინგვისტიკაში ადგილი აქვს წინადადების მიერ ნომინირებული სიტუაციის *ხდომილებრივ* აღქმას, ე.ი. სიტუაცია აღიქმება უფრო, როგორც დინამიკური და არა - სტატიკური ფაქტი. შესაბამისად კი, წინადადების ძირი-

თად წევრად აღიქმება შემასმენელი, ანუ წინადადების ის წევრი, რომელიც ძირითადად ზმნით გამოიხატება. სწორედ ამიტომ ენათმეცნიერებაში გაჩნდა წინადადების თანამედროვე კონცეფცია, რომელსაც „ვერბოცენტრიზმი“ ეწოდება რომელიც *ლუსიენ ტენიერის* მიერ იქნა შემუშავებული.

ვერბოცენტრისტული თეორიის თანახმად, წინადადების ცენტრი იქნება შემასმენელი (პრედიკატი). „ზმნა თავისი მნიშვნელობით ყველაზე მეტად უახლოვდება წინადადებას. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ წინადადება - ეს არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა - ეს არის შეკუმშული წინადადება. ამდენად, ზმნა წინადადების სტრუქტურული და სემანტიკური ცენტრია (*ვერბოცენტრისტული* თეორია). ამავე დროს ყოველი ხდომილება გულისხმობს მონაწილეებს, რომელთა გარეშეც იგი ვერ განხორციელდება: *ლუსიენ ტენიერის* სიტყვებით, „წინადადება - ესაა პატარა დრამა, რომლის მონაწილენიც არიან ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები.“ როგორც ვხედავთ, სიტუაციის ამგვარმა *ხდომილებრივ-ვერბოცენტრისტულმა* ხედვამ შემოიტანა ისეთი ახალი სინტაქსური ტერმინი, როგორიცაა „*აქტანტი*“. რას წარმოადგენენ „ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები“? აქტანტებია სუბიექტი და ობიექტი (პირდაპირი და ირიბი). აქტანტების რაოდენობის მიხედვით იზომება ზმნის ვალენტობა. ეს უკანასკნელი არის ზმნის უნარი, მიიერთოს გარკვეული რაოდენობის აქტანტები. ტერმინი „*ვალენტობა*“ აღებული ქიმიიდან, სადაც ვალენტობა არის ატომის უნარი, მიიერთოს სხვა ატომების გარკვეული რაოდენობა. ამდენად, ამა თუ იმ წინადადების ფარგლებში პრედიკატს, როგორც წინადადების ფუნქციურ ცენტრს, შეიძლება დაუკავშირდეს ამა თუ იმ რაოდენობის აქტანტი, რისი გათვალისწინებითაც ლაპარაკობენ ზმნის ვალენტობაზე. შესაბამისად, თუ ზმნა შეიწყობს ერთ აქტანტს, იგი ერთვალენტიანია (mono-valent), მაგ. walk, run, die; თუ ორ აქტანტს - ორვალენტიანი (di-valent) - love, watch, see, kiss, მაგ. David kissed his girlfriend; თუ სამ აქტანტს - სამვალენტიანი (tri-valent), მაგ. give, send, hand, მაგ. Tom gave his girlfriend a ring; თუ ზმნა არც ერთ აქტანტს არ შეიწყობს, მაშინ ის *უვალენტოა* (avalent), როგორც მაგალითად, მეტეოროლოგიური ზმნები.

წინადადების სტრუქტურირება/აგება, წინადადების წევრებს შორის *მართვისა* და *შეთანხმების* პრინციპს ემყარება.

მართვის დროს ერთი უშუალო შემადგენლის ფორმა დამოკიდებულია მეორის ფორმაზე. მართვა თავისთავად ემყარება სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლილებას. ასე მაგალითად ინგლისურ ენაში ქვემდებარის პირი და რიცხვი განსაზღვრავს შემასმენლის ფორმას (მაგალითად: I speak-he speaks; a book is -books are.) იმდენად, რამდენადაც ინგლისურ ენას ქართულთან შედარებით უფრო მარტივი ბრუნვის სისტემა აქვს და ქვემდებარის ბრუნვის ფორმა არ იწვევს

სხვა წევრთა ბრუნვის ფორმის ცვლილებას, ბრუნვების ფუნქცია სიტყვათა რიგს ეკისრება შევადაროთ ქართული და ინგლისური ენის მაგალითები:“ ლილი უყურებს ნინოს - ლილიმ დაინახა ნინო“ – „Lili is looking at Nino - Nino saw Lili.“ ამდენად, ინგლისური ენისთვის სიტყვათა რიგი წინადადების სტრუქტურირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. სიტყვათა რიგის მნიშვნელობა ასევე ვლინდება თხრობითი და კითხვითი წინადადებების აგების პროცესშიც. თუ ქართული ენაში კითხვითი წინადადება რიგის ცვლილების გარეშე, ძირითად ინტონაციის ცვლილებით გადმოიცემა, ინგლისურ ენის თხრობით წინადადებაში ქვემდებარე წინ უსწრებს შემასმენელს, ხოლო კითხვით წინადადებაში ქვემდებარე მოსდევს დამხმარე ზმნით გამოხატულ პრედიკატულ ელემენტს (A child is playing -Is a child playing ?)

შეთანხმება გარკვეულწილად მართვის ქვესახეობას წარმოადგენს. შეთანხმების დროს ერთი უშუალო შემადგენელი ემსგავსება მეორეს. მაგალითად: ჩემი დახატული სურათი. შეთანხმება ჩვეულებრივ ხდება ბრუნვაში, პირში, რიცხვში, სქესში. შეთანხმება დამახასიათებელი იყო ძველი ინგლისურისთვის,(For ealra ðinra hālgena lufan, „For all thy saints’ love“) რომელშიც ზემოთაღნიშნული გრამატიკული კატეგორიები(ბრუნვა, პირი, რიცხვი, სქესი.) აფიქსებით გადმოიცემოდა თანამედროვე ინგლისურისთვის უშუალო შემადგენელთა შორის კავშირის ეს ფორმა (შეთანხმება) ენის ანალიტიკური სტრუქტურის გამო არააქტუალურია.

სიტყვები წინადადებაში (როგორც ზეპირ, ასევე წერით მეტყველებაში) ლაგდება წრფივი მიმდევრობით. მიუხედავად იმისა თუ რამდენად თავისუფალია სიტყვათწყობა ენაში, ის მაინც განსაზღვრულია გარკვეულ გრამატიკულ წესთა ნუსხით. გარკვეულ ენებში, მათ შორის ინგლისურ ენაშიც, სიტყვათწყობა გადამწყვეტ როლს თამაშობს წინადადების შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. მაგალითად წინადადება - „The horse bit the dog“ შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება წინადადებისგან - „the dog bit the horse“.

წინადადების წევრები შეიძლება მოცემული იყოს ერთი მეტყველების ნაწილით ან სიტყვათა ჯგუფით, რომელიც წინადადების წევრის ფუნქციას ასრულებს. როგორ ხდება ამ სიტყვათა დაჯგუფება ანუ წინადადების სტრუქტურირება? ამ საკითხის განხილვა **სინტაქსის თეორიის** საფუძველზე უნდა განვახორციელოთ.


წინადადების ტრადიციული მეტყველების ნაწილებად წარმოჩენის აღწერილსაგან განსხვავებით სინტაქსური ანალიზის მეთოდი, რომელიც **უშუალო შემადგენელთა, მეთოდის** სახელითაა ცნობილი, იძლევა ინფორმაციას წინადადებაში გამოყენებული სიტყვათა შორის არსებული სინტაქსური კავშირების შესახებ. ასე მაგალითად, გამონათქვამი „მეგობრის კატა თბილ რძეს სვამს“ ტრადიციული

სინტაქსური ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: „მეგობრის“- განსაზღვრება, „კატა“- ქვემდებარე, „თბილ“- განსაზღვრება, „ რძეს“ - პირდაპირი დამატება, „სვამს“ - შემასმენელი. ასეთი აღწერა არ იძლევა წინადადებაში მოცემული იერარქიული ურთიერთობების სრულ სურათს. ამ წინადადებაში შესაძლებელია ისეთი წყვილების გამოყოფა, რომლებიც სპეციფიკურ მიმართებაშია ერთმანეთთან, მაგალითად: მეგობრის კატა, კატა სვამს, თბილ რძეს, რძეს სვამს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სიტყვები ერთ წინადადებაში გვხვდება, სიტყვები - მეგობრის და თბილ - ერთმანეთთან კავშირს ვერ ამყარებს. უშუალო შემადგენლების მეთოდი იძლევა დაკავშირების დონეების გამოყოფის საშუალებას. ამ მეთოდის მიხედვით, ყველა წინადადება (წინადადება აღინიშნება S ასოთი) შედგება ორი ნაწილისგან, სახელური ფრაზისგან (Noun phrase) და ზმნური ფრაზისგან (Verb phrase). ჩვენ მაგალითში “მეგობრის კატა“ იქნება სახელური ფრაზა, ხოლო „თბილ რძეს სვამს“ ზმნური.

სახელური და ზმნური ფრაზები წინადადების მინიმალური აუცილებელი ერთეულებია. ზმნური ფრაზის ბირთვს (მინიმალურ ერთეულს) შეადგენს შემასმენელი, ხოლო სახელური ფრაზისა - ქვემდებარე. თუმცა ეს ფრაზები შეიძლება გაივრცოს სხვა ერთეულებით, მაგალითად, განსაზღვრებით ან საერთოდ სხვა ზმნური თუ სახელური ფრაზით, მაგრამ ყოველი ასეთი გავრცობა იერარქიულად ბირთვზე იქნება დამოკიდებული და მათთან გარკვეულ იერარქიულ სისტემას შექმნის.

მაშასადამე, უშუალო შემადგენლობის მეთოდი ასახავს წინადადებებში არსებულ იერარქიულ მიმართებებს და იძლევა ნებისმიერი სტრუქტურის მქონე წინადადების აღწერის საშუალებას. უშუალო შემადგენლობების ანალიზი ე.წ. **უშუალო შემადგენლის ხისებრი დიაგრამის** სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. განვიხილოთ იგი ინგლისური წინადადების “ the people in the room will move the desk into the hall“ მაგალითზე (იხილეთ დიაგრამა 1. დიაგრამაში გამოყენებული სიმბოლოები: S.-წინადადება; NP.-სახელური ფრაზა; Aux.-დამხმარე ზმნა; VP. - ზმნური ფრაზა; PP. - წინდებულიანი ფრაზა Art.-არტიკლი; N.-არსებითი სახელი; V. -ზმნა; P.- წინდებული)


დიაგრამა 1.



როგორც ვხედავთ, წინადადების თითოეული სიტყვა ხაზით ე.წ. „სტემით“ უკავშირდება გარკვეულ ლექსიკურ კატეგორიას - მეტყველების ნაწილს. სიტყვები ერთმანეთთან ფიქსირებულ *ლინეარულ* მიმდევრობაში არიან. თუმცა თუ დიაგრამას ქვევიდან ზევით მიმართულებით წავიკითხავთ, ნათელი გახდება, რომ ცალკეული მეტყველების ნაწილი თავის მხრივ ერთიანდება გარკვეულ ფრაზაში, რომელიც სტრუქტურულ და შინაარსობრივ მიმართებაშია სხვა ფრაზებთან. მაგალითად, სახელური ფრაზა (NP) „the people in the room“ *სტემით* უკავშირდება შემდეგი მეტყველების ნაწილებს: არტიკლი (the) + არსებითი სახელი (people) + წინდებული (in) + არტიკლი (the) + არსებითი სახელი (room). სახელური ფრაზა აერთიანებს ორ სახელურ ფრაზას : „the people“ და „the room“, რომლებიც თავის მხრივ არტიკლითა და არსებითი სახელით არის წარმოდგენილი, ხოლო არსებითი სახელი „room“ წინდებულ „in“ თან ერთად ქმნის წინდებულიან ფრაზას (Prepositional phrase), რომელიც განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. აღნიშნული ფრაზები ქმნის კვანძებს, რომლებიც *სტემების* საშუალებით უკავშირდებიან ბირთვს - სახელურ ფრაზას. რაც შეეხება ზმნურ ფრაზას „move the desk into the hall“, იგი შედგება: ზმნისგან (move), სახელური ფრაზისგან, რომელიც წარმოდგენილია არტიკლითა და არსებითი სახელით (the desk) და წინდებულიანი ფრაზისგან, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია წინდებულით, არტიკლითა და არსებითი სახელით (into the hall) მამასადამე, მიმდევრობა: V- NP- PP ქმნის ერთიან შემადგენელს - ზმნურ ფრაზას (VP) საბოლოოდ კი სახელური ფრაზა, დამხმარე ზმნა და ზმნური ფრაზა ქმნის ერთიან შემადგენელს - წინადადებას.

როგორც ვნახეთ, ნებისმიერი ფრაზა საკმაო კომპლექსურობით ხასიათდება. საინტერესოა, გავცნოთ, თუ როგორია ამ ფრაზების შინაგანი სტრუქტურა და როგორ ფუნქციონირებს იგი გრამატიკულ დონეზე წინადადებაში.


ინგლისურ ენაში წინადადების ქვემდებარე წარმოდგენილია სახელური ფრაზით, რომელიც ექვემდებარება წინადადებას და წინ უძღვის (ხშირ შემთხვევაში ჯერ დამხმარე ზმნას) ზმნურ ფრაზას, (იხილეთ დიაგრამა 2.1) ხოლო მთავარი წინადადების დამატება სტრუქტურულად შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელური ფრაზა, რომელიც ექვემდებარება ზმნურ ფრაზას (იხილეთ დიაგრამა 2.2)



თუკი გავანალიზებთ ფრაზას „ the people in the room ” - სტრუქტურულად იგი სახელურ ფრაზას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულმა ფრაზამ წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია შეასრულოს. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ წინადადებაში, იგი წინადადების ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს, თუმცა წინადადებაში “ The police arrested the people in the room ” იგივე სახელური ფრაზა წინადადების დამატების ფუნქციას ასრულებს.

ასეთი სახით, კონკრეტულ წინადადებაში სტრუქტურულად ერთი და იგივე სახელურმა ფრაზამ შეიძლება შეასრულოს როგორც ქვემდებარის, ასევე დამატების ფუნქციაც თავისი პოზიციიდან გამომდინარე. შესაბამისად, წინადადების სტრუქტურული და მიმართებითი ცნებები არსებითია წინადადების შინაარსის განსაზღვრისთვის. მოცემული ორი წინადადება განსხვავებული შინაარსის მატარებელია იმდენად, რამდენადაც სახელური ფრაზა, რომელიც ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს პირველ წინადადებაში, დამატების ფუნქციით იტვირთება მეორე წინადადებაში (იხილეთ დიაგრამა 3 1./3.2).


დიაგრამა 3.




გარდა სტრუქტურული და ფუნქციური, მიმართებითი ცნებებისა, ხის დიაგრამაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ბუნდოვანი წინადადებების ახსნაც. განვი-

ხილოთ წინადადება: „the mother of the boy and the girl will arrive soon” მოცემული წინადადება ბუნდოვანია, (მიუხედავად იმისა, რომ მასში შემავალი არც ერთი სიტყვა არ არის გაუგებარი.) იმდენად, რამდენადაც შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას ორი განსხვავებული მნიშვნელობით: (იმისდა მიხედვით, თუ როგორ დავაჯგუფებთ მეტყველების ნაწილებს.) წინადადება: The mother {of the boy and girl} will arrive soon თუ სიტყვათა შემდეგ მიმდევრობას „of the boy and girl“ ერთად დავაჯგუფებთ, მაშინ წინადადება ნიშნავს, რომ მხოლოდ დედა ჩამოვა, მაშინ როცა იგივე წინადადებაში ალტერნატიული სიტყვათა დაჯგუფების შემთხვევაში - „{the mother of the boy} and the girl will arrive soon“ ვიღებთ განსხვავებულ შინაარსს - ბიჭის დედა და გოგო ერთად ჩამოვლენ. პირველ წინადადებაში ქვემდებარის ბირთვი, „დედა“ განსაზღვრულია წინდებულიანი ფრაზით „of the boy and girl“, ხოლო მეორე წინადადებაში, სახელური ფრაზა, რომელიც ქვემდებარეს გამოხატავს, თავად არის ორი სახელური ფრაზის-“ the mother of the boy“ და „the girl“ გამაერთიანებელი სახელური ფრაზა (იხილეთ დიაგრამა 4.1/4.2)

დიაგრამა 4.1.



დიაგრამა 4.2.



როგორც ვხედავთ, უშუალო შემადგენლის ხისებრი დიაგრამა (როგორც თავად ეს მეთოდი) ნათელს ჰყენს წინადადების სტრუქტურულ, ფუნქციურ და შინაარსობრივ მახასიათებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადების სინტაქსური ანალიზის (უშუალო შემადგენლობების) მეთოდი წარმოადგენს, ენობრივი გამონათქვამების აღწერის ეფექტურ მეთოდს, იგი წინადადების ფორმალურ აღწერას ემსახურება და ყურადღების მიღმა ტოვებს წინადადების შექმნის მექანიზმს. სწორედ ამ საკითხის კვლევით დაინტერესდა მე-20 საუკუნის ენათმეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ნაომ ჩომსკი.

XX საუკუნის 50-იან წლებში ვითარდება ენისადმი გენერაციული (წარმომშობი) მიდგომა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა სამეცნიერო სარბიელზე ე.წ. „*გენერაციული გრამატიკის*“ გამოჩენა, რაც ამერიკელი ენათმეცნიერის, ჩომსკის სახელსა და მის გახმაურებულ ნაშრომს „*სინტაქსური სტრუქტურები*“ უკავშირდება. ემპირიული კვლევები გენერაციულ კვლევაში დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში, რის შედეგადაც, მიღწეული იქნა ბევრი უნივერსალური პრინციპები. მეოცე საუკუნის, ალბათ, არც, ერთ ლინგვისტურ თეორიას არ ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორც *ნაომ* ჩომსკის სინტაქსის თეორიას ხვდა წილად.

ეს თეორია მიზნად ისახავდა ენის წარმოშობის, მოქმედებისა და ათვისების პროცესების ახსნას. ამ თეორიის ფარგლებში ენის არსის სრულიად ახლებური კუთხით წარმოჩენა მეცნიერებს მიმზიდველ პერსპექტივებს უსახავდა. ჩომსკის იდეებმა ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთაც პოვა ასახვა, პირველ რიგში, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. ჩომსკი განასხვავებდა *ენობრივ კომპეტენციას* ანუ ენის იდეალურ ცოდნას და *ენობრივ პერფორმაციას* ანუ ამ იდეალური ცოდნის რეალურ გამოყენებას.

ჩომსკის მიხედვით, ლინგვისტის ამოცანა ენობრივი კომპეტენციის კვლევაა. კომპეტენციის თეორიამ უნდა ჩამოაყალიბოს ის წესები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია კორექტული წინადადებების და კერძოდ, ყველა და მხოლოდ კორექტული წინადადების წარმოება. ვინაიდან ენის კომპეტენცია ენის სრულყოფილ ცოდნას გულისხმობს, რაც რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია. ჩომსკიმ ასეთი აბსოლუტური კომპეტენციის მქონე ფიქციური ინსტანცია შემოგვთავაზა: იდეალური მთქმელი და იდეალური მსმენელი. იდეალურ მთქმელსა და იდეალურ მსმენელს ენის წესებისა და მთელი ლექსიკონის ცოდნის გარდა, აქვს დამახსოვრების უსაზღვრო უნარი. ასეთი ინსტანციის დახმარებით ჩომსკიმ წარმოაჩინა ენის პარადოქსული თვისება სიტყვების სასრული რაოდენობით წინადადებების უსასრულო რაოდენობის შექმნის შესაძლებლობა და მეტიც, ერთი უსასრულო წინადადების (ჩომსკის ტერმინოლოგიით) გენერირების შესაძლებ-

ლობა. ჩომსკის მოსაზრებით, *პერფორმაცია* არის რეალურ სიტუაციაში გამოყენებული ენა - მეტყველება. ჩომსკი წარმოადგენს *პერფორმაციას* როგორც დაზიანებულ კომპეტენციას. სინამდვილეში წარმოთქმული წინადადებები მართლაც ხშირად ხასიათდება შეცდომებით, დაუსრულებელი გაწყვეტილი გრამატიკულად არაკორექტული ფრაზებით. რეალურ ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული ენის ცუდად ცოდნით, დამახსოვრების შეზღუდული უნარით, ყურადღების სხვა რამეზე უეცარი გადატანით და ა.შ. ახლა კი გავეცნოთ, თუ რაში მდგომარეობს ჩომსკის თვალსაზრისით წინადადების შექმნის მექანიზმი.

ცნობილია, რომ ყოველი ენა ავლენს ერთგვარ მიდრეკილებას ხშირად გამოყენებადი სტრუქტურების მიმართ და შესაბამისად, მსმენელსაც, რომელმაც იცის ენა, წინადადების გავრცობის სათანადო მოლოდინი აქვს. მისი ვარაუდი ენის შესაძლო სტრუქტურების (არაცნობიერ) ცოდნას ეყრდნობა. მომდევნო ნიშნის ალბათობა არა მხოლოდ ერთ წინა ნიშანზე, არამედ წინა ორ, სამ ნიშანზეა დამოკიდებული. მაგალითად, ინგლისურ ენაში ნიშანთა ასეთ კომბინაციას, არტიკლი + ზედსართავი სახელი, დიდი ალბათობით მოჰყვება არსებითი სახელი (a beautiful lady), და არა კიდევ ერთი ზედსართავი სახელი (a beautiful nice). ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგი სიტყვის ერთობლიობა გარკვეულ ჯგუფებს ქმნის და წინადადებაც შედგება არა სიტყვების ერთმანეთთან უბრალო დაკავშირებისგან, არამედ სიტყვათა ჯგუფების, ფრაზების ერთობლიობისგან. ჩომსკის თეორია გვიჩვენებს, თუ რა წესებით მიმდინარეობს სიტყვების ფრაზებად გაერთიანება და შემდეგ ამ ფრაზების ერთ წინადადებად შეკვრა. ამ თეორიის თანახმად, წინადადების სინტაქსური სტრუქტურა არის წარმოების წესების თანმიმდევრული გამოყენება. წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისურ ენაზე მარტივი წინადადების თქმა გვსურს, მაგალითად- „the cat drank milk“, ამისთვის დაგვჭირდება გარკვეული სტრუქტურის ცოდნა, რომლებიც ჩომსკის თეორიის თანახმად, წარმოშობისა და ჩანაცვლების წესების ერთიანობას წარმოადგენს. ამ წესებს ასეთი ფორმა აქვს: $A \rightarrow B$, ანუ ისრის მარცხნივ მყოფ ნაწილს ჩანაცვლებს ისრის მარჯვნივ მყოფი ნაწილი.

1.S \rightarrow NP + VP

(2a) VP \rightarrow V

(2b) VP \rightarrow V + NP

(3a) NP \rightarrow N

(3b) NP \rightarrow Art + N

პირველი (1) წესის თანახმად, ყოველი წინადადება (S) შედგება სახელური და ზმნური ფრაზებისგან. ზმნური ფრაზა (2a) წესის თანახმად, მხოლოდ ზმნისგან

შედგება – V; ან (2ბ) წესის მიხედვით – ზმნისა და სახელური ფრაზისგან V + NP. (3ა) წესის მიხედვით, სახელური ფრაზა შედგება ან მხოლოდ არსებითი სახელისგან N; ან (3ბ) წესის თანახმად, არტიკლისა და არსებითი სახელისგან Art+N. ამ წესების (პირველიდან მესამეს ჩათვლით) გამოყენება ქმნის წინადადების კონსტიტუციურ, შემადგენელ სტრუქტურას. წინადადების სტრუქტურიდან კონკრეტული წინადადების მისაღებად საჭიროა შესაბამისი ლექსიკონის (ლექსიკონი წარმოადგენს სიტყვებისა და მორფემების ჩამონათვალს) ცოდნა და ჩანაცვლების წესების გამოყენება. ჩანაცვლების წესები განსაზღვრავს შესაფერისი სიტყვისთვის სათანადო ადგილის შერჩევას. მათ წარმოების წესებისგან განსხვავებული ფორმა აქვს და კერძოდ: A → {a,b,c...}, სადაც A-ს ფრჩხილებში მოცემული რომელიმე ვარიანტით {a,b,c} ჩანაცვლებით. ჩვენი მაგალითი ამ წესების დახმარებით შეიძლება ასე შევაკვლით:

(4) N → { people, cat, mouse, milk, bread....}

(5) V → { loved, drank, ate...}

(6) Art→{ the,a, one...}

ამის შემდეგ შესაძლებელია კონკრეტული წინადადებების შექმნა. (1) წესის თანახმად, წინადადება გაიყოფა ზმნურ და სახელურ ფრაზებად. (3ბ) წესის თანახმად, სახელური ფრაზა შედგება არტიკლის + არსებითი სახელისგან. ზმნური ფრაზა (2ბ) წესის მიხედვით შედგება ზმნა + სახელური ფრაზისგან, სადაც სახელური ფრაზა, თავის მხრივ, (3ა) წესის მიხედვით შედგება მხოლოდ არსებითი სახელისგან. კონკრეტული სიტყვების ჩასასმელად ვიყენებთ (4)-(6) ჩანაცვლების წესებს, რის შედეგადაც ვიღებთ კონკრეტულ წინადადებას. („the cat drank milk) ამ წესების (1)-(6) გამოყენების საშუალებით შესაძლებელია მრავალი (მარტივი) წინადადების წარმოება (მაგ.:People love cats, the child drinks milk, cats eat mice). ჩვენი მაგალითის გრამატიკის ოდნავი გაფართოება (წესების დამატებით, ლექსიკონის გაფართოებით) წინადადებების ბევრად მეტი რაოდენობის წარმოების საშუალებას მოგვცემდა.


ტრანსფორმაციების წესები: სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები.

ენობრივი გამონათქვამის წარმოების პროცესის ფარგლებში ჩომსკი განასხვავებს ენის სიღრმისეულ და ზედაპირულ სტრუქტურებს. სიღრმისეული სტრუქტურა იქმნება ზემოხსენებული წარმოშობისა და ჩანაცვლების წესებსა და ლექსიკონზე დაყრდნობით. ის „რეალური“ მეტყველებისთვის საჭირო კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ბაზისური სტრუქტურაა, რომელიც წინადადების წარმოებისთვის საჭირო ყველა ერთეულს შეიცავს. სიღრმისეული სტრუქტურის

გარკვეული დამუშავების შედეგად ვიღებთ წარმოთქმულ წინადადებას, ზედაპირულ სტრუქტურას. სიღრმისეული სტრუქტურის ზედაპირულ სტრუქტურად გარდასაქმნელად ტრანსფორმაციის წესები გვჭირდება. ტრანსფორმაციის წესების მეშვეობით შესაძლებელია მთლიანი წინადადებების შეცვლა, მისი მოდუსის ტრანსფორმირება. ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებას „the cat drank milk“, ვნებითი გვარის ტრანსფორმაცია შემდეგნაირად შეცვლიდა: „milk was drunk by the cat“, *ნეგაციის* (უარყოფის) ტრანსფორმაციის შედეგად მივიღებდით ასეთ წინადადებას: „the cat did not drink milk“.

ტრანსფორმაციის წესები წარმოების წესებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი ერთ ელემენტს სხვა ელემენტით (ან ელემენტების ჯგუფით) კი არ ჩაანაცვლებს, არამედ წინადადების მთელი სტრუქტურა გადაჰყავს სხვა, განსხვავებულ სტრუქტურაში. ტრანსფორმაციის წესები ხსნის იმ გარემოებას, რომ არსებობს ისეთი წინადადებები, რომლებსაც განსხვავებული კონსტიტუციური სტრუქტურა, თუმცა კი მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობა აქვთ მაგ.: „The cat chase mouse“ და „Mouse was chased by cats“.

ტრანსფორმაციების საშუალებით შესაძლებელია, სიღრმისეული სტრუქტურა გარდავქმნათ ზედაპირულ სტრუქტურად ანუ, პრაქტიკულად, რეალურად წარმოთქმულ წინადადებად. ჩომსკის მიხედვით, ზემოთ დასახელებული მსგავსი მნიშვნელობის მქონე წინადადებებს განსხვავებული ზედაპირული, მაგრამ საერთო სიღრმისეული სტრუქტურა აქვს. ტრანსფორმაციის წესების გამოყენებით, ერთი და იმავე სიღრმისეული სტრუქტურიდან ორი განსხვავებული ზედაპირული სტრუქტურის მქონე წინადადების მიღება შესაძლებელია. ამრიგად, ჩომსკის თანახმად: *წარმოშობისა და ჩანაცვლების წესებისა და ლექსიკონის დახმარებით იქმნება წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა; სიღრმისეული სტრუქტურის მნიშვნელობას განსაზღვრავს გარკვეული სემანტიკური (შინაარსობრივი) ინტერპრეტაციის წესები; ტრანსფორმაციის წესების შედეგად მიიღება წინადადების ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც ფონოლოგიური წესების შესაბამისად, საბოლოოდ გამოთქმული წინადადების სახეს იღებს. ეს პროცესი სქემატურად შემდეგი ფორმით შეიძლება გამოვსახოთ (იხილეთ დიაგრამა 5.):*



საგულისხმოა, რომ წინადადების აღქმის პროცესი საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს. ზედაპირული სტრუქტურა სიღრმისეულ სტრუქტურად გარდაიქმნება, რომლის სემანტიკური ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლებელია ნათქვამის მნიშვნელობის გაგება.

ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის თანახმად, ადამიანი წინადადებას სიტყვასიტყვით კი არ აღიქვამს, არამედ მხოლოდ მის სიღრმისეულ სტრუქტურას (ანუ შინაარსობრივ პლანს) და გამოყენებული ტრანსფორმაციის მინიშნებებს. ასე მაგალითად, წინადადება „the cats chase mice“ პასიურ კონსტრუქციაში „ტრანსფორმირებისას“ შემდეგნაირად იქნება დამახსოვრებული: ([the cats chase mice] ვნებითი გვარი), ვნებითი გვარის კითხვითი წინადადება „are mice chased by cats?“ შემდეგნაირად: ([the cats chase mice] ვნებითი გვარი, შეკითხვა), ხოლო უარყოფითი ვნებითი გვარის კითხვითი წინადადება „were not mice chased by cats?“ კიდევ უფრო რთულ ფორმას მიიღებს: ([the cats chase mice] ვნებითი გვარი, შეკითხვა, უარყოფა).

თხრობითი წინადადებების დამახსოვრება ყველაზე იოლია, რადგან ის, როგორც უკვე ითქვა, სიღრმისეულ სტრუქტურას პრაქტიკულად ემთხვევა.

წინადადება კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში.

როგორც ითქვა, სინტაქსი იკვლევს ენობრივი სისტემის იმ დონეს, რომლის ძირითად ერთეულს წარმოადგენს წინადადება. მაგრამ წინადადების კვლევის ტრადიცია არსებობდა ენობრივი სისტემის დონეებრივ ხედვამდეც. სინტაქსი ტრადიციულად იკვლევდა წინადადების ტიპებს და წინადადების ამა თუ იმ წევრს (ქვემდებარეს, დამატებას და ა.შ.). ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკა ეყრდნობა როგორც სისტემური პარადიგმის ფარგლებში წარმოდგენილ დონეებრივ ხედვას წინადადების შესახებ, ასევე იმ ტრადიციასაც, რაც მანამდე არსებობდა წინადადების კვლევისას. როგორც გვახსოვს, წინადადება სისტემური პარადიგმის ფარგლებში ენობრივი დონეების იერარქიაში უმაღლესი დონის ნიშნობრივ ერთეულად მიიჩნეოდა. ხოლო როდესაც წინადადება სისტემური პარადიგმიდან კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადავიდა, ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულად აღიარებულ იქნა არა წინადადება, არამედ ტექსტი. შესაბამისად, სინტაქსიც დაიყო ორ დონედ: *მიკროსინტაქსი*, რომელიც შეისწავლის წინადადებას ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ანუ შეისწავლის წინადადების ისეთ კომპონენტთა ფუნქციებს, რომელთაც წინადადების ფარგლებში ასრულებენ სიტყვებით გამოხატული წევრები (ანუ იკვლევს წინადადების ამა თუ იმ შესაძლო წევრს (ქვემდებარეს, დამატებას და ა.შ.); *მაკროსინტაქსი* (ანუ იგივე ტექსტის სინტაქსი), რომელიც შეისწავლის უკვე ტექსტს, რომლის ფარგლებში თავად წინადადებები ასრულებს ისეთ ფუნქციას, რომელსაც წინადადებაში ასრულებს სიტყვებით გამოხატული წინადადების წევრები.

ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკისათვის მნიშვნელოვანია, რომ სინტაქსი დავინახოთ არა მხოლოდ წინადადების როგორც მოცემული დონის ენობრივი ნიშნის შემსწავლელი ის დარგი, რომელიც გამოყო სისტემურმა ენათმეცნიერებამ, არამედ უფრო ფართოდ - ერთი მხრივ, იმ ტრადიციის გათვალისწინებით, რაც მანამდე არსებობდა ენობრივ ერთეულთა კვლევისას, მეორე მხრივ კი, კომუნიკაციურ განზომილებაში (სადაც წინადადება უკვე შეისწავლება როგორც ისეთი გამონათქვამი, რომლის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის ფარგლებში). ისევე, როგორც ენის ლექსიკურ სისტემაში გვაქვს *სიგნიფიკატი*, რომელიც მეტყველებაში შეიძლება იქცეს რეფერენტად, ასევე ენის სინტაქსურ სისტემაში გვაქვს წინადადების მოდელები, რომლებიც კონკრეტულ სახეს (ანუ სიტყვებით შევსებულ სახეს) იღებენ მეტყველებაში (ენობრივი კომუნიკაციის პროცესში). წინადადებათა ეს მოდელები (ანუ სინტაქსური მოდელები) შეიძლება საფუძვლად დაედოს მეტყველებაში (ენობრივი კომუნიკაციის პროცესში) წინადადებათა უსასრულო რაოდენობის წარმოშობას. მაგალითად, ავილოთ წინადადება „ქალი მიდის ქუჩაში“. ის სინტაქსური მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ

კონკრეტულ წინადადებას, შეიძლება რეალიზდეს მრავალ სხვა კონკრეტულ წინადადებად: „ბავშვი მიდის სკოლაში“, „დედას სძინავს ოთახში“, „სტუდენტი წერს აუდიტორიაში“ და ა.შ. წინადადებათა ჩვენთვის კარგად ცნობილი სახეები (ტიპები) აგებულების მიხედვით - მარტივი, შერწყმული და რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი), წინადადებები, ეფუძნება ენის სისტემაში არსებულ სინტაქსურ მოდელებს. მასზე ეფუძნება, ასევე, წინადადებათა კლასიფიკაცია მათი კომუნიკაციის ტიპის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორია კომუნიკაციის კონკრეტული მიზნობრივი ფუნქცია, კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში წინადადება გაიგება უკვე როგორც ამ ფუნქციის შესაბამისი გამონათქვამი. თუ ენის სისტემაში წინადადებები წარმოადგენენ ენის ერთეულებს, ენის აქტუალიზაციის დონეზე - ისინი მეტყველების ერთეულებად იქცევიან. სწორედ მეტყველების ამ მინიმალურ ერთეულს ეწოდება „გამონათქვამი“. ნებისმიერი გამონათქვამის მნიშვნელობა შეიძლება დაკონკრეტდეს მხოლოდ გარკვეულ კომუნიკაციურ კონტექსტში. მაგალითად, ავიღოთ ამგვარი წინადადება: „პროფესორმა დააგვიანა“. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ცოდნა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, გვესმოდეს ამ წინადადების სემანტიკა - მისი მნიშვნელობა, იგი არ უდრის იმ მნიშვნელობას, რომლითაც ის მეტყველებაში შეიძლება გამოვიყენოთ. კონტექსტმა კი შეიძლება გვაჩვენოს, რომ ეს წინადადება შეიცავს შემდეგ გამონათქვამებს: აგვიანებს ჩვენი პროფესორი (და არა ნებისმიერი პროფესორი). პროფესორი აგვიანებს ლექციაზე (და არა რესტორანში).

ვიმჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რა არის წინადადების, როგორც ენობრივი ნიშნის ფუნქცია?
2. განმარტეთ სინტაქსის, როგორც ენათმეცნიერების დარგის და მისი საკვლევი ობიექტის -წინადადების რაობა.
3. განმარტეთ ფრაზის, როგორც ენობრივი ერთეულის რაობა და იმჯელოთ მის სტრუქტურაზე.
4. რა არის წინადადების უშუალო შემადგენელი? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
5. განმარტეთ მართვისა და შეთანხმების ცნებების რაობა. რატომ არის შეთანხმება ნაკლებად აქტუალური თანამედროვე ინგლისური ენისთვის?

6. რას ნიშნავს ტერმინი „ვერბოცენტრიზმი“?
7. განმარტეთ ტერმინი „აქტანტი“.
8. განმარტეთ სტემისა და კვანძის ცნებები. მსჯელობის დროს მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
9. განმარტეთ ენობრივი კომპეტენციისა და პერფორმაციის ცნებები, როგორ უკავშირდება ეს უკანასკნელი წინადადების გენერაციას?
10. გენერაციული გრამატიკის თეორიაზე დაყრდნობით იმსჯელეთ გამო-ნათქვამის წარმოშობისა და ტრანსფორმაციის მექანიზმზე. განმარტეთ სიღრმისეული და ზედაპირული კონსტრუქციების რაობა.
11. რას შეისწავლის მაკროსინტაქსი და მიკროსინტაქსი? ?
12. რას ნიშნავს წინადადების მოდელის (სინტაქსური მოდელის) ცნება?
13. რა განსხვავებაა წინადადებასა და გამონათქვამს შორის?

ტექსტი და მისი შემსწავლელი დარგი - ტექსტის ლინგვისტიკა

როდესაც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მოაზროვნე, ფილოლოგი და ფილოსოფოსი – მ. ბახტინი XX საუკუნის 30-იან წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა მთელ ჰუმანიტარულ-ფილოსოფიურ აზროვნებაში ტექსტის როლის შესახებ, რომ „ტექსტი არის პირველადი მოცემულობა (რეალობა) და ყველა ჰუმანიტარული დისციპლინის ამოსავალი წერტილი“, მაშინ ჯერ კიდევ არავინ ვარაუდობდა ლინგვისტიკაში სპეციალური მიმდინარეობის გამოყოფას. ტექსტის ლინგვისტიკამ 60-70-იან წლებში დაიწყო ფორმირება. ენათმეცნიერები მოცემული დისციპლინის ფარგლებში ენობრივი მოვლენების მეცნიერული აღწერის ჩარჩოების გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. „ენობრივი მოვლენების აღწერის გაფართოება“, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული წინადადებების საზღვრების გაცდენას და მრავალი ენობრივი მოვლენის გაცილებით უფრო „მსხვილი“ ერთეულის ფარგლებში განხილვასა და შესწავლას გულისხმობდა. თუმცა, ამ დროისთვის, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო საფუძველი ჩაყროდა ისეთი დამოუკიდებელი დისციპლინის წარმოშობას, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ორიენტაციას შეუძველიდა ტრადიციულ ენათმეცნიერებას. ცალკეული წინადადების საზღვრებს მიღმა კვლევის სფეროდ იქცა სამეტყველო წარმონაქმნში შემავალ ელემენტთა შინაარსობრივი ურთიერთკავშირითა და სტრუქტურული ურთიერთმიმართებებით წარმოდგენილი მთელი სამყარო. ეს ახალი "სამყარო" იყო ტექსტის ლინგვისტიკა, რომელიც თანდათანობით სულ უფრო მეტ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად. როგორც წესი, ახალი მეცნიერული მიმდინარეობების წარმოშობას წინ უძღვის ამა თუ იმ ფენომენის გააზრებისა და აღწერის მრავალმხრივი მცდელობა.

ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება არც შემთხვევითი ხასიათის ყოფილა და არც ცარიელ ადგილას მომხდარა. მისი წარმოშობა, განპირობებული იყო როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ასევე არალინგვისტური ფაქტორებით.

ლინგვისტურ ფაქტორებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურ ლინგვისტიკაზე გადასვლას. სტრუქტურული მიდგომის თანახმად, ლინგვისტური ანალიზის უმაღლეს დონედ ითვლებოდა წინადადება. ლინგვისტური ანალიზის სტრუქტურალისტური ტენდენციები ითვალისწინებდა ენობრივი სისტემის შემადგენელი ელემენტების (ფონემების, მორფემების, სიტყვებისა და წინადადებების) შესწავლასა და ანალიზს. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმის თვით ყველაზე „ერთოდოქ-

სი" წარმომადგენლებიც კი კარგად აცნობიერებდნენ სინტაქსის უმაღლესი ერთეულის – წინადადების საზღვრების პირობითობას. რადგან წინადადების დონეზე უკვე შეუძლებელი ხდებოდა ბევრი ენობრივი მოვლენის ახსნა, ამიტომ საჭირო გახდა წინადადების ფარგლებს გარეთ გასვლა, ანუ ენობრივ მოვლენათა კვლევა და ინტერპრეტაცია უფრო „მსხვილი" ერთეულის - ტექსტის ფარგლებში.

ფუნქციური მიდგომა, როგორც გ.ლებანიძე აღნიშნავს, ნიშნავს „ენობრივი მოვლენის ახსნას იმ როლის მიხედვით, რომელსაც ეს ენობრივი მოვლენა ასრულებს წინადადების ფარგლებში" მაგრამ, ასეთი ანალიზი შეუძლებელია მხოლოდ წინადადების ფარგლებში თუნდაც ენობრივი მოვლენის -არტიკლის მიმართ. როგორც ცნობილია, განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება საგნის პირველი დასახელებისას, განსაზღვრული კი - განმეორებით დასახელებისას. განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლის ფუნქციების ახსნა შეუძლებელია წინადადების დონეზე, ვინაიდან შეუძლებელია ერთი და იმავე საგნის ერთი წინადადების ფარგლებში დასახელება. ასევე, შეუძლებელი აღმოჩნდა ტემპორალური ურთიერთმიმართებების და კიდევ მრავალი ენობრივი მოვლენის ფუნქციური ახსნა წინადადების ფარგლებში. როგორც უკვე ითქვა, საჭირო გახდა ენობრივ მოვლენათა ახსნა გაცილებით უფრო „მსხვილი" ერთეულის - ტექსტის ფარგლებში.

როგორც ვხედავთ, ფუნქციური მიდგომა მდგომარეობდა ტექსტის ცალკეული კომპონენტების განხილვაში მათი როლის თვალსაზრისით მთლიანი ტექსტის ორგანიზების ფარგლებში. გარდა საკუთრივ ლინგვისტური მიზეზებისა, ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის ფორმირებაში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა, ასევე, სხვა სამეცნიერო დისციპლინათა გარეგანმა ზემოქმედებამ, რომელთაც უშუალო გადაკვეთის წერტილი აკავშირებდათ ენათმეცნიერებასთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტიკის, სტილისტიკის, რიტორიკის, ჰერმენევტიკის, სემიოტიკის, ფსიქოლინგვისტიკის მონაცემთა როლი.

ახალი დისციპლინის ფორმირებამ, რომლის მიზანი იყო ტექსტის სიტყვიერი (ვერბალური) ორგანიზაციის შესწავლა, ბუნებრივია, გამოიწვია შესაფერისი ტერმინის შერჩევის აუცილებლობა. ტერმინი „ტექსტოლოგია" უკვე „დაკავებული" აღმოჩნდა, კერძოდ, იგი აღნიშნავდა მეცნიერებას, რომელიც შეისწავლიდა ისტორიულ ტექსტებს მათი გაშიფვრის, დათარიღების და ა.შ. თვალსაზრისით ამდენად, ახალი მეცნიერების სახელწოდებად არჩეული იქნა - **ტექსტის ლინგვისტიკა**. თავად ტერმინ „ტექსტის ლინგვისტიკით" ნაგულისხმევი შინაარსი, ერთი შეხედვით, სრულიად მარტივად უპასუხებს კითხვას, თუ რა არის ამ დისციპლინის შესწავლის საგანი. რა თქმა უნდა, ტექსტი, უფრო კონკრეტულად კი,

ვერბალური ტექსტი (მათ შორის მხატვრული ტექსტიც), რომლის დახასიათებისა და აღწერისთვის მნიშვნელოვანია ლინგვისტიკაში დაგროვილი მონაცემები.

რას ნიშნავს ვერბალური ტექსტი? ტერმინი „ტექსტი“ შეიძლება იხმარებოდეს როგორც მაქსიმალურად ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით. მაგალითად, ტექსტად შეიძლება იწოდებოდეს რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ნაწარმოები და, ასევე, ორი ან ორზე მეტი თემატურად ურთიერთდაკავშირებული წინადადება. გარდა ამისა, ტექსტი ექცევა სხვა დარგების ინტერესთა სფეროში, ასე მაგალითად თანამედროვე სემიოტიკა ტექსტად განიხილავს ნებისმიერ (არა მხოლოდ ვერბალურ) ნიშნობრივ თანმიმდევრობას: მხატვრულ ტილოს, ლექსს, ცეკვას, რაიმე ტიპის ჟესტს და ა.შ.

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა განისაზღვრება როგორც *სამეცნიერო დისციპლინა, რომლის მიზანია შეისწავლოს არა არავერბალური, არამედ ვერბალური ტექსტი (მათ შორის მხატვრული ტექსტები) მისი სტრუქტურა, მისი შეადგენელი კატეგორიები, მათი შექმნისა და აგების გზები.*

თავისი არსით ტექსტის ლინგვისტიკა ზოგადფილოლოგიური დისციპლინაა, რომელიც თავს უყრის ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინათა მთელ ციკლს. თუმცა აქვე უნდა გავმიჯნოთ ლიტერატურათმცოდნეობისა და ტექსტის ლინგვისტიკის სამეცნიერო კვლევის სფეროებიც. როგორც ნ. შევჩენკო აღნიშნავს, მართალია, ტექსტის ლინგვისტიკას და ლიტერატურათმცოდნეობას აქვთ საერთო შესწავლის ობიექტი – ტექსტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ობიექტი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ლიტერატურათმცოდნეობისა, რადგან ტექსტის ლინგვისტიკა გულისხმობს ნებისმიერი ვერბალური ტიპის ტექსტის შესწავლას და არა მხოლოდ მხატვრული ტექსტისა.

ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის ტექსტს, როგორც ყველა იმ ენობრივი ელემენტის კომბინაციას, რომელთა ურთიერთქმედების შედეგად აიგება იგი. მაშ, სად იკვეთება ეს ორი დისციპლინა? ტექსტის ლინგვისტიკა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ასევე აანალიზებს ენობრივი მიმართებების ცვალებადობას, განსაზღვრავს გამოხატვის პლანისა და შინაარსის პლანის ფუნქციებს, სწორედ აქ ხდება მისი და ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრების „ურთიერთგადაკვეთა“.

რა არის ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის საზღვრები? პასუხი ამ კითხვაზე არაერთაზროვანია, რადგან ამ საკითხთან მიმართებაში არსებულ სხვადასხვა ლინგვისტთა ნააზრევსა და კონცეფციებში განსხვავებულ სურათს ვაწყდებით ხოლმე. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში გერმანელი ლინგვისტი ჰ. ბუსმანი ამგვარად განმარტავს ტექსტის ლინგვისტიკის არსს: „ტექსტის ლინგვისტიკა

არის ენათმეცნიერული დისციპლინა. მისი საგანი ენობრივ კანონზომიერებათა შესწავლაა, რომლებიც სცილდებიან ერთი წინადადების ფარგლებს. იგი მიზნად ისახავს ტექსტის, როგორც ენის ერთეულის მაკონსტიტუირებელი ნიშნების განსაზღვრას, და სწორედ ამით უყრის საფუძველს ტექსტის თეორიას".

ზ. ტურაევას მიხედვით, ტექსტის ლინგვისტიკა არის მეცნიერება ადამიანთა კომუნიკაციის წინაპირობისა და პირობების ორგანიზების არსის შესახებ. იგი გამოყოფს რამდენიმე მიმართულებას, რომლის ფარგლებშიც ვითარდება ტექსტის ლინგვისტიკა: 1) ტექსტის, როგორც იმ უმაღლესი რანგის ენობრივი სისტემის შესწავლა, რომლის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს მთლიანობა და შეკავშირებულობა; 2) ტექსტთა ტიპოლოგიის აგება კომუნიკაციური პარამეტრების მიხედვით, ლინგვისტურ ნიშანთა ურთიერთშესაბამისობით; 3) ტექსტში შემავალი ძირითადი ერთეულების შესწავლა; 4) ტექსტობრივ კატეგორიათა გამოვლენა; 5) ტექსტის ფარგლებში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების განსაზღვრა; 6) ტექსტში შემავალი ფრაზათაშორისი კავშირებისა და მიმართებების შესწავლა.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ლინგვისტიკის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ტექსტის ტიპებისა და ტექსტობრივი კატეგორიების განსაზღვრას.

ტექსტის ტიპოლოგიზაცია უშუალოდ უკავშირდება **ფუნქციური სტილების** კატეგორიზაციის საკითხს. შესაბამისად, ტექსტის ტიპები შეგვიძლია, გამოვყოთ იმ სტილის მიხედვით, რომელიც დომინირებს მოცემული ტიპის ტექსტში. ასე მაგალითად ი. გალპერინის მიერ გამოყოფილი ხუთი სამეტყველო სტილი ტექსტის ხუთ სხვადასხვა ტიპს ახასიათებს.

- **ბელეტრისტული სტილი**, რომელსაც ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია აქვს, გვხვდება მხატვრულ ტექსტში (რომანი, მოთხრობა, ჩანახატი);
- **პუბლიცისტური სტილი**, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ფუნქციით ხასიათდება და გვხვდება სამეცნიერო თხზულებებში;
- **საგაზეთო სტილი**, რომელსაც ახასიათებს ინფორმატიულ-შემფასებლური ფუნქცია, გვხვდება სტატიებში - სიანფორმაციო ტექსტებში;
- **ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის** ფუნქციაა მოპირისპირე ჯგუფებისთვის პირობათა დადგენა, გვხვდება დოკუმენტაციის ტექსტებში.
- **სამეტყველო სტილი** კი სასაუბრო-საკომუნიკაციო ხასიათის ტექსტებში.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად ერთი და იგივე ტიპის ტექსტი შეიძლება ითავსებდეს ერთზე მეტ სტილსაც (მაგალითად, მხატვრული ტექსტი).

რაც შეეხება ტექსტის კატეგორიებს, ისინი კლასიფიცირდება **სემანტიკურ, სტრუქტურულ და პრაგმატიკულ** კატეგორიებად.

სემანტიკური კატეგორიები აერთიანებს ტექსტის ინფორმატიულობას, ქვე-ტექსტს, პრესუპოზიციას, ტექსტის დამთავრებულობას და სხვა.

სტრუქტურული კატეგორიები თავის მხრის აერთიანებს-ინტეგრაციას, რეტროსპექციასა და პროსპექციას, კოჰეზიასა (შიდატექსტობრივი ხაზოვანი მიმართება წინადადებებს შორის), კოჰერენტულობას (სიღრმისეული, ასოციაციური სტრუქტურების იერარქიული ორგანიზაცია), გაბმულობას და შეჭიდულობას სხვა. *პრაგმატული კატეგორია*, რომელიც ორიენტირებული ინფორმაციის შექმნას, გადაცემასა და ინტერპრეტაციაზე აერთიანებს: შინაარსობრივ-ფაქტუალურ, შინაარსობრივ კონცეპტუალურ და შინაარსობრივ-ქვეტექსტუალური ინფორმაციას.

დღეისთვის ტექსტის ლინგვისტიკა ვითარდება ორი, ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული მიმართულებების საფუძველზე. ამ მიმართულებების განსხვავება იკვეთება ტექსტის აღწერისა და მისი ანალიზის კონკრეტული მეთოდების შემუშავების თვალსაზრისით.

ერთი მიმართულების წარმომადგენლები ტექსტს განიხილავენ, როგორც წინადადების იდენტურ, თუმცა მასზე მოცულობით აღმატებულ ერთეულს (ეს მიდგომა თავისი არსით სათავეს სტრუქტურული ლინგვისტიკიდან იღებს, რომლის ფარგლებში უმაღლეს ენობრივ ერთეულად სწორედ წინადადება ითვლებოდა და არა ტექსტი.), ხოლო მეორე მიმართულების მომხრეებს მთელი აქცენტი გადააქვთ ტექსტისადმი კომუნიკაციურ მიდგომაზე. მათი აზრით, ტექსტი კომუნიკაციური სიტუაციის განუყოფელი ნაწილია: იგი ყოველთვის ჩართულია კონკრეტულ კომუნიკაციურ პროცესში, სადაც მეტყველი სუბიექტი და მსმენელი სუბიექტი, შესაბამისად, ავტორი და მკითხველი, თავიანთი სოციალური და სიტუაციური მახასიათებლებით წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არსებობს ამ საკითხისადმი გარკვეული სინთეზური მიდგომაც. ასე მაგალითად ვ.ჰაინემანი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შესწავლის სამ მიდგომაზე: სინტაქსური, სემანტიკური და კომუნიკაციური (ან კომუნიკაციურპრაგმატიკული).

სინტაქსური მიდგომის ფარგლებში „წინადადების გრამატიკის“ მეთოდები ამა თუ იმ სახით გადაინაცვლებენ ტექსტის ანალიზზე, რის შედეგადაც იქმნება ახალი „ტექსტის გრამატიკა“. „ტექსტის გრამატიკა“ აქტიურად იყენებს იმ ცნებით აპარატსა და ანალიზის იმავე მეთოდებს, რასაც „წინადადების გრამატიკა“. „ტექსტის გრამატიკა“ უპირატესად დაინტერესებულია წინადადებათა შეკავშირებით, რაც ნათელს ფენს ტექსტის ზოგიერთ სტრუქტურულ მახასიათებელს.

გარდა „ზედაპირული სტრუქტურის“ შესწავლისა, იქმნება აუცილებლობა „სიღრმისეული“ შინაარსობრივი ურთიერთმიმართებათა კანონზომიერებების

დადგენის ტექსტში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს *სემანტიკური მიდგომის* საფუძველზე. „ტექსტის სემანტიკის“ თეორიის შემუშავება დღესაც სერიოზული და ჯერ კიდევ მეტად პრობლემური საკითხია ტექსტის ლინგვისტიკაში. *კომუნიკაციური* (ან კომუნიკაციურპრაგმატიკული) *მიდგომის* საფუძველზე ტექსტი განიხილება, როგორც განსაკუთრებული კომუნიკაციური ერთეული. ენობრივი სტრუქტურები ვ. ჰაინემანს უპირველესად აინტერესებს როგორც მეტყველი პირის (სუბიექტის) კონკრეტული ინტენციების განხორციელების საშუალება.

როგორც ვხედავთ, ტექსტის ლინგვისტიკას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას თავის წარმოშობის მეტად საინტერესო ისტორია გააჩნია და ამ ისტორიის მანძილზე მოხდა ენის ტრადიციული თეორიის ფუნდამენტური გადაფასება.

ახლა კი დავუბრუნდეთ ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის მთავარ ობიექტს-ტექსტს და შევეცადოთ განვსაზღვროთ მისი რაობა ზემოგანხილული ორი განსხვავებული სტრუქტურული და კომუნიკაციური ხედვის ფარგლებში.

ტექსტის რაობაზე მსჯელობა თავად ტერმინის დეფინიციიდან უნდა დავიწყოთ. ლათინურად „ტექსტი“ *textum* ნიშნავს „ქსოვილს“, „ნაქსოვს“, „კავშირს“, „შეკავშირებულობას“, „ნაშენებს“; *textus* – „ქსოვას“, „შეკავშირებულ თხრობას“, „გადაბმას“, „შეთხზვას“. მაშასადამე, ტექსტი არის ერთი მთლიანობა, რომელიც შინაარსობრივად და სტრუქტურულად ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთმიმართებაში მყოფი ნაწილებისგან შედგება. ცხადია, ეს განმარტება ძალიან ზოგადია და დაზუსტებას მოითხოვს. თუმცა ტექსტის ფენომენის მრავალასპექტური ბუნებიდან გამომდინარე ძნელია, მოიძებნოს ერთი, ყოვლისმომცველი განმარტება. ყველაზე გავრცელებულ დეფინიციათა მიხედვით, ტექსტი წარმოადგენს წინადადებათა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან აზრობრივად (თემატურად) და ლექსიკურ-გრამატიკული კავშირებით. თუ უფრო დავაზუსტებთ, ტექსტი გაიგება როგორც ისეთ გამონათქვამთა მიმდევრობა, რომლებიც გადმოგვცემენ გარკვეულ ინფორმაციას და რომელთაც აერთიანებთ საერთო თემა. ამგვარი თანმიმდევრობისთვის დამახასიათებელია შეკავშირებულობა და მთლიანობა.

კომუნიკაციურად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში გამონათქვამი ტექსტად გადაიქცევა მაშინ, როდესაც მას განვიხილავთ არა მხოლოდ სტრუქტურული (ლინგვისტური), არამედ ექსტრალინგვისტური პარამეტრების გათვალისწინებითაც: 1. საკომუნიკაციო აქტის მონაწილეები მათი სოციალური როლის მიხედვით (ვინ? ვის?); 2. მეტყველების მიზანი და შინაარსი (რისთვის? რის შესახებ?); 3. კომუნიკაციის პირობები (სად? როდის?). ტექსტის

ფენომენისადმი ამგვარი მიდგომა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მისი ფუნქციური ასპექტის შესწავლას.

ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში და, შესაბამისად, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გამოვლენა შეუძლებელია რეალური კომუნიკაციის პირობების გარეშე. ამდენად, თუკი გვსურს განვსაზღვროთ ტექსტის ფუნქციური არსი, ეს პროცესი, იმავდროულად, გულისხმობს კომუნიკაციურ პროცესზე აქცენტის გადატანას. ამდენად, ტექსტის დეფინიციები - „წინადადებაზე აღმატებული ერთეული“, „წინადადებათა თანმიმდევრობა“, უდავოდ კორექტულია, მაგრამ მხოლოდ ტექსტის სტრუქტურული „აგებულების“ ხასიათს, მის მატერიალურ სტრუქტურას“ უსვამს ხაზს, და ყურადღების გარეშე ტოვებს მის ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებს, კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა როლს.

ტექსტის ცნება შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით. ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, არის კომუნიკაციური ცნება, რომელიც ორიენტირებულია განსაზღვრული ტიპის ქმედების სპეციფიკის გამოსავლენად. რას გულისხმობენ ლინგვისტები, როდესაც აღნიშნავენ, რომ „ტექსტი არის კომუნიკაციური ცნება“? თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას ენობრივი სტრუქტურები აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეტყველი სუბიექტის კონკრეტული ინტენციების (განზრახვების) განხორციელების ინსტრუმენტი. ტექსტი მიჩნეულია, როგორც „ვერბალური კომუნიკაციის კომპლექსური ერთეული“. ამგვარი თვალსაზრისით უკვე მნიშვნელობა არ ექნება, რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ესა თუ ის ენობრივი ერთეული. როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, ტექსტის ფუნქციური გაგება უფრო სრულად ასახავს ტექსტის, როგორც ლინგვისტური ცნების თეორიულ ასპექტს. „ფუნქციური თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ ლინგვისტური გაგებით ტექსტს ვუწოდებთ. ეს წარმონაქმნი თავისი სტრუქტურული შემადგენლობით შეიძლება უდრიდეს ერთ სიტყვას, შეიძლება შედგებოდეს წინადადებათა მთელი თანმიმდევრობისგან. თუ ენობრივი წარმონაქმნი ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას და ასრულებს ისე, რომ პასუხობს კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მაშინ ეს ენობრივი წარმონაქმნი წარმოადგენს ტექსტს. რადგან მთავარია არა ენობრივი წარმონაქმნის მოცულობა წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფუნქციური გაგება.“

მამასადამე, როგორც ლებანიძე აღნიშნავს ფუნქციური თვალსაზრისით, „ტექსტი უნდა გავიგოთ, როგორც ისეთი ადამიანური ქმედების შედეგად წარმოშობილი ნიშნობრივი წარმონაქმნი, რომელსაც კომუნიკაციური დანიშნულება აქვს.“

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დისციპლინის, კონტურებს შემოვხაზავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი, ძირითადად, ემსახურება როგორც ტექსტში ფუნქციონირებადი ენობრივი ერთეულების ანუ ტექსტის ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით კვლევას, ასევე თვით ტექსტის, როგორც კომუნიკაციური ერთეულის შესწავლას. მას შეუძლია, განსაზღვროს ტექსტის არსი, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა, ტექსტის ორგანიზაციის კანონები, დასახოს ტექსტთა ტიპოლოგიზაციის პრობლემის გადაჭრა. ამდენად, ტექსტის ლინგვისტიკა განისაზღვრება, როგორც ზოგადფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც, XXI საუკუნის მსოფლიო მეცნიერებაში ენის კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მაგისტრალური მიმართულებაა.

ტექსტის სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა

იმდენად, რამდენადაც ტექსტს გააჩნია ურთიერთდაკავშირებული ორი მხარე – ფორმა და შინაარსი, და ამასთანავე, განსაზღვრული ფუნქციები, ამიტომ ტექსტის ანალიზის დროს საჭიროა, გამოიყოს სამი ძირითადი მიდგომა: წმინდა **სინტაქტიკური** (ტექსტის ფორმა), **სემანტიკური** (ტექსტის შინაარსი), **კომუნიკაციურ-პრაგმატიკული** (ტექსტის ფუნქციები).

ტექსტის სინტაქტიკა

როგორც გვანსოვს, სინტაქტიკა შეისწავლის ნიშნის მიმართებას სხვა ნიშნებთან. ამდენად, ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის ობიექტი ტექსტს შიგნით არსებული ტექსტობრივი სეგმენტების ურთიერთმიმართების კანონზომიერებებია. ტექსტის თანამედროვე სინტაქტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც მაკროსინტაქსი, რომელიც გაიმიჯნება ტრადიციული სინტაქსისგან (ანუ წინადადების სინტაქსისგან) იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელში წინადადება განიხილება ავტონომიურად, და არა როგორც ტექსტის კომპონენტი. ხოლო ტექსტის სინტაქტიკისთვის აქტუალურია „გამონათქვამებისა“ და ტექსტში მათი ურთიერთმიმართებების კვლევა. მოცემული მსჯელობის მეტი სიცხადისთვის განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ ცნება „გამონათქვამში“ და რით განსხვავდება იგი ტრადიციული წინადადების ცნებისაგან, რომელსაც შეისწავლის სინტაქსი. **გამონათქვამში**, როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, კონცეპტუალურად აერთიანებს სხვადასხვა დონეს: ლექსიკურს, გრამატიკულს, ლოგიკურ-სემანტიკურს, კომუნიკაციურს და შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციებს, ადრესანტის და

ადრესატის ფონურ ცოდნას და პრესუპოზიციას. ტექსტში ჩვენ საქმე გვაქვს არა ცალკეულ წინადადებებთან, არამედ გამონათქვამებთან ანუ არა ენის ერთეულებთან, არამედ მეტყველების ერთეულებთან, რომლებიც აზრობრივად კონკრეტდება ტექსტში. ნებისმიერი გამონათქვამი წინადადებაა, მაგრამ ნებისმიერი წინადადება არ არის გამონათქვამი. შეიძლება ისეთ შემთხვევასთანაც გვქონდეს საქმე, როდესაც წინადადება შეიცავს რამდენიმე გამონათქვამ-შეტყობინებას. მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ ამგვარ წინადადებას – „სტუდენტები გაემგზავრნენ ექსკურსიაზე“, იგი შეიცავს შემდეგ გამონათქვამებს, რომლებსაც გვაჩვენებს კონტექსტი: სტუდენტები გაემგზავრნენ ექსკურსიაზე (და არა სხვები) სტუდენტები გაემგზავრნენ ექსკურსიაზე (და არა ტყეში). გამონათქვამი შეიძლება იყოს ერთობიექტიანი და რამდენიმეობიექტიანი. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ხდომილება აისახება მის შინაარსში. მაგალითად, მატარებელი მიდის (შეტყობინება მატარებლის მოძრაობის შესახებ) და მატარებელი დიდი სიჩქარით მიდის (შეტყობინება მატარებლის მოძრაობაზე და მისი მოძრაობის სიჩქარეზე). წინადადება-გამონათქვამები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივი და სტრუქტურული (ფრაზათაშორისი) კავშირებით, ერთიანდება ტექსტის ერთეულებად – *ზეფრაზულ ერთიანობებად*, *ტექსტის კომპონენტებად* და *ფრაგმენტებად*, და ბოლოს *მთლიან ტექსტად*. მაშასადამე, იქმნება შემდეგი მიმართება: **წინადადება – გამონათქვამი – ზეფრაზული ერთიანობა** (ორი ან მეტი წინადადების თანმიმდევრობა, რომლებიც ერთმანეთთან თემატურად არიან დაკავშირებული) – **ტექსტი**.

ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის სფეროში, ასევე, შედის, როგორც იმ ზეფრაზულ ერთიანობათა შორის მიმართებები, რომლებიც წარმოადგენენ ტექსტის კომპონენტებს, ასევე მიმართებები ზეფრაზულ ერთიანობათა შიგნით ანუ მიმართებები იმ ენობრივ ნიშნებს შორის, რომლებიც მათ კომპონენტებს წარმოადგენენ.

ზეფრაზული ერთიანობათა შიგნით წინადადებები ერთიანდება არა მხოლოდ ერთი თემის ირგვლივ, არამედ სხვადასხვა სტრუქტურული „სიგნალებით“. წინადადებებს შორის სტრუქტურული სიგნალების როლს ასრულებენ: ნაცვალსახელები, არტიკლები, დროები და ა.შ. ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურული მთლიანობის უზრუნველსაყოფ საშუალებათაგან შეიძლება გამოიყოს: ძირითადი სიტყვების *რეკურენტულობა* (ანუ გამეორება); გრამატიკული საშუალებები - დროისა და ადგილის ზმნიზედები, მიზნის, მიზეზის, დროის, შედეგის და ა.შ. გარემოებები; კავშირები; ჩვენებითი, პირის ნაცვალსახელები, რომლებიც განსაკუთრებული ტექსტოლოგიური ფუნქციის როლში გამოდიან. მაშასადამე, სინტაქტიკური განზომილების დონეზე საქმე გვაქვს ტექსტის ფორმასთან ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტის გამოხატვის პლანთან.

ტექსტის სემანტიკა

ტექსტის სტრუქტურა მოიცავს, როგორც ზედაპირულ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება გამოხატვის პლანს – ტექსტის სინტაქტიკას, ასევე სიღრმისეულ, აზრობრივ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება ტექსტის სემანტიკას. სწორედ სიღრმისეული, აზრობრივი სტრუქტურა აწესრიგებს ნიშნების მიმართებას ობიექტური სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას, შინაარსსა და აზრს. როდესაც გვსურს ტექსტის შინაარსის, მისი სემანტიკის კვლევა, მეტად მნიშვნელოვანი მომენტია ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ცნებების – „მნიშვნელობის“, „შინაარსისა“ და „აზრის“ ურთიერთმიმართების პრობლემის განსაზღვრა. „აზრი“, „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“ ენაში გამოხატულებას პოულობს სიტყვებში, წინადადებებში, გამონათქვამებში და, ცხადია, ტექსტშიც.

ტექსტის სემანტიკის კვლევისთვის განმსაზღვრელია „ტექსტის შინაარსის“ პლანისა და „ტექსტის აზრის“ ცნებების ურთიერთმიმართების კვლევა. ტექსტის შინაარსის პლანი ეს არის სემანტიკური მთლიანი, რომლის ელემენტები ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) მნიშვნელობების სამეტყველო რეალიზაციაა, რაც გამოხატულია კონკრეტული ენობრივი საშუალებებით. ტექსტის აზრი, განიხილება როგორც ის ინფორმაცია, რომელსაც გადასცემს მეტყველი პირი (ადრესანტი) და მას იღებს მსმენელი პირი ან მკითხველი (ადრესატი) შინაარსის ენობრივი საშუალებებით გამოხატვის საფუძველზე, კონტექსტისა და სამეტყველო სიტუაციის ურთიერთქმედებით.

ტექსტში ენობრივი ერთეულების მნიშვნელობით ოპერირების გზით, ავტორს შესაძლებლობა ექმნება მისთვის საჭირო აზრების კონსტრუირებისა. მაგრამ მხოლოდ მნიშვნელობათა ოპერირება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოხდეს აზრის კონსტრუირება. გამონათქვამის (ტექსტის) მნიშვნელობა ან მისი ექსპლიციტური შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება იმ აზრს, რომელსაც გვაძლევს ტექსტი. ერთი მხრივ, ტექსტის შინაარსი არ უდრის მასში შემავალი აზრების ჯამს, ხოლო მეორე მხრივ, აზრი არ მომდინარეობს უშუალოდ ექსპლიციტური შინაარსისგან. მნიშვნელობა ან გამონათქვამის (ტექსტის) ექსპლიციტური შინაარსი, არის ისეთი შინაარსი, რომელიც უშუალოდ გამოიხატება ენობრივი ნიშნების ერთიანობით, რომელთაგანაც შედგება ეს გამონათქვამი. ამგვარი გამონათქვამი ობიექტურია – მისი შინაარსი მეტ-ნაკლებად ერთნაირად იქნება აღქმული. მაგრამ ინფორმაცია, რომელსაც გამონათქვამი შეიცავს, არ ამოიწურება მხოლოდ მნიშვნელობით. ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც არ არის გამოხატული ენობრივ ნიშნებში პირდაპირი მოცემულობით, ეწოდება **იმპლიციტური** შინაარსი ანუ **ქვეტექსტი**.

ქვეტექსტს ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს: მან შეიძლება „შეავსოს“ მნიშვნელობა, მას რაღაც დამატებითი შესძინოს, და შეიძლება საერთოდ შეცვალოს ან სულაც მისი საპირისპირო მნიშვნელობა გვაჩვენოს. განვიხილოთ მაგალითი:

A. – წავიდეთ კვირას ქალაქგარეთ?

B. – არა, აკუმულატორი დამიჯდა.

მოცემული მაგალითის ანალიზს მივყავართ შემდეგ დასკვნებამდე: Bს აქვს მანქანა; Bს მიაჩნია, რომ A გულისხმობდა ქალაქგარეთ მანქანით წასვლას; A და Bს გამგზავრება ქალაქგარეთ ჩვეულებრივი მოვლენაა; Aსა და Bს ურთიერთობა იმგვარია, რომ Aს შეუძლია, შესთავაზოს Bს ერთად გამგზავრება; თუ ვივარაუდებთ, რომ A და B ცოლ-ქმარი არიან, რომელთაც ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მაშინ ამგვარ შეთავაზებას, შერიგების ფარული მოტივი გააჩნია. პასუხად A იღებს უარს, თუმცა არა საბოლოოს, ვინაიდან მიზეზად აკუმულატორის გაუმართაობა სახელდება. რა შეიძლება იყოს მოცემული მაგალითის აზრი (აქტუალური აზრი)? ცხადია, ის, რომ Aს სურს Bსთან შერიგება. მოცემულ შემთხვევაში აქტუალური აზრი ემთხვევა ქვეტექსტს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აზრი (აქტუალური აზრი) უცილობლად არის დამოკიდებული ექსტრალინგვისტურ სიტუაციაზე. მაშასადამე, აზრი მუდამ სიტუაციურია და სუბიექტური, ხოლო შინაარსი - ობიექტური. თუ სიტყვის სემანტიკა ასახავს სინამდვილის ერთ რომელიმე ცალკეულ ნაწილს, წინადადება გამონათქვამის სემანტიკა სიტუაციის (ან სიტუაციათა) შინაარსს, ტექსტის სემანტიკა ასახავს არა ერთ ან რამდენიმე სიტუაციას, არამედ მთლიან რეფერენტულ სივრცეს. შესაბამისად, ჩნდება ტერმინი – **„ტექსტის სემანტიკური სივრცე“**.

თანამედროვე ტექსტის თეორიებში ადგილი აქვს ტექსტის სემანტიკური სივრცის დაყოფას ვირტუალურ და აქტუალურ სემანტიკურ სივრცეებად. ვირტუალურ სივრცეს განეკუთვნება თავად ვერბალური ტექსტი, რომელიც შეიცავს ავტორის (ადრესანტის) ინტენციით შერჩეულ ენობრივ ნიშნებს, ხოლო აქტუალურ სივრცეს – მკითხველის, მსმენელის, რეციპიენტის (ადრესატის) მიერ ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურიდან აზრის გამოტანა. აქედან გამომდინარე, ვირტუალური სივრცე – ტექსტის შინაარსის შესწავლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო მკითხველის მიერ ტექსტის ინტერპრეტაცია მისი აღქმის პროცესში – „აზრის გახსნა“ – ტექსტის სემანტიკის კონცეპტუალური და ემოციური სივრცის შესწავლას.

ტექსტის პრაგმატიკა.

ტექსტის ნიშნის თეორიაზე დაყრდნობით განხილვის დროს ძირითადი აქცენტი გადატანილია ნიშნის პრაგმატიკულ განზომილებაზე. ამდენად, ჩვენი


მიზანია, განვიხილოთ ტექსტი, როგორც უმაღლესი ენობრივი ნიშანი. ტექსტის სტრუქტურა მოიცავს, როგორც ზედაპირულ სტრუქტურას, ასევე სიღრმისეულ, აზრობრივ სტრუქტურას. ზედაპირულ სტრუქტურად, როგორც წესი, მოიაზრება ტექსტის სინტაქტიკა – ნიშნებს შორის მიმართებები (გრამატიკული მიმართებები), მათი ერთმანეთთან დაკავშირება. სიღრმისეული სტრუქტურა ეფუძნება ენობრივ ერთეულთა სემანტიკას, რომელიც აწესრიგებს ნიშნების მიმართებას ობიექტური სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას, შინაარსსა და აზრს. ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პრაგმატიკით და სწორედ იგი განსაზღვრავს ტექსტის სინტაქტიკასა და სემანტიკას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერ ტექსტს აქვს გამოხატვისა და შინაარსის პლანი. შინაარსის პლანის განსაზღვრა გულისხმობს სემანტიკური განზომილების ასპექტებს. ტექსტის სინტაქტიკა შეესაბამება გამოხატვის პლანს, რომლის შინაარსობრივი საფუძველი შესაძლებელია, გამოვავლინოთ მხოლოდ სემანტიკურ და პრაგმატიკულ განზომილებათა განსაზღვრის შედეგად. როგორც მიჩნეულია, პრაგმატიკის განზომილება მრავლისმომცველია და იგი არ შეიძლება შემოისაზღვროს „გარკვეული კონტურებით“, არამედ მოიცავს საკითხთა კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან, მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ კომუნიკაციური აქტის ფარგლებში „შეტყობინების“ „დაკავშირების“ ფუნქცია მეტყველების პროცესში გათვლილია იმაზე, რომ სამეტყველო აქტში მონაწილეობს არა ერთი სუბიექტი, არა ერთი აქტიური საწყისი, არამედ ორი კომუნიკანტი, ორი სუბიექტი. ერთი მათგანი ახორციელებს კომუნიკაციურ ჩანაფიქრს, იგი „გასცემს“ ინფორმაციას“. მეორე სუბიექტი კი „იღებს“ ინფორმაციას და ახდენს მის „გამიფვრას“. მეტყველი პირი სამეტყველო აქტის პროცესში მიჰყვება განსაზღვრულ მიზანს, რასაც ეწოდება მისი ინტენცია. თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, სამეტყველო აქტში ინტენციის ფორმირება დაკავშირებულია ილოკუციის ცნებასთან. ამდენად, საკომუნიკაციო აქტი აუცილებლად გულისხმობს კომუნიკაციურ ინტენციას, ანუ ილოკუციას. ადრესანტის ინტენცია ინფორმაციის მიწოდებაა ადრესატისთვის. ამდენად, სამეტყველო აქტების უმეტესობა ინფორმაციულ ტიპს მიეკუთვნება. თუმცა, სამეტყველო აქტი ასევე შეიძლება იყოს არაინფორმაციული ტიპის, მაგალითად, მისალმება, ბოდიაში, კომპლიმენტი და ა.შ. რომლებიც ფატიკური ტიპის კომუნიკაციას მიეკუთვნებიან. მსმენელ სუბიექტზე (ადრესატზე, მკითხველზე, რეციპიენტზე) არის დამოკიდებული ადრესანტისგან გამოგზავნილი ინფორმა-

ციის „მიღება“, სწორედ მან უნდა მოახდინოს ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული, პრაგმატიკული, სიტუაციური და ა.შ. სისტემის ინტერპრეტაცია, რომელსაც ადრესანტი იყენებს თავისი აზრების, თავისი ინტენციის გადმოსაცემად. მაშასადამე, ადრესატს უხდება გზის გავლა გამოხატვის საშუალებებიდან – აზრის გაგებამდე.

ვინაიდან თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა მეტად იფართოებს თავის მოქმედების არეალს და ტექსტს განიხილავს, როგორც უპირველესად მეტყველების პროდუქტს, მისთვის წინა პლანზე გადმოდის ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციების მახასიათებლების კვლევა. ამდენად, თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის თეორიებში უკვე მიმდინარეობს ტექსტის პრაგმატიკული განზომილების ანალიზი სამეტყველო თეორიის გათვალისწინების ფონზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დიაგრამის სახით შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ (იხილეთ დიაგრამა 1.).

დიაგრამა 1.



ტექსტის ცენტრალური კატეგორიები: კოჰეზია და კოჰერენტულობა

კოჰეზიურობისა და კოჰერენტულობის კატეგორიების გარეშე წარმოუდგენელია ტექსტი მივიჩნიოთ ტექსტად. კოჰერენტულობა, როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, „ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას – ე.ი. იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და არა მის შინაარსს, არამედ ორივეს ერთად. ენობრივი ერთეულების ურთიერთკავშირი, მათი ერთმანეთთან შეკავშირება არის საფუძველი ტექსტის საერთო შინაარსის გამოხატვისთვის. „ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია არა მარტო მეორადია კოჰერენტულობასთან შედარებით, არამედ, შეიძლება ითქვას, ნაწარმოებია მისგან და გულისხმობს მას, როგორც თავის საფუძველსა და საყრდენს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია – ეს არის იგივე კოჰერენტულობა დაკონკრეტებული გარკვეული ასპექტით".

ლინგვისტურ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით ტერმინებს – „შეკავშირებულობა“ ან „შეჭიდულობა“, რომლებშიც ყველაზე ფართო გაგებით მოიაზრება ის შინაარსი, რაც აერთიანებს ტერმინებით – „კოჰეზიურობა“ და „კოჰერენტულობა“ - ნაგულისხმევ შინაარსს. თუმცა, ეს ორი ტერმინი ერთმანეთს არ უდრის. გ. ლებანიძე აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, მიჩნეულია, რომ კოჰერენტულობა ეკუთვნის, როგორც ტექსტის შინაარსს, ასევე - მის ფორმას. მეორე მხრივ კი, კოჰერენტულობა უკავშირდება ტექსტის შინაარსს, ხოლო კოჰეზია – მის ფორმას. მისი აზრით, უპირატესობა პირველ თვალსაზრისს უნდა მიენიჭოს, რომლის თანახმადაც, კოჰერენტულობა არის სინთეზური კატეგორია, რომელიც ცენტრალურ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ცენტრალურობა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ეს კატეგორია სინთეზური ხასიათისაა და მოიცავს როგორც ფორმას, ისე შინაარსს, არამედ იმასაც, რომ იგი შეიცავს თავის სტრუქტურაში ყველა დანარჩენ ტექსტობრივ კატეგორიას.

რაც შეეხება კოჰეზიურობის კრიტერიუმს, იგი გულისხმობს ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის წარმოქმნას. მოცემულ შემთხვევაში, ზედაპირულ სტრუქტურაში მოიაზრება ტექსტის ფორმალური სტრუქტურა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა საშუალებებით უკავშირდება ერთმანეთს ტექსტის კომპონენტები.

ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდებიან გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ურთიერთობების საშუალებებით. კოჰეზიური მიმართებების საშუალებებად სახელდება ნაცვალსახელები, სიტყვათა თანმიმდევრობა, კავშირები, ზმნის ფორმები. როდესაც საუბარი გვექონდა ტექსტის განსაზღვრის პრობლემაზე, აღვნიშნეთ, რომ ყველა იმ განსაზღვრების თანახმად, რომელიც შემუშავებული აქვს ტექსტის ლინგვისტიკას, წამყვანი როლი აკისრია კოჰეზიის კრიტერიუმს. საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, წარმოუდგენელია ტექსტი არსებობდეს შეკავშირებულობის გარეშე რადგან ტექსტის მთლიანობის საფუძველს მისი შეკავშირებულობა წარმოადგენს.

ტექსტის შიგნით წინადადებები ერთიანდება იან გარკვეული სტრუქტურული კავშირებით, რომელთა შორის აღსანიშნავია: ნაცვალსახელები, არტიკლები, დროები და ა.შ.

ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურული მთლიანობის უზრუნველსაყოფ საშუალებათაგან გამოყოფენ: სიტყვების რეკურენტულობას, (გამეორებას) სინონიმური ჩანაცვლებებისა და პერიფრაზების ჩათვლით; მნიშვნელობით ახლოს მყოფ სიტყვებს, რომლებიც იმპლიკაციას ეფუძნებიან; გრამატიკულ საშუალებებს

- დროისა და ადგილის ზმნიზედები, მიზნის, მიზეზის, დროის, შედეგის და ა.შ. გარემოებები; კავშირებს, რომლებიც წინადადებებს შორის კავშირს ამყარებენ; ე.წ. „შემცვლელ სიტყვებს“ – ჩვენებითი, პირის ნაცვალსახელები და ა.შ., რომლებიც განსაკუთრებული ტექსტოლოგიური ფუნქციის როლში გამოდის.

როგორც ლინგვისტურ ლიტერატურაში არის ცნობილი, ენის ყოველი დონე, ყოველი ერთეული მონაწილეობს კოჰერენციურობის რეალიზაციაში. ამ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება როგორც ენის გრამატიკულ-მორფოლოგიურ საშუალებათა სისტემა, ასევე ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები.

ტექსტის პრაგმატიკა და პრაგმატიკული კატეგორიები

პრაგმატიკული მიდგომის საფუძველზე ტექსტი განიხილება, როგორც რთული სამეტყველო აქტი, რომელიც იქმნება გარკვეული მიზნებითა და განზრახვებით, და რომელშიც, ადრესატზე ზემოქმედების მიზნით, გამოიყენება ენობრივ საშუალებათა მთელი კომპლექსი.

ტექსტის პრაგმატიკული თვალსაზრისით განხილვისას ამოსავალ წერტილად მიჩნეულია სამეტყველო აქტის თეორიის გათვალისწინება. როგორც ვიცით, პრაგმატიკის განზომილება დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან, მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, პრაგმატიკული განზომილების რომელი ასპექტიც არ უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში, ნებისმიერ შემთხვევაში, განმსაზღვრელი იქნება თვით კომუნიკაციური ასპექტი.

როგორც პრაგმატიკის ნაწილში აღვნიშნეთ, „კომუნიკაცია“, გათვლილია იმაზე, რომ სამეტყველო აქტში მონაწილეობს არა ერთი სუბიექტი, არა ერთი აქტიური საწყისი, არამედ ორი კომუნიკანტი, ორი სუბიექტი. ერთი მათგანი განახორციელებს კომუნიკაციურ ჩანაფიქრს, იგი „გასცემს“ ინფორმაციას“, მეორე სუბიექტი კი „იღებს“ ინფორმაციას და „შიფრავს“ მას. თუ გავითვალისწინებთ ტერმინ „კომუნიკაციის“ განახლებულ შინაარსს, რომელიც უშუალოდ ეფუძნება კომუნიკაციური აქტის ცნებას, მაშინ თავად ტექსტიც მიჩნეულ უნდა იქნას „კომუნიკაციურ ვერბალურ აქტად“, რომელსაც გააჩნია გარეგანი (ფორმალური) და შინაგანი (სემანტიკური და პრაგმატიკული) სტრუქტურა.

თუ ტექსტს განვიხილავთ ფუნქციური თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც ტექსტი წარმოადგენს არა თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას, არამედ თვით ერთი სიტყვაც შეიძლება ჩავთვალოთ ტექსტად, თუ იგი კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს, ასეთ შემთხვევაში ტექსტის ცენტრალურ კატეგორიად გვევლინება თვით კომუნიკაციის ცნება. კომუ-

ნიკაციურ აქტში დომინირებს ადრესანტი, რამდენადაც სწორედ ის არის ნებისმიერი ტექსტის უშუალო „ავტორი“. თანამედროვე პრაგმატიკა გამოყოფს მეტყველ სუბიექტთან – ადრესანტთან დაკავშირებულ შემდეგ კატეგორიებს:

ლოკაცია (იგი სამი ასპექტისგან შედგება – პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური. მისი ფორმულაა: „მე, აქ, ახლა“).

მოდალობა ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობის კატეგორია ორი სახით არის წარმოდგენილი – ობიექტურ და სუბიექტურ მოდალობად. ობიექტური მოდალობა გამონათქვამის სინამდვილისადმი მიმართებას გამოხატავს, სუბიექტური მოდალობა – მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას, მის შეფასებით და ამასთანავე, ემოციურ დამოკიდებულებას. თუ გამონათქვამის დონეზე მოდალობა გამოხატულია გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებით, მოდალობა მხატვრული ტექსტის დონეზე გაცილებით უფრო მრავლისმომცველია. იგი რეალიზდება პერსონაჟების მოქმედებაში, სენტენციებში, დასკვნებსა და მსჯელობებში და სხვა მრავალი საშუალებით.

ემოციურობა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტური მოდალობის კატეგორიასთან. მხატვრული კომუნიკაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს ემოციურ ტონალობასთან. ემოციური ტონალობა, როგორც უნივერსალური კატეგორია, უცილობლად გულისხმობს ემოციურ აზრებს – როგორც ექსპლიციტურს, ასევე იმპლიციტურს. მხატვრული კომუნიკაციის შემთხვევაში, ლაპარაკობენ **დიქტალურ** და **მოდალურ ემოციურ** აზრებზე. ის გრძნობები, რომელთაც ავტორი პერსონაჟს მიაწერს, როგორც სინამდვილეში ობიექტურად არსებულს, დიქტალური ეწოდება, ხოლო გრძნობები, რომელთაც ავტორი გამოხატავს და მათ სუბიექტური შეფერილობა გააჩნიათ, **მოდალური ეწოდებათ**. ემოციები შესაძლოა, მრავალფეროვანი იყოს ამ ემოციათა რეპრეზენტაცია ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ემოციური ლექსიკის საშუალებით.

შეფასების კატეგორია. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შეფასების კატეგორია გულისხმობს იმას, რომ გამონათქვამის „ლექსიკური ელემენტები მუდამ შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც.

როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი მეტყველება, ნებისმიერი ფორმით რეალიზებული, ყოველთვის ვინმესადმი არის მიმართული და ყოველთვის გულისხმობს ადრესატის არსებობას. ადრესანტი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია იმით, რომ ადრესატისთვის გასაგები გახდეს ის, რასაც იგი მას აწვდის ინფორმაციის სახით. აქედან გამომდინარე, გამონათქვამის (ტექსტის) შინაარსობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატზე. როგორი შეიძლება იყოს გამონათქვამი (ტექსტი), რომ იგი ეფექტურად იქნას აღქმული

ადრესატის მიერ? ამ კითხვას მივყავართ პრაგმატულ კატეგორიათა იმ სისტემასთან, რომელიც ასახავს ადრესატს – მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე. ადრესატთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემას წარმოადგენს: **ინფორმაციულობა, გამჭვირვალობა და ექსპრესიულობა.**

თავად კომუნიკაციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერი გამონათქვამი (ტექსტი), რათა იგი გასაგები გახდეს ადრესატისთვის, აუცილებელია იყოს ინფორმაციული, გამჭვირვალე, ექსპრესიული. ამ კატეგორიათა არსებობა, როგორც აღნიშნავს გ. ლებანიძე, განპირობებულია თავად ადრესატით.

ინფორმაციულობა გულისხმობს იმას, რომ გამონათქვამი ადრესატისთვის უნდა შეიცავდეს ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია. ინფორმაციულობის კატეგორიის შინაარსი, უშუალოდ დაკავშირებულია წინადადების აქტუალურ დანაწევრების ცნებასთან. ყოველი წინადადება ხასიათდება ბინარული სტრუქტურით – სუბიექტითა და პრედიკატით. სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები თავის თავში გულისხმობენ ინფორმაციულობას – გვაქვს „თემა“ (რადაც ცნობილია – ანუ სუბიექტი) და „რემა“ (რადაც ახალია – ანუ პრედიკატი). როგორც ცნობილია, ამგვარ დანაწევრებას წინადადების **აქტუალური დანაწევრება ეწოდება**. მაგრამ ის გარემოება, თუ სად და როგორ ხდება ესა თუ ის კომუნიკაციური აქტი, განაპირობებს ამა თუ იმ კონკრეტული წინადადების ინფორმაციული შინაარსის შეცვლას. მაშასადამე, წინადადების სინტაქსური სტრუქტურის პარალელურად, რასაც აქტუალური დანაწევრება ეფუძნება, აუცილებლად იგულისხმება კომუნიკაციური სტრუქტურაც.

გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ ნათქვამი გასაგები, გამჭვირვალე უნდა იყოს ადრესატისთვის. გამჭვირვალობის ანტონიმად გ. ლებანიძე გაუმჭვირვალობას ასახელებს, რასაც იგი არაკომუნიკაციურობის ნიშნად მიიჩნევს. იმისთვის, რომ ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებისას იყოს გამჭვირვალობა – გამონათქვამი ადრესატისთვის იყოს გასაგები (გამჭვირვალე), შემდეგი ფაქტორები სახელდება:

1. გამონათქვამში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი უნდა იყოს ორივე მონაწილისთვის;
2. კომუნიკაციის ორივე მონაწილისთვის იდენტური უნდა იყოს კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება);
3. კომუნიკანტთა ფონური ცოდნა – მათი თეზაურუსები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს;

ექსპრესიულობა გულისხმობს ადრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას, რომლის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება. ექსპრესიულობა ტრადიციული სტილისტიკის ფარგლებში გულისხმობდა იმას, რომ ყოველი გამონათქვამი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც

ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ხოლო ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია, „ნიშნავს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე.

ტექსტის სემანტიკა და სემანტიკურ კატეგორიები

ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის (რაც ეკუთვნის სინტაქტიკის სფეროს) მარტივი გრამატიკული დამოკიდებულებების მიღმა იმალება რთული რეფერენციალური ურთიერთობები, ანუ ენობრივი გამოხატულების შესაბამისობა სინამდვილის ობიექტებისადმი, რაც უკვე სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროში გადაინაცვლებს.

ხშირად შეიძლება ისეთ შემთხვევასთან გვექონდეს საქმე, როდესაც მონათქვამის ჭეშმარიტი აზრი არა მხოლოდ სრულად ემთხვეოდეს გამონათქვამის ენობრივ მნიშვნელობას, ანუ ექსპლიციტურ შინაარსს, არამედ შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს. ამდენად, სიღრმისეული სტრუქტურების შინაარსის განსაზღვრა, რაც უშუალოდ სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, მუდამ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ლინგვისტიკაში.

ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი ამოცანა ტექსტის ფარგლებში გამოხატვისა (ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ტექსტის სინტაქტიკას – ნიშნებს შორის მიმართებები – გრამატიკული მიმართებები, მათი ერთმანეთთან დაკავშირება) და შინაარსის (სიღრმისეული, აზრობრივი სტრუქტურა) პლანებს შორის ურთიერთმიმართებების განსაზღვრაა.

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური კატეგორია, რომელიც ტექსტის მაკონსტიტუირებელი ნიშანია, და რომელიც სხვადასხვა პარამეტრში და სხვადასხვა დონეებზე ვლინდება, არის კოჰეზიურობა. თუმცა, კოჰეზიურობის კრიტერიუმში, რომელსაც საფუძვლად უდევს გრამატიკული დამოკიდებულებები, ვერ „ეტევა“ მხოლოდ სინტაქტიკის სფეროში და მისი მოქმედების არეალი მოიცავს ასევე საკმაოდ რთულ რეფერენციალურ მიმართებებს, რაც უკვე სემანტიკის შესწავლის სფეროში გადაინაცვლებს.

როგორც ცნობილია, კოჰეზიური მიმართებების სტანდარტული მაგალითი ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს(წინამავალ ელემენტს) შორის მიმართებაა.

მაგალითად, „დარეკა პოლმა. იგი ხვალ მოვა“. ეს წინადადება კოჰეზიური ურთიერთობის ყველაზე მარტივი მაგალითია, რომელიც გამოხატულია პრონომინალიზაციით. მაგრამ ყოველთვის ამგვარ შემთხვევასთან არ გვაქვს ხოლმე საქმე. მაგალითად, „დარეკა პოლმა. იგი ამბობს, რომ იგი ხვალ მოვა“, მოცემულ შემთხვევაში მეორე ნაცვალსახელი „იგი“ შეიძლება მიემართებოდეს როგორც პოლს, ასევე ტექსტში არსებულ ნებისმიერ სხვა ანტეცედენტს, ვთქვათ, ჯონს.

ავიღოთ კიდეც ასეთი მაგალითი : „პოლმა დაწერა ახალი რომანი. ის ნამდვილად თავშესაქცევია“. ნაცვალსახელი „ის“ რომ რომანს მიემართება და არა პოლს, იქიდან ჩანს, რომ სემანტიკურად „თავშესაქცევი“ შეიძლება სწორედ რომანს უთავსდებოდეს და არა ადამიანს.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული დამოკიდებულებების მიღმა, რაც სინტაქტიკის სფეროს განეკუთვნება, „იშლება“ უსასრულოდ რთული რეფერენციალური ურთიერთობები, რაც უშუალოდ მოიცავს შინაარსის პლანს – ტექსტის სიღრმისეულ სტრუქტურას. ასეთ შემთხვევებში სუბსტიტუცია(ჩანაცვლება) შინაარსობრივი ურთიერთობათა განსაკუთრებული სახე – *კორეფერენციული* მიმართებაა, რაც უკვე სემანტიკის სფეროს განეკუთვნება.

კორეფერენცია ერთი და იმავე რეალობის სხვადასხვა საშუალებით აღნიშვნაა, ანუ ენობრივ გამოხატულებათა შესაბამისობა სინამდვილის ერთსა და იმავე ობიექტთან. როგორც ცნობილია, ტერმინი „რეფერენცია“ უკვე თავისთავად მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ იგი მიეკუთვნება სემანტიკას. როგორც გვახსოვს, რეფერენტი არის დენოტატი, რომელზეც მიუთითებს ენობრივი ნიშანი (ენობრივი ნიშანი შეიძლება იყოს როგორც სიტყვა, ისე წინადადება, და ისეთი სრული ნიშანი, როგორცაა ტექსტი). კორეფერენცია არის ერთი და იმავე რეფერენტის განსხვავებული ნიშნობრივი ერთეულებით აღნიშვნა.

ტექსტის სინტაქტიკა და სინტაქტიკური კატეგორიები

ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის სფერო მოიცავს როგორც მაკროტექსტში შემავალ ზეფრაზულ ერთიანობათა შორის მიმართებებს, ასევე მიმართებებს მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) „შიგნით“. აქედან გამომდინარე, მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) მიმართებას მაკროტექსტთან შესაძლოა, პირობითად ვუწოდეთ „გარე“, ანუ „ტრანსცენდენტული სინტაქტიკა“, ხოლო მიკროტექსტებს (ზეფრაზულ ერთიანობათა) შიგნით მიმართებებს – „შიდა“, ანუ „იმანენტური სინტაქტიკა“.

ორივე შემთხვევაში, სინტაქტიკური კატეგორიების გამოყოფა ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა საშუალებებით უკავშირდებიან ერთმანეთს ტექსტის კომპონენტები.

ვ. დრესლერისა და რ. ბოგრანდის აზრით, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდება გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ურთიერთობების საშუალებებით. მათგან გამოვყოფთ იმ ძირითად კატეგორიებს, რომლებიც აწესრიგებენ ტექსტის „ზედაპირულ სტრუქტურას“.

ჩვენი მიზანია, იმ ძირითად სინტაქტიკურ კატეგორიათა გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს კოჰეზიურობის როგორც უნივერსალური კატეგორიიდან. ამგვარი კატეგორიებია **რეკურენტულობა** და **ფორიკა** (ანაფორული და კატაფორული ურთიერთმიმართებები).

რეკურენტულობა ელემენტთა განმეორებაა. მიჩნეულია, რომ ყველაზე ზოგად პლანში კოჰეზიურობა შეიძლება განისაზღვროს განმეორების საშუალებით. არ შეიძლება მოიძებნოს ტექსტი, რომელშიც განმეორება არ გვხვდებოდეს. ტექსტში განმეორების მრავალგზისობის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ ტექსტი შედგება ენობრივი ერთეულებისაგან - ფონემების, მორფემების, ლექსემების, წინადადებებისგან. სტრუქტურული ტიპების რაოდენობა ენაში შეზღუდულია, მაშინ როცა ტექსტების რაოდენობა თეორიულად უსასრულოა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ენობრივი ერთეულების შეზღუდული ინვენტარის გამოყენებით, ენობრივი ერთეულები გარდუვალად მეორდება ტექსტებში.

დეპეზის გაგზავნის დროს, დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ რისი შემოკლებაა საჭირო, რათა მიმღებმა (ადრესატმა) იგი ადეკვატურად აღიქვას. მაგრამ სრულიად განსხვავებულ სურათთან გვექნება საქმე, როდესაც, მაგალითად, საქმე მხატვრულ ტექსტთან გვაქვს. ამგვარ შემთხვევაში გამუდმებით ისმის კითხვა: უთვალავი განმეორებიდან, რომელიც ტექტში გვხვდება, რომელი უფრო მნიშვნელოვანია და როგორ არის იგი დაკავშირებული ტექსტში უკვე ნაცნობ ინფორმაციასთან.

რეკურენტულობა განსაკუთრებით ხშირი მოვლენაა სპონტანურ მეტყველებაში. წერილობითი ტექსტის შემთხვევაში იგი გარკვეულ საზღვრებში ექცევა. ამ კატეგორიის არასწორად გამოყენება განაპირობებს ინფორმაციულობის ხარისხის დაკლებას. თუმცა, რეკურენტულობა მეტად ეფექტური კატეგორიის როლს ასრულებს, როდესაც გვსურს თვალსაზრისის კიდევ ერთხელ დადასტურება (იხილეთ მაგალითი 1.), ან გაკვირვების გადმოცემა ისეთი რაღაცის უარყოფის ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც თვალსაზრისის რაიმე ეწინააღმდეგება, მაგალითად (იხილეთ მაგალითი 2.):

1. Marlow: What, my good friend, if you gave us a glass of **punch** in the meantime?
Hardcastle: **Punch**, Sir!

Marlow: Yes, sir, punch! A glass of warm punch, after our journey, will be comfortable.

2. „I think I told you that my name is Burnside. It might be **Smith**, sir, or **Jones**, or **Robinson**.

It is neither **Smith**, nor **Jones**, nor **Robinson**.”

ყველა ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ადგილი აქვს ერთი და იმავე რეფერენციის აღნიშვნას. მაგრამ შესაძლოა, რეკურენტულ გამონათქვამს გააჩნდეს სხვა რეფერენცია(იხილეთ მაგალითი 3).

3. "The bad news didn't surprise Miss Ankrom, who is **expecting** a baby. She said she had been half **expecting** it"

მოცემულ შემთხვევაში, ლექსიკური რეკურენტულობა არ არის კორელატური კონცეპტუალური რეკურენციისა. სიტყვა "expect" აქ ორმაგი მნიშვნელობით იხმარება. ნაცვალსახელი "it" არ არის დეტერმინებული და შეიძლება ეხებოდეს როგორც 'news' ასევე 'baby' -ის.

ვ.დრესლერი კოჰეზიის ქვეკატეგორიებად ასახელებს **პარალელიზმს** და **პერიფრაზს**.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში(იხილეთ მაგალითი 4.) ერთმანეთის მსგავსი, თუმცა არა იდენტური ქმედებები, გადმოცემულია **პარალელური წყობით**, თითოეული წყობის წინ ნაცვალსახელის „our“ განმეორებით და მიმდებარების წინ წინდებულის „for“ გამოყენებით (იხილეთ მაგალითი 5.)

4. He has plundered **our** seas, ravaged **our** coasts, burnt **our** towns

5. **For** quartering large bodies of troops ... **For** protecting them ... **For** cutting off our trade ... **For** imposing taxes ... **For** depriving us ... **For** transporting us ... **For** abolishing the free System

პერიფრაზი შინაარსის განმეორებაა, ოღონდ სხვა სიტყვებით, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია ილუსტრირებული(იხილეთ მაგალითი 6.)

6. I had never seen a **murderer** ... the decent symbol which indenifies the **taker of a life**

ტექსტი თავისი ბუნებით ლინეარულია. ყოველი შემდგომის წინა წინადადება შეიცავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც გულისხმობენ მომდევნო წინადადებას ან მიუთითებენ მასზე. ამ სახის კავშირს ეწოდება **ფორიკა**

ანაფორა (ბერძ. anapherein ნიშნავს „უკან გადატანას“, „დაბრუნებას“) არის ენობრივი ერთეულების გამოყენება, რომელთა ინტერპრეტირება შესაძლებელია მხოლოდ სხვა, როგორც წესი, ტექსტის წინა ფრაგმენტის მეშვეობით. ანაფორის ან ანაფორული მიმართებების ცნება, ძირითადად, ნაცვალსახელოური რეპრეზენტაციით ხორციელდება. ანაფორული ფუნქციით გამოდიან მესამე პირის ნაცვალსახელები, ასევე ნაცვალსახელთა სხვა ტიპები. "The Old lady and gentleman were sitting in front of us **they** seemed to know everything about the world which looked as old as their shoes"

კატაფორა ნიშნავს მიმართებას იმაზე, რაც შემდგომში იქნება წარმოდგენილი ტექსტში. მაგ: As he was unaccustomed to *it*, Jake found the **pressure** very hard to deal with.

ამ შემთხვევაში ნაცვალსახელი „it“, გამოხატავს კატაფორულ მიმართებას, ვინაიდან იგი მიემართება არსებით სახელს „pressure“

ფორიკა არის კოჰერენტულობის ზოგადი კატეგორიის რეალიზაცია სინტაქტიკურ პლანში. როგორც ტექსტის ყველა კატეგორია (როგორც კატეგორია საერთოდ), ფორიკაც საჭიროებს მისი რეალიზაციისთვის საშუალებათა მთელ სისტემას – ანაფორულ და კატაფორულ ტექსტობრივ საშუალებათა სისტემას, რაც იძლევა მრავალი ენობრივი ერთეულის ფუნქციური „ტექსტოლოგიზაციის“ საშუალებას. გ.ლებანიძე გამოყოფს იმ ერთეულებს, რომლებიც ფორიკის შექმნას ემსახურებიან ტექსტში, ესენია: **არტიკლის სისტემა, ნაცვალსახელთა სისტემა, დროისა და ადგილის ზმნიზედები**. გარდა ამისა, ფორიკულ ფუნქციას ასრულებენ ლექსიკური კლასები - სინონიმები, ანტონიმები. კატაფორული და ანაფორული მიმართებები გამოიყენება როგორც განმეორების (რეკურენციის), ასევე კორეფერენციის შემთხვევაში.

იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რა წინაპირობები უძღოდა წინ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი ენათმეცნიერების დარგის ჩამოყალიბებას?
1. იმსჯელოთ ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის პრობლემატიკაზე.
2. რას ნიშნავს ტექსტის სტრუქტურული გაგება?
3. რას ნიშნავს ტექსტის ფუნქციური გაგება?
4. რა კავშირია ფუნქციურ სტილსა და ტექსტის ტიპოლოგიზაციას შორის?
5. იმსჯელოთ ტექსტის სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ კატეგორიებზე.
6. განსაზღვრეთ, რას ნიშნავს ტერმინი „გამონათქვამი“ და რით განსხვავდება იგი წინადადებისგან.
7. განმარტეთ ქვეტექსტის რაობა. რა განსხვავებაა ასოციაციურ და სოციალურ ქვეტექსტებს შორის?
8. განმარტეთ ტერმინი „ტექსტის სემანტიკური სივრცე“.

9. რა განსხვავებაა ტერმინებს – „კოჰერენტულობასა“ და „კოჰეზიურობას“ შორის?
10. რატომ შეიძლება ჩაითვალოს კოჰერენტულობა და კოჰეზიურობა ტექსტის ცენტრალურ კატეგორიებად?
11. დაასახელეთ მეტყველ სუბიექტთან –ადრესატთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემა.
12. რატომ შეიძლება დასახელდეს კორეფენცია სემანტიკურ კატეგორიად?
13. დაასახელეთ კოჰეზიის ქვეკატეგორიები.
14. განმარტეთ რეკურენციის ცნება. დაასახელეთ რეკურენციის ტიპები.
15. განმარტეთ ფორიკის ცნება. დაასახელეთ ერთეულები, რომლებიც ფორიკის შექმნას ემსახურებიან ტექსტში

მაკროლინგვისტიკა

ფსიქოლინგვისტიკა

XX საუკუნის 60-იანი წლები ლინგვისტიკის განვითარების თვალსაზრისით გარდატეხის ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ. ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის გავლენით, ლინგვისტიკა დაშორდა წმინდა დესკრიფციულ მიზნებს და შემეცნებით მეცნიერებად ჩამოყალიბდა, რაც ენობრივი პროცესების არა მხოლოდ აღწერას, არამედ მათ ახსნასაც გულისხმობს. მეცნიერულ ინტერესთა პარადიგმის ცვლამ დასაბამი მისცა ისეთი ახალი დისციპლინების აღმოცენებას.

ჩვენი სალექციო კურსის ფარგლებში უკვე გავეცანით ენათმეცნიერების ორ ახალ დარგს - *პრაგმალინგვისტიკასა და ტექსტის ლინგვისტიკას*, თუმცა ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს სხვა მიმართულებების - *ფსიქოლინგვისტიკის, კოგნიტიურ ლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის* რაობისა და მათი კვლევების საკვანძო საკითხების მიმოხილვა. აღნიშნული საკითხების განხილვას კი ფსიქოლინგვისტიკის, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ახალი დარგის, მიმოხილვით დავიწყებთ.

ფსიქოლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დარგის რაობა და მისი კვლევის ობიექტები.

სინამდვილის ერთსა და იმავე სფეროს რამდენიმე მეცნიერება შეიძლება იკვლევდეს, ასე მაგალითად, (ბუნებრივ) ენას იკვლევს ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ნევროლოგია და სხვ. ყოველი მათგანი თავისი კვლევის ობიექტად ენის განსხვავებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტს გამოარჩევს და შესაბამისად, ენის ფენომენის შესწავლისას განსხვავებულ კვლევის საშუალებებსა და ინსტრუმენტებსა და თეორიებს ეყრდნობა. როგორც უკვე ვიცით, ლინგვისტიკა შეისწავლის ენას, როგორც ნიშანთა სისტემას. მისი შესწავლის ძირითადი ობიექტი ენობრივი ნიშანია. შესაბამისად, ენათმეცნიერება შეისწავლის ენობრივი ნიშნების მნიშვნელობას (სემანტიკა), მათი ურთიერთდაკავშირების წესებს (სინტაქსი) მათ გამოყენებას რეალურ ვითარებაში (პრაგმატიკა). რაც შეეხება ფსიქოლოგიის კვლევის საგანს, ის შეისწავლის ადამიანის ქცევასა და განცდას, თუ რა მექანიზმები უდევს საფუძვლად ფსიქიკურ ფუნქციებს - აზროვნებას, ემოციას, მეხსიერებას, აღქმას, მოტივაციასა და სხვა.

მეოცე საუკუნის შუა წლებამდე ენათმეცნიერება (რომელიც შეისწავლიდა ენის ზოგად ნორმებს) და ფსიქოლოგია (რომელიც მეტყველების ინდივიდუალ-

ლურ გამოვლინებებს, გამონათქვამების წარმოშობისა და მათი გააზრების ფსიქოლოგიურ მექანიზმებს იკვლევდა) ერთმანეთისგან გამიჯნულ მეცნიერებებად ითვლებოდა. ამის უმთავრეს მიზეზს კი წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერების დაკვირვების საგანი იყო ენა, როგორც ვირტუალური სისტემა, ხოლო ამ სისტემის უშუალო რეალიზება, მეტყველება, პრაქტიკულად განდევნილი იყო ენათმეცნიერული კვლევიდან და ტრადიციულად, ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტად მოიაზრებოდა. ასეთი განაწილებისას ყურადღების მიღმა რჩებოდა სამეტყველო ქმედების გარკვეული ფსიქო-ფიზიკური მექანიზმები, რომელთა ფუნქციონირება საგანგებო აღწერასა და განმარტებას საჭიროებს. რამაც სამეცნიერო კვლევების დღის წესრიგში დააყენა სამეტყველო ქმედების კომპლექსური შესწავლის აუცილებლობა. შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ლინგვისტიკის დარგი, რომელსაც *ფსიქოლინგვისტიკა* ეწოდება.

იმისთვის, რომ მეტ-ნაკლები სიზუსტით განვმარტოთ ამ მეცნიერების რაობა, უნდა გავცნოთ მისი კვლევის ობიექტებს.

ფსიქოლინგვისტიკა, რომელიც ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის მომიჯნავე დისციპლინაა, იკვლევს ენის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. მეტყველებისას ან ტექსტის დაწერისას, ადამიანს მრავალი განსხვავებული გრძნობა, შეფასება, ასოციაცია უჩნდება, რომელთა მხოლოდ ნაწილის გამოხატვა ხერხდება რეალურ სიტუაციაში მეორე მხრივ, მოსმენისას თუ კითხვისას, ჩვენ, როგორც წესი, გვესმის უფრო მეტი, ვიდრე ეს ტექსტში არის უშუალოდ - ექსპლიციტურად მოცემული. ფსიქოლინგვისტიკას აინტერესებს, თუ რა ფსიქოლოგიური მექანიზმები მონაწილეობს ენობრივი ფენომენების გაგება-გააზრების პროცესში. ამრიგად, ფსიქოლინგვისტიკის სამიზნეა ენის ფსიქიკური პროცესების კვლევა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ენისა და ცნობიერების, ენისა და აზროვნების, ენისა და შემეცნების, ენისა და მეხსიერების, ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლასთან.

ჩარლზ ოსგუდი, რომელიც ამ მეცნიერების ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა, ფსიქოლინგვისტიკას უწოდებს დისციპლინას, რომელიც ყველაზე ნათლად აღწერს ურთიერთკავშირს შეტყობინებასა და ინდივიდის თვისებებს შორის, სწორედ ამ კავშირის საფუძველზე კომუნიკაციის მონაწილეები ირჩევენ და განმარტავენ მოცემულ შეტყობინებებს. როგორც ვხედავთ, ფსიქოლინგვისტიკის რაობის ამგვარ გააზრებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ინდივიდებს შორის შეტყობინებათა ურთიერთგაცვლის ანუ კომუნიკაციის საკითხი, როგორც ფსიქოლინგვისტიკის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. მართლაც, კომუნიკაცია ადამიანის ქმედების ის სფეროა, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის სამეცნიერო ინტერესები. კომუნიკა-

ციის პროცესი წარმოდგენილია ინფორმაციის გაცვლის (ლაპარაკის/დიალოგის) გარეშე, რაც თავისთავად გულისხმობს გამონათქვამების (რეპლიკების) პროდუცირებასა და, შესაბამისად, მათ რეცეფციას (აღქმას). გამონათქვამები ცალკეული სიტყვებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეული წესების შესაბამისად არის დაკავშირებული. გამონათქვამების სემანტიკური და სინტაქსური ანალიზი ლინგვისტიკის კვლევის ობიექტია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გამონათქვამების პროდუცირება და აღქმა დიდიწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ ფაქტორებზე, არამედ მთქმელისა და ინფორმაციის მიმღების „შინაგან მდგომარეობაზე“ შესაბამისად, ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტს იმ პროცესებისა და მექანიზმების შესწავლა წარმოადგენს, რომლებიც გამონათქვამების წარმოქმნასა და მათ აღქმას განაპირობებს.

ფსიქოლინგვისტურ კვლევებში გამორჩეულად დიდი ადგილი უჭირავს ენის ათვისების საკითხს. ფსიქოლოგებსა და ლინგვისტებს ერთნაირად აინტერესებთ, თუ რა პროცესები უდევს საფუძვლად მშობლიური ენისა და უცხო ენის ათვისებას. XX საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ენობრივი ცოდნის შეძენის საკითხის კვლევა. სამეცნიერო სივრცეში წარიმართა კვლევები, რომელთა მიზანი იყო შემდეგი საკითხის დადგენა, არის თუ არა ენა ადამიანის თანშობილი უნარი, რომელსაც მხოლოდ განვითარება სჭირდება, თუ ის მხოლოდ შეძენილი ჩვევაა, როგორც, მაგალითად, მანქანის მართვა. თუკი ენის ცოდნას განვიხილავთ, როგორც ინდივიდის მიერ გარკვეული დროის განმავლობაში შეძენილ ჩვევას, მაშინ ბევრ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მოგვიწევს. როგორც წესი, ჩვევას ნელ-ნელა ვეუფლებით. შესაბამისად, შესაძლებელია ენის ჩვევის შეძენისთვის აუცილებელი წინაპირობებისა და ენის დაუფლების პროცესის ცალკეული საფეხურების დადგენა. ენის „სრულყოფილად“ დაუფლების შემდეგაც, ჩვენ ხომ მისი მხოლოდ (მცირე) ნაწილის რეალიზებას ვახერხებთ, რაც ენასა და მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებაზე, ენის მუდამ „პოტენციურ“ ფლობაზე მიანიშნებს.

თუკი ენას განვიხილავთ, როგორც თანშობილ უნარს, მაშინ საკითხავია – რა სახისა და რა მოცულობისაა თანდაყოლილი ენობრივი ცოდნა. არის კი ეს უნივერსალური ფენომენი, და თუ არის, რამდენად შესაძლებელია ამ უნივერსალიზების გამოყოფა? არის თუ არა ენა მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარი, თუ სხვა ბიოლოგიური არსებებიც ფლობენ ენებს, მაგალითად, უმაღლესი პრიმატები ან, ვთქვათ, ფუტკრები? განხილული ასპექტების გათვალისწინებით, შესაძლებელია ფსიქოლინგვისტიკის კვლევის ძირითადი სფეროების გამოყოფა:

- **ენის დაუფლების პროცესის კვლევა.** ფსიქოლინგვისტიკა ცდილობს, უპასუხო სუბიექტს, თუ როგორ, რა კანონზომიერებით, რა პირობებში, რა თანმიმდევრობით მიმდინარეობს ენის ათვისება. განასხვავებენ „საკუთარი ენის“ (მშობლიური ენის, დედაენის) და უცხოური ენის დაუფლებას. უცხოური ენის შესწავლის მექანიზმის განმარტება და წარმოჩენა ფსიქოლინგვისტიკის ამ მიმართულებას მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღირებულებას ანიჭებს. კვლევის იმავე სფეროს განეკუთვნება ორენოვნების საკითხიც, რაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება დღევანდელ სამყაროში;
- **ენობრივი ცოდნის კვლევა.** რა სახით არის მოცემული ადამიანის გონებაში (ენობრივი) ცოდნა. როგორ არის ეს ცოდნა დანაწევრებული. სად არის ის ლოკალიზებული;
- **კომუნიკაციის აქტის კვლევა.** კვლევის ეს ასპექტი იმ ენობრივი და ფსიქიკური პროცესების კვლევას მოიცავს, რომლებიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციას. კომუნიკაციის აქტის კვლევისას განასხვავებენ ენის რეცეპტიულ ანუ მიმღებ და პროდუქტიულ ანუ შემოქმედ პროცესებს, პირველს განეკუთვნება მოსმენისა და კითხვის უნარები, ხოლო მეორეს – ლაპარაკი და წერა. ამავე ჭრილშია განსახილველი ის საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს „გარეშე“ ფაქტორები, მაგალითად, კულტურა, ენობრივი ელემენტების აღქმასა და პროდუცირებაზე.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი კვლევის ასპექტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათი გაცალკეება პირობითია. შესაბამისად, რომელიმე ამ სფეროს კვლევისას მიღებული შედეგები, როგორც წესი, სხვა სფეროებში გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა.

მაშასადამე, ფსიქოლინგვისტიკა ინტერდისციპლინური მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს ენის დაუფლებისა და გამოყენების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლინგვისტიკური კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს გარდა მათი სამეცნიერო ღირებულებებისა, პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნიათ. მიღებული შედეგები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დარღვევის დიაგნოსტიკასა და მკურნალობის დროს *აფაზიოლოგიაში*, *სურდოპედაგოგიკასა* და *ფსიქიატრიაში*.

ფსიქოლინგვისტიკური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები, ასევე, საფუძვლად უდევს უცხო ენების სწავლების მეთოდოდიკას. აღნიშნული მონაცემები აქტიურად გამოიყენება სასამართლო ფსიქოლოგიასა და კრიმინალისტიკაში ასევე პროპაგანდისტური ტექსტების ანალიზის დროს.

ფსიქოლინგვისტიკის კვლევის მეთოდები და კვლევის პარამეტრები.

ფსიქოლინგვისტიკა ემპირიული მეცნიერებაა, რაც ნიშნავს, რომ მის თეორიები უშუალო დაკვირვებადი ფაქტების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს ემყარება. შესაბამისად, ფსიქოლინგვისტური კვლევა **დაკვირვებისა** და **ცდის** გარეშე წარმოდგენილია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც მოიძიება მონაცემები. ხდება მონაცემთა მოძიება. ამ მიზნის მისაღწევად ფსიქოლინგვისტიკა რამდენიმე აპრობირებული მეთოდით სარგებლობს ესენია: **თვითდაკვირვება, ენის კორპუსის ანალიზი, მასალის მოპოვება მკვლევრის უშუალო მონაწილეობით, მასალის მოპოვება მკვლევრის უშუალო მონაწილეობის გარეშე.**

თვითდაკვირვების (ინტროსპექციის) საფუძველზე მიღებული მონაცემები შინაგანი განცდის თვისებრივ შეფასებას წარმოადგენს. მრავალი ცდისპირის თვითდაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემთა ანალიზის შედეგად განზოგადდება და, შესაბამისად, მოწმდება ფსიქოლინგვისტური თეორიის მართებულობა. თვითდაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების რეგისტრაციის ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ე.წ. „ფიქრების კატალოგი“, როდესაც ცდისპირი ზეპირად ან წერილობით აფიქსირებს აზრების ნაკადს. თვითდაკვირვების შედეგად მიღებული მასალის რაოდენობრივი ანალიზი, როგორც წესი, გამძნელებულია, რადგან მიღებული მასალა შრომატევად ანალიზსა და დამუშავებას, სისტემატიზაციას მოითხოვს.

ფსიქოლინგვისტური კვლევისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სხვადასხვა სახით მოცემული ენობრივი მასალის ანალიზი (დისკუსიები, ტელე და რადიოჩანაწერები). თვითდაკვირვებისგან განსხვავებით, ასეთი მასალის ანალიზი უფრო ობიექტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რადგან შესაძლებელია მიღებული მასალის ხელახალი ანალიზი. ასეთი ენობრივი მასალის ანალიზს **ენის კორპუსზე დაფუძნებული მეთოდის ანალიზს** უწოდებენ.

ენის კორპუსს განეკუთვნება ენობრივი აქტივობის გამომხატველი ყველა მასალა, რომელიც სპეციალურად რომელიმე ლინგვისტური კვლევისთვის არ იყო მოპოვებული. ასეთი მასალა გამოიყენება ენობრივი ქმედების როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ანალიზისთვის. ასე მაგალითად, დიალოგის ფორმალური ანალიზის დროს შესაძლებელია დიალოგის სხვადასხვა ფაზის დამახასიათებელი ენობრივი ქმედების გამოკვეთა ან დისკურსის დროს არგუმენტირების დამახასიათებელი თანმიმდევრობის დადგენა. შინაარსობრივი ანალიზის დროს შესაძლებელია გარკვეულ ლინგვისტურ მოვლენაზე ყურადღების გამახვილება, ასე მაგალითად, გარკვეული სახის ენობრივ შეცდომებზე, ან როდის და რა სიხშირით გამოიყენება ნომინალური კატეგორიები და სხვა.

ენობრივი მასალის მოპოვების პროცესში შესაძლოა, *მკვლევარი უშუალოდ მონაწილეობდეს*. ასეთი მეთოდი ძირითადად ინტერვიუს დახმარებით ხორციელდება.

ინტერვიუ წარმოადგენს გარკვეული მიზნით წარმოებულ დიალოგს, რომლის დროსაც ცდისპირი სხვადასხვა კითხვას პასუხობს ვერბალური ან არავერბალური გზით. ინტერვიუს დროს მკვლევარმა შესაძლოა, მიმართოს ე.წ. „*ელიციტირებას*“ - პროვოცირებას, ანუ ინტერვიუერი ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელიც ცდისპირს „სასურველი“ გამონათქვამისკენ ან ქმედებისკენ უბიძგებს. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა განაპირობებს ამა თუ იმ გამონათქვამების წარმოქმნას; თუ რა პირობები ახდენს გავლენას ამ გამონათქვამების წარმოქმნის ალბათობაზე და რა მენტალურ ოპერაციებს ეფუძნება ადამიანი გამონათქვამის აღქმის დროს. ასე მაგალითად, საინტერესოა, თუ როგორ დაასრულებს ცდისპირი ასეთ წინადადებას: „გიორგიმ მისწერა ნინოს, რომ მას...“ ცდისპირის პასუხზეა დამოკიდებული, განსაზღვროს ნაცვალსახელი “მას” გიორგის ეხება თუ ნინოს, შესაბამისად, ცდის შედეგები იძლევა საშუალებას, დადგინდეს გამონათქვამების მოსმენის დროს წინადადების გაგრძელების რა მოლოდინი უჩნდებათ ცდისპირებს.

გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ასევე *ლექსიკური არჩევანის ექსპერიმენტი*. ცდისპირებს აძლევენ გარკვეულ ინსტრუქციას და აჩვენებენ /ასმენინებენ რომელიმე სიტყვას ან სიტყვებს. ცდისპირებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა განსაზღვრონ სწორად იყო ნათქვამი სიტყვა თუ მცდარად. მსგავსი ექსპერიმენტი იძლევა შემდეგი მტკიცებულების საშუალებას, რომ ცდისპირების ლექსიკური არჩევანის გაკეთება კონკრეტული სიტყვების შემთხვევაში უფრო უადვილდებათ, ვიდრე აბსტრაქტული სიტყვების შემთხვევაში, რაც გარკვეულ ინფორმაციას იძლევა სიტყვების მენტალური დამუშავების პროცესის შესახებ.

მონაცემთა მოპოვება შესაძლებელია *მკვლევრის მონაწილეობის გარეშეც*, მაგალითად, კითხვარების, ანკეტირების საშუალებით. ანკეტირება წარმოადგენს გამოკითხვის ფორმალიზებულ სახეს, რომლის დროსაც ცდისპირებს გარკვეული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ შეკითხვებს უსვამენ. შეკითხვები შეიძლება იყოს როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის.

იმდენად, რამდენადაც, ფსიქოლინგვისტიკის მიზანია მენტალური პროცესების განმარტება, მისი გამოკვლევების ძირითად სირთულეს წარმოადგენს აღნიშნული პროცესების დაფარულობა. ეს პროცესები ადამიანის გონებაში მიმდინარეობს და მათზე უშუალო დაკვირვება და აღწერა პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტები ეყრდნობა გარკვეულ პარამეტრებს, რომლებიც მათი კვლევების შედეგების სანდოობას განსაზღვრავს. ასეთი პარამეტრებია: **დრო, სიხშირე, ნეირო-ფიზიოლოგიური პარამეტრები**.

დროის ხანგრძლივობის განსაზღვრით შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რა პირობები /ფაქტორები უწყობს ხელს აღქმის პროცესის გაიოლებას (როდესაც ინტერვალის სტიმულსა და რეაქციას შორის მცირეა), და შესაბამისად, რა ფაქტორები აფერხებს მას (როდესაც ინტერვალის სტიმულსა და რეაქციას შორის დიდია)

დროის ხანგრძლივობის გარდა, დაკვირვების მნიშვნელოვან პარამეტრს სიხშირე წარმოადგენს, ანუ იმის დადგენა, თუ რამდენად ხშირად მეორდება ესა თუ ის ფენომენი. ასე მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვების მიერ გარკვეული ბგერების, სიტყვების თუ შესიტყვებების გამოყენების სიხშირე, ბავშვის ენობრივი განვითარების შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ასევე დაშვებული შეცდომების სიხშირეც, რომელიც ენის დაუფლების სტადიების შესახებ საინტერესო და ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის.

თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის დახმარებით შესაძლებელია ტვინის გარკვეული უბნის აქტივობის გაზომვა. ნეიროფიზიოლოგიური სახის გამოკვლევით შესაძლებელია ნეირონების ნაკადების ლოკალიზება და რეგისტრირება. მსგავსი კვლევების დროს, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის პარამეტრს, რადგან თუკი გავზომავთ, მაგალითად, ინტერვალს გაღიზიანებასა და ტვინის აქტივობის ზრდას შორის, შესაძლებელია დავადგინოთ ინფორმაციის დამუშავებისთვის საჭირო დროის სიდიდე და სავარაუდოდ, დამუშავების უბანიც.

ენა და აზროვნება

ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთი საკვანძო და ამავე დროს დღემდე გადაუჭრელ პრობლემას, ერთი მხრივ, ენისა და აზროვნების, მეორე მხრივ კი აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ორი განსხვავებული მოსაზრება, რომელთაგანაც ერთს - ბიჰევიორისტები, ხოლო მეორეს კი ჟან პიაჟეს სკოლის მიმდევრები ავითარებენ.

ბიჰევიორისტული მიდგომის თანახმად, ენობრივი ქცევა, (ისევე, როგორც ყველა სხვა ქცევა) აიხსნება ე. წ. სტიმული-რეაქციის სქემის (გაღიზიანება-რეაქციის) საფუძველზე (stimulus-response, შემოკლებით: S→R), იმართება. ეს სქემა წარმოდგენილია ნებისმიერ ორგანიზმში. ასე მაგალითად, ცხოველების უმრავლესობა გარბის (რეაქცია), როდესაც მათ შესაძლო მტერი მიუახლოვდება (სტიმული). ასევე, ბევრი მათგანი შეტევაზე გადადის (რეაქცია), როდესაც დისტანცია შესაძლო მტერსა და მსხვერპლს შორის მინიმალურია (სტიმული) და გაქცევით

თავის დახსნა საეჭვო ან შეუძლებელია. ბიჰევიორისტები მიიჩნევენ, რომ სტიმული-რეაქციის სქემა საფუძვლად უდევს ადამიანის ენობრივ ქცევასაც. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ **ლ.ბლუმფილდის** მიერ წარმოდგენილ ცნობილ მაგალითს ჯილისა და ჯეკის შესახებ: ჯილი შენიშნავს ვაშლს ხეზე, მიმართავს ჯეკს, ჯეკი გადაძვრება ღობეზე, მოწყვეტს და მიაწვდის ვაშლს ჯილს. ბიჰევიორისტული პოზიციიდან ეს ეპიზოდი აღიწერება, როგორც სტიმულებისა და რეაქციების უწყვეტი ჯაჭვი, მაგრამ ამ მონაცვლეობაში შესაძლებელია განსხვავებული „დონეების“ გამოვლენა. თუ წარმოვიდგენთ, რომ ჯილის შიმშილი არის ამ ეპიზოდის ძირითადი მამოძრავებელი სტიმული, ხოლო ჯეკის მიერ ვაშლის მოწყვეტა და ჯილისთვის მიწოდება – საპასუხო რეაქცია, რაც გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ $S \rightarrow R$, მაშინ ადვილად შევამჩნევთ, რომ, ამ შემთხვევაში, რეაქცია გაშუალებულია ვერბალური ქცევით. ჯილმა სტიმულს უპასუხა არა უშუალო მოქმედებით, არამედ გარკვეული სამეტყველო რეაქციით (რეაქციას აღვნიშნავთ პატარა ასოთ r), რომელმაც გაუჩინა ჯეკს შენაცვლებული სტიმული (s) და აღძრა მისი საპასუხო, ნამდვილი რეაქცია (R). შესაბამისად, ეს ეპიზოდი შეიძლება დაზუსტებულად შემდეგნაირად აღვწეროთ: შიმშილის გრძნობა ანუ პრაქტიკული, ნამდვილი სტიმული - S იწვევს სიტყვიერ მონაცვლე რეაქციას r . ეს რეაქცია აღძრავს სიტყვიერ ჩანაცვლებულ რეაქციას s , რომელიც თავის მხრივ აღძრავს უკვე პრაქტიკულ, ნამდვილ რეაქციას- R . შესაბამისად, ვლებულობთ მოდელს: $S \rightarrow r \rightarrow s \rightarrow R$.

როგორც ვხედავთ, ამ მოდელში უგულებელყოფილია გაგების პროცესი, ანუ ინდივიდის რეაქცია უტოლდება ვერბალური სტიმულის გაგებას, არადა, სწორედ აზროვნება, ცნობიერებაში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, თუ როგორ იქნება გაგებული ვერბალური სტიმული ან იქნება კი ის საერთოდ გაგებული თუ არა. თავიანთ სამეცნიერო კვლევა-ძიებიდან ბიჰევიორისტებმა განდევნეს ისეთი ცნებები: აღქმა, ყურადღება, ნებისყოფა, წარმოსახვა, ანუ ყველაფერი ის, რაც ინტროსპექციას მოითხოვს. ისინი ამ ყოველივეს ე.წ. „შავ ყუთს“ უწოდებდნენ. შესაბამისად, *აზროვნება რედუცირებულია შინაგან მეტყველებამდე*. გარდა ამისა, ბიჰევიორისტული მოდელი ენას აღიქვამს მხოლოდ და მხოლოდ როგორც კომუნიკაციის აქტს და არ ითვალისწინებს ენის ექსპრესიულ ფუნქციას, რომელიც სწორედ რომ ინდივიდის ცნობიერებაში, ბიჰევიორისტებისთვის – „შავ ყუთში“, მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული. ასეთი შეზღუდვის შედეგად, აზროვნება იდევნება კომუნიკაციის აქტის გაგების სფეროდან. შესაბამისად, ბიჰევიორისტები უგულებელყოფენ სწორედ იმ ფაქტორებს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ინდივიდის ქცევის გააზრებისას და რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ თავად საკომუნიკაციო აქტს.

ბიჰევიორისტების სამეცნიერო ჰიპოთეზას, რომ აზროვნება არის ფარული, შინაგანი მეტყველება, გამყარებულია მათ მიერ შემოთავაზებული შემდეგი მოსაზრებით, როდესაც ბავშვი ფიქრობს, იგი ამ დროს ყოველთვის ლაპარაკობს, მაგრამ მოზრდილ ასაკში იგი ერთგვარად თავისუფლდება ენისგან, აშკარა თუ ფარული სამეტყველო რეაქციებისგან. აღნიშნულ თვალსაზრისს უპირისპირდება ჟან პიაჟეს სკოლის შეხედულებები.

პიაჟეს და მისი სკოლის წარმომადგენლების აზრით, შემეცნებითი პროცესები დამოუკიდებლად ხორციელდება, მეტყველების განვითარება მხოლოდ მოსდევს და ასახავს მას. ადამიანი კოგნიტური თვალსაზრისით ვითარდება საგნობრივ სამყაროსთან და ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ხოლო ენა, რომელიც მონაწილეობს ამ პროცესში, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ხელს უწყობდეს ან აჩქარებდეს აზროვნების განვითარების პროცესს, თუმცა *თვით ენა აზროვნებას, არ განაპირობებს*. თუ ბიჰევიორისტები აიგივებენ მეტყველებასა და აზროვნებას ჯან პიაჟე ამ ორს უკავშირებს ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც, მეტყველება მონაწილეობს ადამიანის კოგნიტურ განვითარებაში, მეტყველება და აზროვნება ერთმანეთის თანამდევი პროცესებია. *თ. გამყრელიძეს მეტყველებისა და აზროვნების მექანიკური გაიგივება არასწორად მიაჩნია, რადგან „აზროვნების განვითარება პირდაპირ არ ემთხვევა მეტყველების პროცესს. მისი აზრით, ეს ორი პროცესი, მართალია, ერთიანი, მაგრამ არა იდენტურია. „აზრს სიტყვათა მიმდევრობის სახე აქვს, იგი მთლიანი და ერთდროულია, მეტყველება კი თანმიმდევრობითი“ - აღნიშნავს იგი.*

ენა და მეხსიერება


ენა უდიდეს როლს ასრულებს სხვადასხვა შემეცნებით პროცესში, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, მეხსიერებაა. განვიხილოთ, თუ რა მექანიზმი უდევს საფუძვლად ინფორმაციის დამახსოვრებას და სად იკვეთება კავშირი ენასა და მახსოვრობას შორის.

ადამიანის უნარი, გამოცდილების შედეგად მიღებული ინფორმაცია პერმანენტულად შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს, ყველა იმ კომპლექსური ქმედების წინაპირობაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევასა და აზროვნებას. მეხსიერების კვლევა ცდილობს, უპასუხოს სხვადასხვა შეკითხვას, თუ როგორ ვიმახსოვრებთ, რა დროით ვიმახსოვრებთ, რას ვიმახსოვრებთ და სად ვიმახსოვრებთ.

დამახსოვრება შეიძლება იყოს როგორც უნებლიე, ისე ნებელობითი პროცესი. თუ რამდენად წარმატებულად დავიმახსოვრებთ გარკვეულ ინფორმაციას, განისაზღვრება, პირველ რიგში, იმით, თუ რა დროით შევინარჩუნებთ ამ ინფორ-

მაციას. ინფორმაციის შენარჩუნების ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ მეხსიერების სამ ტიპს: *სენსორულ, ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებას*. (იხილეთ დიაგრამა 1)

დიაგრამა 1.



ადამიანი გარემომცველი სამყაროდან განუწყვეტლივ იღებს სენსორულ ინფორმაციას. *სენსორული* მეხსიერება გულისხმობს ფსიქიკაში ინფორმაციის შეგრძნებათა ანუ სენსორული გზებით შემოსვლას. ინფორმაცია სენსორულ მეხსიერებაში ძალიან მოკლე დროით რჩება.

ხანმოკლე მეხსიერება მსგავსად სენსორულისა, ინფორმაციის მოკლე დროის მანძილზე შენახვას გულისხმობს. იგი თავის მხრივ ორ კომპონენტს მოიცავს: ე.წ. „*უმუშალო*“ მეხსიერება, რომელშიც ინფორმაცია დაახლოებით 20-30 წამი ინახება და „*მუშა*“ მეხსიერება, რომელიც უფრო რთული ფორმაა და ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. მისი ამოცანაა - ინფორმაციის შეჩერება და დამუშავება.

ხანგრძლივი მეხსიერება ინფორმაციის ღრმა დამუშავების საშუალებას იძლევა. ის არც მოცულობითაა შეზღუდული და არც დროით. ხანგრძლივი მეხსიერება თავისი არსით გენერაციულია, რაც იმას გულისხმობს, რომ რომელიმე მოგონების აღდგენისას ანუ რაიმეს გახსენებისას, გასახსენებელ ხატს უცვლელი სახით კი არ აღვადგენთ, არამედ ვაგებთ მას არსებული მოთხოვნებისა და კონტექსტის გათვალისწინებით. გახსენების პროცესზე ხშირად გავლენას ახდენს მოგვიანებით შეძენილი ცოდნა, განწყობები და შთაბეჭდილებები. გახსენებისას ჩვენ, პრაქტიკულად, ახალ მოგონებას ვქმნით, ახალ შინაარსს ვაძლევთ მას. არ-სებობს ორი ტიპის ხანგრძლივი მეხსიერება: *პროცედურული* და *დეკლარაციული*.

პროცედურული მეხსიერება არაცნობიერად მიმდინარეობს და სწორედ მასში ყალიბდება ჩვევებისა და ცოდნის გამოყენების უნარები. დეკლარაციული მეხსიერების ფარგლებში ჩვენ მიერ დამახსოვრებული ცოდნა ორი სახისაა. პირველია ცოდნა *სამყაროს შესახებ*, ერთი მხრივ, ეს არის ფაქტების, წესების, ჩვეულებების, კანონზომიერებების და მსგავსი ინფორმაციის შესახებ არსებული ცოდნა ანუ სემანტიკური ცოდნა, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს *პირადი მოგონებები*, რომლებიც უშუალოდ ჩვენს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, გვახსოვს, თუ როდის ვიყავით ბოლოს ცირკში, რა წარმოდგენა ვნახეთ და სხვ. ამ სახის ცოდნა მოცემულია *ეპიზოდურ* მეხსიერებაში. სემანტიკური მეხსიერება ეპიზოდურისგან სრულიად დამოუკიდებელია მაგალითად, შეიძლება არასოდეს არ იყო ნამყოფი ცირკში, მაგრამ ზოგადად იცოდე, თუ რა არის ცირკი. ცხადია, ცოდნის შექმნა კონკრეტულ დროსა და სივრცეში მიმდინარეობს, ანუ იმავე ცირკის შესახებ ჩვენი ცოდნა ეფუძნება წიგნში წაკითხულ ან ტელევიზორებზე ნანახ ინფორმაციას, მაგრამ სემანტიკურ მეხსიერებაში ფიქსირდება სწორედ ცოდნა და არა ამ ცოდნის მიღების ხერხი.

სემანტიკურ მეხსიერებაში შინაარსები ცნებების, მნიშვნელობების, კატეგორიების მიხედვით არიან ორგანიზებულნი, ეპიზოდურ მეხსიერებაში კი დროითი მახასიათებლების მიხედვით. ცხადია, ეპიზოდური ცოდნა შეუძლებელია სემანტიკურის გარეშე, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებდით განცდილის გონისმიერ დამუშავებასა და გააზრებას.

სწორედ სემანტიკურ მეხსიერებაში მოცემული ზოგადი ცოდნის მეშვეობით, განურჩევლად იმისა, თუ რა გზით (უნებლიეთ თუ სპეციალური დასწავლით) იქნა შეძენილი ეს ცოდნა, ვიცით, რას ნიშნავს სიტყვა „ცირკი“. ენობრივი ცოდნა სემანტიკური ცოდნის მხოლოდ ნაწილს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს ენობრივი ცოდნის კვლევა, პირველ რიგში, ენობრივი ინფორმაციის ორგანიზებისა და ლოკალიზაციის საკითხის დასადგენად.

მენტალური ლექსიკონი

ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა იმ საკითხის კვლევა, თუ რა მექანიზმს ეფუძნება ენის, ენობრივი ელემენტების შენახვა. ამ კუთხით მრავალი და რიგ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქვა. კამათის ერთ-ერთი ასეთი ობიექტია *მენტალური ლექსიკონის* არსებობის საკითხი.

მრავალი ფსიქოლინგვისტი მიიჩნევს, რომ ენობრივი ცოდნის არსებობა წარმოუდგენელია სიტყვების მნიშვნელობისა და მათი დაკავშირების წესების

ცოდნის გარეშე და რომ ეს ცოდნა მოცემულია ნეირონულ დონეზეც ე.წ. „მენტალურ ლექსიკონში“, რომელიც ჩვეულებრივი ლექსიკონების მსგავსად არის სტრუქტურირებული.

მენტალური ლექსიკონით აღინიშნება იმ მენტალური ერთეულების სტრუქტურა, რომელიც ენის ლექსიკურ ერთეულებს შეესატყვისება. ამრიგად, მენტალური ლექსიკონი მოიცავს (უნდა მოიცავდეს) ჩვენს ჯამურ ცოდნას ყველა ჩვენთვის ნაცნობი სიტყვის შესახებ. თეორიათა უმრავლესობის მიხედვით, მენტალური ლექსიკონის თითოეულ „ჩანაწერს“ (სიტყვას) ორი სახის - **ლემა** და **ლექსემური** ინფორმაცია მიესადაგება.

ლემა-ინფორმაცია მოიცავს სიტყვის ყველა სინტაქტიკურ (სიტყვა „მუხა“ არის არსებითი სახელი, მხოლოდით რიცხვში და სხვ.) და სემანტიკურ მახასიათებლებს (მუხა არის ერთგვარი ხე, აქვს განიერი ღერო, სპეციფიკური ფორმის ფოთოლი და სხვ.). ლემა-ინფორმაცია გამოიყენება სიტყვის სხვა სიტყვებთან შეერთებისას და ანიჭებს ამ კონსტრუქციას გარკვეულ შინაარსს.

ლექსემური ინფორმაცია სიტყვის (მუხა) ბგერითი და გრაფემული რეალიზაციის ერთობლიობაა. **ლექსემური** ინფორმაცია გვჭირდება სიტყვის (სიტყვების) წარმოთქმისა და დაწერისთვის. მენტალური ლექსიკონის ასეთი ორმაგი განაწილება ერთგვარად ხსნის ისეთ ენობრივ სიტუაციას, როდესაც გვიჭირს სათქმელისთვის ფორმის მიცემა. ასეთ დროს შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ვფლობთ სიტყვის ლემა-ინფორმაციას, მაგრამ ვერ ვუკავშირებთ მას შესაბამის ლექსემურ ინფორმაციას. საგულისხმოა ისიც, რომ მენტალური ლექსიკონის ერთეულის ასეთი ორმაგი განაწილება დიდწილად ემთხვევა სოსიურის მიერ პოსტულირებულ თეზას ენობრივი ნიშნის ორი მხარის ერთობლიობის შესახებ.

რაც შეეხება მენტალური ლექსიკონის შენატანების აქტივირებას, ცნობილია, რომ ხშირად გამოყენებული სიტყვების ამოცნობა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე იშვიათად გამოყენებულისა, რასაც ლექსიკური გადაწყვეტილების მიღების ტესტიც ადასტურებს. ასე მაგალითად, ცდისპირი შეკითხვაზე სიტყვა „კაემანი“ ქართული სიტყვაა? კი თუ არა? პასუხის გასაცემად უფრო მეტ დროს დახარჯავს, ვიდრე შეკითხვაზე: სიტყვა - „მაგიდა“ ქართული სიტყვაა? კი თუ არა?“ თუმცა, აქაც საკმაოდ უცნაური კანონზომიერება შეინიშნება, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე (ომონიმური) სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, „ბარი“, უფრო სწრაფად ამოცნობა, ვიდრე ერთი მნიშვნელობის მქონე, მაგრამ მის მსგავსად ხშირად გამოყენებული სიტყვები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებს იმდენივე შენატანი აქვთ მენტალურ ლექსიკონში, რამდენი მნიშვნელობაც აქვთ. ლექსიკური გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანი ნაკლებ დროს საჭიროებს, რადგან მეზნისას მრავალი მნიშვნე-

ნელობის მქონე სიტყვის ერთ-ერთი შენატანის პოვნის ალბათობა მეტია, ვიდრე მხოლოდ ერთი შენატანის მქონე სიტყვებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე.წ პრაიმინგის (წინასწარი აქტივირების) ეფექტი.

ლექსიკური გადაწყვეტილების მიღება უფრო სწრაფად მიმდინარეობს სასურველი სიტყვის წინასწარ აქტივირებისას. მაგალითად, თუ ცდისპირს ვთხოვთ გადაწყვეტილების მიღებას სიტყვა „სკოლასთან“ დაკავშირებით, ეს გადაწყვეტილება უფრო სწრაფად მიიღება, თუკი მას ჯერ დავუსვამთ კითხვას მასწავლებელთან (სემანტიკური პრაიმინგი) დაკავშირებით. წინასწარი აქტივირება შეიძლება იყოს ასევე ფონოლოგიური სახის (ორ სიტყვას შორის ჟღერადობით მსგავსება):

თავი - ნავი, ან იკონური (გამოსახულებითი სახის მსგავსება)  – საათი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი (სემანტიკურად ან ფონოლოგიურად) სიტყვები ერთმანეთთან გარკვეული ქსელით არიან დაკავშირებული და ახლო მყოფი სიტყვის აქტივირება იწვევს გარშემო მყოფი სიტყვების ნაწილობრივ აქტივირებას. დარწმუნებით თქმა, თუ როგორ არის ორგანიზებული მენტალური ლექსიკონი, შეუძლებელია. მენტალური ლექსიკონის რეალობის საკითხი კვლავინდებურად კვლევის ობიექტად რჩება. მეტიც, მნელია იმის გამოთვლაც კი, თუ რამდენი შენატანია ამ ლექსიკონში. ჩვენ ხომ (მშობლიური) ენის მხოლოდ ნაწილს ვიყენებთ აქტიურად, თუმცაღა პასიურად ბევრად მეტი სიტყვა ვიცით. გარდა ამისა, ხშირად შეგვიძლია გავიგოთ სიტყვათწარმოების წესებით მიღებული ახალი სიტყვების მნიშვნელობა.

კონცეპტები და მენტალური სქემები


ენობრივი ნიშნები გარკვეულ კონცეპტებს ქმნის, რომლებიც გავლენას ახდენს მათ რეალიზაციებზე. ასე მაგალითად, ჩვენ ვარჩევთ პოტენციურად მოძრავ საგნებს (ფიგურებს) და უძრავ საგნებს (ფონს). თუკი შევადარებთ ორ წინადადებას: *ცხენი დგას ლობესთან* და *ცხენთან დგას ლობე*, ადვილად შევნიშნავთ, რომ მეორე წინადადება სპეციალური განმარტების თუ კონტექსტის გარეშე მიუღებელია, რადგან მასში მოცემული ინფორმაცია *ლობისა* და *ცხენის* კონცეპტუალურ შესაძლებლობებს ეწინააღმდეგება.

მენტალური სქემები გარკვეული საგნის ან მოვლენის ირგვლივ არსებულ ჩვენს ჯამური ცოდნაა. ასეთი სქემა შეიძლება იყოს, მაგალითად, „კინოში წასვლის“ ან, ვთქვათ, „მაღაზიაში ყიდვის“ სქემა. ცხადია, რეალურ ვითარებაში ყიდვის პროცესი ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად წარიმართება, მაგრამ იმის მიუხედავად, მანქანას ვყიდულობთ თუ კბილის ჯაგრისს, ყიდვის პროცესი პრინციპულად მსგავსია. ჩვენ ვარჩევთ საქონელს, ვამოწმებთ მას, ვიხდით საფასურს და ბოლოს მოგვაქვს შინ. მენტალური სქემები გარკვეული პროცესების

ტიპურ თანმიმდევრობას შეიცავს (მაგალითად, ყიდვის პროცესის თანმიმდევრობას.) რომლებიც განმტკიცებულია მისი ხშირი გამოვლით, მისი მუდმივობით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მენტალური სქემები გარკვეული ქმედებების სტერეოტიპული წარმოდგენებია. მენტალური სქემები სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. კერძოდ, განასხვავებენ: **ობიექტთა სქემებს** (მაგალითად, *ფრინველი* – სტერეოტიპული კლასი, თუ რას შეიძლება ვუწოდოთ ფრინველი), **თვისებათა სქემებს** (მაგალითად, *ობიექტის თვისება ძვირი/იაფი*), **მოქმედების სტერეოტიპებს** (მაგალითად, *ჩუქება*), **მიმდინარეობის სტერეოტიპებს** (მაგალითად, *კინოში წასვლა*), **მეტალინგვისტურ სტერეოტიპებს** (მაგალითად, ისეთი *ჟანრობივი ტექსტის სტრუქტურა*, როგორცაა ლექსი). სქემას, რომელიც გარკვეული მოქმედების მთლიან პროცედურას მოიცავს, ხშირად **სკრიპტს** (Skript – სცენარი) უწოდებენ.

ტექსტის დამუშავების ფარგლებში სკრიპტი აღნიშნავს ქმედებების ან მოვლენების სტერეოტიპულ თანამიმდევრობას, *შანკმა* და *აბელსონმა* აღწერეს, თუ როგორი შეიძლება იყოს რესტორანში სტუმრობის სცენარი: (იხილეთ დიაგრამა 2.)

დიაგრამა 2.



ინფორმაციის დამუშავებისას მენტალური სქემების როლი საკმაოდ მაღალია. თუკი ვინმე გვიყვება, რომ რესტორანში იყო, ჩვენს მეხსიერებაში არსებული შესაბამისი სქემა გვკარნახობს იქ განვითარებულ „რუტინულ“ ქმედებებს და მათზე ყურადღების სპეციალურად გამახვილება არც მთქმელს და არც მსმენელს აღარ სჭირდება.

ბაუერი და მისი კოლეგები შეეცადნენ, ეჩვენებინათ ასეთი სცენარების ფსიქიკური რეალობა და მათი გავლენა აღქმის პროცესზე. ცდისპირებს უკითხავდნენ გარკვეულ ამბავს, რომელშიც გადმოცემული იყო 12 პროტოტიპული ქმედება. ამათგან რვა ქმედება სტანდარტული თანმიმდევრობით მიმდინარეობდა, ხოლო ოთხის თანმიმდევრობა გადანაცვლებული იყო. ასე მაგალითად, რესტორანში ანგარიში შეიძლება თავიდანვე ყოფილიყო გადახდილი, ხოლო მენიუ მხოლოდ გასვლის წინ წაეკითხათ. როდესაც ცდისპირებს სთხოვეს მოცემული ამბების გახსენება,

გამოვლინდა ცალკეული ეპიზოდების ნორმალურ, სტანდარტულ თანმიმდევრობაში განაწილების აშკარა ტენდენცია. ფაქტობრივად, ცდისპირთა თითქმის 50%-მა „არეული ეპიზოდები“ სტანდარტული თანმიმდევრობით გადააღაგა. ეს ექსპერიმენტი კარგი სადემონსტრაციო მაგალითია იმისა, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენს ზოგადი სქემები (სკრიპტები) განცდილი ამბების გახსენებაზე, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ახალი ინფორმაციის კოდირება არსებულ სქემებთან გარკვეული მიმართებით ხდება, რაც ამ ინფორმაციის შემდგომი გახსენებისას შინაარსის ცვლილებაშიც კი შეიძლება გამოვლინდეს.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სქემების ასეთი გავლენა რაღაც „ცუდია“ და „უარყოფითი“. როგორც წესი, როდესაც მეგობარი რესტორანში სტუმრობის შესახებ გვიამბობს და მოყოლისას გამოტოვებს ანგარიშის გადახდის ეპიზოდს, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მან სათანადო საფასური გადაიხადა, ისევე, თუ ვინმე გვიყვება, რომ მან ჯერ ანგარიში გადაიხადა და შემდეგ გააკეთა შეკვეთა, საკმარისი საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ ექვი შევიტანოთ მოყოლილი ამბის სისწორეში. სქემები და სცენარები წარმოადგენს მოქმედების მიღებულ და, შესაბამისად, ყველაზე ხშირ თანმიმდევრობას. ამდენად, ისინი ავსებენ ნაკლებ ინფორმაციას, რაც ვითარების მართებულად გაგების მნიშვნელოვანი საყრდენია. გარდა ამისა, სცენარების არსებობა აჩქარებს ინფორმაციის გადაცემის პროცესსაც, რადგან ხშირად აღარ გვჭირდება „თავისთავად ცხადი“ მოვლენების გადმოცემა. ამდენად, სქემების ცოდნა სამყაროსთან ადაპტაციის მძლავრი ინსტრუმენტია.

ენის ათვისება

ენის ათვისების კოგნიტიური და ნატივისტური მოდელები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენის შესწავლის ფსიქოლოგიური ასპექტების თვალსაზრისით კვლევა, რაც იმ მენტალური პროცესის კვლევას გულისხმობს, რომლებიც თან ახლავს ენის

გამოყენებას. ეს პროცესები საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს: მეტყველების/წერილობითი ენის აღქმის პროცესს; ენობრივი გამონათქვამების წარმოქმნის პროცესს; ენის ათვისების პროცესს. ენის დაუფლების პროცესის თვალსაზრისით ფსიქოლინგვისტიკაში ორი განსხვავებული მიდგომა არსებობს – ენის ათვისების **კოგნიტური მოდელი** და ენის ათვისების **ნატივისტური მოდელი**.

ენის ათვისების კოგნიტური მოდელი

ენის ათვისების კოგნიტური პროცესის შესწავლა შვეიცარიელი ფსიქოლოგის, ჟან პიაჟეს სახელს უკავშირდება, რომელმაც ენობრივი განვითარება ინდივიდის ზოგად კოგნიტურ განვითარებას დაუკავშირა. პიაჟეს მიაჩნდა, რომ ბავშვი ფლობს გარკვეულ ფუნდამენტურ კოგნიტურ შესაძლებლობებს, რაც მის ზოგად ინტელექტუალურ განვითარებას და, მათ შორის, ენის დაუფლების პროცესსაც უდევს საფუძვლად, ანუ ენის ათვისება და სამყაროს შექმნების პროცესი პარალელურად მიმდინარეობს. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების შედეგად პიაჟე მივიდა დასკვნამდე, რომ შესაძლებელია, კოგნიტური განვითარების ეტაპების გამოყოფა და რომ ეს ეტაპები ადამიანის მიერ ენის ათვისების ეტაპებს უდევს საფუძვლად.

პიაჟეს მიხედვით, კოგნიტურ განვითარებაში ორი ელემენტარული პროცესი მონაწილეობს, ესენია: **ასიმილაცია** და **აკომოდაცია**. ორივე ეს პროცესი ინდივიდის გარესამყაროსთან ადაპტაციის კომპონენტებია.

ადამიანის სამყაროსთან ადაპტაციის პროცესში უყალიბდება გარკვეული კოგნიტური სტრუქტურები, რომლებსაც პიაჟე „სქემებს“ უწოდებს. სქემები შეიცავს ინფორმაციას ან, უკეთ რომ ვთქვათ, წინმსწრებ ცოდნას გარკვეული საგნების, პიროვნებების, სიტუაციებისა და მათი ურთიერთკავშირების თუ სახეობების შესახებ. გარკვეული სქემები ინდივიდს დაბადებიდანვე აქვს (მაგალითად, საკვების მიღების – წოვის სქემა), დანარჩენებს ბავშვი ასაკთან ერთად ითვისებს. წინარე სქემების, წინარე სტრუქტურების არსებობა აუცილებელია ახალი სქემების, ახალი კოგნიტური სტრუქტურების შესაქმნელად. ბავშვის მიერ აღქმული ყოველი ახალი ინფორმაცია გადამუშავდება, რათა უკვე არსებულ სქემას მოერგოს. ასეთი სახის გადამუშავებას **ასიმილაცია** ეწოდება. აკომოდაციის დროს კი ახალი ინფორმაცია იმდენად უცხოა, რომ შეუძლებელია მისი უკვე არსებულ სქემებში მოთავსება, ამიტომ ინდივიდი „იძულებულია“ ან უგულვებელყოს, დაივიწყოს ეს ინფორმაცია, ან ინფორმაციის ადეკვატური ახალი სქემა შექმნას. პიაჟეს მიხედვით, ინდივიდის განვითარება ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესების მუდმივი მონაცვლეობაა. ასიმილაცია უკვე არსებულ სქემებს ინახავს და იმავდროულად, ამდიდრებს, უფრო მრავალფეროვანს ხდის მათ. აკომოდაცია კი

აუცილებელია იმ (ახალი) პრობლემების დასაძლევად, რომლებსაც ინდივიდი ცხოვრების განმავლობაში აწყდება.

კოგნიტურ განვითარებაში პიაჟე გამოარჩევს ოთხ ხარისხობრივად განსხვავებულ ეტაპს, რომლებსაც ყველა ჯანმრთელი ბავშვი ერთნაირი თანმიმდევრობით, მაგრამ ინდივიდუალური ტემპით გაივლის: • *სენსო-მოტორული ეტაპი*; • *ოპერაციამდელი (პრესაოპერაციო) აზროვნების ეტაპი*; • *კონკრეტული ოპერაციების ეტაპი*; • *ფორმალური ოპერაციების ეტაპი*.

სენსო-მოტორული ეტაპის განმავლობაში, რომელიც დაბადებიდან დაახლოებით ორ წლამდე მიმდინარეობს, ბავშვი უამრავ ახალ სტრუქტურას ეუფლება. პირველი თვეების განმავლობაში ის იუმჯობესებს სენსო-მოტორულ უნარებს, სწავლობს მათ კომბინირებასა და კოორდინაციას. მოგვიანებით (8-ან 12 თვემდე) მოქმედებები უფრო გამიზნული ხდება - ბავშვები იწყებენ დამალული საგნების ძებნას; გარემოს აქტიურ გამოკვლევას ცდისა და შეცდომის მეთოდით; მოქმედების წინასწარ გააზრებას, გონებრივი კომბინაციის გზით მიზნის მისაღწევად ახალი საშუალებების გამოგონებას. ამ ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი უკვე დასახელებული ობიექტის მუდმივობის აღმოჩენაა. ბავშვს შეუძლია საგნის იდენტიფიკაცია, მაშინაც კი, როცა იგი ამ საგანს არ ხედავს.

ოპერაციამდელი ეტაპის დროს, რომელიც ორიდან შვიდ წლამდე პერიოდს მოიცავს, ბავშვები სამყაროს გულუბრყვილო რეალისტებივით აღიქვამენ ანუ მათ სჯერათ იმისი, რასაც ხედავენ. შესაბამისად, ამ ეტაპის აზროვნება უფრო მეტად არის დამოკიდებული ხედვაზე, ვიდრე წესებსა და ცნებებზე. ამ ასაკში ყალიბდება სიმბოლოებით აზროვნების უნარი. ოპერაციამდელი ეტაპის საწყის ფაზაში აზროვნება ხასიათდება ცენტრაციით, ბავშვის ყურადღება მიმართულია ერთ საგანზე ან საგნის ერთ რომელიმე თვისებაზე. ცენტრაცია ბავშვის ეგოცენტრიზმის ერთ-ერთი ასპექტია. ამ შემთხვევაში, ეგოცენტრიზმი გულისხმობს არა მემიმართებას, არამედ იმ გარემოებას, რომ ამ ასაკში ბავშვს სამყაროს სხვისი თვალით, სხვისი პოზიციიდან აღქმა უჭირს. ამის წარმოსაჩენად პიაჟე მთავორიანი ლანდშაფტის სამგანზომილებიან მოდელს იყენებდა და ეკითხებოდა ბავშვებს, თუ რას ხედავს სათამაშო დათვი, რომელიც მთის მეორე კალთაზე იყო მოთავსებული. შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს, როგორც წესი, არ შეეძლოთ ლანდშაფტის სხვა პერსპექტივიდან აღწერა.

მოცემული ეტაპის შემდგომ ფაზაში იწყება დეცენტრალიზაციის პროცესი – ორი ან მეტი ფიზიკური თვისების ერთდროულად გათვალისწინების უნარი. ამის კლასიკური ნიმუშია პიაჟეს გამოკვლევა სითხეების ინვარიანტულობის შესახებ. ორ ერთნაირი ზომის ჭიქაში სითხის ერთნაირი რაოდენობაა ჩასხმული. 5, 6 და 7 წლის ბავშვი ადვილად ასკვნის, რომ ორივე ჭიქაში სითხის, მაგალითად, ლი-

მონათის, ერთნაირი რაოდენობაა. მაგრამ როდესაც ბავშვების თვალწინ ერთ-ერთი ჭიქიდან ლიმონათს სხვა, უფრო მაღალ და ვიწრო ჭიქაში გადაასხამენ და ჰკითხავენ, თუ რომელ ჭიქაშია მეტი სითხე, მათი პასუხები განსხვავებული ხდება. ხუთი წლის ბავშვებს, როგორც წესი, მიაჩნიათ, რომ მაღალ ჭიქაში ლიმონათის მეტი რაოდენობა უნდა იყოს (თითქოსდა, ლიმონათის რაოდენობა რადიკალურად გაიზარდა), ექვსი წლის ბავშვები დარწმუნებულები არ არიან, მაგრამ მაინც ვარაუდობენ, რომ მაღალ ჭიქაში მეტი სითხე ასხია. შვიდი წლის ბავშვებმა, როგორც წესი, უკვე იციან, რომ ლიმონათის რაოდენობა კვლავინდებურად ერთნაირი დარჩა. შვიდი წლის ასაკის ბავშვები ითვალისწინებენ ჭიქის ორ თვისებას, სიღიწროვასა და სიმაღლეს, როდესაც „პატარები“ მხოლოდ ერთ თვისებას, სიმაღლეს ითვალისწინებენ. სიმაღლე, ჩვეულებრივ, მეტობის ინდიკატორია. შვიდი წლის ბავშვები წესს ეყრდნობიან, ხოლო ხუთი წლისანი უფრო მეტად „ხედვაზე“ არიან დამოკიდებულნი.

კონკრეტული ოპერაციების ეტაპი მოიცავს შვიდიდან თერთმეტ წლამდე პერიოდს. როგორც აღვნიშნეთ, შვიდი წლის ასაკში ბავშვებმა იციან, რომ მხოლოდ ფორმისა და გარეგნობის შეცვლით სითხის/საგნის რაოდენობა არ იცვლება. ასეთ ცოდნას პიაჟე „შენახვის“ ცოდნას უწოდებს. კონკრეტული ოპერაციების საფეხურზე ბავშვი შენახვის სხვა სახეობებსაც სწავლობს, მაგალითად, ფართობების შენახვას. შენახვა/უცვლელობის სწავლა მიანიშნებს, რომ ბავშვებს შეუძლიათ გონებრივი ოპერაციების ჩატარება, ანუ ინფორმაციის გონებაში ტრანსფორმირება. კოგნიტური ოპერაციების დროს ისინი უფრო მეტად ცნებებს ეყრდნობიან, ვიდრე შეგრძნებებს. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ გარკვეული პრობლემების გადასაწყვეტად ლოგიკური აზროვნების გამოყენება, მაგრამ თავიანთი დასკვნების კონსტრუირებისა და დასაბუთებისას ისინი კონკრეტული საგნებისა და მოვლენების სიმბოლოებს, და არა აბსტრაქტულ ცნებებს, იყენებენ. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი თამაში - „ოცი შეკითხვა“, როდესაც ბავშვმა ოც კითხვაში ჩაფიქრებული კონკრეტული საგანი უნდა გამოიცნოს. 7-8 წლის ბავშვები, ჩვეულებრივ, კონკრეტულ კითხვებს სვამენ, რომლებიც, დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩაფიქრებული საგნის პირდაპირ გამოცნობას გულისხმობს, მაგ.: ეს კატაა? ეს ძაღლია? და სხვა. სამი-ოთხი წლის შემდეგ იგივე ბავშვები ამ დავალებას უფრო სისტემურად უდგებიან და ზოგად კატეგორიებს უსვამენ შეკითხვას, მაგ.: ეს ცხოველია? ეს ფრინველია? საჭმელია? და ა.შ.

ფორმალური ოპერაციების ეტაპი, რომელიც თერთმეტი-თორმეტი წლის შემდეგ მიმდინარეობს, განვითარების უკანასკნელ ეტაპს წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია აბსტრაქტული აზროვნება ან აბსტრაქტული პრობლემების ლოგიკური დასაბუთების მოფიქრება. იმავე „ოცი კითხვის“ თამაშისას ბავშვები,

თავიანთი ზოგადი ცოდნის საფუძველზე, ინფორმაციის დამუშავების გარკვეულ სტრატეგიას ავითარებენ. ისინი იწყებენ ზოგადი კატეგორიებით და მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების შემდეგ ცდილობენ ჩაფიქრებულის გამოცნობას. ამ გზით ისინი თავიანთ ჰიპოთეზებს აყალიბებენ და ამოწმებენ. როგორც აღვნიშნეთ, ფორმალური ოპერაციების საფეხური კოგნიტური განვითარების ბოლო საფეხურია. ამის შემდეგ ადამიანი ახალი უნარებისა და ცოდნის ათვისების ყველა საჭირო კოგნიტური საშუალებითაა აღჭურვილი.

ენის ათვისების ნატივისტური(თანშობილი) მოდელი.

ენის ათვისების ნატივისტური მოდელი ემყარება ტრანსფორმაციულ (წარმომშობი) გრამატიკის თეორიას, რომელიც ნაომ ჩომსკის სახელს უკავშირდება. ეს თეორია ცდილობდა, წარმოეჩინა არა მხოლოდ ენის ფუნქციონირების სისტემა, არამედ აეხსნა ენის ათვისების პროცესიც. ტრანსფორმაციულ-წარმომშობი თეორიის მიხედვით, ენის ცოდნა ემყარება ენის სიღრმისეული სტრუქტურის ფლობას, რომელიც შესაძლებელს ხდის, განვასხვავოთ მსგავსი სტრუქტურის ყველა წინადადება ან შევქმნათ ახალი თანმიმდევრობისგან შემდგარი წინადადება, რომლის საფუძველად გამოვიყენებთ „ნაცნობ“ სიღრმისეულ სტრუქტურას. ჩომსკის თეორიის თანახმად, ენა, კერძოდ კი, ენობრივი ფორმების წარმოების უნარი, ადამიანის თანშობილი, გენეტიკურად განპირობებული თვისებაა, დაახლოებით ისეთივე, როგორცაა სიარულის უნარი, რომლის „ჩართვა“ შესაბამის დროსა და პირობებს საჭიროებს. ამ უნარს ჩომსკის ადრეულ შრომებში ეწოდა „ენის ათვისების მოწყობილობა“ (Language Acquisition Device - LAD). ეს თანშობილი „მოწყობილობა“ განმარტავს ენის ათვისების პროცესში წამოჭრილ პრობლემურ გარემოებას - ენის მოკლე დროში დაუფლების მექანიზმს და ტიპური შეცდომებისა და გენერალიზაციის მოვლენის არსებობას.

ჩომსკის მიხედვით, ეს „მოწყობილობა“ უზრუნველყოფს გრამატიკის ათვისებისა და მართებულად გამოყენების უნარს. ის თავისთავად, ავტონომიურად მოქმედებს და არ არის დამოკიდებული ბავშვის ზოგად ინტელექტუალურ, კოგნიტურ განვითარებაზე. ეს მოსაზრება ემპირიულადაც მყარდება: უილიამსის სინდრომით (გენეტიკური დაავადება, რომელიც სწავლის უნარის დაქვეითებითა და ყურადღების დეფიციტით ვლინდება) შეპყრობილი ბავშვებს, რომლებსაც ზოგადად შედარებით დაბალი ინტელექტუალური უნარები ახასიათებთ, ბევრად უკეთესად აქვთ განვითარებული მეტყველების უნარი იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებსაც ასეთივე დაბალი ინტელექტუალური უნარები აქვთ, მაგრამ არა აქვთ უილიამსის სინდრომი. ეს ვითარება შეიძლება იმის დასტურად მივიჩნიოთ, რომ ენობრივი განვითარება მართლაც არ არის უშუალოდ დაკავ-

შირებული ბავშვის ინტელექტუალურ უნარებთან. მეტიც, ზოგიერთ ბავშვს, მიუხედავად მაღალი ინტელექტუალური განვითარებისა, ხანდახან აღენიშნება ენის ათვისების პრობლემები, გარკვეული შეფერხებები. შესაბამისად, ნატივისტური თეორიის თანახმად, რაკი ენის ათვისების გზები ნორმალურ და პათოლოგიურ შემთხვევებში მეტად მსგავსია, ენის ათვისების პროცესი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე დამოკიდებული არ არის.

ნატივისტური თეორიის მიმდევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზეც, რომ ბავშვის მიერ პირველი ენის ათვისების მსვლელობაზე, დაჩქარებასა ან მოცულობაზე პრაქტიკულად არავითარ გავლენას არ ახდენს (მშობლიური) ენის გამიზნული სწავლება, არ დასტურდება დასწავლის ეფექტი. ტრანსფორმაციულ-წარმომშობი თეორიის მომხრეთა აზრით, მცდარია ის წარმოდგენა, თითქოსდა, ენის დაუფლება ბავშვის მიერ მის გარშემო მყოფ პირთა გამონათქვამების მხოლოდ დამახსოვრება და ამ გამონათქვამების იმიტაციაა. ასეთი მოდელი გულისხმობს, რომ ბავშვი თავდაპირველად სწავლობს არა გრამატიკული წესების სისტემას, არამედ იმახსოვრებს მზა ფრაზებს, ქმნის ცალკეული სიტყვებისა და შესიტყვებების ერთგვარ კატალოგს, რომელსაც სიტუაციის მიხედვით იყენებს. ასეთი მიდგომის შემთხვევაში გასარკვევი და დასადგენია ბევრი ასპექტი: რამდენად საკმარისია ენობრივი სტიმულის მოცულობა ენობრივი ცოდნის ჩამოსაყალიბებლად? არის კი ბავშვების გამონათქვამები მხოლოდ იმიტაცია თუ არა? ბავშვები ხომ ხშირად ისეთ სიტყვებსა და წინადადებებს გამოთქვამენ, რომლებიც, დიდი ალბათობით, არასოდეს მოუსმენიათ. თანაც, ასეთ დროს განსაკუთრებით საგულისხმოა ენის ისეთი მცდარი რეპროდუქცია, რომელსაც გარკვეული კანონზომიერება აქვს და ძნელად თუ დახასიათდება, როგორც უფროსების მცდარი მიბადვა.

ბავშვის მეტყველებაში (განსაკუთრებით მისი განვითარების საწყის ეტაპზე) შეინიშნება გრამატიკულად გაუმართავი კონსტრუქციების გამოყენება. ასეთი სახის შეცდომებს სისტემატური ხასიათი აქვს და თანაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვს ასეთი მცდარი გამონათქვამები, არასწორი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმები არასოდეს მოუსმენია. ამრიგად, თუკი ვივარაუდებთ, რომ ბავშვი ენას მხოლოდ იმიტაციის გზით სწავლობს, მაშინ გაძნელება ასეთი ხასიათის გრამატიკულ შეცდომათა სისტემატურობის ფაქტის ახსნა.

ტრანსფორმაციულ-წარმომშობი თეორიის მომხრეები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ბავშვი ენობრივ წესებს ინდუქციური გზით ეუფლება, ანუ კერძო ფაქტებზე დაყრდნობით ზოგად დასკვნებს აკეთებს, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ენის ათვისების მთელი პროცესის ამით ახსნა მაინც ძნელია, რადგან ერთსა და იმავე ენობრივ სტიმულზე დაყრდნობით შესაძლებელია ენობრივი წესების რამდე-

ნიმე სისტემის ანუ რამდენიმე გრამატიკის შექმნა, რაც ემპირიულად არ დასტურდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად არასაკმარისი საწყისი მასალისა, ბავშვი ეუფლება გრამატიკულ ცოდნას, რაც საკმარისია იმის განსასჯელად, თუ რომელი კონსტრუქციებია მართებული ანუ დაშვებული შესაბამისი ენის გრამატიკით და რომელი – არა.

ტრანსფორმაციულ-წარმომშობი თეორიის მომხრეები ასევე მიიჩნევენ, რომ ენობრივი სტიმულის მოცულობა საკმაოდ მცირეა და შეუძლებელია მასზე დაყრდნობით ყველა წესის (ინდუქციურად) დადგენა. გარდა ამისა, ენობრივი სტიმულები არ იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა „არ შეიძლება“ ენაში. გარდა ამისა, ბავშვის მიერ გაგონილი მეტყველების ხარისხი ხშირად არადადამკმაყოფილებელია. ლაპარაკისას უფროსები უნებლიეთ უშვებენ შეცდომებს, რომლებიც ბავშვების მიერ „მართებულ“ გამონათქვამებად აღიქმება, რამაც ინდუქციის პროცესი მნიშვნელოვნად უნდა შეაფერხოს. ასეთი პრობლემების დასაძლევად ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის ე.წ. გვიანდელმა თეორიამ შეიმუშავა მოდელი, რომლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს *თანშობილი, გენეტიკურად განპირობებული ენობრივი ცოდნა*, რასაც **უნივერსალური გრამატიკა** ეწოდა.

უნივერსალური გრამატიკა

უნივერსალური გრამატიკა (UG) შედგება ძალიან ზოგადი, აბსტრაქტული პრინციპებისგან, რომლებიც საერთოა დედამიწაზე არსებული ყველა ენისთვის:

- ენაში არის ცალკეული სიტყვები;
- სიტყვები შეადგენს მეტყველების განსხვავებულ ნაწილებს;
- სიტყვა (სიტყვები) შეიძლება დაფუკავშიროთ სხვა სიტყვას (სიტყვებს).

ამ თეორიის თანახმად, თითოეულ ენობრივ პრინციპს თან ერთვის ე.წ. პარამეტრები, რომლებიც პრინციპის შესაძლო რეალიზაციას გამოხატავს. მაგალითად, უკანასკნელი პრინციპის პარამეტრი შეიძლება განსაზღვრავდეს მეტყველების რომელიმე ნაწილის ადგილმდებარეობას სხვა სიტყვებთან მიმართებით.

უნივერსალური გრამატიკის პრინციპი ყველა ენისთვის ერთია, მაგრამ სხვადასხვა ენაში ამ პრინციპის განსხვავებული პარამეტრები გამოიყენება. მაგალითად, თუკი ინგლისურ ენაში ზედსართავი სახელი არსებითი სახელის წინ უნდა იდგეს, (a beautiful lady) თაი ენაში ზედსართავი სახელი არსებითი სახელის შემდეგ გვხვდება. არსებობს ისეთი ენებიც, რომლის გრამატიკა ორივე შესაძლებლობას უშვებს. პრინციპებისა და პარამეტრების არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული ენის დაუფლებისას, ბავშვი მოცემული ენობრივი სტიმულის საფუ-

მველზე შესაბამის პარამეტრს გამოარჩევს. მაგალითად ინგლისური ენის შემთხვევაში ეს იქნებოდა ზედსართავი სახელის არსებითი სახელის წინ გამოყენება.

შესაბამისად, ენის დაუფლების პროცესი ნულიდან არ იწყება, ბავშვის გონება არ არის ტაბულა რაზა. დაბადებისთანავე მან უკვე იცის უნივერსალური გრამატიკა, რომელიც პრინციპებისა და პარამეტრების ერთობლიობის ფორმით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ენის დაუფლების პროცესი ბავშვს „დაბადებამდე“ აქვს დაწყებული. აქედან გამომდინარე, გრამატიკული სტრუქტურების დაუფლება უკვე არა ინდუქციურ ხასიათს ატარებს, არამედ დედუქციურს (ზოგად წესებზე დაყრდნობით კერძო დასკვნების გამოტანის ფორმა). ამ თეორიის ფარგლებში ენობრივი სტიმულის მნიშვნელობა და როლი რადიკალურად იცვლება. გაგონილის საფუძველზე ბავშვი ააქტიურებს შესაბამის პარამეტრებს, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ "დადებითი", "პოზიტიური" მონაცემები. ასეთ შემთხვევაში ენის დაუფლება არ წარმოადგენს ენის სხვადასხვა ნაწილის შეკოწიწების გზით ერთი მთლიანი სურათის შექმნას, არამედ სურათი თავიდანვე არის მოცემული, უბრალოდ, მისი ნაწილები ჩრდილშია მოქცეული, რომელთა გამომზეურება მხოლოდ დროსა და ენობრივ გარემოზეა დამოკიდებული.

პარამეტრების მოძიება ენის დაუფლების მხოლოდ ნაწილია, ბავშვი ასევე ლექსიკურ მასალას უნდა დაეუფლოს, სიტყვებსა და მორფემებს, რაც, ცხადია, არ არის თანშობილი უნარი. ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის თანახმად, ენის დაუფლების პროცესი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: გაგონილი ენობრივი სტიმულების საფუძველზე, ბავშვი თანშობილი უნივერსალური გრამატიკიდან ამოირჩევს მისი მშობლიური ენის შესაბამის სტრუქტურას (პარამეტრს), პარალელურად, მიმდინარეობს იმავე ენობრივი სტიმულების საშუალებით ენის სუბსტანციის ანუ სიტყვებისა და მორფემების დასწავლა. ენის სტრუქტურული ნაწილის ათვისება 7-12 წლის ასაკში სრულდება, ხოლო ლექსიკური მასალის დაუფლება დაუსრულებელი პროცესია და ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

უნივერსალური გრამატიკა სხვაგვარად ძნელად ასახსნელ ფაქტებსაც ხსნის: ბავშვები დროის წარმოუდგენლად მოკლე მონაკვეთში უაღრესად რთულ ცოდნას ეუფლებიან. ბავშვის ეს წარმატება უფრო ადვილად გასაგები ხდება, თუკი ვივარაუდებთ, რომ ენის სტრუქტურა მას თავიდანვე მოცემული აქვს. ბავშვები გარკვეულ ასაკში ერთგვაროვან, სისტემურ შეცდომებს უშვებენ. ეს შეცდომები შემდეგ თავისით, ანუ სპეციალური ვარჯიშის გარეშე, ქრება, თითქოსდა, მაშინ, როდესაც ამისი „დრო“ დადგება. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის, ენის სტრუქტურული განვითარების ეტაპები გამოვყოთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უნივერსალური გრამატიკა თავიდანვე სრული მოცულობით და ერთიანად კი არ ირთვება, არამედ ეტაპობრივად.

ბავშვის მიერ გრამატიკული სტრუქტურების დაუფლების კვლევამ უნივერსალური გრამატიკის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი წარმოაჩინა. ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკა მიიჩნევს, რომ გრამატიკული სტრუქტურების დაუფლება ბავშვის ზოგადი კოგნიტური განვითარებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ბავშვები გარკვეულ გრამატიკულ სტრუქტურებს გარკვეულ ასაკთან ერთად და თანაც ერთბაშად, პრაქტიკულად ერთ დღეში, ეუფლებიან. ამ თეორიის მიმდევრები აღნიშნულ მოვლენას უნივერსალური გრამატიკის კონკრეტული პარამეტრის ამოქმედებით ხსნიან. ასე მაგალითად, პასიურ კონსტრუქციას - "a mouse was caught by a cat" - „თაგვი კატის მიერ იქნა დაჭერილი“, ბავშვები უკვე ადრეულ ასაკში სწორად იგებენ, მაგრამ მათ, იმავე ასაკში, ხშირად არასწორად ესმით წინადადება: "a cat was caught by a mouse" - „კატა თაგვის მიერ იქნა დაჭერილი“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დასკვნის გაკეთებისას ბავშვები გრამატიკულ წესს კი არ ემყარებიან, არამედ სამყაროს ზოგად ცოდნას. ცხადია, ზოგადი ცოდნა გვკარნახობს, რომ უფრო სავარაუდოა, კატამ დაიჭიროს თაგვი, ვიდრე თაგვმა - კატა. გარკვეული ასაკიდან (3-4 წელი), ბავშვები მსგავსი წინადადებების სწორად გაგებას იწყებენ, ანუ ვნებითი გვარის გრამატიკულ წესს ისინი, თითქოსდა, „უეცრად“ ეუფლებიან.

უნივერსალური გრამატიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არგუმენტი კრეოლისტიკის შესწავლიდან მომდინარეობს. დედამიწის გარკვეულ კუთხეებში, უმეტესად კოლონიალური ქვეყნების საპორტო ქალაქებში, მცხოვრები უმდაბლესი ფენების (აბორიგენი მოსახლეობა, მონები, ემიგრანტი მუშები) წარმომადგენლები, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ მშობლიურ ენობრივ სივრცეს და მრავალენოვან გარემოში, ერთგვარ ლინგვისტურ ქაოსში უწევდათ ცხოვრება, ერთგვარად ივიწყებდნენ თავიანთ მშობლიურ ენას და მათ ნაცვლად, ეგრეთ წოდებულ, *პიჯინის* ენაზე იწყებდნენ ლაპარაკს. ასეთი ენა ყოველდღიური კომუნიკაციისთვის გამოიყენება, მაგრამ მას ბუნებრივი ენებისთვის დამახასიათებელი თვისებები არ გააჩნია ანუ მას აკლია ბუნებრივი ენის შინაგანი სტრუქტურა. მაგრამ უკვე შემდეგი თაობა ანუ ის ბავშვები, რომლებიც პიჯინის ენის გარემოცვაში აღიზარდნენ და, შესაბამისად, ენობრივი სტიმულის სახით პიჯინის ენობრივი ქაოსი მიიღეს, მას კრეოლების ენად გარდაქმნიან, რომელიც ბუნებრივი ენის ყველა თვისებას ავლენს და დასრულებული გრამატიკული სტრუქტურა აქვს. რამ განაპირობა „არაფრისგან“ ენის შექმნა? ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკისთვის პასუხი ნათელია - კრეოლების ენა მოცემული ენობრივი სტიმულზე დაყრდნობითა და უნივერსალური გრამატიკის საფუძველზე შექმნილი (ახალი) ენაა.

ენის ათვისების ფაქტორები.

ენის ათვისება უაღრესად კომპლექსური და რთული პროცესია, რომელსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ამ ფაქტორებს შორის შესაძლებელია სამი ძირითადი ფაქტორის გამოყოფა. ესენია: **ბიოლოგიური**, **კოგნიტური** და **სოციალური** ფაქტორები.

1. **ბიოლოგიურ** ფაქტორებს შორის გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, საარტიკულაციო (სამეტყველო) აპარატის, ხოლო მეორე მხრივ, ტვინის ფუნქციების განვითარება. საარტიკულაციო აპარატი ბავშვის დაბადების მომენტისთვის სრულად განვითარებული არ არის და ის დროთა განმავლობაში იხვეწება. იგივე ითქმის ტვინის ფუნქციებზეც. თუმცა ჯერ კიდევ ჩანასახშივე იწყება ნერვული უჯრედების ჩამოყალიბება. დაბადების მომენტისთვის ადამიანის ორგანიზმი პრაქტიკულად სრულად არის აღჭურვილი ტვინის ნერვული უჯრედებით, მაგრამ ეს უჯრედები ერთმანეთთან სუსტად არის დაკავშირებული. დაბადების შემდეგ იწყება ნერვული უჯრედების დამაკავშირებელი ქსელის სწრაფი განვითარება, რაც ადამიანის ზოგადი განვითარების საწინდარია. დაბადებიდან ბავშვები მეტი ნერვული უჯრედით არიან აღჭურვილნი, ვიდრე ეს მათ რეალურად სჭირდებათ, მაგრამ გარკვეული ასაკის შემდეგ, იწყება ჭარბი, დაუტვირთავი ქსელების გათიშვა. ამიტომ ასაკთან ერთად უფრო და უფრო ჭირს ახალი ქსელების შექმნა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ზრდასრულებს უჭირთ, ზოგადად, ახლის სწავლა, მათ შორის, აგრეთვე, უცხოური ენის შესწავლაც.

2. **კოგნიტური** ფაქტორები. მნიშვნელოვანი კოგნიტურ ფაქტორს წარმოადგენს ბავშვის აზროვნების უნარი, რომელიც, ყველაფერთან ერთად, ცნებების დამუშავების უნარსაც მოიცავს. ბავშვის კოგნიტურ უნარებს შორის, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ენის ათვისების პროცესში, გამოიყოფა შემდეგი ოთხი უნარი:

ა) **იმიტირების უნარი**. ბავშვები ხშირად იმეორებენ მათ გარშემო მყოფთა გამონათქვამებს. უფროსთა მეტყველების იმიტაცია ხშირად მეტია, ვიდრე მხოლოდ გამეორება, რადგან ასეთ დროს ბავშვები თითქოს შესაბამის როლებს ასრულებენ, მაგალითად, დედის, მამის, ექიმის, პოლიციელის და ა.შ., რაც პერსპექტივის შეცვლასთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, ზოგადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ბ) **სტრუქტურირების უნარი**. სტრუქტურირების უნარი გულისხმობს აღქმული გამონათქვამების გარკვეული ნიშნებით სხვადასხვა დონეზე (ფონეტიკურ, სემანტიკურ, სინტაქსურ) ორგანიზებას, ლინგვისტურ ანალიზს. სტრუქტურირებისას ბავშვი შეიმუშავებს ჰიპოთეზებს გარკვეული მოვლენების შესახებ, რომელთა მართებულებასაც დროის განმავლობაში ცდის. მის გარშემო მყოფთა

რეაქციებზე დაყრდნობით, ბავშვი ადგენს, თუ რამდენად მართებულია მის მიერ შემუშავებული ჰიპოთეზები.

გ) *ვარჯიშის უნარი*. ბავშვები ხშირად, განსაკუთრებით თამაშისას, იმეორებენ ამა თუ იმ ბგერებს თუ შესიტყვებებს, თითქოსდა, ვარჯიშობენ მათ სწორ წარმოთქმაში ან სწორ ვითარებაში გამოყენებაში. ასეთი ვარჯიში *თვითსწავლის* ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც მტკიცდება ნასწავლი ცოდნა და ხდება მისი კონკრეტულ ვითარებებზე მორგება.

დ) *გამოხატვის უნარი*. სტრუქტურირებისა და ვარჯიშის უნარი წარმატებული ინტერაქციის წინაპირობაა, მაგრამ პარტნიორზე მიმართული მეტყველებისას მნიშვნელოვან როლს კიდევ დამატებითი უნარები ასრულებს, კერძოდ კი, პარტნიორის მოლოდინისა და პერსპექტივის გათვალისწინება. პრინციპულად განსხვავებული ჩანს ბავშვის საკუთარ თავზე მიმართული (აუტისტური) და სხვაზე მიმართული მეტყველება. როდესაც ბავშვი მარტო თამაშობს და თავის თავს ელაპარაკება, მისი მეტყველება, როგორც წესი, არასტრუქტურირებულია და ძირითადად, თავისუფალი ასოციაციების რიგს წარმოადგენს. ხოლო როდესაც ბავშვი მეორე პირს მიმართავს, მაშინ მის მეტყველებაში გარკვეული სტრუქტურა შეიმჩნევა, რის გარეშეც კომუნიკაცია შეუძლებელია. გამოხატვის უნარი უშუალოდ დაკავშირებულია სინტაქსური კონსტრუქციების ათვისებასთან, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ბავშვს, მიაღწიოს თავის კომუნიკაციურ მიზნებს.

3. *სოციალური ფაქტორები*. მცდარი იქნებოდა გვევარაუდა, რომ მზაობა ენის სწავლებისთვის, ისევე როგორც ბავშვის ენობრივი ქცევა მთლიანად მისი სოციალური გარემოთია განპირობებული, მაგრამ უდავოა ის ფაქტიც, რომ ენის ასათვისებლად სოციუმის არსებობა აუცილებელი პირობაა. ბავშვი ენას მხოლოდ მის გარშემო მყოფთა მეტყველების უშუალო გავლენით სწავლობს. ბავშვის მიერ ენის ათვისება არა მხოლოდ გარკვეული გრამატიკული წესებისა და სიტყვების მარაგის სწავლას, არამედ ბავშვის სოციალიზაციასაც გულისხმობს.

ენის ათვისების სტადიები.

ენის ათვისების პროცესში შესაძლებელია სულ მცირე ოთხი საფეხურის, სტადიის გამოყოფა, ესენია: **წინასამეტყველო სტადია**, **ერთი სიტყვის სტადია**, **ორი სიტყვის სტადია**, **ტელეგრამის სტილი**.

წინასამეტყველო სტადია. სანამ ბავშვი პირველ სიტყვას წარმოთქვამს, ის ცალკეულ ბგერებს გამოსცემს. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ენობრივი კუთვნილების ბავშვები თავისი ენების ფონოლოგიური სისტემების დაუფლების პრო-

ცესში დიდ მსგავსებას ავლენენ. ბავშვის მშობლიური ენის ფონოლოგიური სისტემის სრულყოფილად ათვისება ხანდახან რამდენიმე წელი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ათვისების საწყისი საფეხურები უნივერსალურია და ყველა ენისთვის ერთნაირი. ბავშვი ფონოლოგიურ სისტემას გარკვეული თანმიმდევრობით ეუფლება და დაუფლების დროს განსაცვიფრებელ სისტემურობას იჩენს. ასე მაგალითად, თუკი ბავშვი განასხვავებს მჟღერი და ყრუ ხმოვლების ერთ წყვილს, მაგალითად /b/ და /p/, ის მაშინვე განასხვავებს ფონოლოგიური სისტემის სხვა ანალოგიურად დაპირისპირებულ წყვილებსაც: /d/ ~ /t/; /z/ ~ /s/ და სხვ. პირველი სამი თვის განმავლობაში ბავშვის არტიკულატორული ქცევა, ძირითადად, ყვირილით შემოიფარგლება. მეოთხე თვიდან იწყებს ბავშვი პირველი ბგერების, უფრო კი, ბგერათა ნაკადების პროდუცირებას, მათ შორის ისეთი ბგერებისაც, რომლებიც უცხოა ბავშვის უშუალო ენობრივი გარემოსთვის. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბავშვები „მუნჯდებიან“, იმდენად, რამდენადაც აღარ გამოსცემენ არტიკულირებულ ბგერებს. ეს პერიოდი რამდენიმე კვირაც შეიძლება გაგრძელდეს, ხოლო ამის შემდეგ იწყებენ საკუთრივ ლაპარაკს ანუ წარმოთქვამენ პირველ სიტყვებს.

ბავშვის პირველი სიტყვები, როგორც წესი, ხმოვან-თანხმოვნის მონაცვლეობაა და ყველაზე ხშირად /baba/, /mama/, /papa/ თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი. ასეთი განვითარება დასტურდება პრაქტიკულად ყველა ენობრივ ჯგუფში და უნივერსალურ კანონზომიერებად მიიჩნევა. იაკობსონმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნული კანონზომიერება ენის ბუნებიდან გამომდინარე, იმანენტური ფაქტორებით არის განპირობებული. იაკობსონმა ამ მოვლენას *მაქსიმალური კონტრასტის* პრინციპი უწოდა. მეტყველების /pa/, /ma/ ბგერებით დაწყებას არტიკულაციური საფუძველი უდევს. /a/-ბგერა არის ხმოვანი, რომლის წარმოთქმის დროს პირის ღრუ მაქსიმალურად გახსნილია, ხოლო /p/-ბგერა არის ბაგისმიერი (ლაბიალური) ბგერა, რომლის წარმოთქმისას პირის ღრუ მაქსიმალურად დახურულია. ანუ /pa/-ს წარმოთქმისას, მაქსიმალური კონტრასტის პრინციპის შესაბამისად, ერთმანეთს პირის ღრუს მაქსიმალური ღიაობა-დახურულობა უპირისპირდება, გარდა ამისა, ერთმანეთს უპირისპირდება ბგერათა ხმოვან-თანხმოვნობაც.

ენის ათვისების პროცესი ბგერების ფონოლოგიური დაპირისპირების (არტიკულირების რომელიმე ნიშნით განსხვავებული ბგერების წარმოთქმის) გამოვლენის გზით მიმდინარეობს. მაქსიმალური კონტრასტის პრინციპს როგორც ვოკალური (ხმოვნების), ისე კონსონანტური (თანხმოვნების) სისტემების ათვისების პროცესი ექვემდებარება. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად ბავშვი მაქსიმალურად ღია ხმოვანს, [a]-ს წარმოთქვამს, რასაც თან სდევს პირველი თანხმოვნის

არტიკულირებაც. ეს თანხმოვანი არის, როგორც წესი, ბილაბიალური ორალური ხშულ-მსკდომი ფონემა[p]. პირველი ბგერების წარმოთქმას თან სდევს ფონოლოგიური დაპირისპირების ჩამოყალიბება ორალურ და ნაზალურ ბილაბიალურ თანხმოვნებს შორის (p-m) და ბილაბიალურ და დენტალურ თანხმოვნებს შორის (p-t, m-n). ეს თანხმოვნები ქმნის ე.წ. კონსონანტურ მინიმუმს, რომელიც მსოფლიოს ყველა ენაშია მოცემული. მაქსიმალური კონტრასტის პრინციპი ვოკალების (ხმოვნების) ათვისების პროცესშიც ვლინდება. მაქსიმალურად ღია /ა/-ბგერის შემდეგ ბავშვები ვიწრო ხმოვანს /ი/-ს წარმოთქვამენ (დაპირისპირება ხმოვანთა აწეულობის მიხედვით). ამის მერე, ბავშვები /უ/-ბგერას ეუფლებიან. /უ/-ბგერაც ვიწრო ხმოვანია. მაგრამ თუკი /ი/ არის წინა რიგის ხმოვანი, /უ/ უკანა რიგის ხმოვანია, ანუ ვოკალური სისტემა ორი სახის დაპირისპირების – აწეულობისა და რიგის ნიშნების – შედეგად ყალიბდება. /ა/, /ი/, /უ/ ხმოვნები შეადგენს ვოკალურ მინიმუმს, რომლის არსებობა ასევე პრაქტიკულად ყველა ენაში დასტურდება. დანარჩენი ფონემების ათვისებაც სწორედ ამ ზემოდასახელებულ ბგერებთან ფონოლოგიური ოპოზიციის ჩამოყალიბების გზით მიმდინარეობს.

ფონემათა ათვისების პროცესი გარკვეულ თანმიმდევრობას გულისხმობს, ასე მაგალითად, ბავშვის მეტყველებაში ლაბიალური და დენტალური ბგერების არსებობა პალატალური და ველარული ბგერების გაჩენის აუცილებელი წინაპირობაა. ისეთ კავშირებს, როდესაც ერთი ფონემის არსებობა აუცილებელია მეორე ფონემის ჩამოყალიბებისთვის, *შეუქცევადი ურთიერთკავშირის კანონი* ეწოდება. თუკი ორი ფონემა შეუქცევადი ურთიერთკავშირის მიმართებაშია, მეორე დონის ფონემა მხოლოდ პირველი ფონემის ათვისების შემდეგ შეიძლება გაჩნდეს.

როგორც უკვე ითქვა, მეოთხე თვიდან ბავშვები ინტენსიურად იწყებენ სხვადასხვა ბგერის წარმოთქმას. როგორც ჩანს, ეს პროცესი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული, რადგან იგივე მოვლენა დაბადებიდან ყრუ ბავშვებშიც აღინიშნება, რომლებიც ასეთ ბგერებს დაახლოებით ექვსი თვის ასაკამდე წარმოთქვამენ, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა წყვეტენ მათ პროდუცირებას. საინტერესოა, რომ ამ ეტაპისთვის დამახასიათებელი ზოგი ბგერა (მაგალითად „ლ“ და „რ“, რომლებიც საკმაოდ მკაფიოდ გამოითქმება ხოლმე) ბავშვის პირველ სიტყვებში იშვითად გვხვდება.

ერთი წლის ასაკისთვის ბავშვები მშობელთა ენის პროსოდიული ნიშნების მიბაძვას იწყებენ. *პროსოდიის* მიმართულია ბგერების მელოდიურ დანაწევრებაზე. თუმცაღა ბავშვი ჯერ ცალკეულ სიტყვებს არ ამბობს, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული ბგერების მელოდია უკვე კონკრეტული ენისთვის დამახასიათებელ ელფერს იძენს. ამერიკელი ბავშვის ბგერები ამერიკულ ინგლისურს ემსგავსება,

ხოლო იაპონელი ბავშვის ბგერები „იაპონურად“ ჟღერს. ერთი წლის ასაკში ბავშვები, როგორც წესი, პირველ სიტყვას წარმოთქვამენ.

ერთი სიტყვის სტადია. ლაპარაკს ბავშვი დაახლოებით ერთი წლის ასაკში იწყებს, როდესაც პირველ სიტყვას წარმოთქვამს. როგორც წესი, ეს სიტყვა კონკრეტული არსებითი სახელია. ბავშვის პირველი სიტყვები: - „დედა“, „ბურთი“, „მანქანა“ და ა.შ. - იმ ადამიანებს თუ საგნებს აღნიშნავს, რომლებიც ბავშვის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ და მის უშუალო გარემოცვასთანაა კავშირში - მოძრაობენ, ხმას გამოსცემენ და/ან რომლებსაც ბავშვი ეთამაშება. ბავშვის პირველი სიტყვების თავისებურება ისაა, რომ ბავშვები ჩვეულებრივ მათ მრავალი მნიშვნელობით იყენებენ. როდესაც ბავშვი, მაგალითად, ამბობს სიტყვა „ბურთს“, ის შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ბურთს, არამედ ყველა მრავალ საგანს: მთვარეს, საათს, თევზს. ბავშვი ამ სიტყვას ნამდვილ ბურთს მხოლოდ ნელ-ნელა უკავშირებს. ასე მაგალითად, წლინახევრის ბავშვი „ფუას“ ჯერ სანთელს უწოდებს, (სიტყვა „ფუა“ წარმოიშვა სანთლის სულის შებერვით ჩაქრობის ხმის მიბადვისგან) ხოლო შემდეგ ეს სიტყვა შესაძლოა, აღნიშნავდეს ყველაფერს, რაც ანათებს მზეს, მთვარეს, ოთახის ჭალის განათებას, მანქანის ფარებს და ა.შ. სამი წლის ასაკამდე ხშირია სიტყვის მნიშვნელობის ასეთი სახით გაფართოება. მსგავს მოვლენას *გენერალიზაცია* ეწოდება. გენერალიზაცია შეიძლება ორი მიმართულებით მიმდინარეობდეს: თუ ბავშვი „ძალს“ უწოდებს ყველა ცხოველს ანუ განურჩევლად – ძალს, კატას, ჩიტს, მაშინ საქმე გვაქვს *ზეგენერალიზაციის* მოვლენასთან. თუკი ბავშვი „ძალს“ მხოლოდ მეზობლის კავკასიურ ნაგაზს უწოდებს, მაშინ საქმე გვაქვს მნიშვნელობის შევიწროებასთან, ამ მოვლენას *ქვეგენერალიზაცია* შეიძლება დავარქვათ.

ბავშვის ერთსიტყვიანი გამონათქვამები სინამდვილეში სინტაქსური ერთეულებია, რადგან ისინი წინადადების მაგივრობას სწევს. ერთსიტყვიანი გამონათქვამები პრინციპულად სრულფასოვანი წინადადებებია. ეს არ არის უფროსების მიერ გამოყენებული შემოკლებული წინადადებები და მათ ასევე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მხოლოდ სახელდებას. ხშირად ბავშვის მიერ წარმოთქმულ ერთსა და იმავე სიტყვას განსხვავებული ინტონაცია აქვს (მტკიცებითი, კითხვითი) ბავშვის მიერ ნათქვამ სიტყვას (მაგალითად, /ბუთი/) ინტონაციის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. /ბუთი/ – ეს არის ბურთი; /ბურთი/? – ეს ბურთია? /ბუთი! – მომეცი ბურთი! ან ვითამაშოთ ბურთით! და სხვ.

ორი სიტყვის სტადია დაახლოებით 18 თვის ასაკიდან იწყება, ბავშვები სიტყვების ორსიტყვიან გამონათქვამებად კომბინირებას იწყებენ, რომელთა გასაგებად, ისევე, როგორც ერთსიტყვიან სტადიაში, კონტექსტის ცოდნაა საჭირო.

„დედა მანქანა“ შეიძლება ნიშნავდეს „დედა, მომიტანე მანქანა“, „დედა, დამიხატე მანქანა“, „ეს მანქანა ჩემია?“ და სხვ. ხშირად ამბობენ, რომ ერთსიტყვიანი სტადიდან ორსიტყვიან სტადიაზე გადასვლა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ბავშვის გამოცდილების (ცოდნის) ზრდითა და გამოსახატავი აზრის უფრო ზუსტად ჩამოყალიბების აუცილებლობით. მეორეს მხრივ კი, ბავშვების ფსიქო-ფიზიკური განვითარებით.

შემჩნეულია, რომ წლის/წლინახევრის ბავშვებს ხშირად ბგერათა უფრო გრძელი თანმიმდევრობის გამოცემა შეუძლიათ, ვიდრე ერთ ან ორსიტყვიანი გამონათქვამებია. სავარაუდოა, რომ მნიშვნელობის მქონე, პარტნიორზე მიმართული გამონათქვამის წარმოება განსხვავებული კოგნიტური ქმედებაა და არა მხოლოდ ბგერათა თანმიმდევრობა. ამ შემთხვევაში გონებრივი განვითარება, კერძოდ კი, მეხსიერების უნარის განვითარება, დიდ როლს ასრულებს. ზრდასრული ადამიანის მიერ წარმოებული და აღქმული წინადადებების სიგრძეც ხომ მეხსიერებაზეა დამოკიდებული (ადამიანს არ შეუძლია უსასრულოდ გრძელი წინადადების წარმოება ან აღქმა, თუმცა ასეთი წინადადების წარმოების გრამატიკულ-ლექსიკური შესაძლებლობა მოცემული აქვს), ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერების მოცულობა (memory span) მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ჩვენს მეტყველებას საზღვრავს. გონებრივ განვითარებასთან ერთად, იზრდება მეხსიერების მოცულობაც, რაც სიტყვების დაკავშირების წინაპირობაა. ის, რომ ბავშვი ჯერ კიდევ მის ერთსიტყვიან სტადიაში გარკვეულ სინტაქსურ ცოდნას ფლობს, ერთი სიტყვის განსხვავებული ინტონაციით წარმოთქმაშიც ვლინდება, რაც სინტაქსური სტრუქტურების მომდევნო დაუფლების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

ორსიტყვიანი წინადადებების ანალიზისას ვლინდება, რომ ბავშვის მიერ გამოყენებული სიტყვები თანაბარი წონალობის არ არის. შეიმჩნევა, რომ ზოგი სიტყვა ბევრად უფრო ხშირად გამოიყენება და ძირითადად, მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში გვხვდება. შესაბამისად, ამ სტადიაში გამოყენებული სიტყვები შეიძლება ორ კლასად დავაჯგუფოთ: ე.წ. „საყრდენი“ სიტყვები (Pivot-words, შემოკლებით – Pivots) ანუ ოპერატორები, და *სიტყვათა ღია სიმრავლე*, რომელიც X ნიშნით შეიძლება აღვნიშნოთ. ქართულში ასეთი საყრდენი სიტყვა შეიძლება იყოს, მაგალითად, სიტყვა ბევრი (ბევრი მანქანა, ბევრი ბურთი, ბევრი X) ან მაგალითად, არა (დედა არა, ბურთი არა, X არა). იშვიათია ორი საყრდენი სიტყვის ერთბაშად გამოყენება (ბევრი არა). საყრდენი სიტყვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკვე ამ ასაკში ბავშვები ეუფლებიან ენის ძირითად ფუნქციებს. ასე მაგალითად: ფაფა არა! ბურთი არა! (უარყოფა); ბურთი დიდი! მანქანა დიდი! (განსაზღვრება, ხარისხი); თათა სადა(ა)? ნანა სადაა(ა)? (შეკითხვა); ბიკო(ს) ძინავს! თათა(ს)

ძინავს! (ვითარების ან მოვლენის აღწერა); ბიკო (ს) ბურთი! ბიკო (ს) მანქანა! (კუთვნილება)და სხვ.

განსხვავებული ენების მიუხედავად, ამ სტადიაში მყოფი ბავშვები მსგავს სემანტიკურ კატეგორიებსა და რელაციებს (მიმართებებს) იყენებენ. ბრაინის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ენობრივ გარემოცვაში აღზრდილი ათი ბავშვი საკუთარ მეტყველებაში ძირითადად სამ სემანტიკურ რელაციას გამოყოფდა – *ობიექტის მამოძრავებელს*, *თავად მოძრავ საგანს* და *ლოკალიზაციას* (ადგილმდებარეობა). პირველი რელაციის მაგალითია, როდესაც პატარა ბიძინა ეუბნება ბებიას: „ნანა ბურთი“, მეორის – „დიდი ბუთი“, ხოლო მესამის – „დაჯე ოთახი“ (როდესაც ვინმე ზის ოთახში).

რადგან ბავშვი, უბრალოდ, კი არ უკავშირებს ერთმანეთს ორ სიტყვას, არამედ გარკვეული პრინციპით, იერარქიით აჯგუფებს მათ, ეს კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს იმისა, რომ ბავშვი მეტყველებას ზრდასრულთა მიბაძვით კი არა, არამედანალიზის გზით ითვისებს.

ასეთი ანალიზის არსებობის მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „*რეგულარიზაციის*“ ფენომენი, რაც ნიშნავს გრამატიკული წესის ენის ისეთ ენობრივ მონაკვეთზე გადატანას, რომელზედაც ეს წესი არ ვრცელდება. ეს მოვლენა გვხვდება მაშინ, როდესაც ბავშვი ათვისებულ გრამატიკულ წესს ანალოგიით შეუფერებელ ვითარებაში იყენებს, მაგალითად, ინგლისურენოვანმა ბავშვმა „ისწავლა“, რომ წარსულის ფორმის წარმოებისას ზმნას ემატება -ed დაბოლოება (packed, knocked) და ანალოგიურად ამბობს: goed, knowed და სხვ. ანუ არგებს მის მიერ ნასწავლ გრამატიკულ წესს ისეთ ზმნებსაც, რომლებზედაც ეს წესი არ ვრცელდება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვი გარკვეულ ჰიპოთეზებს იმუშავებს ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, და ენის ათვისების პროცესიც ამ ჰიპოთეზების გადასინჯვას წარმოადგენს. ამ ჰიპოთეზის სისწორის დამადასტურებელ მასალას მორფემების ათვისების პროცესის კვლევებიც გვაწვდის (ამ საკითხის განხილვას ჩვენ მორფემათა ათვისების ნაწილში დავუბრუნდებით.).

ორსიტყვიან სტადიაში ბავშვთა ლექსიკური მარაგი წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება, რაც ბავშვის ორსიტყვიანი წინადადებების რაოდენობაზეც აისახება, რომელიც თვეების მიხედვით დაახლოებით ასე იზრდება: 14, 24, 54, 89, 350, 1400, 2500. დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში ბავშვი სიტყვების კომბინაციების უაღრესად დიდ რაოდენობას ეუფლება. საინტერესოა, რომ ორსიტყვიანი სტადიის შემდეგ არ გვაქვს სამსიტყვიანი სტადია. ბავშვის გამონათქვამების სიგრძე არათანაზრად იზრდება და ბავშვიც ერთდროულად განსხვავებული ზომის წინადადებებს ქმნის. ამ ეტაპს ხშირად ტელეგრამის (ან დეჰემის) სტილს უწოდებენ.

ტელეგრამის სტილის სტადია. ორი სიტყვის სტადიის შემდეგ ბავშვები ე.წ. ტელეგრამის სტილზე გადადიან. ამ სახის წინადადებები ბევრი სიტყვისგან (ძირითადად არსებითი სახელები და ზმნები) შედგება, მაგრამ დროის და პირის ნიშნები ჯერ (თითქმის) არ გამოიყენება. მეტყველებაში მათი გამოყენება ოდნავ მოგვიანებით იწყება. მაგალითად ერთი წლისა და 10 თვის ბავშვის გამონათქვამი „კაცი სხვენი ბახ ფეხი ვავა“ ნიშნავს- „კაცი სხვენზე წაიქცა და ფეხი მოიტეხა.“

ისეთი სიტყვების გამოყენება როგორებიცაა: „დამავიწყდა“, „მჯერა“, „მიხარია“, „მოწყენილი ვარ“ და სხვა (ბავშვის შინაგანი მდგომარეობისა და გრძნობების გამომხატველი ცნებების გამოყენება) როგორც წესი, ორი-ორ-ნახევარი წლის ასაკიდან იწყება. ამ სტადიას თან სდევს ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების ცოდნის მუდმივი გაღრმავება. გრამატიკულ ფორმებს ბავშვები პრაქტიკულად მყისიერად, თითქოს „ერთ ღამეში“ ეუფლებიან და გავლიძებისას სწორად ამბობენ: „სად არის დათოს მანქანა“, და არა: „სად დათო მანქანა“, განსხვავებით წინა დღისგან.

მორფემათა ათვისება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ფონემათა ათვისების პროცესი ჯერ კიდევ *წინასამეტყველო* სტადიაში ხდება საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობს მორფემათა ათვისება. ენის მორფოლოგიური დონის განხილვის დროს უკვე გავვეცანით თავად მორფემის ცნებას და აღვნიშნეთ, რომ მორფემა არის მნიშვნელობის მქონე ფონემათა თანმიმდევრობის „მინიმალური ფორმა“, რომელიც მასზე უფრო მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულებად აღარ იშლება. მორფემა ენის აბსტრაქტული სიდიდეა და ის მუდამ გარკვეული ვარიანტებით-ალომორფებით რეალიზდება. ალომორფების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რიცხვის მორფემის რეალიზაციის ვარიანტები ინგლისურ ენაში. როგორც ვიცით, ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის წარმოების სამი შესაძლებლობა ანუ მრავლობითი ფორმის მორფემის სამი ალომორფი არსებობს: /-s/, /-z/, /-ez/ თუკი ბავშვი მართლაც იმუშავებს ჰიპოთეზებს ენის ფუნქციონირებასთან და მათ შორის მრავლობითი რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით, მაშინ მან, თავდაპირველად, არჩევანი უნდა გააკეთოს დასახელებულ ალომორფებს შორის და მხოლოდ შემდეგ, მოზრდილებთან კომუნიკაციის პირობებში, არჩეული ვარიანტის სისწორე-მცდარობა გადასინჯოს. ანუ თავდაპირველად ბავშვი სწავლობს მრავლობითი რიცხვის წარმოების ერთ-ერთ ვარიანტს და მხოლოდ ამის შემდეგ, უფროსებთან ინტერაქციისა და ვარაუდების გადასინჯვის პროცესის შედეგად, ნელ-ნელა ეუფლება მრავლობითი რიცხვის წარმოების დანარჩენ შესაძლებლობებს. მორფოლოგიური სტრუქტურების ათვისების მექანიზმის წარმოსაჩენი კლასიკური მაგალითია

ბერკოს ექსპერიმენტი, რომელიც ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკის 56 ბავშვს ჩაუტარდა. ამ ექსპერიმენტის არსი იყო გრამატიკული მორფემების დართვა არარსებული, გამოგონილი სიტყვებისთვის („nonsense words“): მაგალითად, „wug“ ([vAg]), „gutch“, „lun“ და სხვ. ექსპერიმენტში სულ გამოიყენეს ათი ასეთი გამოგონილი სიტყვა. ბავშვებს აჩვენებდნენ სურათებს, რომლებზეც არარსებული ცხოველი იყო გამოსახული და ეუბნებოდნენ: „ეს არის X“. მაგალითად, „This is a wug“. მრავლობითი ფორმის შესამოწმებლად ბავშვებს ანახებდნენ მეორე სურათს, სადაც ორი ასეთი ცხოველი იყო გამოსახული: „Now there is another one. There are two of them. There are two ...?“ კითხვითი ინტონაცია იყო ის სტიმული, რომელიც აიძულებდა ცდისპირებს, გამოგონილი სიტყვების მრავლობითი ფორმა ეწარმოებინათ (იგულისხმება, რომ გამოგონილი სიტყვები, ისევე, როგორც მათი მრავლობითი რიცხვი, ბავშვებს არსად გაუგონიათ და, შესაბამისად, დამახსოვრებულად ვერ ექნებოდათ). როგორც აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის წარმოების სამი შესაძლებლობა, მრავლობითი ფორმის მორფემის სამი ალომორფი არსებობს, თუ რომელი ფორმა იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია ფუნქციური მორფემის ფონეტიკურ აგებულებაზე. ასე მაგალითად, მჟღერ /g/-ზე დამთავრებული სიტყვების საწარმოებლად გამოიყენება მჟღერი /-z/, შესაბამისად, სიტყვა „wug“-ის მრავლობითი ფორმის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა სწორედ მჟღერი /-z/ – [vAg-z], როდესაც, მაგალითად, „gutch“-ის მრავლობითი რიცხვის წარმოება /-ez/ ფორმას მოითხოვს. ცდისპირთა 91%-მა მართებულად აწარმოა სიტყვა „wug“-ის და მხოლოდ 36%-მა – „gutch“-ის მრავლობითი ფორმა. მრავლობითი რიცხვის ერთ-ერთი ფორმის (/z/) მართებული გამოყენება, ხოლო მეორე ფორმის (/ez/) მცდარად წარმოების დიდი რაოდენობა მიუთითებს, რომ ბავშვებს შემუშავებული ჰქონდათ გრამატიკული ფორმის წარმოების გარკვეული ერთი ჰიპოთეზა, რომელსაც ისინი სხვა, ამ შემთხვევაში, მცდარ სფეროებზეც ავრცელებენ, ანუ როგორც ვხედავთ, თავი იჩინა გრამატიკულმა რეგულარიზაციამ. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვებს აქვთ მოწესრიგებულობის, ნორმატიულობის თანდაყოლილი გრძნობა, რომელიც მას სწორი კონსტრუქციების აგებაში ეხმარება. ლინგვისტები ამ უნარს გრამატიკის გრძნობას უწოდებენ. როგორც წესი მშობლები არ უსწორებენ ბავშვებს გრამატიკულ შეცდომებს, მათი ყურადღება გადმოცემულ შინაარსზეა ორიენტირებული. მაშასადამე, ენის ათვისება, როგორც ამას ბიჰევიორისტები მიიჩნევენ არ დაიყვანება სტიმულებისა და რეაქციების კავშირების ათვისებაზე. ბავშვი ითვისებს ენის შინაგანი წესების რთულ სისტემას, რომელსაც მას საგანგებოდ არ ასწავლიან - მას აღსაქმელად ეძლევა მხოლოდ კონკრეტული წინადადებები კონკრეტულ სიტუაციაში.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. იმსჯელოთ ფსიქოლინგვისტიკის, როგორც მაკროლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგის რაობასა და მის კვლევის ობიექტებზე;
2. რატომ ვამბობთ, რომ ფსიქოლინგვისტიკა ენათმეცნიერების გამოყენებითი დარგია?
3. რას ნიშნავს ემპირიული მეცნიერება? ფსიქოლინგვისტიკის კვლევის რომელ მეთოდებს იცნობთ?
4. რაში მდგომარეობს ბიჰევიორისტებისა და ჟან პიაჟეს სკოლის მიმდევრების განსხვავებული შეხედულება ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირისადმი?
5. რა მექანიზმები უდევს საფუძვლად ინფორმაციის დამახსოვრებას და სადიკვეთება კავშირი ენასა და მახსოვრობას შორის?
6. რა ტიპის მახსოვრობას იცნობთ? რა არის სემანტიკური მეხსიერება?
7. განმარტეთ სემანტიკური ლექსიკონის რაობა. რა არის ლემა, ლექსემური ინფორმაცია? რა ფაქტორები მონაწილეობენ „ლექსიკური“ გადაწყვეტილებების მიღების დროს?
8. განმარტეთ მენტალური სქემები - „სკრიპტის“ არსი. როგორ ფიქრობთ, რა კავშირშია პრესუპოზიცია სკრიპტებთან?
9. იმსჯელოთ ენის ათვისების კოგნიტურ და ნატივისტურ მიდგომებს შორის სხვაობაზე.
10. დაასახელოთ კოგნიტური განვითარების ეტაპები
11. ენის ათვისების მასალებზე დაყრდნობით, შეეცადეთ, ახსნათ კავშირი ენის ათვისებასა და კოგნიტურ განვითარებას შორის;
12. რა სტადიებს მოიცავს მშობლიური ენის ათვისება? რაში მდგომარეობს „მაქსიმალური კონტრასტის“ პრინციპი და „შეუქცევადი ურთიერთკავშირის“ კანონი?
13. რა ეტაპებს მოიცავს მორფემათა ათვისება?

კოგნიტური ლინგვისტიკა

კოგნიტური ლინგვისტიკის, როგორც შემეცნებითი ენათმეცნიერების დარგის ჩამოყალიბების წინაპირობები.

კოგნიტური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგის, ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ლინგვისტიკის, ასევე ფსიქოლოგიის სამეცნიერო დარგებში.

პარადიგმის ცვლილება ფსიქოლოგიაში.

XX საუკუნის 60-იანი წლების ფსიქოლოგიის განვითარებაში წლები მიჩნეულია გარდამტეხ პერიოდად. ბიჰევიორიზმის რიგიდული მიდგომა, რომელიც თავის სამეცნიერო კვლევებში უგულვებელყოფდა პიროვნების „შინაგან“ სამყაროს, სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. ამის საპასუხოდ 1967 წელს გამოდის ულრიკ ნაისერის წიგნი - „კოგნიტური ფსიქოლოგია“, რომელმაც დასაბამი მისცა ფსიქოლოგიის ახალი მიმართულების – კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარებას.

კოგნიტური ფსიქოლოგია ინფორმაციის მიღებასთან, დამახსოვრებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცესებს შეისწავლის. კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში შემეცნება განსაზღვრულია, როგორც სტრუქტურებისა და პროცესების ერთიანობა, რომელიც ადამიანის ცოდნას შეადგენს და შესაბამისად, მენტალური აქტივობების გათვალისწინებით უნდა აღიწეროს. ამით კოგნიტური ფსიქოლოგია უშუალოდ უპირისპირდება ბიჰევიორისტული მოდელის რედუქციონიზმს.

კოგნიტური ფსიქოლოგია მიიჩნევს, რომ კოგნიტური პროცესები მიზანდასახული აქტივობებია, რომელთა ახსნა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი და ასოციაციებზე დაფუძნებული მექანიზმებით შეუძლებელია. კოგნიტური ერთეულები და პროცესები წარმოდგენილია, როგორც კომპლექსური სისტემის ნაწილი, რომელთა იზოლირებულად, არასტრუქტურირებულ კომპონენტებად განხილვა შეუძლებელია. კოგნიტური ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანს დაბადებიდანვე აქვს გარკვეული კოგნიტური დისპოზიცია, რაც მის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს. ამ საკითხშიც კოგნიტური ფსიქოლოგია უპირისპირდება ბიჰევიორიზმს, რომლის თანახმად, ადამიანი დაბადებისას „ტაბულა რაზა“ არის და ცოდნას ასოციაციური დასწავლის გზით ეუფლება. დასკვნის სახით შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ძირითადი სხვაობა ბიჰევიორიზმსა და კოგნიტურ ფსიქოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ კოგნიტივიზმი ფსიქიკურ მოვლენებს

რეალურ მოვლენებად განიხილავს, მაშინ, როდესაც ბიჰევიორიზმი მათ არსებობას სრულიად უგულებელყოფს.

პარადიგმის ცვლილება ლინგვისტიკაში.

XX საუკუნის 30-იანი წლების ენათმეცნიერების პარადიგმაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ენათმეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების, ენათმეცნიერებაში მათემატიკური და კიბერნეტიკული მეთოდებისა და ხერხების შემოჭრით იყო განპირობებული. ენათმეცნიერული თეორია იგება მათემატიკურ მოდელებზე დაყრდნობით. შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების განვითარების პარალელურად, მიმდინარეობს ენობრივი დონეების დეტალური შესწავლა და ენის სტრუქტურული ელემენტების დაწვრილებითი ანალიზი. ამ საკითხების კვლევით დაინტერესებულია არაერთი ლინგვისტური სკოლა, რაც დასაბამს აძლევს ენათმეცნიერების დარგების - **ფუნქციური ლინგვისტიკის** (პრადის ლინგვისტური სკოლა)¹; **დესკრიფციული ლინგვისტიკისა** (იელის ლინგვისტური სკოლა)² და **გლოსემატიკის განვითარე-**

¹ პრადის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები მთავარი ყურადღებას უთმობდნენ ფონეტიკისა და ფონოლოგიის გამიჯვნისა და ფონემის პრობლემურ საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ტრუბეცკოის ნაშრომი "ფონოლოგიის საფუძვლები", რომელშიც იგი ფონეტიკას განსაზღვრავს, როგორც მოძღვრებას *მეტყველების* ბგერების შესახებ, ხოლო ფონოლოგიას - მოძღვრებას *ენის* ბგერების შესახებ. მისი მოსაზრების მიხედვით, ფონეტიკამ, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ფიზიკურ მოვლენებთან, უნდა ისარგებლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდებით, ხოლო ფონოლოგიამ - წმინდა ლინგვისტური, ჰუმანიტარული მეთოდებით),

² დესკრიფციული ენათმეცნიერების ფარგლებში ტექსტის ანალიზის ძირითად ხერხად ითვლება სემანტიკა-ენობრივი ერთეულების გამოყოფა და სემანტიკის ინვენტარიზაცია-აღწერა. სემანტიკის იდენტიფიკაცია წარმოებს დისტრიბუციული მეთოდიკის საშუალებით, რომლის მიზანია მეტყველების ცალკეული ნაწილების განაწილება ანუ რიგი. დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში გამოიყოფა ორი მიმართულება: *მენტალისტური* და *ანტიმენტალისტური*. მენტალისტური მიმართულების დამაარსებლად ე. სეპირი მიიჩნევა. მენტალინგვისტიკის ძირითადი საკითხებია: კავშირი ენასა და აზროვნებას, ენასა და კულტურას შორის. ანტიმენტალისტური მიმართულების მთავარი წარმომადგენელია ლ. ბლუმფილდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ლინგვისტიკა უნდა იყოს წმინდა ენათმეცნიერული, ამიტომ ის, როგორც მისი თანამოაზრეები, გამორიცხავდა ენის ,ყოველგვარ კავშირს აზროვნებასთან, ფსიქიკასთან, ხალხის კულტურასთან. მათი მოსაზრებით, რადგან ადამიანის გონი და ნებელობა არ ექვემდებარება მატერიალურ სამყაროს, შეუძლებელია მისი მოქმედების წინასწარ განსაზღვრა და შესწავლა.

ბას (კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლა)³. ამასთან ერთად წინა პლანზე იწევა ენათმეცნიერების ახალი დარგები, რომლებიც დაკავშირებულია ენის სოციალურ, ფსიქოლოგიურ და შემეცნებით ასპექტებთან.

შემეცნებითი ლინგვისტიკის თეორიების კვლევის ფოკუსის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ენის მოდელირების შესახებ არსებულმა სამეცნიერო შეხედულებებმა და პოსტულატებმა, რომელიც 1960-იანი და 1970-იანი წლების ამერიკულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ კი, გენერაციული გრამატიკის ფარგლებში ჩამოყალიბდა.

გენერაციული გრამატიკის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელია აღნიშნული ლინგვისტური მიმართულების შემდეგი სამეცნიერო მახასიათებლების გამოკვეთა:

1. სინტაქსის ცენტრალური როლი. სინტაქსი გაიგივებულია გამომთვლელ სისტემასთან, რომელიც ეყრდნობა შინაარსის არ მქონე სიმბოლოებს, რომლებიც ფონოლოგიურ ღირებულებას და სემანტიკურ დატვირთვას მხოლოდ სინტაქსური ჯაჭვის ფორმირების შემდეგ იღებენ;

2. ფორმალიზმი. გენერაციული გრამატიკა მოითხოვს გრამატიკულ წესთა ზუსტ აღწერას. ეს წესები წარმოდგენილია კვაზი-ლოგიკური ფორმით და ეყრდნობა ზოგად კატეგორიებსა და ტერმინალებს (უმარტივესი ფორმა, რომელიც შემდგომ ტრანსფორმაციას არ ექვემდებარება);

3. გრამატიკული სისწორე. გენერაციული სინტაქსის აღწერითი მოდელის ძირითად ერთეულად მიიჩნევა გრამატიკულად გამართული კონსტრუქციები.

³ გლოსემატიკის დამაარსებლად მიიჩნევიან: ლ. იელმსლევი, ვ. ბრიონდალი და ჰ. ულდალი. გლოსემატიკის თეორია არკვევს ენის ერთგვარ „ალგებრას“ და შესაბამისად ნერგავს ენათმეცნიერებაში ალგებრული გამოთვლის დედუქციურ მეთოდს, რომელიც ემყარება ენობრივი სტრუქტურის აღწერის წმინდა ფორმალურ ხერხებს. აღნიშნული სამეცნიერო მიმართულების ფარგლებში ენათმეცნიერება განიხილება, როგორც მეცნიერება, რომელმაც უნდა დაადგინოს ენათა უნივერსალური ნიშან-თვისებები. შესაბამისად, მისი მიზანი უნდა იყოს არა მარტო ენობრივი სისტემის დადგენა, არამედ ენის მსგავსი სისტემების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ენათმეცნიერების შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს მეტაენა. გლოსემატიკის თეორია ენობრივი ანალიზის დროს ითვალისწინებს ყველა ლოგიკურ შესაძლებლობებს. ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით, გლოსემატიკის წარმომადგენლები აკეთებდნენ უნივერსალურ დასკვნებს ენის შესახებ, მაგალითად, ლოგიკურ-მათემატიკური ოპერაციის შედეგად ენაში მინიმუმ შეიძლება იყოს - ორი და მაქსიმუმ - 216 ბრუნვა. ენობრივი სტრუქტურა ხასიათდება იერარქიით და იგი შეისწავლება დედუქციური მეთოდით - ყველაზე აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ.

4. **აბსტრაქტულობა.** გენერაციული გრამატიკა ეყრდნობა ცნებებს, რომლებიც ხილული არ არის - ე.წ. „ცარიელი კატეგორიები“, ჩანაცვლება და წინადადების შემადგენელ ერთეულთა გადანაცვლება, ტრანსფორმაცია;

5. **მოდულარობა.** ენის სინტაქსური კომპონენტი განიხილება, როგორ ცალკე არსებული მოდული, რომელიც ფუნქციონირებს არა მარტო ენის ფონოლოგიური და სემანტიკური ერთეულებისგან დამოუკიდებლად, არამედ ზოგადი შემეცნებითი უნარებისგან - აღქმა, კატეგორიზაცია, მახსოვრობა პიროვნებათშორისი კომუნიკაციის უნარები და სხვ. - დამოუკიდებლადაც.

6. **სემანტიკის უგულბელობა.** ლექსიკური სემანტიკის საკითხები მეტწილად იგნორირებულია გენერაციული გრამატიკის მიერ, რადგან ითვლება, რომ სინტაქსი სემანტიკისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს ენაში.

7. **უნივერსალური გრამატიკა.** გენერაციული გრამატიკა ვითარდებოდა ნ. ჩომსკის პირადი წარმოდგენების გავლენით, რომელიც არ ემთხვეოდა ადამიანის შემეცნებითი უნარების შესახებ უკვე არსებულ მონაცემებს. მის შეხედულებას ენობრივი უნარისა და გრამატიკული კომპეტენციის უნივერსალურობისა და თანდაყოლილობის შესახებ, თანაბრად არ იზიარებს კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ენის ფილოსოფიის ყველა სპეციალისტი.

კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბება.

კოგნიტური ლინგვისტიკა, როგორც ინტერდისციპლინარული მიმართულება, ჩამოყალიბდა ენისადმი ფორმალისტური მიდგომებისა და ამერიკული სტრუქტურალიზმის (გენერაციული გრამატიკა, ფორმალური სემანტიკა და ფილოსოფია) საპირისპიროდ. მისი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება კი უკავშირდება 1970-იან წლებში განხორციელებულ კვლევებს, რომელთა საკვლევ ობიექტს ენისა და გონების ურთიერთმიმართების საკითხები წარმოადგენდა. ამ კვლევებში ჩართული მეცნიერები არ იზიარებდნენ ენობრივი მოდელების მხოლოდ შიდასტრუქტურული თვისებების გათვალისწინებით შესწავლის ზოგად ტენდენციას. ნაცვლად იმდროინდელი დომინანტური სამეცნიერო შეხედულებისა, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფოდა სინტაქსი, როგორც ცალკეული სინტაქტიკური კომპონენტი ენის სხვა დონეებისგან, კვლევის ხაზი გაგრძელდა ენის სტრუქტურისა და ენის მიღმა არსებულ საგნებს შორის კავშირის დადგენისა და შესწავლის მიმართულებით. კერძოდ, კი კვლევის არეალში მოექცა ენის შემეცნებითი პრინციპები და მექანიზმების კვლევა. მეცნიერებმა: ჩ.ფილმორმა, ჯ.ლაკოფმა, რ.ლანგაკერმა და ლ.ტალმლიმ, რომლებიც კოგნიტური პრინციპების კვლევის მიმართულებით მუშაობდნენ, განავითარეს ენის თეორიისა და აღწერის საკუთარი მიდგომები, რომლებიც ცალკეული ენობრივი ფენომენის შესწავლაზე

ორიენტირდება. თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომელსაც ყველა ეს მკვლევარი იზიარებს, არის მნიშვნელობის ცენტრალურობა ენისთვის. მათი მოსაზრებით, რადგან ენობრივი სტრუქტურები მნიშვნელობების გამოხატვის ფუნქციას ემსახურება, შინაარსსა და ფორმას შორის კავშირის დადგენა ლინგვისტური კვლევის მთავარ საგანს უნდა წარმოადგენდეს. ენობრივი ფორმები, ამ თვალსაზრისით, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სემანტიკურ სტრუქტურებთან, რომელთა გამოსახატავადცაა შექმნილი. შესაბამისად, ყველა მნიშვნელოვანი ენობრივი ერთეულის სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება, და უნდა იყოს გამოკვლეული.

ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ეს მოსაზრება უპირისპირდება ჩომსკის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, სიტყვის შინაარსი ენის შესწავლის პერიფერიულ ნაწილს წარმოადგენს და როგორც მორფო-სინტაქტიკური სტრუქტურა, შესწავლას არ საჭიროებს.

კოგნიტური ლინგვისტიკის „მოკავშირეებად“ შეიძლება ჩავთვალოთ პრადის სკოლის ფუნქციონალისტები, ფუნქციურ-ტიპოლოგიური (ტ. გივონი, უკროფტი და სხვები) და ფუნქციური გრამატიკის სხვადასხვა მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა ფორმალურად გამოყოფილია ფუნქციონალისტური მიმართულებისგან, მისი მეთოდები და პოსტულატები ემთხვევა ფუნქციონალიზმის საერთო მიდგომებს, ეს გახლავთ - ენის ეპისტემური⁴ ფუნქციის გათვალისწინება და ამ ფუნქციებით ენობრივი ფორმების ახსნა.

კოგნიტური ლინგვისტიკის პირველი ხსენება გვხვდება 1975 წელს ჯ.ლაკოფის ერთ-ერთ ნაშრომში: „Questions in Cognitive Grammar”. 1980 წლებიდან კი იწყება კოგნიტური ლინგვისტიკის ყველაზე პროდუქტული პერიოდი. ამ პერიოდში გამოჩნდა ნამუშევრები კონცეპტუალური მეტაფორის, ენობრივი კატეგორიზაციის, ხატოვანი სქემების, კოგნიტური გრამატიკისა და მენტალური სივრცეების შესახებ. განსაკუთრებით ნიშანდობლივად ითვლება 1987 წელი, როდესაც გამოიცა ჯ.ლაკოფის წიგნი „Women, Fire and Dangerous Things”, რომელშიც გადმოცემულია კოგნიტური სემანტიკის ლინგვისტური და ფსიქოლოგიური საფუძვლები. აღნიშნულ წიგნში ლაკოფი ითვალისწინებს რა კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში კვლევების შედეგად მიღებულ შედარებით ახალ დასკვნებს ადამიანის შემეცნებითი უნარების შესახებ, ცდილობს, შექმნას ენის მოდელი, რომელიც თავსებადია ამ აღმოჩენებთან. ენის კვლევასთან დაკავშირებული პრინციპები, რომლებიც ლაკოფმა აღმოაჩინა, საერთოა როგორც ლინგ-


⁴ **ეპისტემოლოგია** (ძვ. ბერძნ. *ἐπιστήμη* — „ცოდნა“ და *λόγος* — „სიტყვა, სწავლა“) შეისწავლის შემეცნების პროცესის კანონზომიერებებს, არკვევს, რა არის ჭეშმარიტება და როგორ შეიმეცნება იგი, როგორია სუბიექტისა და ობიექტის მიმართება შემეცნების პროცესში.

ვისტური, ისე კონცეპტუალური ფენომენებისთვის, რამაც მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა ენისადმი კოგნიტურ (შემეცნებით) მიდგომას და განსაზღვრა კოგნიტიური ლინგვისტიკის ორი პრინციპი, რომელიც ფუნდამენტურია კოგნიტიური ლინგვისტიკისთვის - განზოგადოების (Generalisation Commitment) და შემეცნებითი (Cognitive Commitment) პრინციპები. იმავე წელს გამოიცა რ. ლანგაკერის კოგნიტური გრამატიკის პირველი ტომი “foundations of cognitive grammar”. 1989 წელს რ. დირვენის ორგანიზებით დუისბურგში, გერმანიაში, ჩატარდა პირველი კოგნიტური ლინგვისტიკის კონფერენცია. ამავე პერიოდში შეიქმნა კოგნიტური ლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაცია „ICLA” და დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი “Cognitive Linguistics”.

კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის ობიექტები.

კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში ენა აღიქმება, როგორც ადამიანის კოგნიტური (შემეცნებითი) უნარის ერთ-ერთი სპეციფიკური გამოვლინება. ბუნებრივი ენა და ადამიანის შემეცნება ორი კომპლექსური ფენომენია, რომლებიც განუყოფლად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. თუ *კოგნიცია* ადამიანის მენტალური სტრუქტურებისა და პროცესების ერთობლიობაა, მაშინ ბუნებრივი ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ამ მთლიანობის ერთ-ერთი ნაწილი.

ჟ. ლაკოფის მიხედვით, კოგნიტურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვისას ძირითად ასპექტებად მიჩნეულია ის ფენომენები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი საერთო ჯაჭვის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ უნარებს და მოვლენებს, ესენია: *გონება, (იგივე ცნობიერი), ენა, რეპრეზენტაცია, კონცეპტუალიზაცია, კატეგორიზაცია, აღქმა.*



ცნება „გონება“ წარმოადგენს ნებისმიერი კოგნიტური მეცნიერების და, მათ შორის, კოგნიტური ლინგვისტიკის საკვანძო ერთეულს. როგორც აღინიშნა, ადამიანის კოგნიტური უნარების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის ბოლო წლებიდან, როდესაც ბიჰევიორისტულ თეორიას აქტიურად დაუპირისპირდა განსხვავებული დარგის მეცნიერება. (როგორც უკვე ვიცით, ბიჰევიორისტული მიდგომა უარყოფდა ინდივიდის ნებისმიერ გონებრივ შესაძლებლობას). კოგნიტური ლინგვისტიკა ინტერესდება ჩვენი გონების ერთი კონკრეტული და მნიშვნელოვანი უნარით - კონკრეტული მაგალითებიდან გამომდინარე ხატთა უსასრულო რაოდენობის შექმნით.

ენა წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად ცნებას და მთავარ შესასწავლ ობიექტს. გ. ჰარმანის თვალსაზრისით, „ენა კოგნიტური მეცნიერების ძირითადი თემაა. აღნიშნული ფაქტი, ერთის მხრივ, იმითაა გამოწვეული, რომ ენა ასახავს ადამიანის აზროვნებასა და ცნობიერს, იგი აზრის ან ფიქრის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა, ამიტომაც, ენის შესწავლა უთანაბრდება ცნობიერების ანალიზს. მეორეს მხრივ, ენას თავად შეუძლია, იმოქმედოს ცნობიერზე და გათვალს, თუ რა აზრი გაჩნდება ინდივიდის გონებაში“.

ენა მრავალფუნქციური სისტემაა. მის ძირითად ფუნქციებად მეცნიერები ასახელებენ ეპისტემურ, კოგნიტურ და საკომუნიკაციო თვისებებს.

ენის *ეპისტემური* ფუნქცია არის შეინახოს საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ხატების რაოდენობა, რომელიც ინდივიდის გონებაში უცვლელად და საფუძვლიანად არის დამკვიდრებული. იგი გახლავთ გარშემო არსებული რეალობის ზუსტი და უცვლელი ანაბეჭდი.

კოგნიტური ფუნქცია მოიცავს ადამიანის იმ თვისებებს, რომლებიც, უშუალოდ, უკავშირდება კონკრეტული ინდივიდის გონების შესაძლებლობებს; გააზრებას, მსჯელობას, შეფასებას, კრეატიულობას, ფანტაზიასა და სხვ. ენის საკომუნიკაციო დატვირთვა კი, მისი სოციალური ასპექტია.

კოგნიტური ლინგვისტიკა აქტიურად ინტერესდება *რეპრეზენტაციის* საკითხით. აღნიშნული ფენომენი, ძირითადად, ეფუძნება ადამიანის შემდეგ თვისებებს: გააზრებას, ფანტაზიასა და შემოქმედებას. ეს გახლავთ გონების უნარი, მოცემული ენობრივი ნიშნების საფუძველზე შექმნას სრული და გავრცობილი სურათი. კოგნიტური ლინგვისტიკის გაჩენის პირველ წლებში მიმდინარეობდა კამათი იმის თაობაზე, თუ რა ფორმით ხორციელდება რეპრეზენტაციები ადამიანის გონებაში და რა ხერხებით უნდა აღვწეროთ ისინი. პირველ რიგში, მეცნიერები იწყებენ რეპრეზენტაციების დალაგებას მისი ვერბალურ-წარმოსახვითი ნიშნის საფუძველზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერები, ძირითადად, რეპრეზენტაციებს ყოფენ ორ სახეობად, ესენია: *მოდალური რეპრეზენტაციები*, რომ-

ლებიც წარმოიქმნება ადამიანის აღქმის ორგანოების (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და ა. შ) მუშაობის წყალობით; და ამოდალური რეპრეზენტაცია, რომელიც ხორციელდება სიმბოლური და ვერბალური გზით. რ. ჯეკენდოფის აზრით, ორივე სახის რეპრეზენტაცია თამამად შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთ საერთო გონებრივ შესაძლებლობაში და დავარქვათ *კონცეპტუალური სტრუქტურები*.

გარდა ამისა, ფრომკინი გამოყოფს ანალოგიურ რეპრეზენტაციებს . აღნიშნული აზრი ეფუძნება იმ ახსნას, რომ რადგან ენა არის მთელი და სრულყოფილი რეპრეზენტაციული სისტემა, მას აქვს უნარი, ადამიანის ცნობიერებაში გამოიწვიოს, ე. წ. კონცეპტების სიმრავლე, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს მოსაუბრის ან ტექსტის ავტორის მიერ შემოთავაზებულ რეალობას. მენტალური რეპრეზენტაციების ერთიანობას მკვლევრები უწოდებენ *მენტალურ ლექსიკონს*, ხოლო კონცეპტუალური რეპრეზენტაციების სიმრავლეს - კონცეპტუალურ სისტემას ან *კონცეპტუალურ მოდელს/სქემას*.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეპრეზენტაცია მოიცავს ტერმინს „*კონცეპტი*“ და შესაბამისად, უკავშირდება ენის კონცეპტუალიზაციას. ერთის მხრივ, სიტყვა, *კონცეპტი*, აღნიშნავს ელემენტს, რომელიც ეყრდნობა ცნობიერის მენტალურ და ფსიქიკურ ნიუანსებს. მეორეს მხრივ, იგი გამოხატავს ადამიანის გონების ერთეულებს (მეხსიერება, მენტალური ლექსიკონი, ე. წ. გონებრივი ენა (*ლინგვა მენტალის*) და ცნობიერში ასახული ემპირიული რეალობის გამომხატველი სურათები).

ლინგვისტიკაში *კონცეპტების* შესწავლა საინტერესოა იმით, რომ მათი მიმვეობით, ადამიანს შეუძლია, გონებაში შექმნას კონკრეტული სამყარო. აღნიშნულ მოსაზრებას ფართოდ იყენებენ მეტაფორის შესწავლისას თანამედროვე მეცნიერებებში. კონცეპტუალიზაციის მაგალითებად მკვლევრები ასახელებენ მრავალ უნარ-ჩვევას. პირველ რიგში, ეს გახლავთ ადამიანის ტვინის თვისება, გაფილტროს გარემოდან მოწოდებული ყველა ინფორმაცია და მოახდინოს მისი კლასიფიკაცია კონცეპტების სახით. გონებაში შეღწეული კონცეპტები კი, თავის მხრივ, აყალიბებენ მკაცრად რაფინირებულ კონცეპტუალურ სისტემას. კონცეპტუალიზაცია უკავშირდება კიდევ ერთ ენობრივ ფენომენს- *კლასიფიკაციას*, რადგან მრავალი მკვლევრის აზრით, სწორედ *კონცეპტებს* გააჩნიათ უნარი, ჩამოაყალიბონ რაიმე ნიშნის საფუძველზე გაერთიანებული და განსაზღვრული სისტემები.

კლასიფიკაცია, ეს არის ადამიანის გონების უნარი, „გაფილტროს“ გარემოდან მიწოდებული სიგნალები და იმპულსები და გაანაწილოს ისინი კონკრეტულ ჯგუფებში. მკვლევრები კლასიფიკაციის უნარს თვლიან კონცეპტუალიზაციიდან აღქმამდე გარდამავალ ფაზად. მათი აზრით, სწორედ კლასიფიკაცია ლოგიკურ

ჩარჩოებში ათავსებს სხვადასხვა კუთხით მოწოდებულ ინფორმაციას და გონებას ეხმარება წარმოთქმულის აღქმასა და საკუთარი რეალობის შექმნაში.

აღქმის ფენომენი გონების ყველაზე რთულ, ამოუცნობ და საინტერესო უნარს წარმოადგენს. აღქმის მეშვეობით გონება აყალიბებს საკუთარ, მაგრამ გარშემო რეალობის მიერ ნაკარნახევ სამყაროს. *კოგნიტური ლინგვისტიკა ყველაზე მეტად ინტერესდება და სწავლობს აღნიშნული ფენომენის სირთულეებს, განიხილავს ენობრივ ასპექტთან მიახლოებულ მის მექანიზმს, ინდივიდუალური ფანტაზიით შექმნილი ხატების და აღქმების სიმრავლეს.*

როგორც ვხედავთ, ცნება „კოგნიცია“ - შემეცნება თავის თავში მოიცავს „ენას“. შესაბამისად, ენის შესწავლა მუდამ არის კოგნიციის ნაწილის კვლევა და კოგნიციის კვლევის ნაწილი. აქედან გამომდინარე, კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპები კოგნიტური მეცნიერებების ძირითადი მიმართულებების პრინციპებს ემთხვევა. კერძოდ კი:

- ადამიანის ქცევა განპირობებულია მენტალური სტრუქტურებისა და პროცესების კომპლექსური სისტემით.

- ენის გამოყენების უნარი ნეირობიოლოგიურად მოცემულია ადამიანის გონებაში და ექვემდებარება გარკვეულ სტრუქტურულ და ფუნქციონალურ კანონზომიერებებს.

- შესაძლებელია ენის კანონზომიერებების, როგორც მენტალური ფენომენის აღწერა, მაშინაც კი, როდესაც არ ვითვალისწინებთ ენის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. კოგნიტური ლინგვისტიკა მენტალური მოდელია, რომელიც ხაზს უსვამს ენის მენტალურ ხასიათს და ენას აღწერს, როგორც კოგნიტური სისტემის შემადგენელ ნაწილს. ამრიგად, საქმე გვაქვს იმ კოგნიტურ სტრუქტურებსა და პროცესებთან, რომლებიც ენაში ვლინდება. კოგნიტური ლინგვისტიკის მიზნებიც ამის შესაბამისადაც ყალიბდება:

- **ენის შემეცნების სისტემა უნდა აღიწეროს, როგორც კოგნიციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.** კვლევის ობიექტია ადამიანის ენობრივი უნარის ყველა კომპონენტი; კოგნიტური ლინგვისტიკა უარყოფს წმინდა სინტაქსურ მოდელებს და წინ წამოსწევს სემანტიკურ ასპექტებს. წმინდა ფორმალური თეორია, ენის შინაარსობრივი სტრუქტურების გათვალისწინების გარეშე, რუდიმენტულად და არაადეკვატურად არის მიჩნეული;

- **კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს პროცედურული კომპეტენციის საკითხებს.** ასეთი სახის გამოკვლევები მიზნად ისახავს ენობრივი სისტემისა და სხვა კოგნიტური ქვესისტემების ურთიერთქმედების ანალიზს. კოგნიტური ლინგვისტიკა ენის კომპეტენციის ცნებას საკმაოდ ფართოდ განიხილავს. თუკი თეორიული ლინგვისტიკა კომპეტენციის ქვეშ ენის სტატიკურ ცოდნას გულისხ-

მობს, კოგნიტური ლინგვისტიკისთვის კომპეტენცია ცოდნის აქტივირებისა და დამუშავების პროცედურულ უნარებსაც აერთიანებს. ამრიგად, ადამიანის ენობრივი უნარის კვლევა შემდეგ ცენტრალურ საკითხებს ეხება:

1. რისგან შედგება ენობრივი ცოდნა?
2. როგორ ეუფლება ადამიანი ამ ცოდნას?
3. როგორ გამოიყენება ეს ცოდნა?
4. ცენტრალური ნერვული სისტემის რომელი სტრუქტურები და მექანიზმებია ჩართული ენის რეპრეზენტაციის, დაუფლებისა და გამოყენების დროს.

თითოეული ეს საკითხი სხვა ლინგვისტური დისციპლინების კვლევის საგანსაც შეადგენს. ასე მაგალითად, პირველ საკითხს (1) იკვლევს თეორიული ლინგვისტიკა, მეორესა და მესამეს (2-3) ფსიქოლინგვისტიკა, ხოლო მეოთხეს (4) - ნეიროლინგვისტიკა. კოგნიტიური ლინგვისტიკა ესაა ინტეგრირებული მოდელი, რომელიც მოიცავს თეორიული ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკისა და ნეიროლინგვისტიკის კვლევის სფეროებს და ცდილობს, კვლევის ინტერდისციპლინური მიმართულების შემუშავებას. კოგნიტურ ლინგვისტიკას აქვს პრეტენზია, ენობრივი ქცევა მის მთლიან კოგნიტურ კომპლექსში წარმოაჩინოს.

ამრიგად, კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთ თანამედროვე მიმართულებას, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ ხდება ადამიანის მიერ სამყაროს ენობრივი აღქმა-შემცნება და როგორ მიმდინარეობს კატეგორიზაციის, კლასიფიკაციისა და გაგების პროცესები; როგორ გროვდება ცოდნა; რა სისტემები უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის საინფორმაციო აქტივობებს.

კოგნიტური ლინგვისტიკისა და გენერაციული გრამატიკის რაობისა და საკვლევის ობიექტების მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია, გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვას: თუკი კოგნიტური ლინგვისტიკა, ისევე, როგორც გენერაციული გრამატიკა, შემეცნებითი ლინგვისტიკის მიმართულებაა, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან? მართალია, ორივე მიმართულება თანხმდება, რომ ენობრივი ცოდნა ვერ იარსებებს მენტალური რეპრეზენტაციის გარეშე, რომელიც არსებით, მედიატორულ როლს ასრულებენ სუბიექტსა და ობიექტის შორის არსებულ ეპისტემოლოგიურ ურთიერთობაში, მაგრამ კოგნიტიური ლინგვისტიკისთვის ენობრივი ცოდნა სამყაროს ცოდნის განსხეულებაა, მაშინ, როცა გენერაციული გრამატიკისთვის ეპისტემოლოგიური ურთიერთობების ობიექტი თავად ბუნებრივი ენაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოგნიტური ლინგვისტიკის სამეცნიერო ინტერესია სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის, და ამ ცოდნის ჩამოყალიბებაში ბუნებრივი ენის წვლილის შესწავლა, ხოლო გენერაციული ლინგვისტიკა ამის საპირისპიროდ, დაინტერესებულია თავად ენის ცოდნის შესწავლით და ცდი-


ლობს, ახსნას, თუ რა მენტალური მექანიზმებით წარმოიქმნება და ინახება ენობრივი ცოდნა.

კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის პრინციპები.

1990-იან წლებში კოგნიტურმა ლინგვისტიკამ შეიძინა ჩამოყალიბებული სამეცნიერო მიმართულების სტატუსი, რომელსაც გამომუშავებული აქვს საკუთარი მეთოდოლოგია და კვლევის პრინციპები. ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობიან კოგნიტური ლინგვისტიკები (კოგნიტივისტიკები) ცნობილია, როგორც ე.წ. *ჯვარედინი მტკიცებულებების* გამოყენების (converging evidence) პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, კოგნიტური მოდელი ეყრდნობა არა მარტო ენობრივ ცოდნას, არამედ თანხვედრაშია კოგნიციის სხვა სფეროებთან.

ლინგვისტური სტრუქტურის მოდელის ანალიზმა არა მარტო უნდა ასახოს მისი ენობრივი თავისებურებები, არამედ თანხვედრაში უნდა იყოს შემეცნების პროცესის ასახვასთან. დავაკვირდეთ მოცემულ სურათს (იხილეთ სურათი 1.).

სურათი 1.



რატომ მიიჩნევა, რომ მოცემულ სურათს შეესაბამება წინადადება: 1. "the cat is on the chair" ხოლო, წინადადება: 2. "the chair is under the cat" ნაკლებად მისაღებია? ორივე წინადადება ხომ გრამატიკალად სწორადაა აგებული? ადამიანის გონის ფსიქოლოგიური კვლევებიდან ცნობილია, რომ იგი მიდრეკილია ფოკუსირებული იყოს ვიზუალური სცენის კონკრეტულ ასპექტზე. ეს ასპექტი კი არის ის, რისი განჭვრეტა და წინასწარ პროგნოზირება შესაძლებელია. ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში ეს არის კატა და არა - სკამი, რადგან სამყაროს შესახებ დაგროვილი ცოდნიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, რომ მეტადრე კატა და არა - სკამი არის აღჭურვილი მოძრაობის უნარით, მათ შორის ჯდომის უნართაც. შესაბამისად, სიტუაციის აღქმის დროს ჩვენ ვასხვავებთ პირველად და მეორად, მოძრავ და უძრავ ობიექტებს. ასეთ გამორჩეულ (პირველად) ობიექტს კოგნიტურ

ლინგვისტიკაში **ფიგურა** ეწოდება ხოლო სცენის დანარჩენ ნაწილს (მეორად ობიექტს)- **ფონი**. როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, სწორედ ადამიანის გონების ეს ფსიქოლოგიური თავისებურება გვაძლევს საშუალებას, ავხსნათ, თუ როგორი მიმდგომლობით გადმოაქვს მეტყველ სუბიექტს მის მიერ აღქმული სიტუაცია ენაში. ჩვენ სადემონსტრაციო წინადადებაში „*the cat* is on the chair“ სიტყვას „**კატა**“, როგორც ფიგურას საწყისი პოზიცია უჭირავს, რაც მოცემულ ვიზუალურ სცენაში (დააკვირდით სურათს) მის გამორჩეულ პოზიციას უკავშირდება და ნათელს ხდის, თუ რატომ არის მეორე წინადადება „*the chair* is under the cat“ არალოგიკური. სწორედ ამაში მდგომარეობს ჯვარედინი მტკიცებულების პრონციპი - აიხსნას წინადადების სტრუქტურა (ისევე, როგორც სხვა ენობრივი ერთეულები) ადამიანის შემეცნებით უნარებთან კავშირში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯ.ლაკოფიმ, მის მიერ გამოქვეყნებულ შრომაში, *გამოყო კოგნიტური* ლინგვისტიკის კიდევ ორი პრინციპი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ენის კვლევის დროს, ესენია: კოგნიტური ლინგვისტიკის სწრაფვა *განზოგადებისკენ* (generalization commitment) და *შემეცნების თავისებურების გათვალისწინებისკენ* (cognitive commitment). ეს ორი პრინციპი ორიენტაციულია კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში განხორციელებული კვლევებისთვის და საფუძვლად უდევს კოგნიტური ლინგვისტიკის ორი მიმართულების - კოგნიტურ სემანტიკასა და კოგნიტურ გრამატიკას.

1. განზოგადების პრინციპი

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, არსებობს ზოგადი სტრუქტურირების პრინციპები, რომელიც საერთოა ენის სხვადასხვა ასპექტისთვის. კოგნიტური ლინგვისტიკის შეხედულებით, სწორედ ამ ზოგადი პრინციპების იდენტიფიცირება უნდა წარმოადგენდეს ენათმეცნიერების ძირითად ფუნქციას. თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა შეისწავლება ცალკეული ენობრივი დონეების - ფონოლოგიის, სემანტიკის, პრაგმატიკის, მორფოლოგიის და სინტაქსის დანაწევრებით. ასეთ მიდგომას განსაკუთრებით ადგილი აქვს ენის ფორმალისტური აღწერის (გენერაციული გრამატიკის) ფარგლებში, რომელიც ემყარება მოსაზრებას, რომ ფონოლოგია, სემანტიკა და სინტაქსი იმართება ერთმანეთისგან განსხვავებული სტრუქტურირების პრინციპით. ასე მაგალითად, სინტაქსის „მოდული“ დაკავშირებულია ადამიანის გონში სიტყვების საშუალებით წინადადების სტრუქტურირებასთან, ხოლო ფონოლოგიის „მოდული“ ბგერებისგან ფონოლოგიური ერთეულების სტრუქტურირებასთან, რომელიც განსაზღვრულია, როგორც კონკრეტული ენის, ასევე, ზოგადად, ენის წესებით. აღნიშნული *მოდული* მიდგომა გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ ენის შემადგენელი კომ-

პონენტები, ორგანიზაციის თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული და არათანაზომიერია.

კოგნიტური ლინგვისტიკა პრაქტიკული თვალსაზრისით აღიარებს ენის კომპონენტებად დაყოფის მიზანშეწონილობას (მაგალითად კონცეპტუალური განსხვავებიდან გამომდინარე, ენის სინტაქტიკური აგებულების შესწავლა მოიცავს (ნაწილობრივ მაინც) მცირედად განსხვავებული ტიპის კოგნიტურ და ლინგვისტურ ფენომენს, ვიდრე ენის ფონოლოგიური ორგანიზაციისა.), თუმცა განზოგადების პრინციპიდან გამომდინარე, კოგნიტური ლინგვისტიკები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ აღნიშნული მოდულები და ენის ქვესისტემები რადიკალურად განსხვავებული სახით არიან ორგანიზებული.

აღნიშნულის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ სამი ენობრივი მოვლენა **(1) კატეგორიზაცია, (2) პოლისემია და (3) მეტაფორა** ენის დონეების მიხედვით, რათა წარმოდგენა შევიქმნათ, თუ როგორ იზიარებს სამი, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განსხვავებული, ენობრივი შრე - *მორფოლოგია, სინტაქსი და ფონოლოგია* აღნიშნული ენობრივი მოვლენების საკვანძო მახასიათებლებს. სწორედ ამაში მდგომარეობს კოგნიტური ლინგვისტიკის პირველი - **განზოგადების პრინციპი**.

1.1. კატეგორიზაცია.

სანამ განზოგადების პრინციპის დონეებრივ რეპრეზენტაციაზე გადავიდოთ, უპრიანია გავეცნოთ თავად კატეგორიზაციის ცნებასა დამექნიზმს.

კატეგორიზაციის საკითხი - კერძოდ კი, თუ როგორ ხდება კატეგორიის ფორმირება, როგორ არის ეს ცოდნა წარმოდგენილი ადამიანის ცნობიერებაში, როგორ არის ორგანიზებული ენობრივი მნიშვნელობები, წარმოადგენს ფუნდამენტურ საკითხს კოგნიტური ფსიქოლოგიისა და კოგნიტური სემანტიკის მიმართულებებისთვის.

ამ საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი როლი მოუძღვის ფრანგი ფსიქოლოგის, ე. როშის, სამეცნიერო ექსპერიმენტებსა და კვლევებს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ე.წ. „**პროტოტიპული თეორია**“ და ჯ. ლაკოფის მიერ შემუშავებულ კონცეფციას „**იდეალიზებული კოგნიტური მოდელების**“ შესახებ.

კატეგორიზაციის კლასიკური თეორიის მიხედვით, რომელიც გაბატონებული იყო არისტოტელეს დროიდან, კატეგორიები წარმოადგენენ ცალკეული ერთეულებისგან შემდგარ სტრუქტურებს, რომელშიც შემავალი ერთეულები უნდა იზიარებდნენ კატეგორიისთვის საჭირო ყველა თვისებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით:

- კატეგორიას აქვს მკვეთრი საზღვრები;
- კატეგორიის წევრებს შორის კავშირი სიმეტრიულია;

- კატეგორიის ყველა წევრს აქვს თანაბარი სტატუსი;
- კატეგორიაში შემავალი ერთეულები უნდა აკმაყოფილებდნენ ე.წ. **აუცილებელ** და **საკმარის პირობებს** (necessary and sufficient conditions), რათა მიჩნეული იქნან ამ კატეგორიის სრულფასოვან წევრად.

თითოეული პირობა ცალკე, *აუცილებელია* და მათი მთლიანობა, *საკმარისია* იმისთვის, რათა კატეგორია განისაზღვროს ისეთი სახით, რომ მისი ყველა წევრი შეესაბამებოდეს ამ პირობებს, ხოლო არაწევრები კი - არა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქრესტომათიულ მაგალითად ითვლება კატეგორია „ბერბიჭას“ მაგალითი. იმისთვის, რომ ობიექტი მივაკუთვნოთ ამ კატეგორიას, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: არ არის დაოჯახებული; მამრობითი სქესის; ზრდასრული. თითოეული ეს პირობა აუცილებელია, მაგრამ არც ერთი ჩამოთვლილი პირობა ცალკე არ შეიძლება, იქნას მიჩნეული საკმარისად, რადგან ბავშვი შეიძლება, იყოს მამრობითი სქესის, მაგრამ არ იყოს მიღწეული დასაოჯახებელ ასაკს.

კლასიკური თეორიის ფარგლებში არსებულ კატეგორიზაციის ასეთ მიდგომაში შეინიშნება ნაკლოვანებები. ერთ-ერთი პრობლემა უკავშირდება კატეგორიის განსაზღვრისთვის *აუცილებელი* და *საკმარისი* პირობების განსაზღვრას.

პრობლემური კატეგორიის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს კატეგორია „თამაში“ ნათელია, რომ არ არსებობს პირობების ერთიანი ნაკრები, რომელსაც აკმაყოფილებს ამ კატეგორიის ყველა წევრი. ბევრი კონკრეტული ნივთი, ასევე, პრობლემურია კატეგორიზაციისთვის. ასე მაგალითად, ობიექტი „სკამის“ სალექსიკონო განსაზღვრება (დეფინიცია) შემდეგნაირად ჟღერს: „ავეჯის ნაწილი, რომელსაც აქვს სამი ან ოთხი ფეხი, საზურგე და დასაჯდომი ადგილი“, მაგრამ თუ სკამს მოვაცლით ერთ ან ორ ფეხს, დარჩება თუ არა ის ამ კატეგორიაში?

დეფინიციური მიდგომის ნაკლი არა მხოლოდ კატეგორიაში შესვლის ყველა აუცილებელი პირობის ჩამოთვლის სირთულეში მდგომარეობს, არამედ გამონაკლისების არსებობაშიც (ორი მოტეხილი ფეხითაც კი სკამს მაინც სკამი ეწოდება). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია არა სამეცნიერო კატეგორიაზე (logic category), არამედ ყოფიერებასთან დაკავშირებულ და ემოციურად აღქმული მახასიათებლების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ყოფით კატეგორიებზე (folk category).

კლასიკური თეორიის მიხედვით, კატეგორიებს უნდა ჰქონდეს მკვეთრად ჩამოყალიბებული საზღვრები. გარდა ამისა, კატეგორიის წევრს აქვს ან არ აქვს კატეგორიის წევრობისთვის აუცილებელი თვისებები. მაგალითად, კენტი რიცხვის კატეგორიას მიეკუთვნებიან რიცხვები, რომლებიც არ იყოფა ორზე უნაშთოდ, რაც კატეგორიის გამოკვეთილი საზღვრის დადგენის საშუალებას იძლევა, მაგრამ

ბევრი კატეგორიისთვის წევრობის პირობების განსაზღვრის საკითხი დაკავშირებულია კონცეპტუალურ ბუნდოვანებასთან. ასე მაგალითად, ტიპურ ჩიტს უნდა შეეძლოს ფრენა, შედის თუ არა ასეთ შემთხვევაში პინგვინი ან კივი, რომელთაც ფრენა არ შეუძლიათ, კატეგორიაში „ჩიტი“?

ე.რომის კვლევებმა აჩვენა, რომ კლასიკურ თეორიაში პოსტულირებული სემანტიკული სტრუქტურის საპირისპიროდ, კატეგორიებს **რადიალური სტრუქტურა** გააჩნიათ, რომელშიც გამოიყოფა **ცენტრი** და **პერიფერია**.

ცენტრში მოქცეული ერთეული ხასიათდება მოცემული კატეგორიისთვის დამახასიათებელი ყველაზე მეტი ნიშან-თვისებათა ერთობლიობით და წარმოადგენს კატეგორიის **პროტოტიპს**. კატეგორიაში შემავალი ერთეულები შეიძლება იზიარებდნენ არა ყველა, არამედ გარკვეულ ნიშან-თვისებებს. ასე მაგალითად, ბელურასა და სირაქლემას შორის შეინიშნება გარკვეულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა (ორივე დებს კვერცხს, იკვებება ბალახით, დაფარულია ბუმბულით, აქვს ფრთები, ნისკარტი და ა.შ.), მაგრამ აქვთ განსხვავებული თვისებაც - **ფრენის უნარი**.

რაც უფრო ნაკლები კატეგორიისთვის დამახასიათებელ თვისებას იზიარებს კატეგორიის წევრი, მით უფრო დაშორებულია იგი ცენტრისგან და მიემართება პერიფერიისკენ.

რომის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, მონაწილეები კატეგორია „ჩიტის“ „კარგ“ წარმომადგენლად ასახელებდნენ ბელურას, ხოლო პინგვინს ან სირაქლემას - ამავე კატეგორიის „ცუდ“ წარმომადგენლად (გამომდინარე იქიდან, რომ ცნება „ბელურა“ თავის თავში მოიცავს კატეგორია „ჩიტისთვის“ საჭირო, და უფრო მეტ ნიშან-თვისებას). თუ ეს ორი წარმომადგენელი ამდენად განსხვავებულად აღიქმებოდა რესპონდენტების მიერ, საინტერესოა, გავარკვიოთ, თუ რა პრინციპით ერთიანდება ისინი ერთ კატეგორიაში.

ექსპერიმენტების საფუძველზე რომმა აღმოაჩინა, რომ პროტოტიპები ავლენენ თვისებების დიდი რაოდენობას, რომელიც დამახასიათებელია კატეგორიის ბევრი წევრისთვის, მაშინ, როცა კატეგორიის ნაკლებად პროტოტიპული წევრები ავლენენ გაცილებით ნაკლებსაერთო თვისებებს. კატეგორიები ავლენენ არა მხოლოდ პროტოტიპულ ეფექტებს, არამედ „ოჯახურ მსგავსებასაც“ (family resemblance). მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიას შესაძლოა, ჰქონდეს მახასიათებლები, რომლებიც საერთო არ არის კატეგორიის ყველა წევრისთვის, მაინც ავლენს საკმარის მსგავსებას, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან (მსგავსად იმისა როცა ყველა ოჯახის წევრს ერთნაირი გარეგნობა არ აქვს, მაგრამ მათ ერთი ოჯახის წევრებად მივიჩნევთ მათი ბიოლოგიური კავშირის გამო) და, შესაბამისად, ერთ კატეგორიაში ერთიანდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარი პერიფერიასა და ცენტრს შორის არამკვეთრია (განსხვავებით კლასიკური თეორიისგან) - კატეგორიის ცენტრალურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტერაქციაში ვართ მოცემულ კატეგორიასთან მოცემული დროის მონაკვეთში. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ქვემოთ მოცემული სურათი, რომელიც კატეგორია „ჭიქას“ შეესაბამება (იხილეთ სურათი 2.).

სურათი 2.



ზემოთ განხილული პარამეტრების მიხედვით, კატეგორია „ჭიქას“ ყველაზე რეპრეზენტაციულ წევრად (ცენტრად) უნდა მივიჩნიოთ სურათი (ა), რადგან მას სხვა წარმომადგენელთან (სურათი ე) შედარებით აქვს უფრო მეტი ატრიბუტი. თუმცა, *ჯამიდან* (სურათი ე) სითხის მირთმევის დროს ეს ობიექტი მოსაუბრის მიერ შეიძლება აღიწეროს როგორც *ჭიქა*; წვნიანის მირთმევისა და კოვზის გამოყენების შემთხვევაში იგივე მოსაუბრე აღწერს მას, როგორც *ჯამს/ფიალას*. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ პირველ ყოვლისა, საზღვარი კატეგორიების ერთეულებს შორის არამკვეთრია (ძნელია, ზუსტად ვთქვათ, რომელ ეტაპზე გადაიქცევა *ჭიქა* *ჯამად*) და მეორე, ჩვენი ინტერაქცია მოცემულ ობიექტთან გავლენას ახდენს თვით ამ ობიექტის კატეგორიზაციის პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის წარმომადგენლები შეიძლება, შეფასდეს როგორც მოცემული კატეგორიის მეტად ან ნაკლებად რეპრეზენტაციული წარმომადგენლები, თითოეული წევრი ავლენს გარკვეულ თვისებათა მსგავსებას. მაგალითად, თუ პირველ *ჭიქას* (სურათი ა) აქვს სახელური, ლამბაქი და გამოიყენება ჩაის ან ყავის დასალევად, სურ. „დ“-ზე გამოხატულ *ჭიქას* არ აქვს სახელური და გამოიყენება არა ჩაის, არამედ ღვინის დასალევად. ანალოგიურად, თუ *ჭიქა* „ე“ შეიძლება დახასიათდეს როგორც *ჯამი*, როცა ვიყენებთ კოვზს საკვების მისაღებად, იგივე ობიექტს ვახასიათებთ როგორც *ჭიქას*, როცა სითხეს მივირთმევთ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ *ჭიქები* მოცემულ სადემონსტრაციო სურათზე განსხვავდება კატეგორიის რეპრეზენტაციულობის თვალსაზრისით, ისინი ერთ კატეგორიაში ერთიანდება ავლენს რა ერთმანეთთან აშკარა კავ-შირს („ოჯახურ მსგავსებას“), ხოლო მათ შორის საზღვარი არამკვეთრია და დამოკიდებულია ამ ობიექტებთან ჩვენს ინტერაქციაზე.

კატეგორიზაციის საკითხებისადმი ასეთმა განსხვავებულმა მიდგომამ 1970-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა ე.წ. **პროტოტიპული თეორიის** ჩამოყალიბებას.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, ადამიანის ცნობიერებაში კატეგორიზაციის სისტემის ფორმირება იმართება ორი ძირითადი პრინციპით: **კოგნიტური ეკონომიისა და აღქმული სამყაროს სტრუქტურის** პრინციპებით.

კოგნიტური ეკონომიის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ცდილობს, მინიმალური კოგნიტური ძალისხმევითა და რესურსების ხარჯვით, მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია გარესამყაროს შესახებ. შესაბამისად, ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ნაცვლად ცალკეული სტიმულის შესახებ ინფორმაციის შენახვისა, ადამიანის ცნობიერი აჯგუფებს სტიმულებს კატეგორიებად.

რაც შეეხება აღქმული სამყაროს სტრუქტურის პრინციპს, იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ თავად რეალური სამყარო, სტრუქტურირებულია, მაგალითად, ფრთები მეტად კორელაციურ დამოკიდებულებაშია ბუმბულთან და ფრენის უნართან, ვიდრე ბეწვთან ან წყლის ქვეშ სუნთქვის უნართან. სწორედ ამ ურთიერთმიმართებაში მყოფ ნიშანთა ერთობლიობა უდევს საფუძვლად კატეგორია „ჩიტის“ ფორმირებას.

კოგნიტური ეკონომიურობის პრინციპი განსაზღვრავს დეტალიზაციის ხარისხს ანუ ე.წ. **„ინკლუზიურობას“**, ხოლო კორელაციური სტრუქტურის პრინციპი - კატეგორიის წარმომადგენლობას, ე.წ. **„რეპრეზენტატიულობას“**. ეროშის მიხედვით, აღნიშნული პრინციპები არეგულირებს კატეგორიზაციის სისტემას ორ - ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განზომილებებში (იხილეთ დიაგრამა 3.).

დიაგრამა 3.




დიაგრამის ვერტიკალური ღერძი შეესაბამება ინკლუზიურობის დონეს: რაც უფრო მაღლაა განლაგებული მოცემული კატეგორია ვერტიკალურ ღერძზე, მით მეტადაა იგი ინკლუზიური (მით მეტ კონცეპტს შეიძლება მოიცავდეს).

მოცემულ დიაგრამაზე თუ კატეგორია „მაღლს“ განვიხილავთ, მასთან მიმართებაში მყოფი კატეგორია „ძუძუმწოვრები“ ვერტიკალურ ღერძზე უფრო მაღლაა განლაგებული და ძაღლის გარდა მოიცავს ამ კატეგორიის უფრო მეტ წევრს. შესაბამისად, კატეგორია „ძუძუმწოვარი“ უფრო მეტი ინკლუზიურობით ხასიათდება ვიდრე კატეგორია „მაღლი“. კატეგორია „ლაბრადორი“ უფრო დაბლაა ვერტიკალურ ღერძზე განლაგებული და მოიცავს უფრო მცირე კატეგორიის შემადგენელ წევრებს და შესაბამისად, ის ნაკლებად ინკლუზიურია, ვიდრე კატეგორია „მაღლი“.

დიაგრამის ჰორიზონტალური ღერძი ასახავს სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც ერთნაირი ინკლუზიურობით ხასიათდება. ასე მაგალითად, „მანქანა“, „მაღლი“, „სკამი“ სხვადასხვა კატეგორია, მაგრამ ისინი ფუნქციონირებს დეტალიზირების ერთი და იგივე დონეზე.

ვერტიკალური განზომილების თავისებურებები ექსპერიმენტულად დადგინდა. რომმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ არსებობს ინკლუზიურობის დონე, რომელიც კოგნიტური ეკონომიურობის თვალსაზრისით, ოპტიმალურია ადამინისთვის. ეს არის დეტალიზაციის *საშუალო* დონე („მანქანა“ , „მაღლი“, „სკამი“-ის დონე), რომელიც ცნობილია, როგორც *საბაზისო* დონე (მასში შემავალ კატეგორიებს *„საბაზისო დონის კატეგორიები“* ეწოდება.) ერთი დონით მაღალი კატეგორიების დონეს *მაღალი*, ხოლო ერთი დონით ქვემო კატეგორიას *დაბალი* დონის კატეგორიები ეწოდება (იხილეთ დიაგრამა 4.)

დიაგრამა 4.



რომმა აღმოაჩინა, რომ საბაზისო დონის კატეგორიებში შემავალ ერთეულებს (საკმარისი ინკლუზიურობის დონის შემთხვევაში) მაქსიმალური ოდენობის მსგავსი ნიშან-თვისებები აქვთ. სწორედ საბაზისო დონეზე ადამიანებს შეუძლიათ, ყველაზე უკეთ ჩამოთვალონ კატეგორიის საერთო თვისებების ნაკრები.

ერთ-ერთი ექსპერიმენტის ფარგლებში მონაწილეებს მიეცათ 90 წამი იმისთვის, რომ ჩამოეთვალათ შეთავაზებული ტაქსონომიის ინდივიდუალური წევრების ყველა თვისება. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ მაღალი დონის

კატეგორიების წარმომადგენლებს შორის რაიმე საერთოს პოვნა ძნელია, საშუალო დონეზე ეს პირიქით - ადვილი, ხოლო დაბალ დონეზე მახასიათებლების მხოლოდ მცირე რაოდენობა ემატება . ერთ-ერთ ექსპერიმენტში რომმა და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს ავეჯის, მანქანების, ძაღლების და ა.შ. განზოგადებული გამოსახულებები. მოცემული სტიმულები წარმოუდგინეს გამოსაცდელ პირებს და სთხოვეს, ეპასუხათ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის სტიმული. უმაღლესი დონის კატეგორიები ამოიცნობოდა ცუდად (რთული, წარმოსადგენია "ზოგადად" ავეჯი), ხოლო საბაზისო დონის კატეგორიები ამოიცნობოდა ყველაზე სწრაფად, რაც დაკავშირებულია მათ მნიშვნელოვან გარეგნულ მსგავსებაზე და ნაწილობრივ განმარტავს, თუ რატომ იყენებს ადამიანი სწორედ საბაზო დონეს.

როშის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ *კატეგორიზაციის საბაზო დონე არის ძირითადი ადამიანის შემეცნებისთვის*, ვინაიდან სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე მეტად ინკლუზიური და ამავე დროს ოპტიმალურად ინფორმაციული.

კატეგორიზაციის დაბალი დონე არანაკლებ ინფორმაციულია, მაგრამ ვერ პასუხობს კოგნიტური ეკონომიის პრინციპს. კატეგორიზაციის დაბალ დონეზე კატეგორიის წევრები ყველაზე მეტად ჰგვანან ერთმანეთს, მაშინ როცა საბაზისო დონეზე კატეგორიის წევრები, მართალია, ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ დაბალია კატეგორიათაშორისი მსგავსება.

ამრიგად, იმისთვის, რომ კატეგორია იყოს კოგნიტურად ეკონომიური, მას უნდა გააჩნდეს შინაგანი მახასიათებელი ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა და ამავე დროს მაქსიმალურად განსხვავდებოდეს სხვა კატეგორიებისგან. (ინტუიციურად უფრო ადვილია შეამჩნიო სხვაობა ძაღლსა და კატას შორის, ვიდრე სხვადასხვა ჯიშის კატებს შორის.)

სწორედ საბაზისო დონეზე ყალიბდება კატეგორიის ზოგადი *მენტალური ხატი* იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ მაღალი დონის კატეგორია (მაგალითად ავეჯი) საბაზისო დონის კატეგორიის რომელიღაცა სპეციფიკური ობიექტის, (სკამი, დივანი და ა.შ.) წარმოდგენის გარეშე.

როშმა აღმოაჩინა, რომ საბაზისო ტერმინები, ასევე, წარმოადგენენ ბავშვის ენაში გაჩენილ პირველ სიტყვებს. როგორც ვხედავთ, ენის სისტემა თვითონ მიუთითებს სწორედ ამ დონის პირველხარისხოვან მნიშვნელობაზე. საბაზისო სიტყვები წარმოდგენილია ერთი ლექსემით და ხასიათდება გამოყენების მაღალი სიხშირით.

სისტემის კატეგორიზაციის ჰორიზონტალური განზომილება რეგულირდება *აღქმული სამყაროს სტრუქტურის პრინციპით*. სამყაროს გააჩნია სტრუქტურა,

რომელიც ზღუდავს ადამიანის კოგნიტურ სისტემაში წარმოქმნილ კატეგორიათა ტიპებს. კატეგორიის პროტოტიპი უნდა ასახავდეს კორელაციური მახასიათებლების მაქსიმალურ რაოდენობას.

კატეგორიზაცია ენობრივ დონეებზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი კატეგორიზაციის თავისებურებები თავის ასახვას არა მარტო ობიექტებში, არამედ ლინგვისტურ კატეგორიებშიც პოულობს.

ფორმალისტური ლინგვისტიკის ფარგლებში ლინგვისტური კატეგორიის უნიფიცირებული, მხოლოდ ამ კატეგორიისთვის დამახასიათებელი ქცევა ახასიათებს. კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით კი, ლინგვისტურ კატეგორიაში შემავალი ერთეულები ავლენენ არა უნიფიცირებულ, არამედ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქცევას. ამ თვალსაზრისით ლინგვისტურ კატეგორიებში შეინიშნება ზემოთ აღნიშნული „ოჯახური მსგავსებისა“ და კატეგორიის წევრებს შორის საზღვრების არასიმკვეთრის თავისებურებები. განვიხილოთ ეს საკითხი *ჟ. ტეილორის* მიერ შემოთავაზებული კონკრეტული მაგალითების საფუძველზე *მორფოლოგიის, სინტაქსისა და ფონოლოგიის დონეებზე*.

კატეგორიზაცია მორფოლოგიაში.

ლინგვისტიკაში ტერმინი „კნინობით-აღერსობითი ფორმა“ აღნიშნავს ისეთ ფორმას, რომელიც ნაწარმოებია სუფიქსის დართვით და გამოიყენება მნიშვნელობა „პატარას“ აღსანიშნად. ასე მაგალითად, იტალიურ ენაში კნინობითი სუფიქსები - ino,-etto, -ello (paese- paesino სოფელი- პატარა სოფელი) აღნიშნავს ფიზიკურ თვისებას - „პატარა“, მაგრამ კნინობითმა სუფიქსმა ფიზიკური თვისების გარდა, შეიძლება, გამოხატოს ემოციური განწყობა - სიყვარულიც მაგალითად: mamma –mamina(დედა-დედიკო); აბსტრაქტულ არსებით სახელებზე დართვის დროს კნინობითი ფორმა იძენს მოკლე, ტემპორალური ხანგრძლივობის, შემცირებული ძალის ან მასშტაბების მნიშვნელობას: sinfonia-sinfonietta, (სიმფონია-პატარა სიმფონია) cena cenetta,(ვახშამი- მსუბუქი ვახშამი) pioggia-pioggereta (წვიმა-ჟინჟელი); როცა სუფიქსი ერთვის ზედსართავ სახელებს ან ზმნიზედას, ის ინტენსივობის შემცირებას მიუთითებს: bello- bellino (კარგად - საშუალოდ); ზმნაზე დართვის დროს კი - ცუდი ხარისხის მნიშვნელობას: lavorare- lavoricare (მუშაობა - სანახევროდ საქმის კეთება), parlare- parlucciare(საუბარი- ცუდად საუბარი). როგორც ვხედავთ, იტალიურ ენაში კნინობით სუფიქსს ერთადერთი მნიშვნელობა არ გააჩნია, იგი შედგება მნიშვნელობათა კატეგორიებისგან, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობები გააჩნიათ, მაგრამ მათ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს მაინც ავლენენ -

ექვემდებარებიან რა „ოჯახური მსგავსების“ პრინციპს- აქვთ ერთი საერთო თვისება, გამოხატონ „სიმცირის“ თვისება, მიუხედავად იმისა, რომ ამ თვისების გამოხატვის ხარისხი ვარიირებს და იცვლება, ისინი მაინც ერთ კატეგორიაში- კნინობით ფორმაში ერთიანდება.

კატეგორიზაცია სინტაქსში.

ენათმეცნიერებაში ზოგადად აღიარებული პრინციპის თანახმად, სიტყვები ჯგუფდება „არსებითი სახელისა“ და „ზმნის“ კლასებში და მათ მეტყველების ნაწილები ეწოდება. აღნიშნული სიტყვები ამა თუ იმ ჯგუფში ერთიანდება მათი მორფოლოგიური და დისტრიბუციული მახვენებლების მიხედვით. მაგალითად: სიტყვები, რომლებიც ირთავს სუფიქსებს -ness (happiness), -s (cats) ან გამოიყენება მიმდევრობაში- *არტიკლი + ზედსართავი სახელი+ არსებითი სახელი* (an interesting book) და ა.შ. კლასიფიცირდებიან, როგორც *არსებითი სახელი*. თანამედროვე ლინგვისტიკაში სიტყვების კლასიფიკაციას არა მარტო პრაქტიკული, დესკრიფციული დანიშნულება აქვს, არამედ აღნიშნული კლასიფიკაცია იძლევა იმის ახსნის საშუალებასაც, თუ საიდან აქვს მოსაუბრეს ცოდნა ახალი სიტყვების აგებისა და მათი სხვა სიტყვებთან კომბინაციის გზით გრამატიკული წინადადებების კონსტრუირებისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალ ენათმეცნიერთა მოსაზრებით, სიტყვათა კლასებს თავისი ფსიქოლოგიური რეალობა გააჩნიათ (ასეთი მიდგომა, როგორც ვიცით, გენერაციული ლინგვისტიკისთვისაა დამახასიათებელი)

თუმცა, როცა ზმნებისა და არსებითი სახელების ქცევას ვსწავლობთ, ხშირად აღმოვაჩინოთ, რომ აღნიშნულ კატეგორიებში შემავალი ყველა ზმნა და არსებითი სახელის ამ კატეგორიების თვისებებს ერთნაირად არ იზიარებენ - ზოგიერთი არსებითი სახელი და ზმნა უფრო მეტად ხასიათდება კატეგორიის თვისებებით, ვიდრე სხვა წარმომადგენელი და ამდენად, უფრო რეპრეზენტაციულია. ასეთი სახით მეტყველების ნაწილები ქმნის კატეგორიებს, რომელშიც შემავალ ერთეულებს შორის საზღვრები არამკვეთრია. ისინი ხასიათდებიან ძირითადი თვისებების იდენტურობით, თუმცა აქვთ განმასხვავებელი ნიშნებიც. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გარდამავალ ზმნას მოსდევს დამატება: “He sells cars”; “He knows fact”. ზმნისა და დამატების ასეთი მიმდევრობის შედეგად (უმეტეს შემთხვევაში) ხდება ზმნის ნომინალიზაცია (ზმნის აგენსად, მოქმედი სუბიექტად გარდაქმნა) მაგალითად: “he imports cars- he is an importer”. თუმცა, ყველა ზმნა ვერ ამჟღავნებს აღნიშნულ თვისებას. მაგალითად, განვიხილოთ ზმნა “know” წინადადებაში: “he knows the fact ≠ he is a knower of the text” აშკარაა, რომ მეორე წინადადება გაუმართავია, რადგან ზმნა “know” არ იზიარებს ზმნა “import”-ის ზემოთაღნიშნულ თვისებას.

იგივე შეიძლება ითქვას ვნებითი გვარის წარმოებაზეც. მოგვეხსენება, რომ ყველა ზმნა ვერ აწარმოებს ვნებით გვარს. მაგალითად, გაუმართავია წინადადება: "two pounds are owned by John".

ინგლისურ ენაში ზმნას, შესაძლოა, ჩაენაცვლოს კონსტრუქცია "**be+ V+ able**" მაგალითად: "His handwriting can be read his writing is readable" თუმცა, იგივე ტრანსფორმაცია შეუძლებელია შემდეგ შემთხვევაში: "it can be caught ≠ it is catchable". მიუხედავად ამ განსხვავებებისა, მაგალითებში მოყვანილი ზმნები იზიარებენ საერთო თვისებას, მაგალითად, ირთავენ სუფიქს- **s/-es** აწმყო დროის მესამე პირის საწარმოებლად (imports, knows, catches, owns) და ერთ კლასში ერთიანდებიან.

რაც შეეხება ლინგვისტურ კატეგორია "არსებით სახელს", კატეგორიზაციის საკითხის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ე.წ. "ორმაგი გადანაცვლების"(double rising) შემთხვევა, რომლის ფარგლებშიც ხდება სახელური ფრაზის ჩართული წინადადებიდან, მთავარი წინადადების ქვემდებარის პოზიციაზე გადანაცვლება მეორე ჩართული წინადადების ქვემდებარის პოზიციის საშუალებით (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითი 1. წარმოდგენილ მაგალითში სახელური ფრაზა მოცემულია მუქი შრიფტით, ჩართული წინადადებები მოცემულია ფრჩხილებში, ისრები მიუთითებს მოძრაობას, ხოლო გახაზული სიტყვები - ქვემდებარის პოზიციას)

მაგალითი 1.

a. **It** is likely [___to be shown [that **John** has cheated]] →

b. **John** is likely [___to be shown [___to have cheated]]



როგორც მაგალითიდან ჩანს, სახელურ ფრაზას „John“ შეუძლია, დაიკავოს პირიანი წინადადების ქვემდებარის პოზიცია მაშინ, როცა ზმნა, რომელიც მას მოსდევს, მოცემულია თავის სრულ ინფინიტიურ ფორმაში(to be); სახელადმა ფრაზამ „John“ (რომელიც მოიაზრება, როგორც მოქმედი პირი, მიუხედავად მისი პოზიციისა ამ წინადადებაში) უნდა გადაინაცვლოს/“იმოძრაოს“ წინადადებაში მანამ, სანამ მის გვერდით არ აღმოჩნდება ზმნის პირიანი ფორმა „is“. თუმცა ზოგიერთი არსებითი სახელი, მაგალითად “headway” არ არის მიდრეკილი ასეთივე გრამატიკული „ქცევისკენ“, რაც ნათლად ჩანს, ქვემოთ მოყვანილ მაგალითში: (იხილეთ მაგალითი 2.)

1.2 პოლისემია.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის მნიშვნელობის კვლევა ძველი ბერძნული ფილოსოფიიდან იღებს სათავეს, არისტოტელე აღნიშნულ ენობრივ ფენომენს საკმაო კრიტიკით უდგებოდა. როგორც ის აღნიშნავს: „ეს ორაზროვანი სიტყვები, ძირითადად, სოფისტების მიერ გამოიყენება თავისი მოწაფეების შეცდომაში შესაყვანად.“ მოგვიანებით, ფილოსოფოსთა უმრავლესობამ პოლისემიური სიტყვები აღიარა, როგორც ენის ნაკლოვანება, რომელიც აფერხებს კომუნიკაციას, გაგებას და ფიქრსაც კი. სიტყვის მრავალმნიშვნელობასთან დაკავშირებული კონკრეტული კვლევები მხოლოდ მე-18 საუკუნეში დაიწყო და გაგრძელდა მე-19 საუკუნეში იმ ლინგვისტების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ეტიმოლოგიით, ისტორიული ლექსიკოგრაფიით ან ისტორიული სემანტიკით.

თავად ტერმინის - „პოლისემია“ (polysemy-polyმრავალი+sem მნიშვნელობა) - ენათმეცნიერებაში გამოყენება თარიღდება 1897 წლით და უკავშირდება მიშელ ბრილის სახელს.

მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში კვლევების ცენტრმა დიაქრონიული პერსპექტივიდან სინქრონულზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, პოლისემიის საკითხის კვლევა უმნიშვნელო ადგილს იკავებს სტრუქტურალისტების კვლევებში, (კერძოდ კი - სემანტიკის თეორიაში), სადაც მონოსემია და ომონიმია მიჩნეულია ენობრივ ნორმად, ხოლო პოლისემია ამ ნორმის უჩვეულო გამონაკლისს წარმოადგენს. ლექსიკური სემანტიკოსების კვლევებში პოლისემიური ერთეულების მნიშვნელობები - მიჩნეული არა როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ, როგორც ცალკეული მნიშვნელობები.

მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, ზოგიერთი ლინგვისტის (ჯ.ლიჩი, ჯ.ლაიონსი, ლ.ლიპკა) კვლევებში შეინიშნება მცირედად განსხვავებული შეხედულება ამ საკითხის მიმართ. აღნიშნული მეცნიერები პოლისემიას ომონიმიასთან მიმართებაში შეისწავლიდნენ. კერძოდ კი, პოლისემიური და ომონიმური ერთეულების შეპირისპირების საფუძველზე მათ გამოყვეს პოლისემიისა და ომონიმის ერთმანეთისგან განმასხვავებელი 3 კრიტერიუმი: 1.ფორმის იდენტურობა /განსხვავება; 2.ეტიმოლოგია; 3.ახლო სემანტიკური კავშირის არსებობა /არარსებობა. აღნიშნული მეცნიერები, მართალია, აღიარებდნენ, რომ პოლისემიური სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობა, შესაძლოა, სიტყვის ძირეული მნიშვნელობიდან მომდინარეობდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლისემიის საკითხის ამ მიმართულებით კვლევა, ტრადიციულ მიდგომაში ნაკლებ ადგილს იკავებს, რადგან იგი უშუალოდ სიტყვის ცალკეული მნიშვნელობის კვლევით შემოიფარგლება.

1980-იან წლებში, კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში პოლისემიის

საკითხის მიმართ ახალი სამეცნიერო მიდგომა ჩამოყალიბდა. როგორც უკვე ვიცით, კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევების სამეცნიერო ცენტრი ენობრივი ერთეულების ფორმაზე ორიენტირებული (ფორმალისტური მიდგომა) მიდგომიდან, მნიშვნელობაზე ორიენტირებულობისკენ ინაცვლებს. შესაბამისად, ლინგვისტური კატეგორიზაციის, ისევე როგორც მნიშვნელობის (რომელიც ენის მაკონსტრუირებელ საშუალებად მიიჩნევა) პრიორიტეტულობამ პოლისემიის კვლევის საკითხი ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად აქცია.


ახალი სამეცნიერო შეხედულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროტოტიპულმა თეორიამ, რომლის თვალსაზრისით სიტყვა, თავისი პოლისემიური მნიშვნელობების ქსელით, თავად წარმოადგენს კატეგორიას, რომელშიც სიტყვის მნიშვნელობები ერთმანეთთან დაკავშირებულია შემეცნების შემდეგი პრინციპებით: მეტაფორა, მეტონიმია, სპეციფიკაცია, გაფართოება და წარმოსახვითი სქემების ტრანსფორმაცია.

კოგნიტური ლინგვისტების (ჯ.ლაკოფი, ა.ტაილერი, უ.კროფტი, ვ.ევანსი) თვალსაზრისით, პოლისემიური ერთეულის ყველა მნიშვნელობა და ხმარების ყველა შემთხვევა სემანტიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ამ კავშირების ახსნა შესაძლებელია.

პოლისემიური სიტყვა წარმოადგენს კატეგორიას, რომლის ფარგლებში მოცემული მნიშვნელობები ერთმანეთთან არა სიმეტრიულად, არამედ რადიალურად არიან დაკავშირებული (ცენტრი-პერიფერია), ხოლო თავად ეს სისტემა იმართება მნიშვნელობათა გადასვლის საშუალებით.

არსებობს მნიშვნელობათა გადასვლის ორი ტიპი - **სპეციფიკაცია** და **გაფართოება**. გაფართოება, ფაქტობრივად, მეტაფორაა. აბსტრაქტული ცნებები კოგნიტურ ლინგვისტიკაში მოიაზრება, როგორც ფიზიკური ცნებების გაფართოებაგარდაქმნა. ერთი და იმავე ენობრივი ცნების სხვადასხვა გაფართოებისა და გარდაქმნის შედეგად მიიღება მოცემული ლექსემისა და მორფემის სემანტიკური ჯაჭვი /ქსელი რომელშიც ცენტრალური მნიშვნელობები ასახავს ლექსემის (მორფემის) მაქსიმალურად პროტოტიპულ გამოყენებას. პერიფერიული მნიშვნელობები ცენტრალურის გარდაქმნის შედეგია; ისინი ნაკლებსტაბილური და აბსტრაქტულია და შეზღუდულია თანახმარების თვალსაზრისით.

აღნიშნულის სადემონსტრაციოდ ვიხილოთ ინგლისური პოლისემიური სიტყვის „ring“ (რგოლი, წრე, ბეჭედი, რინგი) ნაწილობრივი ლექსიკური ქსელის ამსახველი დიაგრამა, სადაც მთლიანი ისრები „სქემატურ“ მნიშვნელობებზე (სპეციფიკაციაზე) მიუთითებენ, ხოლო წყვეტილი - გაფართოებაზე. მუქ ჩარჩოში მოთავსებულია ამ ენობრივი ერთეულის მაქსიმალურად პროტოტიპული ხმარება (იხილეთ დიაგრამა ნ.).



ამრიგად, კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში პოლისემიასა და მეტონიმას შორის არსებული განსხვავების საფუძველი პოლისემიური მნიშვნელობებს შორის არსებული სისტემური, ბუნებრივი ურთიერთკავშირის შედეგია, რომელიც თავის მხრივ ქმნის რადიალურ კატეგორიას, სადაც ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა უფრო ცენტრალურია, ვიდრე სხვა პერიფერიული მნიშვნელობები.

ლაკოფის აზრით, პოლისემიური სიტყვის ფიგურალური მნიშვნელობა პროტოტიპული სივრცობრივი მნიშვნელობიდან იწარმოება. ამ თვალსაზრისით მეტაფორა გაგებულია როგორც გამოცდილებითი კავშირი კონკრეტულ წყაროსა და აბსტრაქტულ სამიზნეს შორის.

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით პოლისემია ბუნებრივი ენის ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს და ამდენად ის არა მარტო ლექსიკურ, არამედ ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზეც ვრცელდება. ამ საკითხის განხილვა, ცხადია, ენის ლექსიკური დონიდან უნდა დავიწყოთ.

პოლისემია ლექსიკურ დონეზე

ლექსიკური პოლისემიის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ინგლისური ენის წინდებული „over“-ის სხვადასხვა მნიშვნელობები:

1. The picture is over the sofa ----- სურათი დივნის ზემოთაა
2. The picture is over the hole ----- სურათი ხვრელს ფარავს
3. The ball landed over the wall ----- ბურთი კედლის მეორე მხარეს დაეშვა
4. The car drove over the bridge ----- მანქანამ ხიდი გადაიარა
5. The bath overflowed ----- აბაზანიდან წყალი გადმოიღვარა
6. The government handed over power ---- მთავრობამ ძალაუფლება გადააბარა
7. She has a strange power over me ----- მას უცნაური ძალა აქვს ჩემზე

კოგნიტიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ წინადადებებში წინდებული “over“-ის მნიშვნელობები განსხვავდება, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია და მეტაფორიზაციის საშუალებით იწარმოება სიტყვის ცენტრალური (პროტოტიპული) მნიშვნელობიდან „ზემოთ“ (წინადადება 1.) მე-6 წინადადებაში სიტყვის „over“ გამოყენება, რომელიც „გადაცემის“ მნიშვნელობას გამოხატავს ნათელყოფს, რომ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ აბსტრაქტული ცნებების გადაცემა შესაძლებელი, ხოლო მე-7 წინადადებაში წინდებულის “over” „ძალის“ მნიშვნელობა, თავის მხრივ, უკავშირდება სივრცობრივ მეტაფორას - “კონტროლი ზემოთაა”(control is up.) (ამ საკითხის უფრო დეტალურად განხილვას მომდევნო ქვეთავში მოცემული მეტაფორული კონსტრუქციების ანალიზის დროს შევეცდებით)

პოლისემია მორფოლოგიაში.

ლექსიკური დონის მსგავსად პოლისემია ვლინდება ენის მორფოლოგიურ დონეზეც. ბმული მორფემა -er, რომელიც აგენსის (მოქმედი სუბიექტი) მაწარმოებელი სუფიქსია. ხასიათდება მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობებით. ასე მაგალითად: არსებით სახელში „teacher“ „-er“ სუფიქსი გამოხატავს ადამიანს, რომელიც რეგულარულად დაკავებულია იმ საქმიანობით. რასაც თავად ზმნა (to teach) გადმოსცემს; სიტყვაში „villager“ იგი აღნიშნავს ადამიანს, რომელიც გარკვეულ ადგილას (village) სახლობს; სიტყვაში „toaster“- სუფიქსი უკავშირდება ნივთს, რომელსაც აქვს უნარი ზმნით განსაზღვრული მოქმედება შესასრულოს (to toast); სიტყვა „best-seller“-ში, კი სუფიქსი აღნიშნავს საგნის თვისებას (წარმატებულ წიგნს). მიუხედავად შინაარსობრივი სხვაობისა, ყველა ეს მნიშვნელობა ინტუიციურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც იზიარებენ საერთო თვისებას - ***ფუნქციური უნარს*** (სწავლების, პურის გახუხვის, წარმატებული გაყიდვისა და კონკრეტულ ადგილზე ცხოვრების უნარს.)

პოლისემია, ასევე, ვლინდება კნინობით-ალერსობითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსებზეც. აღნისნული სუფიქსები ინგლისურ ენაში (იტალიურთან შედარებით) ნაკლებად გვხვდება, შესაბამისად, ისინი სიტყვათწარმოების თვალსაზრისით ნაკლებპროდუქტულობით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სუფიქსებში შეიმჩნევა პოლისემიის შემთხვევები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

სიტყვაში „booklet“ სუფიქსის „-let“ საშუალებით იწარმოება მნიშვნელობა „პატარა წიგნი“, სიტყვაში „anklet“ ამ სუფიქსს სიმცირის გამოხატველი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აღნიშნული სიტყვა „ფეხის სამკაულს“ ან „მოკლე წინდას“ აღნიშნავს. თუმცა სუფიქსი -let მცირე ზომის მნიშვნელობას ინარჩუნებს სიტყვაში „hamlet“, რადგან აღნიშნული სიტყვა „პატარა ქალაქს“ ნიშნავს (თუმცა აქვე

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვის ძირს „ham“ ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია.) ხოლო სიტყვაში „Starlet“ კნინობით ფუნქციას ასრულებს, რადგან აღნიშნავს დამწყებ, უმნიშვნელო როლების შემსრულებელ მსახიობს.

სუფიქსს -ette მცირე ზომის აღმნიშვნელი მნიშვნელობის პარალელურად, აქვს მდებდრობითი სქესის აღნიშვნის უნარიც. მაგალითად სიტყვაში „usherette“ ის კაპელდინერი ქალს აღნიშნავს, ხოლო სხვა სიტყვებში ის მცირე ზომას მიუთითებს. მაგალითად: „dINETTE“ აღნიშნავს არაფორმალური მიღებებისთვის განკუთვნილ მცირე სასადილო ოთახს, „kIchette“ საჭმლის მოსამზადებელ მცირე ადგილს, „luncheonette“ მცირე რესტორანს, რომელიც მსუბუქი ხემსით უმასპინძლდება სტუმრებს, ხოლო „statuette“ მცირე ქანდაკებას.

სუფიქსი -ling ასევე გამოხატავს მცირე ზომას მაგალითად: „duckling“, „sapling“, თუმცა აქვს ასევე კნინობითი მნიშვნელობაც შემდეგ სიტყვებში: „weakling“, „giftling“ – „უმნიშვნელო საჩუქარი“, ან „witling“, რომელიც აღნიშნავს ადამიანს, რომელიც დიდი სიბრძნით და გონიერებით არ გამოირჩევა, იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა „trifling“, - „უმნიშვნელო ღირებულების მქონე რამ“

ტეილორის აზრით, კნინობითი ფორმების შინაარსობრივი გაფართოება იმგვარად, რომ მათ შეუძლიათ ტოლფარდად გადმოსცენ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობა თავისთავად მეტაფორული განვრცობის შემთხვევას წარმოადგენს.

მცირე ზომის ერთეულებზე ფიქრმა შეიძლება გამოიწვიოს მრავალი განსხვავებული დამოკიდებულება იმდენად, რამდენადაც მცირე ზომის ობიექტი შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად და გამოიწვიოს ერთმანეთის საწინააღმდეგო ემოციები (როგორც სიყვარული, ასევე ზიზღი.) როგორც სუფიქსი - შემთხვევაში კნინობით - აღერსობითი სუფიქსების შემთხვევაში მიუხედავად სუფიქსების მრავალფუნქციურობისა, ისინი ერთი საერთო თვისების - სიმცირის ირგვლივ იყრიან თავს, თუმცა ეს თვისება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამატებით მნიშვნელობას კონკრეტულ ობიექტთან მიმართებაში იძენენ.

პოლისემია სინტაქსში.

პოლისემია, ენის ლექსიკური და ფონოლოგიური დონეების მსგავსად ვლინდება სინტაქსურ დონეზეც. გავეცნოთ ა.გოლდბერგის მიერ განხილულ სამპირიან გარდამავალ კონსტრუქციას (SVOO), რომელიც მრავალ აბსტრაქტულ მნიშვნელობას გადმოსცემს:⁶

⁶ მოყვანილ მაგალითებში ტერმინები: აგენსი: (agens-მოქმედი) შეესაბამება სუბიექტს, მოქმედების აქტიურ მონაწილეს; პაციენსი (patiens -განმცდელი) მოქმედების პასიურ მონაწილეს; რეციპიენტი (recipient- მიმღები) ობიექტს, რომლისთვისაც ხორციელდება მოქმედება

მნიშვნელობა 1. აგენსი იწვევს რეციპიენტის მიერ პაციენსის მიღების ქმედებას: *Mary gave John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება გადმოიცეს *მიცემის* აღმნიშვნელი ზმნებით: give, pass, hand, serve, feed);

მნიშვნელობა 2. აგენსი ქმნის პირობებს, რომლის ფარგლებშიც იგი იწვევს რეციპიენტის მიერ პაციენსის მიღების ქმედებას : *Mary promised John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება გადმოიცეს ზმნებით ვალდებულების შესრულების გამობატველი ზმნებით: guarantee, promise, owe);

მნიშვნელობა 3. აგენსი იწვევს რეციპიენტის მიერ პაციენსის არმიღების ქმედებას: *Mary refused John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება გადმოიცეს უარყოფის აღმნიშვნელი ზმნებით: refuse, deny);

მნიშვნელობა 4. აგენსი იწვევს რეციპიენტის მიერ პაციენსის მიღების ქმედებას მომავლის რაღაც დროის მონაკვეთში: *Mary left John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება გადმოიცეს გადაცემის აღმნიშვნელი ზმნებით: leave, bequeath, allocate, reserve, grant);

მნიშვნელობა 5: აგენსი საშუალებას აძლევს რეციპიენტს, მიიღოს პაციენსი: *Mary permitted John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება გადმოიცეს უარყოფის აღმნიშვნელი ზმნებით: permit, allow);

მნიშვნელობა 6. აგენსი გეგმავს შექმნას ისეთი პირობები, რომლის ფარგლებშიც რეციპიენტი მიიღებს პაციენსს: *Mary baked John the cake* (აღნიშნული აქტი შეიძლება, გადმოიცეს უარყოფის აღმნიშვნელი ზმნებით: bake, make, build, cook, sew, knit);

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მიუხედავად წინადადებებში მოცემული სხვადასხვა აბსტრაქტული მნიშვნელობებისა, აღნიშნული სინტაქსური კონსტრუქციები ერთიანდებიან ერთი საერთო ნიშნის ქვეშ - აგენსის მიზანმიმართული, ინტენციური გარდავალობა/გადასვლა (volitional transfer), სადაც თავად ინტენციის მრავალფეროვნება მათში გამოყენებული ზმნების საშუალებით გადმოიცემა.

1.3 მეტაფორა.

იმისთვის, რომ გასაგები გახდეს კოგნიტური მეტაფორის რაობა, საჭიროა ჩავწვდეთ ზოგადად მეტაფორული აზროვნების არსს. ბუნებრივ ენაზე სამყაროს პროეცირების დროს ადამიანი ერთმანეთს ადარებს კონკრეტულ ობიექტებს და ახდენს მათ იდენტიფიცირებას. ამავე ტიპის ოპერაციები საფუძვლად უდევს მეტაფორულ გადასვლებს, რომლებსაც ენის კოგნიტურ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ადამიანი სამყაროს შეიცნობს უმთავრესად თავისი ფიზიკური გამოცდილების საფუძველზე. ეს გამოცდილება ჩვენს ხუთ გრძნობას ემყარება. ბუნებრივი ენის სემანტიკაზე სინამდვილის პროეციების შედეგად წარმოიქმნება „პროეცირებული სამყარო“, რომლის რეალურისგან განსახვავება განპირობებულია ადამიანის ფიზიკური თავისებურებებითა და კონკრეტული კულტურული სპეციფიკით.

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს საგნობრივ-ხდომილებრივი აღქმა, რასაც იგი ორი სახით ახორციელებს. პირველია, სამყაროს რაციონალური ანუ ლოგიკური აღქმა, რომელიც სამყაროს რეალურ ასახვას ითვალისწინებს ობიექტურად არსებული ნიშან-თვისებების საფუძველზე; ხოლო მეორე არის სამყაროს მეტაფორული ანუ მიფო-პოეტური აღქმა, რომელიც ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება. მეტაფორიზაცია შედეგია ადამიანის უნარისა, შენიშნოს და დააფიქსიროს მსგავსება ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებსა თუ მოვლენებს შორის და გააიგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მეტაფორიზაცია არის აზროვნების სტილი, რომელიც სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ ხედვასა და ადამიანის ინდივიდუალურ შეფასებით კოგნიციაზეა დამყარებული.

მეტაფორა საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან, იზიდავს მკვლევართა ყურადღებას, ამიტომ უამრავი თეორია არსებობს მეტაფორის რაობისა და მისი წარმოქმნის შესახებ. რამდენადაც მეტაფორა გვხვდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, იმდენად მრავალნაირად არის შესაძლებელი მისი ინტერპრეტირება.

მეტაფორა არის აზროვნების სპეციფიური ფორმის გამოხატულება, რომელიც გვხვდება ყველგან - ენაში, ხელოვნებაში (ფერწერაში, ქანდაკებაში), სადაც კი არსებობს ნიშანთა სისტემა, იქნება ეს პირველადი თუ მეორადი. ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – „გადატანა“) და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. შესაბამისად, მეტაფორა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც სემიოტიკური კონსტრუქტი, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს მსჯელობის საგნის სუბიექტურ-პოეტური დეტერმინაცია (დახასიათება) ან იდენტიფიკაცია მისი შეპირისპირება-გაიგივებით მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში ხატის სახით არსებული სამყაროს ამა თუ იმ ობიექტთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან) მათი საერთო იმ ნიშან-თვისების ან თვისებების საფუძველზე, რომლებიც მეტაფორიზაციის მოტივაციად გვევლინება. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავება ჩვეულებრივ ვერბალურ ნიშანსა

და მეტაფორულ ნიშანს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას კი – ერთი აღმნიშვნელი და ორი აღსანიშნი. აქედან გამომდინარე, მეტაფორა სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმაა: ერთია პირდაპირი, ექსპლიციტურად გამოხატული მნიშვნელობა, მეორე კი – გადატანითი, შეფარული, ნაგულისხმევი მნიშვნელობა. პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-წარმოდგენა და დახასიათება-ინტერპრეტაცია. მეტაფორა ფართო გაგებით გულისხმობს საერთოდ ყველა სახის ტროპს იმდენად, რამდენადაც ყველა ტროპის არსებობის მექანიზმი და არსი არის მეტაფორული ანუ გადატანითი.

მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურაზე მსჯელობისას, უფრო ზუსტად კი, მეტაფორაში რეალიზებული ორი მნიშვნელობის აღსანიშნად სპეციალურ ლიტერატურაში უამრავ სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ: „საგანი“ და „ხატი“ (რომელსაც მეტაფორის ასოციაციურ შინაარსსაც უწოდებენ), „თემა“ და „კონტენიერი“, „რეფერენტი“ და „კორელატი“, „წყარო ცნება“ და „სამიზნე ცნება“, და ა.შ.

წყარო ანუ საწყისი ცნება არის ენობრივი ნიშნის პირდაპირი მნიშვნელობა, ხოლო სამიზნე ცნება არის ის აქტუალური აზრი, რა მიზნითაც მეტაფორიზაცია ხორციელდება. მეტაფორის განსაზღვრება გულისხმობს, რომ სამიზნე ცნება ბუნებით აბსტრაქტირებულია, მაშინ როდესაც საწყისი – კონკრეტულ-კონცეპტუალურია. მეტაფორის გამოყენებას გააჩნია ის ტენდენცია, რომ ის მიდის კონკრეტული წყაროდან აბსტრაქტულ სამიზნეში, რის გამოც მკვლევრებს უძნელდებათ მეტაფორული გამოყენების ინტერპრეტირება.

მეტაფორაში პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით ხორციელდება მეორე, ნაგულისხმევი მნიშვნელობის აღქმა-გაგება და ინტერპრეტაცია. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მეტაფორა – “You are a real lion” („შენ ნამდვილი ლომი ხარ.“), რომლითაც შეიძლება მიმართონ მამაც ადამიანს. როგორია მისი სემანტიკური სტრუქტურა? ნებისმიერი ნიშნის მსგავსად, ეს მეტაფორაც სამ ელემენტს შეიცავს: აღმნიშვნელს, აღსანიშნს და მათ შორის კავშირს. ჩვეულებრივ ნიშანში აღმნიშვნელი ერთ აღსანიშნს უკავშირდება (ჩვენ აღქმაში ბგერათა კომპლექსი „ლომი“ უკავშირდება მხოლოდ გარკვეულ ცხოველს). მეტაფორაში კი აღმნიშვნელი ერთდროულად ორ აღსანიშნს უკავშირდება ორს: 1) ცხოველს, რომელიც ამ ნიშნის პირდაპირი, ანუ პირველი მნიშვნელობაა, და 2) მამაც ადამიანს, რომელიც მეორადი, ანუ გადატანითი მნიშვნელობაა. ამასთან, პირველ მნიშვნელობას აღმნიშვნელი უკავშირდება უშუალოდ, მეორეს კი – პირველის საშუალებით.

მეტაფორის ორივე მნიშვნელობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშან-თვისებათა კომპლექსს, რომელიც ახასიათებს მოვლენას რეალურად როგორც ონტოლოგიურ კლასს მისთვის ობიექტურად დამა-

ხასიათებელი თვისობრიობის მიხედვით ან სუბიექტური შეფასების შედეგად მისთვის რაიმე ნიშან-თვისების მიწერის გზით. სუბიექტური შეფასებები შეიძლება იყოს ნებისმიერი ხასიათის, მაქსიმალურად მოულოდნელი და ემყარებოდეს უკიდურესად ინდივიდუალურ, მარტო მთქმელისთვის გასაგებ ასოციაციას, და ამდენად, მარტო მისთვის იყოს დამაჯერებელი და ცხადი. ასეთი ნიშნები შეიძლება, ჩაითვალოს სუბიექტურ ნიშნებად.

მეტაფორაში – „შენ ნამდვილი ლომი ხარ.“ – „ლომის“ მნიშვნელობას ქმნის ობიექტური ნიშნები. პირველი მნიშვნელობისთვის (ლომი, როგორც ცხოველი) ამოსავალი ნიშნებია: ცხოველი, ძლიერი, ძალაუფლების მოყვარული, ღონიერი, ნადირთა მეფე, მტაცებელი, დიდებული, შიშის მომგვრელი, უყვარს ნავარდი, ეტრფის თავისუფლებას, არის ტრამალის ბინადარი, მონაწილეობს სისხლიან შეტაკებებში. მეორე მნიშვნელობას (მამაცი მამაკაცი) კი ქმნის ისეთი ნიშნები, როგორც არის მამაცი, ძლიერი სქესის წარმომადგენელი, ღონიერი და ძალაუფლების მოყვარული. ამ ორი მნიშვნელობის ერთ სემანტიკურ ერთეულად შეკვრა ხდება მხოლოდ მათი საერთო სემების საფუძველზე. კონკრეტულად, პირველი (პირდაპირი) მნიშვნელობიდან გამოვყოფთ ერთ ან რამდენიმე ასეთ ნიშანს და მათ ვუკავშირებთ მეორე, გადატანით მეტაფორულ მნიშვნელობას – ძლიერი, მამაცი, ღონიერი, ძალაუფლების მოყვარული. თუმცა საერთო ნიშნების გარდა, სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობაში ფიგურირებს ე.წ. „თავისუფალი“ ნიშნები (მაგალითად, ლომისთვის ასეთი ნიშნებია, ტრამალი, სისხლიანი შეტაკება, ნადავლი და სხვ.), რომლებიც ასევე ქვეცნობიერად შემოდიან ჩვენს აღქმაში და ამდიდრებენ მამაცი ადამიანის სახეს. ეს განაპირობებს გამონათქვამის არაერთ-მნიშვნელოვნებას და მის ემოციურ-ესთეტიკურ კონცეპტუალურ მნიშვნელობას.

მეტაფორა იქმნება მნიშვნელობის გადატანით აშკარად ნახსენებიდან ნაგულისხმევაზე. უფრო ზუსტი გაგებით, ეს არის ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობის თანაარსებობა ანუ, როგორც ნ. თერნერი ამბობს, მეტაფორაში ხდება კონცეპტუალური შერწყმა (conceptual blending). კოგნიტივისტები ამ პროცესს სამყაროს მეტაფორულ აღქმას (metaphorical mapping) უწოდებენ. ერთი შეხედვით, მეტაფორა შეიძლება აბსურდულიც კი ჩანდეს, რადგან ორ ჰეტეროგენულ მოვლენას აერთიანებს. არსებობს აზრი, რომ ის მოვლენა, რომლის საშუალებითაც ხდება აღქმა, უფრო შემოწმებადია, ვიდრე ის მოვლენა, რისი აღწერაც ხდება. გამოთქმები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ მოვლენებს, შეიძლება იოლად შემოწმდეს ან დადასტურდეს დამკვირვებლის მიერ, როგორც რაღაც ხილვადი. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ტერმინების მნიშვნელობაზე ინტერსუბიექტური შეთანხმება უფრო იოლია, ვიდრე აბსრაქტულ მოვლენებზე. როცა აბსტრაქტულს აღვიქვამთ ისე, როგორც კონკრეტულს, ჩვენ ვქმნით ობიექტურობის ილუზიას და ამით ვამარტივებთ კომუნიკაციას აბსტრაქტულთან მიმართებაში.

მეტაფორა ადამიანის წარმოსახვის ნაყოფია, რის შედეგადაც იქმნება აღქმის ობიექტის ახალი განსხვავებული ხატი, რომელიც, ობიექტურ თვისებებთან ერთად, ავტორისეული ესთეტიურ-კოგნიტური და სუბიექტური შეფასებითი მოდალობის მატარებელია. მაგრამ არ შეიძლება, მეტაფორული ნომინაცია ინტერპრეტირებული იყოს მთლიანად მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ-კოგნიტური ფენომენი, რადგანაც იგი, ამავდროულად, განპირობებულია ენის მატარებელთა კულტურით და სოციალური გარემოთი. ამის ნათელი დადასტურებაა ერების ენობრივ ცნობიერებაში კოგნიტური მეტაფორების აღმოჩენა, რომელთა კონკრეტული შინაარსიც მათი შემქმნელი კულტურის თავისებურებების გამომხატველია. კოგნიტური მეტაფორის არსს მკვლევრები ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ლინგვოფილოსოფიურ კონცეფციას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ კოგნიტური მეტაფორა წარმოადგენს ენაში გამოხატული ერის გონის გამოვლინებას. ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს ახასიათებთ სამყაროს მეტაფორული აღქმა, რაშიც ასახვას ჰპოვებს მათი ეთნო-კულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია და მსოფლხედვის სპეციფიკა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელი კოგნიტივისტების ჯორჯ ლაკოფის და მარკ ჯონსონის მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. კოგნიტური ანუ კონცეპტუალური მეტაფორის ცნება, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მეტაფორის ზოგად თეორიაში. ტრადიციული მოსაზრების საპირისპიროდ, რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ეს მკვლევრები მიიჩნევენ, რომ „მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არამედ აზრსა და ჩვენს ქმედებაშიც. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ კიდევაც ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით“ (Lakoff, Johnson, 1980). თავიანთ ერთობლივ ნაშრომში “Metaphors We Live By” (1980) ლაკოფი და ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ადამიანებს ახასიათებთ გარემომცველი სამყაროს მოვლენათა მეტაფორული აღქმა (mataphorical mapping) რაშიც გამოხატულებას ჰპოვებს ამა თუ იმ ენის მატარებელთა კულტურა და ეროვნული ფსიქოლოგია, მსოფლხედვის სპეციფიკა.

ჩვენი ყოველდღიური სასუბრო ენა გაჯერებულია მეტაფორული გამოთქმებით, რაც, გარკვეულწილად, ამარტივებს კომუნიკაციის პროცესს, რადგანაც მეტაფორის არსებითი სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ მოქმელისთვის უფრო ნაცნობი, მარტივი საშუალებით მოახდინოს უფრო რთულის და უცნობის აღქმა-გააზრება. ლაკოფისა და ჯონსონის დაკვირვებით, ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები ხშირად ერთი დიდი მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენს. თავად ეს მეტაფორა შეიძლება არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერის ცნობიერებაში და გამოვლინებას ჰპოვებს ენაში ცალ-

კეული გამოთქმების, სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების სახით. ლაკოფი და ჯონსონი გამოყოფენ კოგნიტური მეტაფორის სამ ძირითად სახეს, ესენია: **ორიენტაციული, ონტოლოგიური და სტრუქტურული მეტაფორები.**

ჯ.ლაკოფისა და მ. ჯონსონის აზრით, ადამიანის ცნობიერებაში ემოციები აბსტრაქტულ მოვლენებს წარმოადგენს. ყველაფერი ის, რაც ჩვენს შინაგან სამაყროს უკავშირდება, რაც უხილავი და უფრო ნაკლებად აღქმადია პროცესების სახით, ასოცირდება ფიზიკურ სიდიდეებთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან, სივრცით განზომილებასთან, ე.ი. იმასთან, რაც უფრო მარტივია და ამ შემთხვევაში გვევლინება აღქმის საშუალებად. ენაში დიდი რაოდენობით მოიპოვება მეტაფორული ფრაზები, რომლებიც ადამიანთა ემოციებსა და სხვა აბსტრაქტულ მოვლენებს უკავშირებს სივრცეში ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ მდგომარეობას. ლაკოფი ასეთ მეტაფორებს პირობითად **ორიენტაციულს** უწოდებს. ისინი წარმოიქმნებიან არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ კულტურულ გარემოში. ინგლისურენოვანი მოსახლეობის შემეცნებაში არსებობს მეტაფორა - happy is up და sad is down, რაც გამოხატულებას პოულობს ენაში. ამ შემთხვევაში ვერტიკალური მდგომარეობა სივრცით განფენილობაში წარმოადგენს წყაროს (მისი საშუალებით აღიქმება), ხოლო დადებითი ემოციური განწყობა (ბედნიერება), ისევე, როგორც უარყოფითი (უბედურება) - მიზანს (target), ე.ი. იმას, რაც აღიქმება. ცნობიერებაში მათ არსებობას ადასტურებს შემდეგი მეტაფორული გამოთქმები: I am feeling up; that boosted my spirits; my spirit rose; you are in high spirits; I am feeling down; I am depressed; he is really low these days; I fell into depression და სხვა.

საინტერესოა ლაკოფისა და ჯონსონის მიერ გაანალიზებული მეტაფორის სხვა ნიმუშებიც, რომლებსაც ავტორები ურთავენ თავიანთ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე შეიძლება წარმოშობილიყო ეს მეტაფორები. მათი აზრით, ფიზიკური ზომები ხშირად შეესაბამება ფიზიკურ სიდიდერეს. რაც გამარჯვებასთან, ძალაუფლების ქონასა და მწვერვალის დაპყრობასთან ასოცირდება და შემდეგი მეტაფორების საფუძველად გვევლინება: **having control/ force is up; being subject to control /force is down.** მოცემული მეტაფორა თავის ასახვას პოულობს შემდეგ მეტაფორულ გამოთქმებში: I have control **over** you; I am on the **top** of the situation; He is in the **superior** position; He is at the **height** of his power; he is **under** your control; he **fell from** the power და სხვა.

მაღალი სტატუსი თავისთავად დაკავშირებულია სოციალურ აღმავლობასთან - **high status is up/ low status is down.** დავაკვირდეთ, თუ როგორ ვლინდება ეს მეტაფორა შემდეგ მეტაფორულ გამოთქმებში: he has a **loft** position he is at the **peak** of the of his career, he is at the **bottom** of the hierarchy.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ემოცია და აბსტრაქტული მოვლენა აღიქმება სივრცეში ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდებარეობის მეშვეობით.

რეობის საშუალებით. თითოეულ ორიენტაციულ მეტაფორას ახასიათებს შინაგანი სისტემურობა. მეტაფორას განსაზღვრავს არა ცალკეული შემთხვევა, არამედ მთელი სისტემა. სხვადასხვა ორიენტაციულ მეტაფორას შორის არსებობს სრული სისტემურობა, რაც განაპირობებს მათ შორის კავშირს. მაგალითად, Good is up განაპირობებს იმას, რომ კეთილდღეობის გამომხატველი ცნებები ზოგადად ზემოთაა ორიენტირებული და დაკავშირებულია ორიენტაციულ მეტაფორასთან: Happy is up; Health is up; alive is up; Status is up; Control is up.

როგორც ადამიანთა სივრცითი ორიენტაციის შესაბამისად იქმნება ორიენტაციული მეტაფორები, ისე იქმნება აბსტრაქტული მოვლენების კონკრეტიზაციის საფუძველზე მეტაფორები, რომელთაც ლეიკოფმა და ჯონსონმა **ონტოლოგიური** უწოდეს. აბსტრაქტული მოვლენები, ქმედებები ემოციები, იდეები აღიქმება როგორც კონკრეტული სუბსტანციები, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაჯგუფოთ ისინი, დავითვალოთ, მოვახდინოთ მათი სეგმენტაცია. ავიღოთ, მაგალითად, მოვლენა - ინფლაცია. ონტოლოგიური მეტაფორას ნიმუშია - **inflation is an entity**. განვიხილოთ ის მაგალითებში: infaltion is **lowering** our standards of living; if there is much **more** inflation we will never survive; we need to **combat** inflation; inflation is **backing** us into a corner. და ა.შ.

მოყვანილ მაგალითებში ინფლაციის, როგორც კონკრეტული არსის, განხილვა საშუალებას გვაძლევს, დავითვალოთ იგი, განვსაზღვროთ მისი რომელიმე ასპექტი, აღვიქვათ როგორც მიზეზი, ვიმოქმედოთ მის მიმართ გარკვეული პოზიციით და ა.შ. მსგავსი ონტოლოგიური მეტაფორები საჭიროა, რათა შესაძლებლობა მოგვცეს, რაციონალურად მოვეკიდოთ ჩვენს გამოცდილებას. არსებობს სხვადასხვა სახის ონტოლოგიური მეტაფორა (აქვე მოვიყვანთ სხვადასხვა მიზნის ჩამონათვალს, რომლებსაც ემსახურება ონტოლოგიური მეტაფორები.)

1. აბსტრაქტული მოვლენის დათვლა: It takes **a lot of** patience to finish this book; there is **much** hatred in the world. 2. აბსტრაქტული მოვლენის რაღაც ნაწილის (ან ასპექტის) გამოყოფა: the **ugly side** of his personality comes out under pressure; I can't keep up with **the pace** of modern life; The **brutality** of war dehumanizes us all და სხვა. აბსტრაქტული მოვლენების კონკრეტიზაციის მაგალითებია ასევე ის შემთხვევები, სადაც ისინი გვხვდება კომბინაციაში ზმნებთან, რომლებიც კონკრეტულ საგნებთან მიმართებაში გამოიყენება - შეძენა, პოვნა, დანახვა, გამოჩენა შეიძლება იმის, რაც ბუნებაში კონკრეტული სუბსტანციის ფორმით არსებობს: He went to new York to **seek** fame and fortune; I am **changing** my way of life so that I can find true happiness.

სტრუქტურულ მეტაფორაში ერთი ცნება გამოხატულია სხვა ცნებისთვის დამახასიათებელი ტერმინებით. სისტემურობა, რომლის საშუალებითაც შეგვიძ-

ლია, გავიაზროთ ერთი ცნების ზოგიერთი ასპექტი, გარკვეული აუცილებლობით ჩრდილავს მოცემული ცნების სხვა ასპექტებს, მიგვაპყრობინებს ყურადღებას ცნების ერთ მხარეზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ლაკოფი და ჯონსონის მიერ მათ ნაშრომში გაანალიზებული სტრუქტურული მეტაფორის მაგალითი – “Argument is war” (“კამათი ომია”). ეს მეტაფორა ენაში არ არის მატერიალიზებული ასეთი გამოთქმის სახით, მაგრამ ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კამათი ინგლისურენოვანი კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში აღიქმება, როგორც ომი, სადაც მოპაექრეები ერთმანეთს მოწინააღმდეგეებად განიხილავენ, რადგანაც კამათის დახასიათება საბრძოლო ტერმინების მოშველიებით ხორციელდება: მოპაექრეები იმარჯვებენ ან მარცხდებიან კამათში, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთის პოზიციას ან იცავენ საკუთარს. კამათი სიტყვებით ომია, რომელიც გარკვეული სტრატეგიით ხორციელდება. იგი მიეკუთვნება იმ კოგნიტურ მეტაფორათა რიცხვს, რომელიც ინგლისურენოვანი კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში და ეთნოფსიქიკაშია დაფიქსირებული, რასაც ადასტურებს ინგლისურ ენაში არსებული მეტაფორული გამოთქმები: I demolished his arguments;

He *shot down* all my arguments; He *attacked* every weak point in my argument; Your claims are *indefensible*; His criticisms were right *on target*; I have never *won* an argument with him.

ლაკოფისა და ჯონსონის თვალსაზრისით, კამათი უფრო რთული და გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე ფიზიკური კონფლიქტი – ომი. სწორედ ამ უფრო მარტივი, თვალსაჩინო მოვლენის საშუალებით აღიქმება უფრო რთული, უფრო გვიანდელი მოვლენას – კამათი. ამრიგად, კოგნიტურ (კონცეპტუალურ) მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა. ამას განაპირობებს საერთო ნიშნების ობიექტურობა ანუ ის, რომ ეს ნიშნები ყველასთვის გასაგებია, რაც აუცილებელი პირობაა კოგნიტური მეტაფორის განხორციელებისთვის.

ადამიანები გარემომცველ სინამდვილეს მეტაფორულად აღიქვამენ. მათი ცნებითი სისტემა მეტაფორულია თავისი არსით. სწორედ ეროვნულ აღქმაში არსებობს კოგნიტური მეტაფორა, რომელიც არ მოიპოვება მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ მის რეალობას ადასტურებს თავად ენაში არსებული მეტაფორული გამოთქმები. ნებისმიერი მოვლენა, გარკვეულწილად, შეიცავს წინაპირობას მეტაფორისთვის. შესაბამისად, ყველა ცნება, რომელიც ამ მოვლენის საფუძველს წარმოადგენს, და სიტყვა, რომელიც ცნებას აღნიშნავს, შეიცავს მეტაფორის წინაპირობას. მეტაფორის წარმოშობის საფუძველი უნდა ვეძებოთ მოვლენის არსში. საილუსტრაციოდ ავიღოთ მეტაფორა “Reasoning is travelling” („მსჯელობა მოგზაურობაა“). მსჯელობის პროცესი ერთგვარი ვირტუალური მოგზაურობაა, სადაც ხდება ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლა. შესაძლებელია, მსჯელო-

ბისას თემიდან გადავუხვიოთ, მაგრამ ბოლოს მაინც მივდივართ გარკვეულ დასკვნამდე. კავშირი ამ ორ მოვლენას შორის სრულიად რეალურია და ემყარება მასობრივად, საყოველთაოდ აღქმად ობიექტურ საერთო ნიშნებს. ეს მოვლენები უკვე ქმნიან წინაპირობას მეტაფორის განსახორციელებლად. მსჯელობა (reasoning) აღიქმება მეორე მოვლენის – მოგზაურობის (travelling) საშუალებით. მისი ვარიაციული ნიმუშებია ენაში: *We started out* from these premises; *We came to* these conclusions. წყაროში იგულისხმება მოგზაური, რომელიც იწყებს მოძრაობას ერთი ადგილიდან და მიდის გარკვეულ პუნქტამდე, მიზანში კი – მსჯელობა. მოგზაურობა შეესაბამება მოაზროვნეს, საწყისი ადგილი – წინაპირობას, დანიშნულების ადგილი – დასკვნას, ხოლო მგზავრის მოძრაობა – განსჯის პროცესს.

მეტაფორა სინტაქსში.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, გოლდბერგის მიერ ჩატარებული გარდამავალი კონსტრუქციების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ წინადადებებში ქვემდებარის ფუნქციას მოქმედების განმახორციელებელი, აგენსი ასრულებს, რადგან თავად კონსტრუქციის მნიშვნელობა ასოცირდება აგენსის მიზანმიმართულ მოქმედებასთან. თუკი არ არის აგენსი, რომელსაც აქვს ამ მიზნის განხორციელების უნარი, მაშინ ვერ განხორციელდება თავად მოქმედებაც. თუმცა ენაში არსებობს ამ საერთო წესის გამონაკლისი შემთხვევებიც. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები: “the *rain gave* us some time”; “the missed *ball handed him* the victory”. როგორც ვხედავთ, მოცემულ მაგალითებში კონსტრუქციის *ქვემდებარე* (the rain/the missed ball) არ არის მიზანმიმართული მოქმედების განმახორციელებელი სუბიექტები. გოლდბერგის აზრით, მსგავსი მაგალითები გარდამავალი კონსტრუქციების გაფართოების ანუ მეტაფორიზაციის შედეგს წარმოადგენენ უფრო ზუსტად კი მეტაფორის- „causal events are phisical transfers“ (მოქმედების გამომწვევი მოვლენები ფიზიკური გარდამავლობა) ამ მეტაფორის არსებობის მტკიცებულება ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებში: „Footballer *put a lot swerve* on the ball“; „she *gave* me a *headache*.“ მოცემულ მაგალითებში მოქმედების გამომწვევი მოვლენებია: გამოიწვიო ბურთის გადადგილების მიმართულების უცარი ცვლილება, ან ვინმეს თავის ტკივილი, კონცეპტუალიზებულია, როგორც კონკრეტული (და არა აბსტრაქტული) ობიექტის მოქმედების უნარი (გამოიწვიოს ბურთის გადაადგილება ან თავის ტკივილი), რაც გასაგებს ხდის მოცემულ წინადადებას. გოლდბერგის აზრით, სწორედ ზემოთ აღნიშნული მეტაფორის წყალობით გარდამავალ კონსტრუქციებში, რომელსაც ზოგადად სჭირდებათ მოქმედების განხორციელების უნარის მქონე სუბიექტი-აგენსი, სუბიექტის ფუნქციას ასრულებს აღნიშნული თვისების არმქონე სუბიექტები ზემოთ მოყვანილ მაგალითებში – ბურთი და წვიმა.

პირველი პრინციპის ანალიზის შემდეგ, შეგვიძლია გადავიდეთ კოგნიტური ლინგვისტიკის მეორე, ფუნდამენტური პრინციპის განხილვაზე, რომელიც **შემეცნების თავისებურების გათვალისწინების სახელითაა ცნობილი**.

2. შემეცნების თავისებურების გათვალისწინების პრინციპი.

კოგნიტური ლინგვისტიკის მეორე პრინციპი ეფუძნება კოგნიტივისტების შეხედულებას იმის შესახებ, რომ ენის სტრუქტურის ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, ხელოვნური ინტელექტის თეორიასა და სხვა ნეირომეცნიერებების ფარგლებში დაგროვილი და ასახული ცოდნა ადამიანის ზოგადი შემეცნებითი უნარების შესახებ, რადგან მათი აზრით, ენაში, მის სტრუქტურულ აგებულებაში, აისახება არა მხოლოდ სპეციფიკურად ენისთვის დამახასიათებელი, არამედ ადამიანის შემეცნების ზოგადი პრინციპებიც. შესაბამისად, კოგნიტივისტები უარყოფენ გონების მოდულარულ თეორიას, რომელიც ემყარება მოსაზრებას, რომ ადამიანის გონება ცოდნის ცალკეული მოდულებისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთს, ენა წარმოადგენს, რომელიც გადაამუშავებს პირველად, სენსორული გზით მიღებულ ინფორმაციას იმგვარად, რომ შემდგომ შესაძლებელი გახდეს ცენტრალური შემეცნებითი სისტემის მიერ (რომელიც დედუქციას, აზროვნებას, ლოგიკურ მსჯელობას, მახსოვრობას მოიცავს) მისი დამუშავება. აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ კოგნიტივისტები ამტკიცებენ, რომ ენის სტრუქტურა არამც თუ განსხვავდება შემეცნების სხვა ასპექტებისგან, არამედ უშუალო კავშირშია და აირეკლავს შემეცნების ზოგად ფუნქციებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით კოგნიტიური ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების ინტერდისციპლინური სფეროს ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა *პროტოტიპების, კატეგორიებისა და პროტოტიპული ეფექტების, კატეგორიის საზღვრების არასიმკვეთრის, აზროვნების მეტაფორულობის, განსხვავებული შემეცნებისა და გამოცდილებითი რეალიზმის* ცნებები.

თავის მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი ადამიანის შინაგანი სამყარო და რა კანონების მიხედვით ფუნქციონირებს იგი, ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე გამოთქვამდნენ. კოგნიტივისტები, რომლებიც შეისწავლიან ენისა და აზროვნების კავშირსა და ურთიერთქმედებას, ამ თემას გვერდს ვერ აუვლიდნენ. თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტები თვლიან, რომ შემეცნების პროცესები წინასწარ განისაზღვრება ადამიანის გამოცდილებით, კერძოდ, პერცეპტული, მოტორული, ემოციური და სოციალური გამოცდილებით. სამყაროს კონცეპტუალიზაციის ამ იდეას **განსხვავებული (სხეულისმიერი) შემეცნება** (embodied cognition) ეწოდა.

განსხვავებული შემეცნების თეორიის მიხედვით, ენობრივი ერთეულები თავისთავად არ ფლობენ მნიშვნელობას, ისინი მხოლოდ გვეხმარებიან რეალური

სამყაროს მენტალური მოდელის აგებაში. როცა ადამიანი პირველად შეიმეცნებს რაიმე მოვლენას, მაგალითად, *მანქანას*, ის იმახსოვრებს თავის ფიზიკურ შეგრძნებებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ მოვლენასთან. ადამიანი ხედავს მანქანის ფორმას, ესმის ძრავის ხმა, გრძნობს საწვავის სუნს, ეხება მის ზედაპირს. ყველა ეს შეგრძნება (ვიზუალური, აუდიალური, სომატო-სენსორული, მოტორული), რომლებიც დაკავშირებულია თავის ტვინის ქერქის კონკრეტულ უბნებთან (კერძოდ, ტვინის ლიმბური ნაწილთან) აყალიბებს გონებაში ცნებას „მანქანა“. ლექსემის - „მანქანა“ - აღქმისა და რეპრეზენტაციის დროს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უბანი აქტიურდება და ქმნის *მულტიმოდალურ მენტალურ მოდელს*.

ამრიგად, გარშემო ობიექტებზე და მოვლენებზე ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს მენტალური მოდელის შესაქმნელად წარმოადგენ გრძნობათა ორგანოები, ამიტომ კავშირი მენტალურ კონცეპტებსა და მხედველობას, ყურთასმენას, შეხებას, ყნოსვას და გემოს შორის წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს კოგნიტური ლინგვისტიკისთვის.

განსაკუთრებულ ფილოსოფიურ შეხედულებას, რომელიც თავსებადია „*განსხეულებული შექმნებასა*“ და კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად დებულებებთან, ლაკოფისა და ჯონსონის მიერ „*გამოცდილებითი რეალიზმი*“ ეწოდა. ამ შეხედულების მიხედვით, ცოდნა, ობიექტური რეალობის შესახებ ენაში ასახულია არა პირდაპირ (ობიექტივისტური კონცეფციებისგან განსხვავებით), არამედ სხეულისა და შეგრძნებათა აღქმის შედეგად მიღებული გამოცდილების საშუალებით.

სამყაროს შესახებ ცოდნა, გარკვეული შეზღუდვებით ხასიათდება, რომელიც თავის მხრივ ენის გამოხატულების პლანსაც განსაზღვრავს.

ადამიანის ფიზიკური და ნეიროანატომიური აგებულება, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობისა გარკვეულწილად, ლიმიტირებულია. მაგალითად ჩვენი მხედველობითი სისტემა, თევზებისგან განსხვავებით, ვერ არჩევს ფერებს ინფრაწითელ სპექტრში, ფრინველებისგან განსხვავებით გრავიტაციის ძალის გამო არ შეგვიძლია ფრენა და მრავალი სხვა. ცნებები, რომლებითაც ვსარგებლობთ ფიქრის ან საუბრის დროს, განპირობებულია ჩვენი სხეულის შესაძლებლობების (ჩვენ შეგვიძლია, ვისაუბროთ იმაზე, რისი აღქმა და შემეცნება შეგვიძლია) ასეთი სახით, ადამიანის ფიზიკური გამოცდილება აღიბეჭდება ადამიანის გონზეც.

მარკ ჯონსონი თავის წიგნში „სხეული გონში“ აღნიშნავს, რომ შემეცნების პროცესზე ფიზიკური (სხეულისმიერი) გამოცდილების ზეგავლენის ერთ-ერთ დადასტურებას, ე.წ. *ხატოვანი სქემები* წარმოადგენს. ტერმინი „ხატოვანი“ ნასესხებია ფსიქოლოგიდან, სადაც ხატოვანი გამოცდილება (imagistic) განეკუთვნება

გარემო სამყაროსთან ურთიერთქმედების გამოცდილებას (ხატოვანი გამოცდილება, ასევე სენსორული გამოცდილების სახელითაცაა ცნობილი). სიტყვა „ხატოვანის“ ყოველდღიური გამოყენებისგან განსხვავებით, სადაც იგი ხშირად აღნიშნავს გამოცდილების მხოლოდ ვიზუალურ კომპონენტს (ადამიანი როდესაც რაღაცას წარმოიდგენს, როგორც წესი, ხატავს „მენტალურ სურათს“) ფსიქოლოგიაში მოიცავს სენსორული გამოცდილების ყველა ტიპს. ხატოვანი გამოცდილება უპირისპირდება ე.წ. „ინტროსპექციულ“ გამოცდილებას - შინაგან სუბიექტურ გამოცდილებას, გრძნობასა და ემოციას. მ.ჯონსონის მიერ ტერმინის „სქემა“ არჩევანი შემთხვევითი არ არის. ჯონსონი ხაზს უსვამს, რომ ხატოვანი სქემები არ წარმოადგენს მრავლობითი დეტალის მქონე კონცეპტებს, არამედ ისეთ აბსტრაქტული ტიპის კონცეპტებს, რომლებიც შედგება მყარი მოდელისგან (განმეორებადი შაბლონებისგან) და წარმოიქმნება ხშირად განმეორებადი სხეულისმიერი გამოცდილების შედეგად. (რაც ხატოვანი სქემების სახელწოდებებში აისახება, მაგალითად, სქემები „კონტეინერი“, „წინააღმდეგობის გადალახვა“, „ციკლი“ უფრო სქემატურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ცალკეული ცნებები *ფანქარი*, *ფანჯარა* და *ადამიანი*).

ხატოვანი სქემების განვრცობა უფრო აბსტრაქტული ცნებითი სფეროების ჩართვით ხორციელდება. ამ პროცესს *კონცეპტუალური პროექცია* ეწოდება. კონცეპტუალური მეტაფორა, კონცეპტუალური პროექციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. აღნიშნული ნათელს ხდის, თუ რატომ ვსაუბრობთ გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაზე, (აბსტრაქციაზე) როგორც ფიზიკურ მოვლენაზე. ხატოვანი სქემების კონცეპტუალური პროექცია საფუძვლად უდევს ბევრ, ხშირად გამოყენებად ინგლისურ მეტაფორას მაგალითად: „he **fell into** a deep sleep“, „he **came out** ordeal a different man“, „the government **is in** crisis“.

პროექციის მექანიზმის გასაანალიზებლად განვიხილოთ მეტაფორული გამოხატვაში: „the government **is in** crisis“. აბსტრაქტული წინდებულის „in“ არასივრცობრივი მნიშვნელობით გამოყენებას, ხატოვანი სქემა „კონტეინერი“ (გავრცობის ანუ მეტაფორიზაციის შედეგად) აბსტრაქტულ ცნება „კრიზისში“ გადაკყავს. კონტეინერის სქემა, თავისი სივრცობრივ-გეომეტრიული კონფიგურაციიდან გამომდინარე, შინაარსობრივია. იგი მიუთითებს, რომ სხეული, რომელიც მოქცეულია მასში, შეზღუდულია - მას არ აქვს თავისუფალი გადაადგილებისა და მოქმედების უნარი (მაგალითად, როცა ვამბობთ: „ყავა ჭიქაშია“ ვგულისხმობთ, რომ ყავა შეზღუდულია ჭიქით -თუ გავაქანებთ ჭიქას, მასთან ერთად იმოდრავებს ყავაც). კონტეინერის თვისება, შეზღუდოს მეორე ობიექტის მოძრაობა, თავის მხრივ იწვევს ცნება „კონტეინერის“ ტრანსფორმაციას „ძალაუფლების“ ცნებაში იმდენად, რამდენადაც კონტეინერი, რომელიც ერთგვარი მოქმედების შემზღუ-

დავია, განსაზღვრავს მეორე ობიექტის თავისუფალ გადაადგილებას. შესაბამისად, მეტაფორულ გამოთქმაში „„the government is in crisis“ კრიზისი აღიქმება როგორც კონტინენტი, რომელიც ძალაუფლების მქონეა და ზღუდავს მასში მყოფი ობიექტის მოქმედებებს.


მსგავსი მეტაფორული გამოთქმები დასტურდება ქართულ ენაშიც: „კრიზის თავს ვერ აღწევს“ „კრიზისი უნდა დავძლიოთ“ „კრიზისიდან გამოვიდა“, რაც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გარკვეულწილად, ადასტურებს ზოგიერთი ხატოვანი სქემის უნივერსალურობას.

მაშასადამე, როგორც წინამდებარე მსჯელობა გვიჩვენებს, მეტაფორული გამოხატულებები, სამყაროს ფიზიკური სხეულისმიერი შემეცნების ენობრივი ანარეკლებია, რაც ნათლად ადასტურებს შემეცნებისა და ენის უშუალო კავშირს და კოგნიტივისტების აზრით, აუცილებელს ხდის ენის სტრუქტურის ანალიზისას გათვალისწინებულ იქნას ადამიანის შემეცნების ზოგადი ასპექტები.

ყველაზე ზოგადი კოგნიტური უნარი, რომელიც ადამიანს გააჩნია, არის ყურადღება და მისი ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანის უნარი. მაგალითად, ტენისის მატჩის ყურების დროს ადამიანს აქვს უნარი, ყურადღება გადაიტანოს მოთამაშეებიდან მსაჯზე, ან უშუალოდ ბურთის მოძრაობის ტრაექტორიაზე. ამის მსგავსად, ადამიანურ ენას აქვს უნარი, მიმართოს ყურადღება მოქმედების გარკვეულ ასპექტზე. ეს გადატანა ლინგვისტურადაა კოდირებული და მას კოგნიტიურ ლინგვისტიკაში „**პროფილირება**“ (profiling) ეწოდება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელშიც ვლინდება პროფილირება, გახლავთ გრამატიკული კონსტრუქციები, რომელიც ერთი და იგივე სცენარის სხვადასხვა პროფილირების საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, წარმოვიდგინოთ სცენა - ბიჭი ფეხს კრავს ლარნაკს და ამსხვრევს მას -პროფილირებას შეიძლება დაექვემდებაროს მოცემული სცენის სხვადასხვა ასპექტი: 1. The boy kicks over the vase; 2. The vase is kicked over; 3. the vase smashes into bits; 4. The vase is in bits. მოცემული პროფილირებული სცენის ასპექტები შეიძლება დიაგრამის სახით შემდეგნაირად გამოისახოს: (იხილეთ დიაგრამა 7.).

დიაგრამა 7.



სურათი 7.ა შეესაბამება პირველ წინადადებას, რომელიც მოქმედებით გვარშია აგებული. მოცემულ წინადადებაში ურთიერთობა მყარდება მოქმედების ინიციატორს (ბიჭი)- აგენსსა და ობიექტს (ლარნაკი) - პაციენსს შორის, რომელიც ამ მოქმედების ქვეშ ექცევა. სურათი ა-ში როგორც აგენსი, ასევე პაციენსი წარმოდგენილია გამუქებული წრეების სახით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორივე მოქმედიც, და მოქმედების ობიექტიც პროფილირებულია, ხოლო მათ შორის ისარი მოუთითებს ენერჯის გადასვლაზე და შესაბამისად, აგენსის პაციენსზე ზემოქმედებაზე. როგორც ვხედავთ, მოცემულ წინადადებაში მთელი მოქმედების ჯაჭვი პროფილირებულია, რაც თავისთავად მოქმედებითი გვარის კონსტრუქციის და-ნიშნულებას წარმოადგენს.

განვიხილოთ **სურათი 7.ბ**, რომელიც მე-2 წინადადებას შეესაბამება. მოცემული წინადადება პასიურ კონსტრუქციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში პროფილირებულია მხოლოდ ენერჯის გადაცემა და პაციენსი. მიუხედავად იმისა, რომ აგენსი წინადადებაში არ არის ნახსენები და შესაბამისად არც პროფილირებულია, ის აღქმულია, როგორც ფონის ნაწილი, რადგან, ზოგადად, ყოველი ქმედება ვინმეს ან რამის მიერაა ინიცირებული. ამ ფაქტის გამოსახატავად აგენსი შედარებით ღია ფერის წრის სახითაა მოცემული დიაგრამაში, რაც ნიშნავს იმას, რომ აგენსი კონტექსტურად გაგებული, მაგრამ არაპროფილირებულია.

სურათი 7.გ შეესაბამება მესამე წინადადებას, რომელიც ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება კონსტრუქციითაა გადმოცემული. ამ წინადადებაში პროფილი ინაცვლებს ლარნაკზე, კერძოდ კი, მის მდგომარეობაზე - იგი ნამსხვრევებადაა ქცეული. წრის შიგნით მოცემული ისარი (თავად ლარნაკი გადმოცემულია წრის სახით) მიუთითებს, რომ ლარნაკი განიცდის მდგომარეობის შინაგან ცვლილებას, ხოლო მდგომარეობა, რომლისკენაც იგი მიიწევს, მოცემულია კვადრატის სახით,

რომლის ცენტრში განთავსებული ასო-ბგერა "b" შეესაბამება მდგომარეობის გამომხატველ გამონათქვამს "in bits"-ს. მოცემული წინადადების შესაბამის **დიაგრამა გ**-ში თავად ობიექტი, მდგომარეობის ცვლილება და საბოლოო მდგომარეობა მოცემულია მუქი ფერით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ წინადადებაში მოქმედების ჯაჭვის სამივე ასპექტი პროფილირებულია.

დაბოლოს, განვიხილოთ მეოთხე წინადადება, რომელიც გადმოცემულია ქვემდებარე-შემასმენელი-მაკავშირებელი ზმნა-დამატება კონსტრუქციით და ასახავს მოქმედების ჯაჭვის კონკრეტული ასპექტის - მდგომარეობის პროფილირებას (სურათი 7.დ)


საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პროფილირება შეინიშნება არამართო გარდამავალ კონსტრუქციებში, რომლებიც დინამიკურ ზმნებს შეიცავენ, არამედ ისეთ წინადადებებშიც, რომელში შემავალი ზმნა სტატიკურია.

ამის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ორი მაგალითი: John, not Steve **owns** the shop on Trafalgar street (მოქმედებითი გვარი) The shop on Trafalgar Street **is owned** by John not Steve (ვნებითი გვარი). ზემოთ განხილული დინამიკური ზმნა "kick"-საგან განსხვავებით, სტატიკური ზმნა "own" არ გამოხატავს ენერჯის გადაცემას და შესაბამისად, არც გარდამავალი ზმნაა, თუმცა, როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ისინიც ექვემდებარებიან პროფილირების პროცესს. როგორც მოყვანილმა მაგალითებმა გვაჩვენე სტატიკური ზმნა "owns" პროფილირებულია, როგორც მოქმედებით, ასევე ვნებითი გვარის კონსტრუქციებში.

როგორ ვხედავთ, ყველა წარმოდგენილი კონსტრუქცია მიმართულია მოქმედების საერთო ჯაჭვის კონკრეტული ასპექტის პროფილირებისკენ. ამ თვალსაზრისით, ლინგვისტური სტრუქტურა აირეკლავს და ასახავს ადამიანის უნარს, მიმდინარე მოქმედებაში გამოკვეთოს და ყურადღება მიაპყროს რაიმე კონკრეტულ ასპექტს.

კოგნიტური ლინგვისტიკის სფეროები (კოგნიტური სემანტიკა და გრამატიკის კოგნიტური მიდგომები)

კოგნიტური ლინგვისტიკის ველი იყოფა ორ დიდ ბლოკად: **კოგნიტური სემანტიკა და გრამატიკის კოგნიტური მიდგომები**. რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გადმოიციეს: (იხილეთ დიაგრამა 8).



როგორც ვნახეთ, კოგნიტური ლინგვისტიკის კონცეფციებთა უმრავლესობა ხაზს უსვამს *მნიშვნელობის* და არა *ფორმის* უპირატესობას, ამიტომ კოგნიტიურ გრამატიკის ფარგლებშიც კი რ.ლანგაკერი, პირველ რიგში, აღწერს ენის *სემანტიკურ* კომპონენტს.

კოგნიტიური სემანტიკის კონცეფციები შეისწავლის ურთიერთმიმართებას, გამოცდილებას ცნებით სისტემასა და ბუნებრივი ენის მიერ კოდირებულ სემანტიკურ სტრუქტურას შორის. მოცემული ურთიერთობები შეისწავლება შემდეგი ცნებების გამოყენებით: *ენობრივი კატეგორიზაცია, იდეალიზებული კოგნიტური მოდელები - ფრეიმები და დომენები, კონცეპტუალური მეტაფორა, წარმოსახვითი სქემები, მენტალური სივრცეები და კონცეპტუალური ინტეგრაცია.*

კოგნიტური გრამატიკის ფარგლებში მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ ან ძირითად პრინციპებზე, რომლებიც განაპირობებენ ლინგვისტური სტიმულების გრამატიკულ ორგანიზაციას, ან კონკრეტული ენის გრამატიკული საშუალებების ინვენტარზე, რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია კონსტრუქციის გრამატიკის სახით.

კოგნიტურ გრამატიკაში არ არის აღიარებული ისეთი აღწერითი ხერხების გამოყენება, რომლებსაც ფონეტიკურ და სემანტიკურ რეალობაში საფუძველი არ მოეძებნება (ასეთია ნაირგვარი დიაკრიტიკული ნიშნები და მეტასიმბოლოები, რომლებიც მოკლებულია სემანტიკურ და ფონოლოგიურ შინაარსს).

ამრიგად, კოგნიტური ლინგვისტიკა აღიარებს შემეცნებისა და ენაში სქემატიზაციის მნიშვნელოვან როლს. ხოლო ხატოვნების პრინციპი მასში მიჩნეულია ენობრივი ფორმისა და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების მამოძრავებელ ძალად.

იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რა წინაპირობებმა განაპირობა კოგნიტური ლინგვისტიკის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება?
2. რატომ ვამბობთ, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში წარმოებულ ენის ანალიზი ანალიზის ინტეგრირებულ მოდელს წარმოადგენს?
3. რა არის კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი?
4. რა კავშირია ენასა და შემეცნებას შორის? განმარტეთ, რაში მდგომარეობს ენის ეპისტემური, კოგნიტური და საკომუნიკაციო ფუნქციები;
5. რა არსებითი განსხვავებაა კოგნიტურ ლინგვისტიკასა და გენერაციულ გრამატიკას შორის?
6. რაში მდგომარეობს ენის ჯვარედინი მტკიცებულების პრინციპი? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითი.
7. კატეგორიზაციის კლასიკური თეორიის რა ნაკლოვანებები ითვლება პროტოტიპული თეორიის ჩამოყალიბების მიზეზად? რას ნიშნავს კოგნიტური ეკონომიისა და აღქმული სამყაროს სტრუქტურირების პრინციპები?
8. რა პრინციპს ეფუძნება კატეგორიზაცია? განსაზღვრეთ პროტოტიპის რაობა.
9. რას ნიშნავს „ოჯახური“ მსგავსება? რატომ ვამბობთ, რომ კატეგორიებს არამკვეთრი საზღვრები აქვთ? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
10. რას ეფუძნება განზოგადების პრინციპი? როგორ ვლინდება იგი ენის ფონოლოგიურ, სემანტიკურ, და მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე?
11. როგორ განმარტება პოლისემიის ფენომენი კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში? როგორ ვლინდება პოლისემია ენის ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე?
12. რას ნიშნავს მეტაფორული აზროვნება? იმსჯელეთ მეტაფორულ ნიშანსა და ზოგადად ენობრივი ნიშანს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებაზე.
13. განმარტეთ კოგნიტური მეტაფორისა და მისი ტიპების: ორიენტაციული, ონტოლოგიური, და სტრუქტურული მეტაფორების რაობა, მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
14. როგორ ვლინდება მეტაფორა სინტაქსში?
14. რა არის განსხეულებული შემეცნება?
15. იმსჯელეთ შემდეგი ცნებების რაობაზე: ხატოვანი სქემები, კონცეპტუალური პროექცია, პროფილირება. მსჯელობის დროს მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.

სოციოლინგვისტიკა

ენის გამოყენება მუდამ ემყარება გარკვეულ წანამდღვრებს. ენა შვილებს გადაეცემათ მშობლებიდან, გარშემომყოფთაგან, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ, სოციალურ და გეოგრაფიულ სიტუაციაში ანუ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ ყოველი მომდევნო თაობა დედაენას შეისწავლის უკვე შეცვლილ, მოდიფიცირებულ პირობებში. გარდა ამისა, ენის გამოყენების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არალინგვისტური მახასიათებლები - გარკვეული სოციალური ფენისადმი მიკუთვნებულობა, სქესი, ასაკი და ა.შ.

ენათმეცნიერების შედარებით ახალ დარგს, რომლის კვლევის ობიექტში ექცევა ენის სოციალური ასპექტების კვლევა, *სოციოლინგვისტიკა* ეწოდება. თანამედროვე სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ დამაარსებლის, უილიამ ლაბოვის განმარტებით, *„სოციოლინგვისტიკა წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ენას მის სოციალურ კონტექსტში“*. ამ განმარტების მიხედვით სოციოლინგვისტიკა სწავლობს არა საკუთრივ ენის შინაგან აგებულებას, არამედ იმას, თუ როგორ გამოიყენება ენა მასზე მოსაუბრეთა მიერ. მაშასადამე, სოციოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ენის გამოყენების სოციოლოგიურ ასპექტებს იკვლევს. სოციოლინგვისტიკა ემყარება შეხედულებას, რომ ენა სოციალური ფენომენია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის კომუნიკაციის საშუალებაა და ენის გარეშე სოციალური ქმედება წარმოუდგენელია, არამედ იმიტომაც, რომ ენა სოციალურად დიფერენცირებულია, დანაწევრებულია, რადგან ნებისმიერ სოციალურ ჯგუფს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკური მარაგი და მეტყველების წესები თუ ნორმები გააჩნია. სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის, სოციალური წრის ადამიანები სხვადასხვანაირად მეტყველებენ. ეს თავისებურებები ერთი მხრივ არის სხვადასხვა სახის სოციალური გამოცდილების შედეგი, მეორე მხრივ კი განაპირობებს ინდივიდის რომელიმე სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას (თვითშეცნობას, გაიგივებას) ან პირიქით - დისტანცირებას.

ინდივიდის ინტეგრაცია, მისი ჩართულობის ხარისხი ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ხშირად დამოკიდებულია იმაზე, მეტყველებს თუ არა ის შესაბამისი ჯგუფის წევრების მსგავსად ანუ მეტყველებს თუ არა ის იმგვარად, როგორც მისი სოციალური ფენის წარმომადგენლები მეტყველებენ.

ცვლილებები ცალკეული ინდივიდის მეტყველებაში ხშირად ასევე სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული. ინდივიდის მეტყველება სოციალურად მარკირებულია. მაგალითად მეგობრებთან და თანატოლებთან საუბრისას ადამიანი ირჩევს განსხვავებულ სამეტყველო ფორმებს, ვიდრე იერარქიულად ან ასაკობრივად მაღლა მდგომ ადამიანთან.

ამრიგად, თუ სოციოლინგვისტიკის განმარტებას კიდევ უფრო დავაზუსტებთ, *სოციოლინგვისტიკა იკვლევს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ მეტყველებას - სოციოლექტებს/ვარიანტებს, ენისა და სოციალური რეალობის ურთიერთმიმართებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციოლინგვისტიკა იკვლევს, თუ რამდენად ეხმარება ინდივიდს ენა სოციალურ ინტეგრაციაში და რამდენად განაპირობებს ენა სოციალურ იდენტიფიკაციას, თვითშეგნებას* (მისი სამეტყველო ქცევის დამოკიდებულებას სოციალურ ფაქტორებზე - (მაგალითად, ოფიციალურ ან არაოფიციალურ გარემოზე).

სოციოლინგვისტიკის ინტერესთა სფეროში ექცევა ენის, არამხოლოდ სოციალური არამედ კულტურული ფენომენის ანალიზიც. მართალია, ენა სოციოლინგვისტიკის საკვანძო საკვლევო ობიექტი გახლავთ, მაგრამ ენის შინაგანი აგებულება მიიჩნევა წინასწარ მოცემულობად და სოციოლინგვისტური კვლევის ფარგლებში სპეციალურ ანალიზს არ ექვემდებარება იმ შემთხვევათა გარდა, როცა სოციალური ასპექტი ენის ფუნდამენტურ სტრუქტურაში აღწევს და გავლენას ახდენს მასზე.

ამდენად, მისი კვლევის ფარგლებში ენა განიხილება არა როგორც აბსტრაქტული, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული სისტემა, არამედ ადამიანთან მჭიდრო კავშირში მყოფი ფენომენი, რომლის მრავალფეროვანი განსხვავლება მეტყველებაში განპირობებულია რეალური კონტექსტითა და კულტურით. ასეთი სახით, სოციოლინგვისტიკურ კვლევებში ვლინდება მჭიდრო კავშირი ენათმეცნიერებასა და სოციალურ მეცნიერებებს - ანთროპოლოგიას, სოციალურ ფსიქოლოგია-ეთნოგრაფიასა და განსაკუთრებით, სოციოლოგიას შორის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოციოლინგვისტიკა, როგორც სამეცნიერო დარგი წარმოიქმნა ენათმეცნიერებისა და ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური მეცნიერებების „სასაზღვრო“ კონტაქტის შედეგად.

სოციოლინგვისტიკის კვლევის ძირითადი ობიექტი - ენისა და სოციუმის ურთიერთმიმართება, ცხადია, განსაზღვრავს ლინგვისტიკის ამ დარგის მიმართულებებსაც, რომელიც მოიცავს: *სინქრონულ, დიაქრონულ მიკრო და მაკროსოციოლინგვისტიკას*.

სინქრონული სოციოლინგვისტიკა იკვლევს როგორც დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს ენასა და საზოგადოებას შორის, ასევე ენაში და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. დამოკიდებულებები ასახავს ენასა და საზოგადოებას შორის კავშირების სტატიკას, ხოლო პროცესები -ამ კავშირების დინამიკას. ენის ყველა მეტყველს გარკვეული სოციალური მახასიათებლები აქვს (განათლების დონე, პროფესია, ღირებულებათა სისტემა და ა.შ.) შეიძლება გამოიყოს ორი სტატუსი: „ენაზე მეტყველი“ და „სოციალური მახასიათებლების მატარებელი“, რო-

მელთა შორის დამოკიდებულება არ არის დაკავშირებული დროში მიმდინარე არანაირ პროცესთან - ეს მხოლოდ მოცემულობებია. მაგრამ თუ გვსურს სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების მატარებლის მიერ ენის გამოყენების შესწავლა, უნდა გავცილდეთ მოცემულობის საზღვრებს და დავაკვირდეთ სამეტყველო კომუნიკაციის პროცესს, ასეთ შემთხვევაში სტატისტიკა დინამიკით იცვლება.

დიაქრონიული სოციოლინგვისტიკა მიზნად ისახავს ენის ისტორიასა და საზოგადოების ისტორიას შორის კავშირების გამჟღავნებას. ამ მიზნით მკვლევრები იკვლევენ, თუ რა სოციალური ცვლილებებია ენის უშუალო ცვლილებების მიზეზი; ენობრივი ცვლილებების გამომწვევ ფაქტორთაგან რომელია უპირატესი; ენობრივი სისტემის რომელი შრეა მგრძობიარე კონკრეტული სოციალური ცვლილებების მიმართ და ა.შ. დიაქრონიული სოციოლინგვისტიკა, ასევე, სწავლობს რომელიმე ქვეყანაში ენობრივი სიტუაციის იმ დროით ცვლილებებს, რომლებიც სოციალური ცვლილებების მიზეზით ხდება. ასე მაგალითად, დიაქრონიული სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროში შედის ენის ან ენათა ჯგუფის ფუნქციონალური ევოლუცია, ეროვნული ენის ლიტერატურული ფორმის კომუნიკაციური ფუნქციის განვითარება და სხვა.

გარდა ამისა, სოციოლინგვისტიკურ კვლევებში იკვეთება ორი მიმართულება: **ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა**, რომელიც სწავლობს მოსაუბრეების სოციალური იდენტობისა და აქტივობის ზეგავლენას ინტერაქციის პროცესზე და **ვარიაციული სოციოლინგვისტიკა**, რომლის სამეცნიერო კვლევის ინტერესს ენობრივი ვარიაციების გამომწვევი სოციალური ფაქტორების კვლევა წარმოადგენს. შედეგად სოციოლინგვისტიკაში არსებობს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული სოციოლინგვისტური კვლევის მიმართულება- მიკროსოციოლინგვისტიკა და მაკროსოციოლინგვისტიკა.

მიკროსოციოლინგვისტიკა, რომელიც ენას სწავლობს საზოგადოებასთან მიმართებაში, დაინტერესებულია ენის გამოყენების თავისებურებების კვლევებით მცირე სოციალურ ერთობლიობებში. შესაბამისად, მიკროსოციოლოგიისტიკის საკვლევ საკითხთა ნუსხაშია შემდეგი საკითხები: როგორი ენა (ენები) გამოიყენება მოცემული მცირე სოციალური ერთობლიობების ფარგლებში და როგორ გამოიყენება ეს ენა მოცემულ მცირე სოციალურ ერთობლიობის წევრთა შორის. მიკროსოციოლინგვისტიკაში ძალიან პოპულარულია ინდივიდუუმების დიადებასა და ტრიადებს შორის მიმდინარე სამეტყველო კომუნიკაციური პროცესების კვლევა. მაგალითად, ექიმისა და პაციენტის, ცოლისა და ქმრის, მოსწავლისა და მასწავლებლის, მოსამართლის, მსაჯულებისა და ადვოკატის კომუნიკაციური პროცესები. ამგვარი მიკროჯგუფების სოციოლინგვისტური განხილვა ამჟღავნებს იმ მექანიზმებს, რომლებიც მართავს სამეტყველო ქცევას კომუნიკანტთა განსხვავებული სოციალური როლების პირობებში.

მაკროსოციოლინგვისტიკა იგივე ენის სოციოლოგიაა, რომელიც სწავლობს საზოგადოებას, ენასთან მიმართებაში. მის სამეცნიერო ინტერესთა სფეროშია კვლევა საკითხებისა: მიმართება ენასა და დიალექტებს შორის, უმცირესობათა ენებში ცვლილებათა ანალიზი, ბილინგვიზმისა და მრავალენოვნების საკითხი, ენის ნორმალიზაცია, ენობრივი პოლიტიკა და დაგეგმარება, ენობრივი კონფლიქტები და მრავალი სხვა.

ენობრივი დაგეგმარებისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხების კვლევა ხდება მაკროსოციოლინგვისტიკის ქვედარგის - **კონტაქტლინგვისტიკის** ფარგლებში. ტერმინი „კონტაქტლინგვისტიკა“ პირველად შემოღებულ იქნა 1979 წელს ენობრივი კონტაქტთა და კონფლიქტთა პირველ მსოფლიო კონგრესზე. იგი ფაქტობრივად, წარმოადგენს **მულტლინგვური** კვლევების ინტერდისციპლინურ დარგს. **კონტაქტლინგვისტიკის** სფეროში შედის სამი ძირითადი ობიექტი: ენა, ენაზე მეტყველი და ენობრივი სფერო. ბუნებრივია, **კონტაქტლინგვისტიკის** სფეროში შედის ენათმეცნიერების დონეები - ფონოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა. მაგრამ ეს დისციპლინა თანაბრად მოიცავს დისკურსის ანალიზს, სტილისტიკასა და პრაგმატიკას. გარდა ამ წმინდა ენათმეცნიერული ობიექტებისა - **კონტაქტლინგვისტიკა** ითვალისწინებს სოციოლინგვისტურ კატეგორიებს: ერი, ენობრივი ერთობა, ენობრივი საზოგადოება, საზღვრები მიგრაცია და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია ენობრივი კონტაქტებისა და კონფლიქტების ტიპოლოგია, მულტილინგვიზმის კონკრეტული სახე და სხვა. **კონტაქტლინგვისტიკაში** ჩვეულებრივ სოციოლინგვისტურ ცვლადებს (ასაკი, სქესი, სოციოეკონომიკური მიკუთვნებულობა და ა.შ.) არსებითად ემატება კიდევ ერთი - **ენობრივი უმცირესობის** ცვლადი.

ბუნებრივია, რომ სოციოლინგვისტიკის დისციპლინათაშორისი სტატუსი ვლინდება მის მიერ გამოყენებულ კვლევის მეთოდოლოგიაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა **სოციოლოგიაში** გამოყენებული კვლევის მეთოდების ინტეგრირება და გამოყენება სოციოლინგვისტიკურ კვლევებში.

ამრიგად, მაკროსოციოლინგვისტიკა შეისწავლის ფართომასშტაბიან პროცესებს და დამოკიდებულებებს, რომელიც არის ენაში და რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა სოციალური ფაქტორით.

სოციოლინგვისტიკის კვლევის მეთოდები.

სოციოლინგვისტიკის საკვლევი პრობლემა ყოველთვის რაიმე განსაკუთრებულ სოციუმთანაა დაკავშირებული ამ სოციუმის წევრებს, ისევე როგორც სოციოლოგიაში, **გენერალური ერთობლიობა** ეწოდება. გენერალური ერთობლიობა სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით არის ყველა იმ ინდივიდთა სიმრავლე,

რომელთა ენობრივი თავისებურებები კონკრეტული სოციოლინგვისტური გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს. მაგალითად, თუ ვსწავლობთ ბილინგვიზმს საქართველოში, მაშინ გენერალური ერთობლიობა ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობაა, მაგრამ თუ გვინტერესებს საქართველოში გამოსული რუსულენოვანი გაზეთის სალიტერატურო ენის სპეციფიკური თვისებები, მაშინ გენერალურ ერთობლიობაში შევლენ მხოლოდ ის პირები, ვისაც საქართველოში ოდესმე რუსულენოვანი სტატია გამოუქვეყნებია.

როდესაც ერთობლიობა ძალიან დიდია ხდება მისი სეგმენტაცია გარკვეული ნიშან-თვისებების საფუძველზე, რასაც *შერჩევითი ერთობლიობა* ეწოდება. ამის მაგალითია *კლასტერული შერჩევა*, რომელიც გულისხმობს ერთობლიობის ტერიტორიულ კლასტერებად დაყოფასა და შესწავლას. ამასთან ერთად გამოიყენება *სტრატეგიცირებული შერჩევის* მეთოდიც. როდესაც მკვლევარს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს გენერალური ერთობლიობის სტრუქტურაზე, მისი დაყოფა შესაძლებელია დონეებად ან, ფენებად. მაგალითად ქართულ ენაზე მოსაუბრეები შესაძლებელია, დავეყოთ: სოფლის ან ქალაქის მაცხოვრებლებად, თავის მხრივ ქალაქის ქართულენოვანი მოსახლეობა შესაძლებელია, დაიყოს მათი საქმიანობის ან სოციალური სტატუსის მიხედვით და ა.შ.

მასალის შეგროვების მეთოდიკის თვალსაზრისით სოციოლინგვისტიკა მსგავსებას ავლენს სოციოლოგიასთან. მსგავსად სოციოლოგიაში გამოყენებული მასალის შეგროვების მეთოდიკებისა, სოციოლინგვისტიკაშიც არსებობს მასალის შეგროვების სამი სახე: **დაკვირვება, გამოკითხვა და დოკუმენტის შესწავლა.**

დაკვირვების მეთოდის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს *ჩართული დაკვირვება*, როდესაც მკვლევარი თვითონ ხდება მოცემული საკვლევი ჯგუფის წევრი. გარდა ამისა, შესაძლოა, *ფარული დაკვირვების* მეთოდის გამოყენებაც, როდესაც მკვლევარი საკვლევი ჯგუფისგან ფარულად აგროვებს საკვლევ მასალას. საკმაოდ ეფექტურია *ნაწილობრივ ფარული დაკვირვების* მეთოდიც, რომლის ფარგლებში მკვლევარი არ უმხელს საკვლევ ობიექტებს- ინფორმანტებს კვლევის ნამდვილ მიზანს. ასეთი მეთოდის დროს ინფორმანტს შეიძლება, ვთხოვოთ რაიმე ისტორიის მოყოლა. მოკლე ხანში ის ივიწყებს დიქტოფონის არსებობას, ხოლო მისი მეტყველება ავთენტური და კვლევისთვის პროდუქტული ხდება.

გამოკითხვის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს სოციოლოგიაში აპრობირებული *ზეპირი ინტერვიუს* მეთოდი. რომელიც შეიძლება იყოს ფორმალური (როდესაც ინტერვიუ მკაცრად დაწესებული სცენარის მიხედვით იმართება) და არაფორმალური (როდესაც *ინტერვიუერისა* და ინფორმანტის საუბარი იმპროვიზებულად მიმდინარეობს) ინტერვიუს ეს სახე ფართოდ გამოიყენება განსაკუთრებით მაშინ, როცა მკვლევრის საკვლევი ობიექტი მეტყველების ფონეტიკური მახასიათებლების კვლევასაც მოიცავს.

ანკეტირება ინფორმაციის მოპოვების ყველაზე გავრცელებული და საიმედო ხერხია. განარჩევენ ანკეტების ორ ტიპს: ერთი შეეხება საზოგადოებაში ენის ფუნქციონირების ობიექტურ კვლევას, მეორე კი - ინფორმანტების დამოკიდებულებას ენის მიმართ. ხშირად ინფორმანტებს სთავაზობენ ფორმით მრავალფეროვან დავალებებს ტესტების სახით. ეს შეიძლება იყოს სიტყვების სია, ერთიანი ტექსტი, რომელიც ინფორმანტმა მიკროფონის წინ ხმამაღლა უნდა წაიკითხოს; ასევე ინფორმანტს შეიძლება დაევალოს შეასრულოს წერითი დავალებები ტექსტში გამოტოვებული ფრაგმენტების აღსადგენად. ყველა ამ ტესტის მიზანი ინფორმანტს მხოლოდ ზოგადად ეცნობება, რათა შენარჩუნებული იყოს პასუხების ავთენტურობა და სანდოობა.

სოციოლინგვისტიკაში დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება *ექსპერიმენტის* კვლევის მეთოდიც. სოციოლინგვისტური ექსპერიმენტი, ძირითადად გამოიყენება შემდეგი ფენომენების კვლევისას: ენის სოციალური დიფერენციაცია, ბილინგვიზმი, სიტუაციურად განპირობებული სამეტყველო ქცევა და ა.შ. **დოკუმენტის შესწავლას** დიდი მნიშვნელობა აქვს სოციოლინგვისტურ კვლევებში. ისეთი პირველადი სახის დოკუმენტების დამუშავება როგორებიცაა: მოსახლეობის აღწერის მასალები, სტატისტიკური კრებულები და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტური კვლევის საწყის ეტაპზე. მაგალითად რომელიმე რეგიონში ბილინგვიზმის კვლევისას მიზანშეწონილია სტატისტიკური დოკუმენტის საფუძველზე დავადგინოთ ერთ და მეორე ენაზე მეტყველთა დასახლების ზონების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი, ჟურნალ-გამოცემების რაოდენობა, რადიო და ტელეგადაცემათა ენობრივი განაწილება და სხვა. მეორე რიგის დოკუმენტები ანუ პერსონიფიცირებული ტექსტები (განცხადებები, სასკოლო თხზულებები, ახსნა-განმარტებითი ბარათები და სხვა), რომელიც მოცემულია აუდიო ან ბეჭდვითი სახით და მიღებულია ექსპერიმენტულ პირობებში, წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტური ანალიზისთვის აუცილებელ წყაროს. სწორედ მათი წყალობით ხდება შესაძლებელი სოციოლინგვისტური დასკვნების გამოტანა.

როგორც ყოველი ენათმეცნიერების დარგი, სოციოლინგვისტიკაც ემყარება გარკვეულ ცნებებს, რომლებსაც ამ სფეროში წარმართული სამეცნიერო კვლევები ემყარება. განვიხილოთ სოციოლინგვისტიკის თეორიის საკვანძო საკითხები და მასთან დაკავშირებული ტერმინები.

ცნება **ენობრივი კოლექტივი** სოციოლინგვისტური ანალიზისთვის საწყის ცნებას წარმოადგენს და მისი სწორი განმარტებისთვის საჭიროა სოციოლოგიური და ლინგვისტური ელემენტების შეხამება. ენობრივი კოლექტივი წარმოადგენს საერთო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირებით გაერთიან-

ნებულ ერთობლიობას, რომლის ფარგლებში ადამიანები ერთი ან რამდენიმე ენის მეშვეობით ახორციელებენ უშუალო და გაშუალებულ კონტაქტებს ერთმანეთთან და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტთან.

სოციოლინგვისტური ცვლადების განმარტება ლინგვისტური ცვლადების განმარტებით უნდა დავიწყოთ. უარდჰოუს მიხედვით, „ლინგვისტური ცვლადის ლინგვისტური ერთეულია, რომელსაც აქვს ვარიანტები და რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია“, ამგვარი ვარიანტები შეიძლება თვისობრივად ან რაოდენობრივად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. როდესაც ხდება ამ ვარიანტების კორელაცია სხვადასხვა სოციალურ მახასიათებელთან (სქესი, ასაკი საქმიანობა და სხვა) ლინგვისტური ცვლადი იქცევა სოციოლინგვისტური ცვლადად. ტერმინი - სოციოლინგვისტურ ცვლადები ნათლად წარმოაჩენს სოციოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის კავშირსაც და მათ შორის არსებულ განსხვავებასაც. თუ სოციოლოგიაში ეს ტერმინი სოციალური სტრუქტურის ან სიტუაციის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, სოციოლინგვისტური ცვლადები უკავშირდება იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ენობრივ სტრუქტურაში (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური და ა.შ.) ენობრივი ვარიანტების აღმოცენებას. ეს სოციალური ფაქტორებია: *გეოგრაფიული მდებარეობა; საქმიანობა; გენდერი/სქესი; ასაკი; სოციალური სტატუსი; ეთნიკური მიკუთვნებულობა.*

გეოგრაფიული მდებარეობა, ანუ ადგილი, სადაც ადამიანი გაიზარდა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის მეტყველებაზე და დასაბამს აძლევს ე.წ. „დიალექტების“ აღმოცენებას. ასე მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა რეგიონში არსებული დიალექტები (ჯეორდი - ნიუქასლში, სქაუსი - ლივერპულში, ქოქნი - ლონდონში და სხვა) მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტული ბრიტანული ინგლისურისგან ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების თვალსაზრისით.

ადამიანის **საქმიანობა** მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იყენებს ადამიანი ენას. მაგალითად კომპიუტერის პროგრამისტის მეტყველებაში საგრძნობლად მეტია ტექნოლოგიური ჟარგონები, ვიდრე, ვთქვათ, მზარეულის ან მასწავლებლის მეტყველებაში.

გენდერი/სქესის, როგორც სოციალური ცვლადის გამოყოფა უ. ლაბოვის სახელს უკავშირდება. თავის გამოკვლევებში იგი შემოიფარგლა ენობრივ ვარიაციებზე გენდერის გავლენის განსაზღვრით, მაგრამ არ უცდია გამოერკვია ამ გავლენის გამომწვევი მიზეზები. მის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალების მეტყველება უფრო ზრდილობიანი და ექსპრესიულია, ვიდრე მამაკაცებისა, რომელთა მეტყველება სწორხაზოვნებითა და პირდაპირობით ხასითდება.

ქალების მეტყველებაში ნაკლებად შეიმჩნევა არანორმატიული ლექსიკის გამოყენება, რაც ქალის, როგორც აღმზრდელის სოციალური და საზოგადოებრივი როლით აიხსნება. გარდა ამისა, ლაბოვის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით ყველა სოციალური კლასისა და ასაკის ქალი უფრო სტანდარტულ ენობრივ (ელიტარულ) ვარიანტს იყენებს, ვიდრე მათი ეკვივალენტური მამაკაცები. დაბალი საშუალო კლასის წარმომადგენელი ქალების მეტყველებაში კი შეიმჩნევა სწრაფვა ჰიპერკორექტულობისკენ.

სოციოლოგიური თვალსაზრისით *ასაკის* მატება ინდივიდის დროში მოძრაობა - ანუ დინამიკაა, ხოლო თვით ასაკი - სტატიკა, ანუ მისი ადგილი დროსა და ისტორიაში მოვლენათა სოციალურ თანრიგთან მიმართებაში. სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით, ასაკის დინამიური ასპექტი დაკავშირებულია ენის ისტორიულ ცვლილებებთან, ხოლო სტატიკური ასპექტი მეტყველების ასაკობრივ გრადაციასთან. ენობრივი ვარიაციების სოციოლოგიური შესწავლა ხშირად გვიჩვენებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მეტყველების კონსერვატიულობა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი მიდგომა უნივერსალურია. თუ მაგალითად, საზოგადოება ასაკთან ერთად ადამიანს სოციალური არჩევანის სულ უფრო მეტ შესაძლებლობას სთავაზობს, მაშინ მისი ენობრივი ქცევაც დროთა განმავლობაში ნაკლებნორმატიული ხდება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ ასაკოვანი ადამიანები „უბრუნდებიან“ მშობლიურ დიალექტებს და მათი მეტყველების ჯერ - ფონოლოგია, შემდეგ კი - მორფოლოგია სოციალური როლის ნაკლებობის გამო სულ უფრო შორდება საყოველთაო ენობრივ სტანდარტს.

სოციოეკონომიკური სტატუსი პირდაპირკავშირშია იმ სოციალურ კლასთან, რომელსაც მეტყველი პირი მიეკუთვნება. ასე მაგალითად, დიდი ბრიტანეთის საზოგადოებაში გამოიყოფა შვიდი სოციალური კლასი: მაღალი მაღალი კლასი (ელიტა); მაღალი კლასი; მაღალი საშუალო კლასი; საშუალო კლასი; დაბალი საშუალო კლასი; დაბალი კლასი; უმდაბლესი საშუალო კლასი. სოციოეკონომიკური კლასისადმი მიკუთვნება ხშირ შემთხვევაში უშუალო კავშირშია განათლების დონესთან, რომელსაც ინდივიდი ღებულობს; სოციუმთან, რომელშიც მას ინტერაქცია უხდება; საქმიანობის სფეროსა და ანაზღაურებასთან. აღნიშნული სოციალური ფაქტორები, ცხადია, თავის ასახვას პოულობს ინდივიდის მეტყველებაზე და საფუძველს უქმნის ენის ვარიანტულობას.

ენიკურობისა და ენის ვარიაციულობის უშუალო კავშირს არაერთი სოციოლინგვისტური კვლევა მიემდვნა. მაგალითისთვის განვიხილოთ ინგლისური ენის აფროამერიკული დიალექტი, რომელიც, ძირითადად, აფროამერიკელების მიერ გამოიყენება. აღნიშნულ ვარიანტს გააჩნია თავისი თვითმყოფადი ლინ-

გვისტური სტრუქტურა (გრამატიკა, სინტაქსი, ლექსიკა), რაც თავის მხრივ მოცემული ვარინტის გავრცელების არეალით, ეთნიკურობითა და მისი გამომყენებელი სოციალური კლასის არსებობითაა განპირობებული.

მაშასადამე, ენა, რომელსაც ვიყენებთ, განპირობებულია სხვადასხვა გარე სოციალური ფაქტორებით, სწორედ ეს ფაქტორები იწვევს ენობრივ ცვლილებას, რომელსაც სოციოლინგვისტიკაში ენობრივი ვარიაციები ეწოდება, ხოლო თავად ვარიაციებს - დიალექტები. განვიხილოთ სოციოლინგვისტური დიალექტების შემდეგი სახეები: *რეგიონული, სოციალური, ეთნიკური და პიროვნული* დიალექტები.

სანამ ჩამოთვლილი დიალექტების უფრო კონკრეტულ განმარტებაზე გადავალთ, გავეცნოთ თავად დიალექტის ცნებას სოციოლინგვისტიკაში.

ტერმინი „*დიალექტი*“ სოციოლინგვისტიკაში გამოიყენება ენის ნებისმიერი რეგიონული, სოციალური, ან ეთნიკური სახესხვაობის აღსანიშნავად. დიალექტად წოდებული ვარიაცია შეიძლება შეინიშნებოდეს ენის ნებისმიერ სტრუქტურულ დონეზე.

ერთი შეხედვით დიალექტსა და ენას შორის დამოკიდებულება შეიძლება საკმაოდ სწორხაზოვანი მოგვეჩვენოს და განვაცხადოთ - დიალექტები ენის ქვედანაყოფია, მაგრამ საკითხის უფრო დეტალური შესწავლა ცხადყოფს, რომ ენასა და დიალექტს შორის საზღვარი იმდენად არამკვეთრია, რომ ტერმინოლოგიის ამგვარი გაგება შეუძლებელს ხდის მის თეორიულ აღწერას, ხოლო ენის უბრალო კრიტერიუმები - ენასა და დიალექტს შორის არსებული სტრუქტურული სიახლოვე და გაგების შესაძლებლობა, სრულიად არაპროდუქტული ხდება. მაგალითად, ჩინური ენის სამი ძირითადი დიალექტი მანდარინი, კანტონური დიალექტი და ვუ, იმდენად განსხვავებულია მათ ზეპირ ფორმაში, რომ ისინი სრულიად გაუგებარი შეიძლება იყოს ამ დიალექტებზე მოსაუბრეთათვის მაშინ როცა, შვედურსა და ნორვეგიულ ენებზე მეტყველთ დაუბრკოლებლად ესმით ერთმანეთის.

დაზუსტებას მოითხოვს, ასევე, რეგიონული, სოციალური და ეთნიკური დიალექტების ცნებები. აღნიშნულ დიალექტებს შორის საზღვარი არც ისე ცხადია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ეკუთვნოდეს ერთდროულად რამდენიმე ხსენებულ ჯგუფს (ეთნიკურს, სოციალურს, რეგიონულს) და ეს მრავალგვარი სოციალური წევრობა მრავალგვარად აისახებოდეს მის მიერ ენის გამოყენებაზე.

რეგიონული დიალექტების შემსწავლელ მეცნიერებას დიალექტოლოგია ეწოდება. დიალექტების შესწავლა მიმდინარეობს ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: სალიტერატურო ენის ან მეზობელი დიალექტების მონაცემებისგან და-

მოუკიდებლად - ფონოლოგიური და გრამატიკული მონაცემების მისაღებად; და რეგიონული დიალექტების ერთმანეთთან შედარების გზით, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავების დადგენის მიზნით. ამ სახის კვლევას ხშირად *ლინგვისტური გეოგრაფიის* კვლევას უწოდებენ, რის შედეგადაც იქმნება დიალექტური ატლასები, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია გეოგრაფიული არელების მიხედვით გარკვეული სიტყვების, ფონოლოგიური ან გრამატიკული ნიშნების განაწილების შესახებ.

მე-20 საუკუნეში დიალექტოლოგია მჭიდროდ დაუკავშირდა სოციოლოგიას, უფრო ღრმად გაითვალისწინა ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორები. ამ თვალსაზრისით ნოვატორულად შეიძლება ჩაითვალოს უილიამ ლაბოვის შრომები⁷. რეგიონულ დიალექტებთან ერთად გამოიყოფა *სოციალური დიალექტები* სოციალური დიალექტის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კასტური დიალექტები ინდოეთში, მამაკაცისა და ქალის მეტყველების მსგავსება-განსხვავება *კოასატის* ინდიელთა (ლუიზიანას შტატი) ენაში; *ნუტკას* ტომის (კუნძული ვანკუვერი) ენაში არსებული სპეციალური ენობრივი ფორმები, რომელსაც იყენებენ რაიმე დეფექტის მქონე (სუსტი მხედველობის ან სმენის მქონე, კასტრატები და ა.შ.) ადამიანებთან საუბრის, ან მათზე საუბრის დროს და სხვა.

ენის სოციალური დიალექტები - სოციოლექტები, რომლებიც წარმოიშობა ენობრივი კოლექტივის არაერთგვაროვნების პირობებში და სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალის ზემოქმედებით, სოციალური დიალექტოლოგიის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. სოციალური დიალექტოლოგია შეისწავლის მიმართულებას ენასა და საზოგადოებას შორის. უფრო ზუსტად კი, იგი იკვლევს ენის სხვადასხვა კონკრეტული მახასიათებელს სოციალურ კონტექსტთან მიმართებაში, ენის სოციალურ ფუნქციებს და ა.შ.

სოციოლექტების განვითარება შეიძლება აიხსნას იმავე პარამეტრებით, რომელსაც სოციოლინგვისტები ეყრდნობიან ზოგადად დიალექტების აღმოცენებისა და განვითარების ანალიზის დროს ესენია: *საზღვრებისა და მანძილების* პარამეტრები, მაგრამ განსხვავებით დიალექტებისაგან ამ შემთხვევაში აღნიშნული პარამეტრები არა გეოგრაფიული, არამედ სოციალურია. ასე მაგალითად, ნეოლოგიზმის, ფონეტიკური ინოვაციის ან ახალი გრამატიკული ფორმის გავრცელებას შეიძლება ამუხრუჭებდეს კლასებს, თაობებს, რასებს შორის არსებული სოციალური საზღვრები. თუ ენობრივი სიახლე წარმოიშობა მაღალ კლასებში, ყველაზე გვიან ის დაბალი კლასის საზღვრებს აღწევს, ხოლო დაბალ კლასებში

⁷ Labov, W., *The Social Motivation of a sound Change in Word*, 1963; *The Social Stratification of English in New York City*, Center of Applied Linguistics, Washington DC, 1966; *Sociolinguistic Patterns*, Pennsylvania University Press, Philadelphia, 1972

წარმოქმნილმა ფორმამ შეიძლება სულაც ვერ მიაღწიოს მაღალ კლასებამდე, ეს კი, *სოციალური მანძილია*. თავისთავად სოციოლექტი არ წარმოადგენს კომუნიკაციის მთლიან სისტემას. კასტური საზოგადოებისგან განსხვავებით, სადაც სოციოლექტები უფრო მეტად უახლოვდება კომუნიკაციის მთლიან სისტემას, ევროპულ ენებში ისინი მხოლოდ ენის თავისებურებებს წარმოადგენენ.

სოციოლექტის ერთ-ერთი მაგალითია ქართული ახალგაზრდული ჟარგონი (*ბაითი*, *ასწორებს*, *ტეხავს*, *დააწერა* და *სხვა*), რომელიც მართალია, თაობიდან თაობამდე იცვლება, მაგრამ მაინც საყოველთაოდაა ცნობილი. უმეტესი წილი ჟარგონებისა, ნასესხებია სხვა ენებიდან ან მეტონიმის საშუალებითაა ნაწარმოები, მაგრამ ეს სიტყვები სტანდარტული ქართული ენის მოთხოვნების შესაბამისად, იბრუნვის და იუღლება. აღსანიშნავია, რომ ის ლექსიკა, რომელიც სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ რეალიებს არ აღნიშნავს საერთოა სოციოლექტსა და სტანდარტულ ენას შორის.

ტერმინი „*ეთნოლექტი*“ ორი სიტყვის - „ეთნოსის“ და „დიალექტის“ შერწყმის შედეგადაა ნაწარმოები. *ეთნოლექტი* გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიერ გამოყენებული ენობრივი ვარიანტია. იგი, გარკვეულწილად, პიროვნული, სოციალური და ეთნიკური იდენტობის, თვითგამოხატვის ენობრივ ფორმას წარმოადგენს. განსხვავებით დიალექტისგან (რომელიც კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფის მიერ გამოყენებული ენობრივი ფორმაა და განპირობებულია სხვადასხვა სოციოლინგვისტური ცვლადებით) *ეთნოლექტი* მხოლოდ ეთნიკურ მიკუთვნებულობით განისაზღვრება. ევროპის დიდ ქალაქებში მიგრაცია იწვევს მოსახლეობის ეთნიკურ მრავალფეროვნებას სწორედ მიგრანტ ოჯახებში, უფრო ხშირად კი ისეთ ოჯახებში, სადაც ინგლისური არ არის პირველი ენა, ყალიბდება ენის აღნიშნული ვარიანტი. მიგრანტი ოჯახების ახალგაზრდა თაობა იყენებს *ეთნოლექტს* უფროს თაობასთან კომუნიკაციის პროცესში. ეთნოლექტის მაგალითებია მაგალითად: აფროამერიკელთა ინგლისური, ჩიკანო (ესპანური) ინგლისური, ებრაული, ამერიკული, ინგლისური, ბერძნულ ამერიკული ინგლისური ენის ვარიანტები.

გარდა ეთნოლექტისა არსებობს *მულტი ეთნოლექტი*, რომელიც რამდენიმე ენის ზეგავლენით მიღებულ ენობრივ ვარიანტს წარმოადგენს. ხოლო მასზე მოსაუბრეები კი ერთზე მეტი ეთნიკური წარმომავლობისანი არიან. ასეთ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი ხდება არა ინდივიდის ან მისი მშობლების/წინაპრების ეროვნება, არამედ ის, თუ სად გაიზარდა ან ცხოვრობს იგი მოცემულ ეტაპზე. გერმანიაში ფუნქციონირებს მრავალი მულტიეთნოლექტი. ყველა მათგანში შეინიშნება განსხვავებულ ენათა ზეგავლენა, თუმცა ენა, რომელიც ყველაზე თვალშისაცემ ზეგავლენას ახდენს გერმანულ მულტიეთნოლექტზე, თურქული ენა

გახლავთ. და იგი ე.წ. „Türkendeutsch“ (თურქული გერმანული)-ის სახელითაა ცნობილი.

ტერმინი „იდიოლექტი“ ბერძნული „idio“ (პიროვნული)-სა დიალექტის შერწყმის შედეგადაა ნაწარმოები და უკავშირდება ენათმეცნიერის, ბერნარდ ბლოხის სახელს. იდიოლექტი ლინგვისტური აღწერის ჭეშმარიტი ობიექტია. იგი უპირისპირდება ფერდინარდ დე სოსიურის ცნებას - „ენა“ (langue), რომელიც ნიშნავს მთელი სოციალური ჯგუფის ყველა წევრისთვის საერთო ენობრივ სისტემას იმდენად, რამდენადაც იდიოლექტი არის არა მთელი სოციალური ჯგუფის, არამედ, ცალკეული ინდივიდის მიერ, ენის გამოყენების შედეგად მიღებული ვარიანტი.

ენის ასეთი გამოყენება ხშირ შემთხვევაში აირეკლავს ყველა სოციოლინგვისტურ ცვლადის ზემოქმედებას. ამდენად, იდიოლექტი თავისთავად ინდივიდუალურია და მუდმივად იცვლება ადამიანის ცხოვრების ეტაპების მიხედვით. იგი, სოციოლექტის მსგავსად, დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე: - გარემო, განათლება, სოციუმი, რომელშიც ინდივიდს უხდება სხვადასხვა სახის ურთიერთობების დამყარება, ინტერესთა სფეროები და სხვა.

სოციოლინგვისტური ცნება - კოდი

ყოველი ინდივიდი, სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე (რა გარემოშია, ვისთან ამყარებს კომუნიკაციას) იყენებს სხვადასხვა სოციოლექტსა და იდიოლექტს. ასეთ სიტუაციურად შერჩეულ იდიოლექტებისა და სოციოლექტების ერთობას მოსაუბრის **რეგისტრი** ეწოდება. რეგისტრის საშუალებით ინდივიდი ახერხებს მეტყველების ადაპტირებას მოცემულ სიტუაციასთან. ამის ნათელი მაგალითია სოციალურად ახლო და დისტანცირებულ ადამიანთა შორის კომუნიკაციის დროს გამოყენებული ენობრივ ვარიანტებს შორის არსებული სხვაობა. რეგისტრის ცნება უშუალოდაა დაკავშირებული **ენობრივი კოდისა და კოდების გადართვის** ფენომენტთან.

ცნება **„კოდი“** ყველაზე ფართო და ზოგადი გაგებით განიხილება, როგორც კომუნიკაციის საშუალება. ამ ტერმინით აღინიშნება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური ენები. საკუთრივ ენათმეცნიერებაში კოდის ქვეშ იგულისხმება ადამიანთა შორის კომუნიკაციის ენობრივი საშუალებები: ენა, დიალექტი, ქალაქური კოინე, პიჯინი, ჟარგონი და ა.შ. კოდთან ერთად გამოიყენება ტერმინის სუბკოდი, რომელიც ძირითადი კოდის ნაირსახეობას აღნიშნავს. მაგალითად, ლიტერატურული ენა, პროფესიული ჟარგონი ტერიტორიული დიალექტი ერთი ეროვნული ენის ქვესისტემებს-სუბკოდებს წარმოადგენს. ერთ რომელიმე ენობრივ ერთობაში მოქმედი და ერთმანეთთან ფუნქციური შემავსებლობის ურთიერთობაში

მყოფი კოდებისა და სუბკოდების ერთობლიობას ამ ერთობის *სოციოკომუნიკაციური სისტემა* ეწოდება. ფუნქციური შემავსებლის ცნება გულისხმობს, რომ ყოველ ენობრივ ერთობაში მოქმედ კოდს/სუბკოდს განსაკუთრებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სოციალური ფუნქცია გააჩნია, რომლის აღსრულება შეუძლებელია (ან გამძლეებულია) სხვა კოდის საშუალებით. სწორედ ამიტომ ფამილარული სუბკოდი გამოუყენებელია სასამართლოში, ასევე ოფიციალური დეკლარაციაში ვერ გამოვიყენებთ პირადი სახის წერილისთვის დამახასიათებელ გამონათქვამებს. მაშასადამე, საქმე გვაქვს კოდების ფუნქციურ განაწილებასთან.

კოდების ფუნქციური განაწილება ნიშნავს, რომ რომელიმე ენობრივ ერთობაში შემავალი კონკრეტული კონტინგენტი, რომლისთვისაც მისაწვდომია საკომუნიკაციო საშუალებათა ზოგადი ერთობლიობა, იყენებს მას ურთიერთობის კონკრეტულ პირობათა მიხედვით. იგულისხმება, რომ ადამიანი ფლობს რამდენიმე სუბკოდს და მათ შორის „გადართვას“ აწარმოებს იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ სიტუაციაში იმყოფება ის მოცემულ მომენტში. ზოგჯერ კოდები ექსპრესიულობის მიღწევის მიზნითაც გადაირთვება. ასე მაგალითად, გავიხსენოთ, თუ როგორ იყენებენ სატელევიზიო გადაცემის წამყვანები უცხოენოვან (ჩვენს რეალობაში ინგლისურ⁸) სიტყვებსა და ფრაზებსა და ახალგაზრდულ ჟარგონებს გადაცემის წაყვანის დროს.

ენობრივი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები.

აქამდე განხილული ენის ვარიაციების საკითხები უშუალო კავშირშია ენის ცვლილების პრობლემატიკასთან. ენობრივ ცვლილებასთან დაკავშირებულ სოციოლინგვისტურ კვლევებში მკვლევრები ცდილობენ, ერთის მხრივ ახსნან, და მეორეს მხრივ, იწინასწარმეტყველონ ენაში მომხდარი თუ შესაძლო ცვლილებები.

⁸ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უცხოური ეტიმოლოგიის მქონე სიტყვა შესაძლებელია გახდეს ენის ინტეგრალური ნაწილი და შევიდეს მის ლექსიკონში როგორც სრულფასოვანი ლექსიკური ერთეული. ამდენად უნდა გავმიჯნოთ მეტყველებაში გამოყენებული უცხოური ეტიმოლოგიის ნასესხები სიტყვების გამოყენების შემთხვევა, კოდების გადართვის შემთხვევისგან. მაგალითად წინადადებაში: „they have a great deal of savoir- faire“ „savoir- faire“ ფრანგულიდან ნასესხები სიტყვაა და შესაბამისად, ქცევის უნარს ნიშნავს. ეს სიტყვა ინტეგრირებულია ინგლისურ ლექსიკონში და არ აღიქმება როგორც უცხო ლექსიკური ერთეული. მაგრამ წინადადებაში: „its now ocho y media on a Saturday night, and we’re gonna hear artist con his new group“ სიტყვები „ocho y media“ (ცხრის ნახევარი) და „con“ (ერთად) ესპანური ეტიმოლოგიისა და არ წარმოადგენს ინგლისური ლექსიკის ნაწილს. შესაბამისად, აქ საქმე გვაქვს კოდის გადართვასთან.

ენაში მიმდინარე ზოგიერთი ცვლილება ადამიანების შეგნებული გადაწყვეტილების შედეგია, რომლებიც ინსტიტუციურ დონეზე მიიღება და ენის დაგეგმარების პროგრამას მიეკუთვნება. ენის დაგეგმარების ერთ-ერთი მაგალითია ენის სტანდარტიზაციის პროცესი, როდესაც ხდება ერთი დიალექტის წინ წამოწევა შედეგად კი სწორედ ეს დიალექტი იქცევა სალიტერატურო ენის ბაზად. სხვა შემთხვევაა როცა ორი ენა ფართომასშტაბიან კონტაქტში შედის ერთმანეთთან (მაგალითად ეროვნული და რუსული ენა საბჭოთა კავშირის დროს), რაც საყოველთაო ბილინგვიზმის (ორენოვნება)გავრცელებას იწვევს და რაც, თავის მხრივ, აისახება ენობრივ ცვლილებებში - კოდების გადართვაში, ნასესხები სიტყვების შემოდინებაში, გრამატიკული ფორმების ასიმილაციასა და სხვა.

ენობრივი კონტაქტის უფრო რთული შემთხვევა უკავშირდება რომელიმე ენის გამოუყენებლობას, ენობრივ გადაადგილებას მეორე ენის სასარგებლოდ და ბოლოს მის „სიკვდილს“.

ენობრივი ცვლილება ასევე შესაძლებელია დაიწყოს ცალკეული ინდივიდის ან მცირე ჯგუფის მიერ ხოლო შემდეგ, მიბადვის შედეგად, გავრცელდეს უფრო ფართო მასშტაბით. ამის ნათელი მაგალითია ნეოლოგიზმების არსებობა ენაში.

პრესკრიპციული გრამატიკის⁹ წარმომადგენლების მიხედვით ენის ცვლილების მიზეზად მიჩნეულია ენის გამარტივებისა და უმცირესი ძალისხმევისკენ სწრაფვა. ამ აზრის სადემონტრაციოდ განვიხილოთ ქართული სიტყვა „გვერდზე“, რომლის წარმოთქმის დროს „დზ“ კომპლექსის ნაცვლად ხშირად ისმის „ძ“ ბგერა, რაც საფუძველს ქმნის მომავალი ენობრივი ვარიაციისთვის, ამ შეხედულებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში იგივე სიტყვის დამწერლობა გახლდათ „გუერდზე“/„გუერთიდგან“, რომელმაც ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო სრულიად უმტკივნეულოდ მიიღო თავისი თანამედროვე ფორმა - „გვერდიდან“.

ენობრივი ცვლილების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ანდრე მარტინე ენაში მიმდინარე ფონეტიკურ ცვლილებებს მიიჩნევს. მისი აზრით, ეს თვალსაზრისი დამყარებულია ე.წ. ჯაჭვური ძვრების იდეაზე, რომლის ფარგლებშიც ერთი ცვლილება დაუყოვნებლივ იწვევს მეორეს. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ერთი სიტყვის მეორისგან გარჩევა, აუცილებელია ბგერითი კონტრასტები. გარდა ამისა, ფონოლოგიური ცვლილებები ხშირად ზემოქმედებას ახდენს მორფოლოგიურ ელემენტებზე და შესაძლებელია, მათ შორის არსებული განსხვავებები სრულიად წაშალოს. გავიხსენოთ, თუ რა ცვლილებები მოჰყვა ინგლისურ ენაში კანკლედობის დაბოლოებების სრულ გაქრობას, რის შედეგადაც ენაში დამ-

⁹ პრესკრიპციული გრამატიკა ფოკუსირებულია მითითებებზე, რა და როგორ უნდა გამოვიყენოთ ენაში, როგორ ვიმეტყველოთ სწორად და რა ენობრივი ფორმები ავიცილოთ თავიდან.

კვიდრდა მკაცრი მიმდევრობა, რაც სინტაქსურად იძლევა წინადადების სუბიექტისა და ობიექტის გარჩევის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისს ენობრივი ცვლილება ენის შინაგან სტრუქტურაზე დაჰყავს. თუმცა, სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ენის შინაგანი სტრუქტურა, ენის ცვლილებების უპირველეს მიზეზად სწორედ სოციალური მიზეზი უნდა მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი ასეთი სოციალური ფაქტორთაგანია მიბაძვა. სოციოლინგვისტიკაში დამკვიდრებული ჰიპოთეზის მიხედვით, როდესაც რაიმე სახის ვარიაცია პირველად განხორციელებულია ცალკეული ინდივიდის მიერ, იგი ენაში მკვიდრდება მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ინდივიდები მიბაძავენ მას. მიბაძვის ერთ-ერთ ფორმას ე.წ. ჰიპერკორექციონიზმი წარმოადგენს, როდესაც ენის სხვა ვარიაციებში, ან სულაც სხვა ენებში არსებული გრამატიკული ფორმა ან გამოთქმის თავისებურება, რომელიც პრესტიჟულად მიიჩნევა, მიბაძვის შედეგად იწვევს ა საწყის ვარიაციაში არარსებული ფორმების წარმოებას. ამ ტიპის მოვლენაა მაგალითად, კბილისმიერი თანხმოვნების დარბილება ქართულ ენაში, რომლის გამო ხშირად გავიგონებთ სიტყვების ვარიაციებს: იტალიელი ტენორების ჯუზეპე ვერდისა და ლუჩიანო პავაროტის გვარებში გამოთქმებს *-[ვერძი]* *[პავაროწი]* ან სიტყვა „ოფისში“ დარბილებულ კბილბაგისმიერ*[f]* –ს. ქართულ სამეტყველო ენაში ასეთი პრაქტიკის საყოველთაო გავრცელება ამტკიცებს, რომ ქართულ ენაში რუსული ენა ჯერ კიდევ პრესტიჟულად მიიჩნევა.

ენობრივი ცვლილების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გარეგანი (არაენობრივი) სოციალური ძალები მიიჩნევა. ამ საკითხის კვლევა უკავშირდება ულაბოვის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს. რომლის ფარგლებშიც ზეპირი მეტყველების სტილზე დაკვირვების მიზნით მან გამოყო ხუთი სიტუაციური კონტექსტი: *შემთხვევითი სტილი; ყურადღებიანი სტილი; ტექსტის ხმამაღლა კითხვა; ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების ხმამაღლა კითხვა; სიტყვათა წყვილების ხმამაღლა წარმოთქმა*. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგადაც ულაბოვი ასკვნის, რომ მაღალ კლასის მიკუთვნებულობა დაკავშირებულია უფრო კონსერვატიულ სტილთან. დაბალი კლასის წარმომადგენლებში კონსერვატიული სტილის წილი იზრდება სიტუაციური კონტექსტის ფორმალურ ხარისხთან ერთად - რაც მეტად არის ადამიანი დამოკიდებული კონტექსტზე, მით მეტ ურადლებას აქცევს თავის მეტყველებას და ცდილობს იგი ნორმატიული მოთხოვნებისთვის დაქვემდებარს. ამ შედეგებზე დაყრდნობით ულაბოვი შეიმუშავა ე.წ. **ვარიაციული თეორია**, რომლის თანახმად, სამეტყველო სტილი ყველაზე ძლიერად სწორედ სოციოლინგვისტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. საქმე ეხება საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მებრძოლ სამუალო

კლასის წარმომადგენლებს. მათი მეტყველება *ჰიპერკორექტულობით* გამოირჩევა. ამ გზით ინდივიდებს სურთ, თავიანთი თავი, ერთი მხრივ, წინასწარ მიაწერონ იმ სოციალურ კლასს, რომელშიც მოხვედრა სურთ, მეორე მხრივ, სურთ ღირსეულად მოაჩვენონ თავი იმ პირებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი მომავალი. როგორც ეტყობა ამგვარი ფენომენია ქართულ მეტყველებაში არქაიზმების შეუსაბამო გამოყენებაც. სიტყვა “რამეთუ“, მაგალითად, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლებში. ამ გზით ისინი ცდილობენ, საკუთარ თავს და თავად უწყებას უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ.

ლაბოვის თეორიის საპირისპიროდ სოციოლინგვისტ უ. უანგის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ენობრივი ცვლილება ხშირად არ არის თვალსაჩინო და სწრაფი გზით კი არ ხდება, არამედ მოსაზღვრე დიალექტებს შორის სიტყვიერი მასალის თანდათანობითი სესხებითა და დიფუზიით. ამ პროცესს ხელს უწყობს მოსახლეობის აქტიური მიგრაცია ქვეყნის შიგნით. ასეთი ცვლილება, ძირითადად, ენის ფონოლოგიურ აგებულებაზე აისახება. როდესაც დიალექტებს შორის ამგვარ ნასესხობათა საკმაოდ დიდი ოდენობა გროვდება, ამბობენ, რომ სახეზეა ბგერითი ცვლილება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესს მრავალი გამონაკლისი აქვს, რადგან ცვლილებების ფაქტორი მრავალრიცხოვანია და ყოველთვის ვერ ხერხდება მათი ერთმანეთისგან საიმედო დიფერენციაცია.

ენობრივი კონტაქტი და ენის ცვლილება

ენობრივი ცვლილების მიზეზებზე საუბრის დროს უკვე აღვნიშნეთ, რომ ენაში მიმდინარე ცვლილებები შესაძლებელია გამოწვეული იყოს ენათა შორის მჭიდრო კონტაქტებით. სანამ ამ საკითხის განხილვას შევუდგებით, უპრიანია განვიხილოთ მოვლენები: ენის პიჯინიზაცია და კრეოლიზაცია, რომლებიც ენობრივი კონტაქტის შედეგად ენის ცვლილების საკმაოდ თვალნათელ მაგალითს წარმოადგენს.

პიჯინიზაცია ეს არის სოციოლინგვისტური პროცესი, რომელიც იწყება და მიმდინარეობს ორი ან რამდენიმე სხვადასხვაენოვანი ჯგუფების შეზღუდული ან არასიმეტრიული კონტაქტების პირობებში. ამ კონტაქტის შედეგად ერთ-ერთ ჯგუფის ენა განიცდის მნიშვნელოვან რედუქციას და მისი სტრუქტურა საგრძნობლად იცვლება. პროცესი სრულდება პიჯინის, ანუ რედუცირებული დამხმარე ენის შექმნით, რომელიც სიტუაციურად შემოსაზღვრულ საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებს და არც ერთი ჯგუფის წევრისთვის არ არის მშობლიური.

პიჯინიზაცია, ანუ საწყისი ენის ფრაგმენტებად დაშლა და ამ ფრაგმენტების სუბსტრატი (დაბალი ძალისა და პრესტიჟულობის ენა) ენის ელემენტებთან არე-

ვის გზით ხელოვნური ენის წარმოქმნა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საწყისი და სუბსტრატ ენებზე მეტყველ ადამიანებს თავიდან არ ესმით ერთმანეთის. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს არა პიჯინიზაციას, არამედ, ინტერფერენციას (ურთიერთშედწევას), რომელიც განიმარტება როგორც: ბილინგვთა მეტყველებაში არსებული ყოველი ენის ნორმისგან გადახრა იმის შედეგად, რომ მათ ერთ ენაზე მეტი იციან.

პიჯინიზაციის პროცესში, საწყისი ენის როლში გამოდის გაბატონებული სოციალური ჯგუფის ენა, რომლის საფუძველზეც სუბსტრატი ენის ცალკეული ლექსემების (ძირითადად ადგილობრივი რეალიების აღმნიშვნელი სიტყვების) სესხების საშუალებით ყალიბდება პიჯინი.

გარკვეულ პირობებში შეიძლება მოხდეს პიჯინის კრეოლიზაცია, რომელიც ასევე სოციოლინგვისტურ პროცესს წარმოადგენს. კრეოლიზაციის შედეგად პიჯინი გადაიქცევა არარედუცირებულ ენად, რომელსაც შესწევს უნარი, შეასრულოს ჩვეულებრივი ენის ფუნქცია და იგი მშობლიურია მასზე მეტყველთათვის.

პიჯინის კრეოლიზაციის პროცესის უკეთ გასააზრებლად განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. სხვადასხვა ეთნიკური და ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელი აფრიკელი მონები დასავლეთ აფრიკიდან კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე განლაგებულ კუნძულებზე გადაჰყავდათ. პლანტატორები ცდილობდნენ მონების დაქსაქსვას, რათა თავიდან აეცილებინათ ამბოხებისა და შეთქმულების საშიშროება. ამგვარად, ერთი და იმავე პლანტაციის მონებს არ ესმოდათ არც ერთმანეთის და რა თქმა უნდა, არც თეთრკანიანი ადმინისტრაციის წარმომადგენლების. ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად რჩებოდა ინგლისური ან ფრანგული პიჯინი, რომელსაც მონათა ნაწილი ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას იცნობდა, ზოგი კი ატლანტის ოკეანის გადაღმა მგზავრობისას ეუფლებოდა. ამავე ენას სწავლობდა თეთრკანიანი ადმინისტრაციის კონტინგენტი. სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მონათა შორის ქორწინების შედეგად მეორე თაობის თაობისთვის პიჯინი უკვე მშობლიური ენა იყო, რის გამოც მჟღავნდებოდა ენობრივი ფუნქციის გაფართოების ტენდენცია, ანუ პიჯინის კრეოლიზაცია. დროთა განმავლობაში ამგვარად წარმოქმნილი კრეოლური ენები იქცეოდა თეთრკანიანი კოლონისტების მეორე ენად, რომელსაც ისინი მშობლიურთან ერთად ბავშვობიდან ეუფლებოდნენ.

დღეს მსოფლიოში კრეოლურ ენებზე მოსაუბრე ადამიანების საერთო რიცხვი ათ მილიონს აღემატება.¹⁰

¹⁰ *ძირითადი კრეოლური ენებია: ინგლისურენოვანი პიჯინების საფუძველზე წარმოქმნილი ენები: იამაიკური, სრანანი, სარამაკა, კრიო და ტოკ-პისინი; ფრანგულენოვან პიჯინის საფუ-*

ენობრივი კონტაქტი და ენის გენერაცია/დეგენერაცია

ენათმეცნიერებისთვის ენის გადაგვარების პროცესის კვლევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გამოუყენებელი ენები თავის თავში ინახავს მათ მიერ განცდილ ენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს და შესაბამისად, იძლევა ინფორმაციას ენის განვითარების ზოგად პროცესებზე.

ენობრივი გადაგვარების /ჩანაცვლების¹¹ პროცესი რამდენიმე თაობის განმავლობაში მიმდინარეობს, ამ დროს ენის გადაგვარებასა და გაქრობას თან ახლავს მისი ინტენსიური ცვლილებები. ამ პროცესის მაგალითია გელური ენა ევროპაში, ნორვეგიული - ამერიკაში და მრავალი სხვა.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ენის ჩანაცვლების პროცესზე მოქმედებს გარე, არაენობრივი ფაქტორები: *მეტყველთა რიცხვი; ენობრივი გარემოცვა; სამეურნეო საქმიანობა; ენის კვლავწარმოება, ეროვნებათაშორისი ქორწინებები; სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა; პრესტიჟი; დამწერლობის არსებობა/არარსებობა*. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი ფაქტორები ცალსახად არ განსაზღვრავს ენობრივ ცვლილებას და ყოველ მათგანს კოტარაგუმენტი შეიძლება მოეძებნოს.

რაც უფრო მეტი ადამიანი მეტყველებს რომელიმე ენაზე, მით უფრო მცირეა ის ალბათობა, რომ ეს ენა გაქრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტყველთა დიდი რაოდენობა არ იძლევა ენის შენარჩუნების გარანტიას. უფრო ზუსტი იქნება იმის თქმა, რომ ის ენები, რომლებიც მომავალში გაქრება, დღეს მეტყველთა რიცხვის რაოდენობრივ კრიზისს განიცდიან.

რაც უფრო ინტენსიურია მეზობელ ენებთან კონტაქტი, მით უფრო სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება განსახილველი ენა. თავისთავად ორ ან მრავალენოვნება ენის არსებობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან არ უშლის ხელს ერთი ჯგუფის ადამიანებს თავიანთი ჯგუფის ფარგლებში საკუთარ ენაზე ისაუბრონ. ამდენად, მრავალენოვნება ჩვეული მოვლენაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თავად ენობრივი გარემოცვა, რომელიც იცვლება ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით და ქმნის ახალ ვითარებას, რომელიც ნაწილობრივ მოქმედებს ენობრივ სიტუაციაზე.¹²

ძველზე წარმოქმნილი ენები: ჰაიტის ენა, მავრიკიული, რეუნიონისა და გვიანის; ესპანურენოვანი კრეოლი-პაპიამენტო; პორტუგალიური პიჯინების საფუძველზე წარმოქმნილი-კრიულო.

¹¹ ტერმინი „ენობრივი ჩანაცვლება“, სხვადასხვა ლინგვისტურ წყაროებში გვხვდება როგორც: „ენის სიკვდილი“, „ენის დაცემა“, ენის უკუსვლა“, „ენობრივი გადართვა“

¹² ტერმინი „ენობრივი სიტუაცია“ აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: რამდენი ენა და რომელი ენები (დიალექტები) გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ.

თუ ენობრივი ერთობა ინარჩუნებს თავის ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას, უფრო მეტი ალბათობაა, რომ ამ საქმიანობას მონოლინგვური ჯგუფები ახორციელებდნენ, რაც ხელს შეუწყობს ენის შენარჩუნებას. უნდა ითქვას რომ არც ეს ფაქტორია დამოუკიდებელი, რადგან სამეურნეო საქმიანობის ტიპი სტაბილური რჩება ან იცვლება სხვადასხვა ისტორიული პოლიტიკური, ეკოლოგიური ან სხვა მიზეზებით. ამ შემთხვევაში სწორედ ეს ფაქტორები უნდა განვიხილოთ ენობრივ სიტუაციაზე მოქმედ უფრო ღრმა მნიშვნელობის ფაქტორებად.

თუ ენა თაობიდან თაობას ნორმალურად გადაეცემა, მისი შენარჩუნების შესაძლებლობები მეტია, მაგრამ შვილებისთვის ენის გადაცემა ვერ გამოდგება მისი შემდგომი არსებობის გარანტად: ფიქსირდება მრავალი შემთხვევა, როდესაც ენა გადაეცა შვილებს, მაგრამ ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო უარს ამბობენ მის გამოყენებაზე და სხვა საკომუნიკაციო ენას ირჩევენ. ეს ფაქტორიც არაა დამოუკიდებელი, რადგან თაობიდან თაობაზე ენის გადაცემა შეიძლება შეწყდეს ხელისუფლების მხრიდან იძულებით, ან თვით მშობლების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებით.

ეროვნებათშორისი ქორწინების მზარდმა რაოდენობამ შესაძლოა, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ენის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეროვნებათშორისი ქორწინების ფაქტორი იმ შემთხვევაშია რეალური, როდესაც ქალები ესწრაფვიან უცხოელებთან, ან სულაც თავიანთი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ქორწინებას. მაგრამ ეს პირობაც არაა საკმარისი იმისთვის, რომ ვამტკიცოთ, თითქოს, ბავშვები ცალსახად შეისწავლიან მამის, და უგულუბელყოფენ დედის ენას. ამისთვის ქალი შეგნებულად უნდა გადავიდეს მეუღლის ენაზე და უარი ითქვას საკუთარი ენაზე.

სახელმწიფოს ენობრივმა პოლიტიკამ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიძლება საგრძნობი შედეგები გამოიღოს. ეს პოლიტიკა, ჩვეულებრივ, სახალხო გათლების სისტემის მეშვეობით მოქმედებს და ერთი ან ორი თაობის განმავლობაში აღწევს შედეგს. მაგრამ მეორე ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება აუცილებლად არ იწვევს პირველი ენის გაქრობას, ხოლო თუ სახელმწიფო მიმართავს რეპრესიებს რომელიმე ენის ჩასახშობად, ამის შედეგები ცალსახა ვერ იქნება: ჩახშობის პოლიტიკამ შეიძლება გააძლიეროს და შეგნებულ დონეზე აიყვანოს ეთნიკური და ენობრივი თვითშეგნება, გააღვიძოს პროტესტის გრძნობა.

როცა სატიტულო ენა არაპრესტიჟული ხდება, ხოლო სხვა ენა პრესტიჟის იძენს, იქმნება ენობრივი ჩანაცვლებისთვის ხელსაყრელი სიტუაცია, მაგრამ დაბალი პრესტიჟი თავისთავად არ იწვევს ამ ჩანაცვლებას: ორი, დაბალი და მაღალი პრესტიჟის მქონე ენა შეიძლება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში თანაარსე-

ბობდეს. გარდა ამისა, ეს ფაქტორებიც ვერ ჩაითვლება დამოუკიდებლად, რადგან ენის პრესტიჟი მრავალი გარეგანი მიზეზითაა განპირობებული.

დამწერლობის არსებობის/ არარსებობის ფაქტორი ხშირად სახელდება ენობრივი ჩანაცვლების საკითხის შესწავლისას. უმწერლობო ხალხური ენები, ჩვეულებრივ, თმობენ თავიანთ პოზიციას უფრო განვითარებული ენის წინაშე, რომლებსაც დამწერლობა გააჩნიათ და ბუნებრივია, უფრო აგრესიულია. მაგრამ ეს ფაქტორი არაა არსებითი. დამოკიდებულება დამწერლობის არსებობაზე შეიმჩნევა, მაგრამ ის უშუალო არ არის.

მულტილინგვიზმი და დიგლოსია

გარკვეული სოციალური ერთიანობის ფარგლებში შესაძლებელია ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ რამდენიმე ენის გამოყენება, რაც კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციით არის განპირობებული. ამ მოვლენას მრავალენოვნებას ანუ *მულტილინგვიზმს* უწოდებენ. მრავალენოვნებას, როგორც წესი, ორენოვნების ანუ ბილინგვიზმის ფორმა აქვს. შედარებით იშვიათია სამი ან მეტი ენის მასობრივი ფლობის შემთხვევები.

ტერმინით „მულტილინგვიზმი“ შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ინდივიდის ენის გამოყენება და კომპეტენცია ერთზე მეტი ენის სფეროში, ასევე სახელმწიფოს შიგნით ისეთი სიტუაცია, როდესაც მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია რამდენიმე ენის გამოყენება. შესაბამისად, ვასხვავებთ *ინდივიდუალურ* და *საზოგადოებრივ* (სახელმწიფოებრივ) მულტილინგვიზმს.

ინდივიდუალურ მულტილინგვიზმს იშვიათად აქვს საკუთრივ სოციოლინგვისტური მნიშვნელობა, რადგანაც ძალზე ცოტაა ადამიანი, რომლებიც ორზე მეტ ენას იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საზოგადოებრივ ან სახელმწიფო დონეზე შეგვიძლია, განვასხვაოთ “ოფიციალური“ და „დე ფაქტო“ მულტილინგვიზმი. მაგალითად, შვეიცარია ოფიციალურად მულტილინგვიზური ერია, რაც მისი დეკლარაციიდან გამომდინარეობს, მაგრამ აქ მულტილინგვიზმი დამყარებულია ტერიტორიულ პრინციპზე, რადგანაც საყოველთაო მნიშვნელობის დოკუმენტები არსებობს ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებზე, ქვეყნის თითოეული მოქალაქე იზრდება თავისი მშობლიური კანტონის მონოლინგვიზურ გარემოში. კანადა ოფიციალურად ბილინგვი ქვეყანაა, რადგანაც ინგლისური და ფრანგული ენები კანადის კონსტიტუციით ოფიციალურ ენებადაა აღიარებული, მაგრამ კანადელთა უმრავლესობას რეგულარული (სკოლის გარეშე) კონტაქტი მხოლოდ ერთ მათგანთან აქვს. უფრო მეტიც, ოფიციალურის გარდა კანადაში ასობით ენაზე ლაპარაკობენ იქ დამკვიდრებული იმიგრანტთა ჯგუფები. ამ ენათაგან ზოგიერთი უკვე რამდენიმე თაობის განმავ-

ლობაში არსებობს კანადაში და გარკვეულ ტერიტორიაზე გავლენითაც სარგებლობს. ამგვარად, კანადა, რომელიც ოფიციალურად ბილინგვი ერია, დე ფაქტო მულტილინგვურია.

საზოგადოებრივი მულტილინგვიზმი იქმნება კონტექსტური ფაქტორების გავლენით - საერთაშორისო მიგრაციით, კოლონიალიზმითა და საერთაშორისო საზღვრებით.

მულტილინგვიზმის პირობებში ენები და ენათა ვარიანტები ქმნის ფუნქციურ იერარქიას. ზოგი მათგანი გამოიყენება კომუნიკაციისათვის შედარებით მცირე ჯგუფების შიგნით, სხვები - ჯგუფებს შორის, ადმინისტრაციულ ან ეროვნული ერთეულის ფარგლებში, მრავალეროვან რეგიონში, მთელ სახელმწიფოში ან სახელმწიფოებს შორისაც კი. პირველ ორ შემთხვევაში, ძირითადად, არაფორმალური ზეპირი ურთიერთობების საშუალებები გვაქვს, დანარჩენ შემთხვევებში საკომუნიკაციო საშუალებათა გამოყენების სფერო უფრო ფართოა და მოიცავს: განათლებას, საინფორმაციო საშუალებებს, ლიტერატურას, კულტურას და მეცნიერებას.

ორენოვნების ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეობაა ე.წ. **დიგლოსია**. დიგლოსია არის სოციალური სტატუსით განსხვავებული ორი ენის ან ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ვარიანტის გამოყენება ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში.

დიგლოსიას ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ არაბულ სამყაროში არაბული სალიტერატურო ენის გამოყენება ოფიციალურ სფეროებში (განათლების სისტემა, მასმედია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვ.), ხოლო“ ხალხური არაბული ენა-დიალექტებისა - ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში.

დიგლოსიას განსაზღვრავს ენის „მაღალ“ და „დაბალ“ (რეგიონულ)¹³ ვარიანტებს შორის განსხვავება. დიგლოსიის სიტუაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი ვარიანტის ხმარება. მაგალითად, არაბულ სამყაროში საუნივერსიტეტო ლექციები სტანდარტულ ენაზე ტარდება, მაგრამ სავარჯიშოებისთვის ახსნა-განმარტებების შედგენისას “დაბალ“ ვარიანტს მიმართავენ.

დიგლოსიის დროს სალიტერატურო ენა პრივილეგებულად მიიჩნევა. ზოგჯერ მხოლოდ ის ითვლება რეალურ ენად, ხოლო არასტანდარტული ენა იგნორირებულია. მაგალითად, ვინმეზე შეიძლება ვთქვათ, არაბული არ იცისო იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი არ ფლობს სალიტერატურო ენას. განათლებული არა-

¹³ ტერმინები- „მაღალი“ და „დაბალი“ მომდინარეობს სოციოლინგვისტიკაში გამოყენებული ტერმინებიდან: „High valued“- მაღალი ღირებულების ენობრივ ფორმად მიჩნეული , კონსერვატორული ლიტერატურული ენა და „Less valued“- მცირედად ღირებული ენობრივი ფორმა, რომელიც გამოიყენება არაფორმალურ სფეროში.

ბები ხშირად უარყოფენ არასტანდარტული ენის ცოდნას, თუმცა ყოველდღიურ ურთიერთობაში სწორედ მას იყენებენ.

რით განსხვავება დიგლოსია უფრო სტანდარტული, ენისა და ადგილობრივი დიალექტების ჩვეული სიტუაციისაგან? უკანასკნელ შემთხვევაში სტანდარტული ენა შეიძლება გამოიყენებოდეს ყოველდღიური კომუნიკაციის დროს, ხოლო დიგლოსიის დოს კი - არასოდეს. ამგვარი გამოყენება არაბუნებრივად ან პედანტურად მიიჩნევა.

დიგლოსიის ირგვლივ სამოციან წლების შემდგომ გაშლილი კვლევა კონცენტრირდება შემდეგ ცვლადებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე: *ფუნქცია, პრესტიჟი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ენის ათვისება, სტანდარტიზაცია, სტაბილურობა, გრამატიკა, ლექსიკა, ფონოლოგია, განსხვავება დიგლოსიასა და დიალექტურ სტანდარტებს შორის, სივრცეში დროსა და ენობრივ ოჯახებში გავრცელება და განაწილება, გამომწვევი და ხელშემწყობი ფაქტორები*. სწორედ მათი განხილვა იძლევა საშუალებას, ამომწურავი პასუხები გავცეთ ამ ენობრივ ფენომენს.

ფუნქცია: ფუნდამენტურია დიგლოსიაში მონაწილე ენობრივ სახესხვაობათა ფუნქციური დიფერენციაცია, რადგანაც სწორედ იგი განასხვავებს დიგლოსიას ბილინგვიზმისგან. მაღალი და დაბალი ენის ვარიაციები სრულიად განსხვავებული მიზნებით გამოიყენება და ენაზე თანდაყოლილი მეტყველისთვის შეიძლება უჩვეულო იყოს ან სულაც სასაცილო ან შეურაცხმყოფელი, თუ ვინმე დაბალ ვარიაციას მაღლის ადგილას გამოიყენებს, ან პირიქით;

პრესტიჟი: გამოკვლეულ დიგლოსიათა უმრავლესობაში მაღალ ვარიაციას უფრო მეტი პრესტიჟი უკავშირდება, ვიდრე დაბალ ვარიაციას. მაღალი ვარიაცია ეს არის „დიდი“ ლიტერატურის, კანონიკური, რელიგიური ტექსტების, ძველი პოეზიის, საჯარო რიტუალების, საზეიმო გარემოებების ენა, ხოლო დაბალი ვარიაცია აღიქმება, როგორც ნაკლებად ღირსეული, და ვულგარული;

ლიტერატურული მემკვიდრეობა: დიგლოსიურ ენათა უმრავლესობაში მთელი ლიტერატურა მოცემულია მაღალ ვარიაციაში. დაბალი ვარიაცია არ გვთავაზობს არანაირ ლიტერატურას გარდა დიალექტური პოეზიისა, სარეკლამო განცხადების, ან ე.წ. „დაბალი“ ჟანრებისა. დიგლოსიურ ენათა უმრავლესობაში ფიქრობენ, რომ მხოლოდ მაღალ ვარიაციას შეიძლება ეწოდოს „ენა“. დაბალი ვარიაციის არსებობას ან სრულიად უარყოფენ, ან ამბობენ, რომ მას იყენებენ მხოლოდ „უბრალო მოკვდავნი“, მდაბიონი¹⁴.

¹⁴ ზოგიერთ ტრადიციებში, მაგალითად, შექსპირის პიესებში დაბალი ვარიაცია გამოიყენება სოფლური, კომიკური გაუნათლებელი და სხვა მსგავსი ბუნების დასახასიათებლად.

ათვისება: დაბალი ვარიაცია ისწავლება პირველად, ეს დედაენაა, ოჯახის ენა. მაღალი ვარიაციის შექმნა ხდება სკოლაში . ამიტომ იქ, სადაც ლინგვისტები ამბობენ, რომ დაბალი ვარიაცია პირველადია, ადგილობრივი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მაღალს შეიძლება ეწოდოს ენა.

სტანდარტიზაცია: მაღალი ძლიერად სტანდარტიზებული ვარიაციაა. მისთვის არსებობს გრამატიკები, ლექსიკონები, კანონიკური ტექსტები და ა.შ. დაბალი ვარიაცია იშვიათადაა სტანდარტიზებული ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით. თუ მისი გრამატიკა არსებობს ის საზოგადოების გარე პირების მიერაა დაწერილი.

სტაბილურობა: დიგლოსიები, ჩვეულებრივ, სტაბილურია. ისინი საუკუნეების ან ათასწლეულების განმავლობაშიც კი ძლებენ. ზოგჯერ ხდება, რომ დაბალი ვარიაცია იპყრობს სივრცეს და განდევნის მაღალ ვარიაციას. მაგრამ მაღალი სრულიად მხოლოდ იმ შემთხვევაში თრგუნავს დაბალს, თუ იგი პოლიტიკური ელიტის ენაა.

გრამატიკა: მაღალი ვარიაციების გრამატიკები გაცილებით უფრო რთულია დაბალი ვარიაციების გრამატიკებზე. მათში უფრო განვითარებულია ზმნური ფორმები, გრამატიკული სქესი, სიტყვათშეთანხმება და სინტაქსი.

ლექსიკა: ამ შემთხვევაში არსებობს ურთიერთგადაფარვა, მაგრამ ხშირად ხდება , რომ მაღალი ვარიაცია შეიცავს დაბალში არსებულ სიტყვებს და პირიქით.

ფონოლოგია: აქ ორი ტიპის სისტემა უნდა გავარჩიოთ: 1. როცა დაბალი და მაღალი ვარიაციები იზიარებენ ერთსა და იმავე ფონოლოგიურ ელემენტებს , მაგრამ დაბალს შეიძლება ჰქონდეს უფრო რთული მორფოფონემიკა ან სხვა სიტყვებით მაღალი არის დაბლის ფონოლოგიური ინვენტარის კერძო ქვესიმრავლე. ენაზე მოლაპარაკეები, ჩვეულებრივ ვერ ახერხებენ ამ ორი სიმრავლის ცალკე შენარჩუნებას; 2. მაღალ ვარიაციაში არსებობს კონტრასტები, რომლებიც არ შეინიშნება დაბალში-ამ შემთხვევაში დაბალი სესხულობს მაღალში არსებულ კონტრასტებს ცალკეული ცნებების გამოსახატავად.

განსხვავება დიგლოსიასა და სტანდარტულ დიალექტებს შორის: დიგლოსიის შემთხვევაში არავინ იყენებს მაღალ ვარიაციას როგორც დედაენას. ეს მხოლოდ დაბალ ვარიაციას შეეხება. სტანდარტული დიალექტების შემთხვევაში საზოგადოების ზოგი წევრი ლაპარაკობს დაბალზე როგორც დედაენაზე, სხვები კი შინ დაბალ ვარიაციას ისწავლობენ, სკოლაში კი - მაღალს.

გავრცელება ენობრივ ოჯახებში, სივრცესა და დროში: დიგლოსია არანაირად არ არის შეზღუდული რომელიმე გეოგრაფიული რეგიონით ან ენობრივი ოჯახით. დიგლოსიები არსებობს საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში. დიგლოსიათა უმრავლესობა გულისხმობს წერ-კითხვის ცოდნას, მაგრამ უმწერლობო, ზეპირი დიგლოსიებიც საკმაოდ გავრცელებულია.

ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები: 1. მაღალ ვარიაციაზე შექმნილი ძველი პრესტიჟული ლიტერატურის არსებობა, რომლის ასეთად შენარჩუნებას ესწრაფვის ლინგვისტური კულტურა; 2. წერა-კითხვის ცოდნა, რომელიც გავრცელებულია მცირერიცხოვან ელიტაში; 3. დიგლოსიები ერთ დამეში არ მწიფდება. მათი განვითარება დროს მოითხოვს; ეს სამი ფაქტორი, რომელიც გარკვეული აზრით, რელიგიასთან არის დაკავშირებული, იწვევს დიგლოსიის სტაბილურობას არაბულ ქვეყნებსა და სამხრეთ აზიაში.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. განმარტეთ სოციოლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების თანამედროვე დარგის არსი და კვლევის ობიექტები.
2. იმსჯელეთ სოციოლინგვისტიკის ქვედარგებისა და მათი საკვლევი ობიექტების შესახებ.
3. რას წარმოადგენს ტერმინი "გენერალური ერთობლიობა?"
4. რომელი კვლევის მეთოდებით სარგებლობს თანამედროვე სოციოლინგვისტიკა? რომელი მათგანი გამოირჩევა განსაკუთრებული სანდოობით?
5. რაში მდგომარეობს ცნებების- "ენობრივი კოლექტივი" და "სოციოლინგვისტური ცვლადები" არსი?
6. განმარტეთ დიალექტის ცნება და შეუპირისპირეთ იგი სოციოლექტის ცნებას.
7. რომელი გარეენობრივი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას სოციალური დიალექტების ჩამოყალიბებაზე?
8. განმარტეთ ეთნოლექტისა და იდიოლექტის არსი.
9. განმარტეთ ცნება კოდი. რას ნიშნავს კოდების ფუნქციური განაწილება და კოდების გადართვა?
10. დაასახელეთ ენობრივი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები (გაამყარეთ თქვენი მსჯელობა შესაბამისი მაგალითებით)
11. რა ფაქტორები იწვევს ენის გენერაცია/დეგენერაციას?
12. განმარტეთ მულტილინგვიზმისა და დიგლოსიის ცნებები. რომელი ცვლადები იწვევს დიგლოსიისა და მულტილინგვიზმის აღმოცენებას?

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., კვიციანი ზ., შადური.ი შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
2. ენუქიძე რ. ლექციების კურსი ტექსტის ლინგვისტიკაში. თბილისი თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
3. ენუქიძე რ. შესავალი ენის სპეციალობაში. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
4. თედორაძე ნ. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
5. თედორაძე ნ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, გამომცემლობა "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
6. ლადარია ნ.სოციოლინგვისტიკა. თბილისი, გამომცემლობა "მეცნიერება", 2002.
7. ლებანიძე გ. ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში. თბილისი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 1997.
8. მინდაძე ი. ფსიქოლინგვისტიკა , თბილისი, გამომცემლობა არეტე, 2019.
9. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1991.
10. სოსიური, ფ.ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2002.
11. ჭყონია ნ. ლექციები ენათმეცნიერებაში. თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი", 2012
12. Akmajian A, Demers R. A., Farmer A. K., Harnish R.M. Linguistics: An Introduction to Language and Communication, The MIT Press, 1997
13. Bakhtin M. – “The Problem of the Text in Linguistics, Philology, and the Human Sciences: An Experiment in Philosophical Analysis”, “From Notes Made in 1970.
14. Evans V. and M Gree M. Cognitive Linguistics An Introduction Edinburgh University Press, 2006
15. Hartmann “The Text as a Linguistic Object”, in W. D. Stempel (ed.), Contributions to the Linguistics of the Text Munchen, 1981
16. Leech G. –Principles of Pragmatics, London: Longman, 1983
17. Levinson St. – Pragmatics, New York, 1983
18. Morris C.W. –Writings on the general theory of signs, the Hague, , Charles W (1938/1970): Foundations of the Theory of Signs. Chicago: Chicago,1971
19. O’Grady W. Contemporary Linguistics: An Introduction, Bedford/St. Martin's, 2000
20. Ungerer F. & Schmid H.An introduction to Cognitive linguistics, London, Pearson Longman, 2006
21. Yule, G. Pragmatics. Oxford: Oxford University Press, 1996

22. Гальперин И.Р. – Текст как объект лингвистического исследования, М., «Наука», 1981

23. Коннова М.Н. Введение в когнитивную лингвистику : учебное пособие. Изд. 2-е, перераб. Калининград , 2012

24. Шиляев К.С Введение в когнитивную лингвистику: учебно-методическое пособие. Томск, 2018

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – გუნა სამნიძე

ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე